ტურიზმის გეოგრაფია

ლექციების კურსი

შინაარსი

ნაწილი I

თემა I - ტურიზმის გეოგრაფია: საგანი და ამოცანები

თემა II - ფაქტორები და რესურსები

თემა III - მსოფლიო და ადგილობრივი დონის ტურისტული რესურსები

თემა IV - ტურიზმის ისტორია

თემა V - ტურიზმის სახეების კლასიფიკაცია

ნაწილი II - რაიონები

ტურიზმი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

თემა VI - ბულგარეთი

თემა VII - უნგრეთი

თემა VIII - პოლონეთი

თემა IX - ჩეხეთი

ტურიზმი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

თემა X - ავსტრია

თემა XI - ესპანეთი

თემა XII - საფრანგეთი

თემა XIII - იტალია

თემა XIV - ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა

თემა XV - აზია წყნარი ოკეანე

ნაწილი I ტურიზმის გეოგრაფია

თემა I. ტურიზმის გეოგრაფია: საგანი და ამოცანები

ტურიზმის გეოგრაფია - ტურიზმის ინდუსტრიის ინტერესების გათვალისწინებით იკვლევს მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს. ის არის რეკრეაციული გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც ტურიზმის ტერიტორიული ორგანიზაციის კანონზომერებებსა და ფაქტორებს, როგორც დასვენების ერთ-ერთ სახეს სწავლობს.

თანამედროვე ტექნოლოგიები მსოფლიოს უმეტეს ნაწილს ტურისტებისათვის ხელმისაწვდომს ხდიან, თუმცა მსოფლიო პოტენციური ტურისტული რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა ათვისებული. მიუხედავად ამისა, ტურიზმზე გაზრდილი მოთხოვნების პირობებში, რომელიც მცირე რესურსულ ბაზაზეა ფოკუსირებული, ტურისტული დესტინაციები ზეწოლას განიცდიან. ნაწილობრივ ეს იმიტომ ხდება, რომ ტურიზმი სივრცეში თანაბრად ან შემთხვევით არ ვითარდება – ამდენად ზეწოლა სეზონურად და უნიკალურ ადგილებშია კონცენტრირებული. ეს მოითხოვს ტურისტული რესურსების ეფექტიან დაგეგმვასა და მენეჯმენტს და განსაკუთრებით – გარკვეული რესურსების სახეობებთან ტურიზმის შესაბამისი ფორმების მისადაგებას. ბუნებრივია, ტურიზმის სხვადასხვა ფორმებს განვითარებისთვის განსხვავებული მოთხოვნები აქვთ და გარკვეული ადგილები, რაიონები ან ქვეყნები, სხვებთან შედარებით, მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება.

ტურიზმის გეოგრაფია იკვლევს ბუნებრივი და ანთროპოგენური (კლიმატი, სანაპირო, პეიზაჟი, მინერალური წყლების მარაგები, ისტორია, კულტურა და ა.შ) რესურსების ტერიტორიული გავრცობის საკითხებს. სწავლობს თავისუფალი დროის ოპტიმალურად გამოყენების ხასიათსა და სტრუქტურას, ტურისტული ნაკადების მიმართულებებს. ის ეყრდნობა გეოგრაფიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა:

- ✓ დემოგრაფია: ცოდნათა სისტემა ადამიანთა დემოგრაფიული და ეკონომიკურ-სოციალური სტატუსის ევოლუციის შესახებ.
- ✓ ეკონომიკური გეოგრაფია: გულისხმობს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონების ეკონომიკური რესურსების ცოდნას; და ქვეყანათმცოდნეობა: დედამიწის რეგიონებისა და კონტინენტთა მეურნეობის ცოდნათა სისტემა. ეკონომიკური რესურსების მნიშველოვანი ნაწილი, სწორედ ტურიზმს განეკუთვნება. (მაგალითად, ბალეარის კუნძულების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას სწორედ მისი ტურისტული სპეციალიზაცია განსაზღვრავს).

- ✓ ფიზიკური გეოგრაფია: იძლევა ცოდნათა სისტემას ბუნებრივი რესურსების შესახებ, რომელიც ტურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს: კლიმატური, განმაχანსაღებელი.
- ✓ ისტორიული გეოგრაფია: ცოდნათა სისტემა, კულტურის, ისტორიის შესახებ რაც აგრეთვე ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ტურიზმის გეოგრაფიის სპეციფიკა, რაც განასხვავებს მას, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის დარგებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ის ცალკეული ქვეყნების იკვლევს მხოლოდ მისთვის საინტერესო კუთხით, ანუ ისეთს, რაც მიმზიდველს ხდის ამა თუ იმ ქვეყანას უცხოელთათვის (იგულისხმება, ბუნების თვისებურებები, კლიმატი, ლანდშაფტი, ქვეყნის ფლორა და ფაუნა).

ტურიზმის გეოგრაფიაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ისტორიულ-კულტურული კომპონენტი. რამეთუ ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი იზიდავს ტურისტებს არამხოლოდ მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული ლანდშაფტებით, არამედ ისტორიული და კულტურული ძეგლებითაც.

ტურიზმის გეოგრაფიის ინტერესების სფეროში ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული ძეგლების გარდა შედის სხვადასხვა პროფილის ობიექტები და სანახაობითი მოვლენები რამაც ასევე შესაძლებელია მოიზიდის ქვეყანაში სხვადასხვა ინტერესესისა და მოთხოვნილებების მქონე ტურისტი: სამკურნალო, სასწავლო, სავაჭრო ცენტრები, სპორტული, საზეიმო ღონისძიებები, სეზონური ფასდაკლებები და ა.შ.

ტურიზმის წარმოშობა განსაზღვრა მსოფლიოს გეოგრაფიული რაიონების სახესხვაობამ და ხალხთა სწრაფვამ გაცნობოდნენ მათთვის მანამდე უცნობს.

მოგზაურობის მიზნები, სახეები და ფორმები, აგრეთვე მარშრუტის შერჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული განსაზღვრულ გეოგრაფიულ რაიონებსა და ობიექტებთან. ამრიგად, გეოგრაფიული ფაქტორი ტურიზმში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

მოგზაურობის ღირებულება ბევრად არის დამოკიდებული გეოგრაფიულ ფაქტორებზე: მანძილი, სატრანსპორტო წვდომა, რეკრეაციული რესურსების არსებობასა და მოცულობაზე. გეოგრაფიული ფაქტორები, რომელიც ზემოქმედებენ ტურიზმზე შესაძლებელია დავყოთ: ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული. განვიხილოთ ისინი დეტალურად.

თემა II. ფაქტორები და რესურსები

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები და რესურსები

ბუნებრივი პირობების ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურისტის მიერ მარშრუტის ან სამოგზაურო რეგიონის არჩევანზე. მოგზაური მუდამ მხედველობაში იღებს კლიმატურ თუ ლანდშაფტების თავისებურებებს, ფლორისა და ფაუნის სიმდიდრესა და უნიკალურობას. აქტიური დასვენების ბუნებრივ შესაძლებლობებს. როგორც წესი, დასვენებისკენ სწრაფვა, გარემოს შეცვლა ადმიანთა უმრევლესობისთვის ასოცირდება ეგზოტიკასთან, რაც ტურისტული რესურსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. გაცილებით ფართოდ ამ თვალსაზრისით გამოიყენება უნიკალური ბუნება და მისი ღირშესანიშნაობები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და ოკეანეთში.

ტურისტისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს რაიონის ან მხარის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, პირველყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს ზღვასთან, მთისა და ტყის მასივებთან სიახლოვე, სანაპირო ზოლის თავისებურებები. ქვეყნის დამოკიდებულება ძირითად ტურისტულ მომწოდებლებთან.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მხარის რელიეფს. დიდი პოპულარობით სარგებლობენ ქვეყნები რთული, როგორც წესი, შთამბეჭდავი რელიეფებით. მთიან რელიეფს უპირატესობა გააჩნია ბართან მიმართებაში არამხოლოდ ესთეთიკური თვალსაზრისით. არამედ უზარმაზარი რეკრეაციული რესურსით - მთის სუფთა ჰაერით, ულტრაიისფერი გამოსხივების მომეტებული ხარისხით და სამთო-სათხილამურო ალპური ცენტრებით. ამიტომ შემთხვევით არაა, რომ მრავალი მთათა სისტემა დღეს აყვავებულ ტურისტულ რაიონად იქცა.

სრულყოფილად დასვენების სურვილის გამო, ტურისტები კონკრეტულ მარშრუტებს ირჩევენ დროის გათვალისწინებით, რასაც მიმზიდველი ამინდები უზრუნველყოფს. ამიტომ კლიმატური ფაქტორების გამო, მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონები, ძირითადად განლაგებულნი არიან ზომიერ კლიმატურ ზონებში, აგრეთვე ცხელი სარტყელის კუნძულებზე, სადაც ჰაერის მაღალი ტემპერატურა კომპენსირდება ზღვის ქარებით. თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ტურისტთა მოთხოვნები ეგზოტიკური მხარეების მიმართაც, რაც კიდევ უფრო ზრდის საერთაშორისო ტურიზმის საზღვრებს.

ქვეყანაში საზღვაო და საოკეანო სანაპიროების არსებობა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურისტული რეგიონების განვითარებას. კომფორტული კლიმატის პირობებში, შესაძლებელია გახდეს საზღვაო კურორტების საწინდარი, აგრეთვე საზღვაო კურორტები უზრუნველყოფს მოხერხებულ შეტყობინებებს, საკრუიზო მოგზაურობების ჩატარების შესაძლებლობებს.

მდინარეები და ტბები ასევე მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსებად შეიძლება იქნას განხილული. ისინი ასევე ამდიდრებენ ქვეყნის, რეგიონის ლანდშაფტს, ქმნიან ხელსაყრელ მიკროკლიმატს, ტურისტებს სასუალებას აძლებენ დაისვენონ წყლებზე, დაკავდნენ წყლის სპორტის სახეობებით. დღეს-დრეობით ტბისპირა კურორტები და დასვენების ზონები ფინეთში, პოლონეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში და ა. შ. ტურიზმის საკმაოდ პოპულარულ ცენტრებს წარმოადგენენ.

ტურისტულ რესურსებს განეკუთვნება ტყეები, სადაც დასვენების ობიექტების არსებობა ტურისტს გარე სამყაროსგან, „ცივილიზაციისგან“ „იზოლირების“ საშუალებას აძლევს. ტყეს აგრეთვე გამაჯანსარებელიფუნქციაც გააცნია, ის, ამცირებს ხმაურის ხარისხს დასვენების ზონებში.

ტურისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კონკრეტულ რეგიონში ჩასვლისას დიდ ყურადღებას აქცევს იქ არსებულ ეროვნულ პარკებს, ნაკრძალებს. ბევრი ასეთი და ნადირობისთვის ღია ზონები აფრიკაში, აზიაში, აშშ-სა და კანადაში, ავსტრალიასა და ევროპაში მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრებად იქცნენ.

ზოგიერთ ქვეყნებში (ჩეხეთი, უნგრეთი, გერმანია, ავსტრია და ა.შ) მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსად ითვლება მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახები. ისინი მიმზიდველობას ინარჩუნებენ დღემდე და ტურისტთა მნიშვნელოვან ნაკადებსაც მასპინძლობენ.

ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორთა გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე, მეტწილად განპირობებულია ქვეყანაში, რაიონში თუ რეგიონში რეკრეაციისთვის სასარგებლო ბუნებრივი რესურსების წყალობით, რაც ტურისტები მოზიდვის მნიშვნელოვანი წყაროა.

ტურისტულ რესურსებს სამი ძირითადი მახასიათებელი აქვთ:

- ტურისტული რესურსები, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც ტურიზმის სექტორისათვის ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური ობიექტები. ამიტომ სექტორმაც და თვითონ ტურისტმაც უნდა იცოდეს, რომ ვიდრე ადგილი, ლანდშაფტი ან ბუნებრივი კომპონენტი ტურისტულ რესურსად იქცევა, მას აქვს

ღირებულება. მაგალითად, მზის, ქვიშისა და ზღვის კომბინაცია ღირებულ ტურისტულ რესურსს არ წარმოადგენდა 1920-იან წლებამდე, იქამდე, სანამ გარუჯვა მოდურად იქცა, თუმცა იმის დადგენამ, რომ გარუჯვა კანის კიბოს საშიშროებას ქმნის, ამ საკითხისადმი მიდგომის შეცვლა გამოიწვია.

- ტურისტული რესურსებით ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ტურისტები არ სარგებლობენ. გარდა საკურორტო რაიონებისა თუ თემატური პარკებისა, სადაც ტურიზმი მიწათსარგებლობის დომინანტია, იგივე რესურსებით სარგებლობს სოფლის მეურნეობა, ტყის მეურნეობა, წყალმომარაგება და იქაური მოსახლეობა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს იყენებს. ტურიზმი მნიშვნელოვანი მიწათმოსარგებლეა, მაგრამ იშვიათადაა ერთადერთი, რის გამოც სხვადასხვა მოსარგებლეებს შორის შეიძლება კონფლიქტი წარმოიქმნას. ტურიზმს, როგორც „დაგვიანებით მოსულს“, სხვა მიწათმოსარგებლეებთან შეგუება უხდება. ეს ცნობილია, როგორც მრავალმხრივი გამოყენება, და წარმატების მისაღწევად სხვადასხვა მოსარგებლეთა უნარიან და კოორდინირებულ მართვას საჭიროებს.
- ტურისტული რესურსები არამდგრადია. ტურისტული ზეწოლის გამო მათ ცვლილება და ნგრევა ემუქრებათ. ასევე შეუძლებელია „შეინახო“ და სხვა დროს გამოიყენო ტურისტული მომსახურების ზოგიერთი ფორმა (მაგალითად, სასტუმროს საწოლები ან გასასეირნებელი ადგილები თემატურ პარკებში). გამოუყენებელი ტურისტული რესურსები არ ინახება და იკარგება. ტურისტული რესურსების დაგეგმვა ტურიზმს მთელ მსოფლიოში უნიკალური და მყიფე რესურსები იზიდავს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მრავალ ქვეყანაში მიიჩნიეს, რომ საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საუკეთესო საშუალება იყო. ტურიზმს უწოდებდნენ „მრეწველობას საკვამურების გარეშე“, რომელსაც მოჰქონდა ეკონომიკური ეფექტი დასაქმების, შემოსავლებისა და განვითარების გზით. თუმცა ამ ეკონომიკური იმპერატივის გამო მრავალ ქვეყანაში უგულებელყოფილ იქნა ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოში ტურიზმის გავლენით გამოწვეული შედეგები. ნაწილობრივ ამას იწვევდა ტურიზმის ეკონომიკური შედეგების ადვილი დათვლა და სხვა ეკონომიკური საქმიანობის ზეგავლენის გაზომვის სირთულე. ამდენად, ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან არსებობს მზარდი შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, თუ ეკონომიკური და ეკოლოგიური კუთხით რამდენად ღირებულია ტურიზმის განვითარება. ტურისტული მომსახურება თავს არიდებს

ისეთი ადგილების შერჩევას, რომელთაც ეთიკური თვალსაზრისით მიუღებლად მიიჩნევს. უკვე ცნობილია გარემოზე ტურიზმის უარყოფითო ზეგავლენის შეფასება ყველა ძირითადი ტურისტული

მიმართულების მიხედვით. 1980-იანი წლებიდან ტურიზმის მდგრადი განვითარება მაორგანიზებელი საფუძველი გახდა მას შემდეგ, რაც მდგრადობის გაბატონებული გაგება ტურიზმზეც გავრცელდა. ბრომუელი და ლეინი (Bramwell and Lane, 1994) ტურიზმის მდგრადი განვითარებას ხედავდნენ, როგორც „პოზიტიურ მიდგომას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ტურისტულ ინდუსტრიას, ვიზიტორებს, გარემოსა და დამსვენებელთა მასპინძელ საზოგადოებას შორის რთული ურთიერთქმედებით გამოწვეული დაძაბულობისა და წინააღმდეგობის შემცირება“. მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მდგრადი განვითარების პრინციპების ამოქმედება. მაგალითისთვის, ტურისტული ინდუსტრიის შემთხვევაში ეს შემდეგი გზებით უნდა გაკეთდეს:

- ქცევისა და გაძღოლის ნორმების შემუშავება – დარგის უზრუნველყოფა პრაქტიკული ღონისძიებებით;
- აკრედიტაციისა და სერტიფიკაციის განხორციელება – ბიზნესის შემოწმება და სერტიფიცირება მდგრადი მეთოდების საფუძველზე;
- ლიცენზირება – ეკოლოგიურად მგრძნობიარე რაიონებში მოქმედი ბიზნესების ლიცენზირება;
- საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება – მდგრადი ტურიზმის საუკეთესო ნიმუშების

სწავლება და დანერგვა ინდუსტრიაში.

მდგრადი ტურიზმის საკვანძო საკითხია ტევადობა – სხვა სიტყვებით, მგეგმავები

განსაზღვრავენ გამოყენების დონეებს, რაც განაპირობებს ტურიზმის რესურსების მდგრადობას და მათ ამ დონეზე შენარჩუნებას.

გარკვეული უბნები მდგრადობას შეინარჩუნებენ საკვები ელემენტებისა და სხვა დანამატების გარეშე. ბუნებრივია, ამ კონცეფციას ტურიზმშიც მსგავსი მნიშვნელობა აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, ტევადობა გულისხმობს დესტინაციის შესაძლებლობას, მისთვის ზიანის გარეშე, რაიმე გზით, განავითაროს ტურისტული ინდუსტრია. სხვა სიტყვებით – ის განსაზღვრავს ურთიერთობას რესურსულ საფუძველსა და ბაზარს შორის, და განიცდის თითოეული მათგანის თავისებურებების გავლენას. ერთ–ერთი საუკეთესო განსაზღვრება მოგვცეს მატისონმა და უოლმა (Mathieson and Wall, 1982: 21): „ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შესაძლოა მიიღოს ტურისტულმა ადგილმა ფიზიკური გარემოს დაუშვებელი ცვლილებისა და ვიზიტორების მხრიდან მისი

ხარისხის დაუშვებელი დაკნინების გარეშე“. ამ განსაზღვრებით წინა პლანზე გამოდის ორი საკვანძო საკითხი:

- ტევადობა შეიძლება იმართოს და აბსოლუტური მაჩვენებელი არც ერთი დესტინაციისთვის არ არსებობს. მაგალითად, ღია ბუჩქნარი სივრცე მხოლოდ რამდენიმე ვიზიტორის ყოფნის შემთხვევაში შესაძლოა გადავსებული გამოჩნდეს მაშინ, როდესაც ტყიანი ადგილი გაცილებით მეტი ვიზიტორის არსებობას საჭიროებს ამავე ეფექტის მოსახდენად. არსებობს ტევადობის სხვადასხვა ტიპები:
- რესურსების კუთხით: – ფიზიკური ტევადობა ნიშნავს არსებული საშუალებების რაოდენობას – მაგალითად, ადგილების რაოდენობა საჰაერო ტრანსპორტში ან სივრცე მანქანების პარკინგისათვის. ეს ადვილად გასაზომია და შეიძლება ადვილად დაითვალოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებებით. – ეკოლოგიური ან ბიოლოგიური ტევადობა უფრო რთული გასაზომია და გულისხმობს ეკოსისტემით სარგებლობის ზღვრულ სიდიდეებს. სულ უფრო იზრდება ინტერესი როგორც ფლორის, ისე ფაუნის ტურისტული გამოყენების ტევადობისადმი, მაგალითად, ვეშაპებსა თუ დელფინებზე დაკვირვებაზე დაფუძნებული ტურიზმი, ან აფრიკულ გარეული ცხოველების ნაკრძალებში.
- ვიზიტორების თვალსაზრისით: – ფსიქოლოგიური ან ქცევითი ტევადობა იმ ნიშნულს უჩვენებს, რომელზეც ვიზიტორი გრძნობს, რომ დამატებითი ტურისტები გაუფუჭებენ შთაბეჭდილებას. ეს, პირველი შეხედვით, უფრო ადვილია, ვიდრე ჩანს. მაგალითად, სრულიად ცარიელი სივრცე ისევე პრობლემატურია, როგორც გადავსებული, ამავე დროს, ამ მომენტის აღქმის ეფექტი თვით ტურისტის ხასიათზეა დამოკიდებული.
- მასპინძელი საზოგადოების თვალსაზრისით: – სოციალური ტევადობა არის მასპინძელი საზოგადოების იმ შესაძლებლობის საზომი, რომლის პირობებშიც ის იტანს ტურიზმს. ეს წარმოადგენს ტევადობის ტიპოლოგიების ბოლოდროინდელ დამატებას, თუმცა ის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი გახდა.

მართლაც, მდგრადი ტურიზმის დესტინაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტესტია ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. თუმცა ასევე არის ეჭვი,

რომ ადგილობრივ მოსახლეობას ცოდნის ნაკლებობა აქვს ტურიზმის, ახალი ტექნოლოგიებისა და მისაღები ცვლილებების საკითხებში, რითაც მათ მომავალი განვითარების დონეები უნდა განსაზღვრონ. ტურიზმის დაგეგმვაში სწორედ ეს საკითხები უნდა იყოს ცენტრალური. ამგვარმა დაგეგმვამ ევოლუცია განიცადა მოუქნელი, ფიზიკური დაგეგმვის მიდგომიდან მოქნილი პროცესისაკენ, რომელიც ცდილობს გაზარდოს სარგებლიანობა და შეამციროს ტურიზმის ფასი, როდესაც იმავდროულად აღიარებს ტურიზმის „გლობალურ“ ბუნებას – ჩვენ უნდა დავგეგმოთ როგორც ტურისტისთვის, ისე რესურსისთვის. ტურიზმის დაგეგმვის სარგებლიანობა ნათელია.

იდეალურად ტურიზმის დაგეგმვა 1. ეფუძნება სანდო კვლევებს; 2. ადგილობრივ საზოგადოებას ჩართავს მიზნებისა და პრიორიტეტების დადგენაში; 3. ეყრდნობა მთლიან მიდგომას; 4. ხორციელდება სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობით. ტურიზმის დაგეგმვისადმი მრავალი მიდგომის მიუხედავად, ეს პროცესი ექვს საბაზისო საკითხზე დაიყვანება: 5. რა ტიპის ტურისტი ჩამოვა? 6. როგორი მასშტაბისაა ტურიზმი? 7. სად მოხდება განვითარება? 8. კონტროლის რა მექანიზმები დაწესდება განვითარებაზე? 9. რა გზით დაფინანსდება განვითარება? 10.როგორი იქნება სახელმწიფოს როლი?

მათთვის, ვინც დესტინაციაში ჩაბმულია ტურიზმის განვითარებაში, ტურიზმის დაგეგმვა:

- ყველასთვის ადგენს საერთო მიზნების ჩამონათვალს, რომელსაც დესტინაციაში უნდა მისდიონ;
- ახდენს დესტინაციაში ტურისტული მომსახურების მრავალი მიმწოდებლის კოორდინაციას;
- ახდენს აქციონერებს შორის პარტნიორობის წახალისებას დესტინაციაში;
- ახდენს დესტინაციაში ეფექტური ორგანიზების წახალისებას;
- მომავალი ქმედებებისა და გადაწყვეტილებებისათვის ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს.

თვით დესტინაციისათვის ტურიზმის დაგეგმვა მაღალხარისხოვანი ტურისტული გარემოს წახალისებას ახდენს, ვინაიდან: 1. ახორციელებს დესტინაციაში ტურიზმის სარგებლიანობის ოპტიმიზაციას; 2. მინიმუმამდე ამცირებს ტურიზმის ნეგატიურ გავლენას ეკონომიკაზე, გარემოსა და მასპიმძელ საზოგადოებაზე; 3. ახდენს მდგრადი ტურიზმის პრინციპებისა და მეთოდების წახალისებას; 4. წარადგენს მიწათსარგებლობაზე დაფუძნებულ გეგმას განვითარების, კონსერვაციისა და დაცვისა

რაიონების (არეალების) ზონირებისათვის; 5. ახდენს ტურიზმის სექტორში დიზაინისა და სხვა სტანდარტული სამუშაოების წახალისებას; 6. ახდენს დესტინაციაში ტურიზმის განვითარებისა და მისი ბაზრების ზუსტ შესაბამისობაში მოყვანას; 7. განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა შრომითი რესურსები და ინვესტიციები; 8. ახდენს დესტინაციის გარემოს გაუმჯობესებას; 9. ახდენს დესტინაციაში მონიტორინგის სისტემის გამოყენების წახალისებას.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის დაგეგმვა უკვე პროფესიად ჩამოყალიბდა, ტურიზმისათვის განკუთვნილი გეგმები ან წარუმატებლობას განიცდის ან წინააღმდეგობას ხვდება. ის შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს პოლიტიკის, მოთხოვნილებების შეცვლის, გაუთვალისწინებელი კონკურენციის გამოჩენის, არასაკმარისი ინვესტიციის ან გეგმის ზედმეტი ამბიციურობისა თუ მოუქნელობის გამო.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები და რესურსები

ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა საერთაშორისო ტურზმზე ხორციელდება ორი მიმართულებით: პირველი, მოცემული ფაქტორები განიხილება როგორც ობიექტი, რომელიც ტურისტებს იზიდავს განსაზღვრულ რაიონში, და მეორე - მნიშვნელოვანი საშუალება, რომლის მეშვეობით ვითარდება ტურიზმი.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი წარმოადგენს ობიექტს, ხელსაყრელს ტურიზმისათვის იმ გაგებით, რომ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკა არსებიტად განსხვავდება ერთმანეთისგან სტრუქტურისა და მეურნეობის დარგების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიკურობით და ა. შ., რაც საქმიანი და სამრეწველო წრეების ყურადღებას იქცევს. მზარდი მოთხოვნები მსოფლიო ეკონომიკაში ზრდის საერთაშორისო კონტაქტებს. შემთხვევით არაა, რომ ბიზნესმენთა და მრეწველთა მოგზაურობის პროგრამაში გაწერილია სამეცნიერო ცენტრებისა და საწარმოტა მონახულება მიღწევების გაცნობის მიზნით.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები, როგორც საშუალება, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, განისაზღვრება ტურისტული ინფრასტრუქტურისა და განთავსების ფონდების ზრდით. შიდა და გარე კომუნიკაციების განვითარებით, სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფით.

საერთაშორისო ტურიზმის მატერიალური ბაზის განვითარება ხორციელდება ორი მეთოდით: ინტენსიური და ექსტენსიური. სასტუმროები, მოტელები, პანსიონატები და განთავსების სხვა საშუალებები დედამიწის ყველა წერტილში არსებობს, და მოიცავენ ყველა ეგზოტიკურ მხარეებს. ამავე პრინციპით ვითარდება საზოგადოებრივი კვების

დაწესებულებები, საცალო გაყიდვების, სპორტული ობიექტებისა და გასართობი ინდუსტრიის დაწესებულებები.

ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების ზრდის პარალელურად, ხდება სერიოზული ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდაც, ეს, პირველყოვლისა, გულისხმობს ობიექტების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ხელს უწყობს როგორც სერვისის განვითარებას, ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის მატებას საერთაშორისო ტურიზმში.

ტურიამის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტრანსპორტს. უკანასკნელ ათწლეულში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად ის გაცილებით ჩქარი, უსაფრთხო და კომფორტული გახდა.

საერთაშორისო ტურიზმზე გავლენის მქონე ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს შესაძლებელია განვაკუთვნოთ:

1. მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები (სატრანზიტო შესაძლებლობები);
2. მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე;
3. კვალიფიკაციური კადრების არსებობა;
4. კონკრეტული ტერიტორიისთვის რეკრეაციულ რესურსებზე, განთავსებასა და ტრანსპორტზე მისარები ფასების დონე;
5. შიდა და გარე ტრანსპორტის განვითარების ხარისხი.

ეთნიკური ფაქტორები

საერთაშორისო ტურიზმის ეთნიკური წინაპირობები იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს დედამიწაზე სახლობენ აუამრავი სხვადასხვა რჯულის რასისა და რწმენის ხალხი. რომელთაც საკუთარი, განსაკუთრებული ისტორია, კულტურა, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები, რელიგია გააჩნიათ. საგანმანათლებლო და კულტურული დონის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანთა ინტერესიც ნახონ, გაეცნონ სხვა ხალხის ყოფასა და კულტურას. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ უცხო ქვეყნის მონახულებით. ამრიგად, საერთაშორისო ტურიზმი, ამ შემთხვევაში, გამოდის მხოლოდ როგორც საშუალება მიზნის(ცნობისმოყვარეობის) მისაღწევად.

კულტურულ-ისტორიული ფაქტორები

მუზეუმები და გალერეები, გამოფენები, არქიტექტურული ძეგლები და ისტორიული ღირშესანიშნაობები ყოველთვის იზიდავდა უცხოელ ტურისტებს. ინტერესი სხვა ხალხის ისტორიის, კულტურის, ყოფისა და ტრადიციების მიმართ მნიშვნელოვან კატალიზატორს წარმოადგენდა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის. ამ თვალსაზრისით ისტორიულ-კულტურული ფაქტორები მჭიდრო კავშირშია ეთნიკურ ფაქტორებთან.

შრომითი რესურსები კი მომსახურე პერსონალის მიერ ტურისტული მოთხოვნების უზრულვეყოფის საშუალებას იძლევა.

თემა III. მსოფლიო დონის ტურისტული რესურსები

მსოფლიო დონის ტურისტული რესურსები ფიზიკური ნიშნები დედამიწის ბიოსფერო შედგება ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროსგან. დედამიწის ზედაპირის თითქმის ¾ წყალს უკავია, რაც ხუთ ოკეანეს მოიცავს, ესენია: წყნარი (რომელიც უდიდესია), ატლანტის, ინდოეთის, სამხრეთისა და არქტიკული (ჩრდილო ყინულოვანი). ხმელეთი კი იკავებს დარჩენილ 29% და შედგება შვიდი კონტინენტისა და მიმდებარე კუნძულებისგან, კერძოდ: აზია (უდიდესი როგორც ფართობით, ისე მოსახლეობით), აფრიკა, ჩრდილო ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ანტარქტიკა, ევროპა და ავსტრალია. ევროპა წარმოადგენს მიწის უფრო დიდი მასის – ევრაზიის ნაწილს. ხმელეთი ჩრდილო ნახევარსფეროში თითქმის 40%, სამხრეთ ნახევარსფეროში კი – 20%-ზე ოდნავ ნაკლებს შეადგენს. ხმელეთისა და წყლის ასეთი უთანაბრო განაწილება მნიშვნელოვან როლს თამაშობის კლიმატის ფორმირებაში, მოსახლეობის განლაგებაში, ეკონომიკის, კომუნიკაციებისა და, შედეგად, ტურიზმის განვითარებაშიც. ხმელეთის ზედაპირი რელიეფის ფორმების მრავალფეროვნებას წარმოადგენს, რაც ოთხ ძირითად ჯგუფში ერთიანდება: მთები, ზეგნები, პლატოები და დაბლობები. რელიეფის ყოველ კატეგორიაში კიდევ არის თავისებურებანი, გამოწვეული ბუნებრივი ძალებისა და ქვეფენილი ქანების მრავალფეროვნებით. ვულკანები, კრატერული ტბები და კალდერები, ლავის ფორმირებანი, გეიზერები და ცხელი წყაროები გეოთერმულ თავისებურებებს წარმოადგენენ, რომლებიც დედამიწის წიაღში არსებული ენერგიის გამოვლინებებია. იმ რაიონებშიც კი, სადაც ვულკანური აქტივობები დიდი ხნის წინ შეწყდა, მინერალებით მდიდარმა წყაროებმა დასაბამი მისცეს სამკურნალო ადგილების, ე.წ. სპა-ს წარმოქმნას. სხვა ტიპის ფორმები იკვეთება კარსტულ კირქვულ რაიონებში, სადაც ზედაპირული წყლები მიწისქვეშ „უჩინარდებიან“, რათა შექმნან შთამბეჭდავი მღვიმეები, კარსტული ჭები და ხეობები. მთები და მთიანეთები შეადგენენ ხმელეთის ზედაპირის 75%. ქედები ყოველ კონტინენტზეა, მაგრამ ისინი განსაკუთრებით ასოცირდებიან გეოლოგიურად არამდგრად რეგიონებთან, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მიწისძვრები და ვულკანების აქტივობა. ეს ხსნის, თუ რატომ არიან მსოფლიოს ზოგიერთი ულამაზესი მთები განლაგებული „წყნაროკეანურ ვულკანურ ცეცხლოვან რკალში“ – მსოფლიოს უდიდესი ოკეანის დასავლეთ და აღმოსავლეთ კიდეებთან.

შუა განედებში ამ მთიანმა რეგიონებმა ბოლო გამყინვარების პერიოდში განიცადეს მყინვარების ზემოქმედება, რამაც ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემო შექმნა. აქ არის ულამაზესი მწვერვალები, მყინვარები, ცირკები, ტბები და ჩანჩქერები, ასევე სუფთა

ჰაერი, რაც მთელ რიგ აქტივობათა და სათავგადასავლო მოგზაურობათა წახალისებას ახდენს. მათი უმეტესობა ვიზიტორების შეზღუდულ რაოდენობას იზიდავს, ამის საპირისპიროდ თხილამურებით სრიალი და, ბოლო ხანებში, სნოუბორდინგი მიმდევართა დიდ რაოდენობას იზიდავს. ზამთრის სპორტის სახეობების უმეტესობა აღმოცენდა განვითარებულ ქვეყნებში. მოთხოვნილებათა დიდი ნაწილი მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში ფორმირდება, სადაც შესაფერისი რესურსების ნაკლებობა აღინიშნება. ამან გამოიწვია, რომ სათხილამურო კურორტების უმეტესობა განვითარდა უფრო მისადგომ მთიან რეგიონებში: ზოგიერთი მათგანი ეფუძნება იქ არსებულ სასოფლო დასახლებებს, თუმცა მოთხილამურეთა სულ უფრო მზარდი რაოდენობის კომფორტისათვის, სპეციალურად აგებენ მეტ სიმაღლეებზეც. ზაფხულში იგივე ადგილები იზიდავენ ტურისტებს, რომლებსაც „ტბებისა და მთების“ მხარეში აინტერესებთ დასვენება. სამხრეთ აზიაში, შუა აღმოსავლეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მთის კურორტები სამკურნალო ტურიზმს ემსახურებიან და დაბლობებზე განლაგებულ ქალაქებში მცხოვრებ ადამიანებს დამთრგუნველი ზაფხულის სიცხისაგან შვებას სთავაზობენ. მთიანი რეგიონების უმეტესობის მეჩხრად დასახლებულობამ ხელისუფალთ გაუადვილა იქ ეროვნული პარკების გამოცხადება ბუნების გამორჩეული სილამაზის, უნიკალური გეოლოგიური ნიშნების, ველური ბუნების ან „სასოფლო დასახლებებში არსებული კაპიტალის“ (სოფლის ნაგებობები და ლანდშაფტები) გამო.

თუმცა პირველყოფილი ველური ბუნების ადგილების სიმცირის გამო, ტურიზმი იძულებულია, რესურსებზე მოთხოვნილების პროცესში კონკურენცია გაუწიოს მეურნეობის სხვა დარგებს, როგორიცაა ხე-ტყის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა (საძოვრებებზე მოთხოვნილების გამო), ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავება და წიაღისეულის მოპოვება. მთებში გზებისა და საბაგიროების გადაჭარბებული მშენებლობა, ლანდშაფტის გამტარუნარიანობის შეზღუდულობის გამო, შეშფოთების საფუძველს იძლევა. ამან გამოიწვია ის, რომ მრავალი ხელისუფალი ეწინააღმდეგება ტურიზმის პოპულარული სახეობების განვითარებას ბუნებასთან ჰარმონიაში მყოფი იმ სახეობების სასარგებლოდ, რომლებიც მომავალი თაობებისთვის რესურსების მდგრადობას უზრუნველყოფენ. დამსვენებლებისათვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ადგილად სანაპირო რჩება. პლაჟი, სხვა ლანდშაფტებზე მეტად მიმზიდველია და ადამიანთა გონებაში უზრუნველ ჰედონიზმთან (სიცოცხლის სიყვარული, ტკბობის სურვილი) ასოცირდება. ქვიშის პლაჟები და დაცული ყურეები, ქვიშის დიუნებისა თუ დაბალი კლიფების ფონზე, უსაფრთხო ბანაობის შესაძლებლობას

იძლევიან, რაც ტურიზმის განვითარების წახალისებისა და რეკრეაციული ქმედებების ფართო სპექტრის განხორციელების საშუალებას იძლევა. უსწორმასწორო, ღია და დაუცველი სანაპირო კი სერფერებს იზიდავს, მაგრამ საწყლოსნო სპორტის სხვა სახეობათა ენთუზიასტებს და მცირეწლოვან ბავშვებიან ოჯახებს არ ხიბლავს. მიუხედავად სხვა ბუნებრივ ლანდშაფტებთან შედარებით სანაპიროების დიდი ტევადობისა, ისინი დაჭუჭყიანებას და ზამთრის ღელვებით ეროზიას ექვემდებარებიან. პატარა კუნძულები და მრავალი ტროპიკული სანაპიროს გასწვრივ განლაგებული მარჯნის რიფები ეკოლოგიური ზიანის კუთხით ძალიან მგრძნობიარეა, რაც ტურისტების შემაშფოთებელი რაოდენობითაა გამოწვეული. სანაპირო დაბლობები იდეალურია კურორტების მსხვილმასშტაბიანი მშენებლობებისთვის, მაგრამ იგივე ადგილებისკენ მიისწრაფიან მეურნეობის სხვა მნიშვნელოვანი დარგებიც, მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომლის მეზობლობა ნაკლებად სასიამოვნოა. დესტინაციების უმეტესობა მიმზიდველი სანაპიროების ტურისტულ შესაძლებლობებს კარგად აცნობიერებს, ამიტომ დეველოპერების ყურადღება ამჟამად ჭარბტენიანი ადგილებისკენ (ესტუარები, ჭაობები, მოქცევის ტალახიანი დაბლობები) არის მიპყრობილი, რომლებიც ამ ეტაპზე ტურისტულ რესურსებად არ ითვლება. ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ველური ბუნების ჰაბიტატი – მსოფლიოს ჭარბტენიანი ტერიტორიები, მზარდი საფრთხის ქვეშაა, რაც9 რამსარის კონვენციით არის აღიარებული. მაგალითად, ბევრ ტროპიკულ ქვეყანაში მანგრული ჭაობები გააღრმავეს იახტების სადგომებად ან კრევეტების რენტაბელური მოშენებისათვის. სხვაგან ჭარბტენიანი ტერიტორიები დააშრეს აეროპორტების, მრეწველობის ან ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის. შიდა წყლის რესურსები ტურიზმისთვის შეიძლება განვიხილოთ როგორც კვანძები (ტბები, წყალსაცავები), ხაზოვანი დერეფნები (მდინარეები, არხები) ან, უბრალოდ, ლანდშაფტური დეტალები (მაგალუთად, ვიქტორიას ჩანჩქერი). განსაკუთრებული რაოდენობის ტბებია თავმოყრილი ბოლო გამყინვარების რაიონებში, როგორიცაა ალპები, ჩრდილო ევროპა და ჩრდილო ამერიკა. იქ, სადაც ტბები მისადგომია ძირითადი ქალაქების მაცხოვრებელთათვის, ისინი აგარაკების მფლობელებს ისეთი რეკრეაციული ქმედებებისკენ უბიძგებენ, რომლებიც თითქოს არათავსებადია, მაგალითად, მეთევზეები და წყლის მოთხილამურეები. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ამ საქმიანობათა სივრცითი ზონირება და დროითი პერიოდიზაცია. წყლის დაჭუჭყიანებაც პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ტბას არ გააჩნია ზღვის ბუნებრივი თვითგამწმენდი მიქცევა-მოქცევის

მექანიზმი. მდინარეები უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ტბები, მაგრამ მეტ შემთხვევაში ტურიზმი და რეკრეაცია მოთხოვნებში მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის მომდევნო ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, ნავებზე დასვენება სულ უფრო მზარდ პოპულარობას იძენს ევროპის შიდა წყლებში მაშინ, როდესაც მდინარეები, რომლებიც ადრე არასამიმოსვლოდ ითვლებოდნენ, ახლა სათავგადასავლო ტურისტების მიერ რაფტინგისა და კანიონინგისთვის მოიაზრება. მსოფლიო ტყის საფარიც იმსახურებს განსაკუთრებულ აღნიშვნას. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ტყეები და გატყიანებული ადგილები, წარსულში არსებული ექსპლოატაციის საპირისპიროდ, ახლა რეკრეაციისა და ველური ბუნების დაცვისთვის ღირებულად ითვლება. ასეთი რეგიონებისთვის ტყეების მრავალმხრივი გამოყენებაა დამახასიათებელი და რესურსების დაცვის მიზნით სავალდებულოა მზრუნველი მენეჯმენტი.

კულტურული ელემენტები ტურისტები დაინტერესებული არიან თავიანთი წარმომავლობისა და მასპინძელი ქვეყნების ხალხებს შორის განსხვავებით, რაც გამოიხატება მათი ინტერესით ხელოვნებისა და ხელოსნობის, მუსიკის, ფოლკლორის და ფესტივალების, სამზარეულოს, არქიტექტურის და საერთოდ, ცხოვრების წესისადმი. მსოფლიო მასშტაბით ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე კულტურული რეგიონის დასახელება, სადაც ცხოვრების წესის, არქიტექტურის, სასოფლო–სამეურნეო სისტემების მნიშვნელოვანი მსგავსება შეინიშნება. ხშირად მათ ისტორიული და რელიგიური წარსულიც საერთო აქვთ. ეს რეგიონები იშვიათად შეესაბამებიან კონტინენტურ დაყოფას. მაგალითად, ევროპული ან „დასავლური“ კულტურა რენესანსის შემდეგ მნიშვნელოვნად გასცდა ევროპის საზღვრებს, რაც ზღვისგადაღმა ვაჭრობის, კოლონიური ექსპანსიის, ემიგრაციის და ტექნოლოგიური წარმატებების შედეგი იყო. თუმცა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობაში „დასავლური“ გავლენა ზედაპირულია და მძლავრი კულტურული სხვაობები შეინიშნება. ეს ნათელია აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ისევე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ბუდიზმს აქვს ხანგრძლივი დომინანტური გავლენა. ტურისტებმა პატივი უნდა სცენ ამ განსხვავებებს ცხოვრების წესში, განსაკუთრებით უნდა ხდებოდეს საქმიანი ტურისტების გაფრთხილება მასპინძელი ქვეყნის სოციალური ქცევის წესებისა და აკრძალვების შესახებ, რათა თავიდან აიცილონ კანონდარღვევა. ბევრ ქვეყანაში ე.წ. პირველყოფილი ტომები ძირითადი კულტურის მიღმა ცხოვრობენ. ზოგიერთი ანთროპოლოგი (გრაბერნი, Graburn, 1976) მათ „მეოთხე სამყაროს“ მიაკუთვნებს და ეს ტომები ზოგიერთი ტუროპერატორის მიერ სულ უფრო ხშირად განიხილებიან უნიკალურ რესურსად –

ხდება მათი მარშრუტებში ჩასმა. ასეთი კულტურის მაგალითებს წარმოადგენენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთების, ინდოეთის ანდამანის კუნძულების, ავსტრალიის აბორიგენი და სამხრეთ აფრიკის კოი სანის (ბუშმენების) ტომები. სამწუხაროდ, ცხოვრების იმ წესისთვის, რომელიც უკვე საფრთხეშია, ტურიზმი დამატებით საშიშროებას წარმოადგენს. ტურიზმი აყვავებას განიცდის კომუნიკაციური ბარიერების არარსებობისას, ასე, რომ საერთო ენის არსებობა უპირატესობას წსრმოადგენს, თუმცა ინგლისურის საყოველთაო გამოყენება საფრთხეს უქმნის სხვა, უმცირესობათა ენებს. ერთნაირი რელიგია ასევე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნებს შორის მოგზაურობის წამახალისებელი. დიდი რელიგიების უმეტესობას გააჩნია სიწმინდეები ან წმინდა ადგილები, მაგალითად, იერუსალიმი, რომი, ლურდი და მექა, რომლებიც ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან მილიონობით მომლოცველს იზიდავენ. პილიგრიმობა, რომელიც აქ განისაზღვრება, როგორც რელიგიური მოტივებით წარმოებული მოგზაურობა, სავარაუდოდ, ორგანიზებული მასობრივი ტურიზმის პირველ ფორმას წარმოადგენდა. შესაძლოა, სეკულარული, მატერიალისტური სამყაროსადმი რეაქციის გამო, ტურიზმის ამ სახეობამ ზრდა განიცადოს. „არასაეკლესიო სიწმინდეებისკენ“, როგორიცაა ცნობილი მწერლის ან ეროვნული გმირის დაბადების ადგილი, მოგზაურები ხშირად პილიგრიმებად მოიხსენებიან, თუმცა რეალურად ისინი შემეცნებითი ტურისტები არიან. ასეთ ტურისტებს დესტინაცია იზიდავს ასევე კულტურული საგანძურის, ისტორიული ადგილებისა და შენობებით გამორჩეულობის გამო. ვიზიტორები, ქვეითი ტურისტების ჩათვლით, რომლებიც ერთწლიან შესვენებას იღებენ სამსახურში ან სასწავლებელში, ელიტარული ტურიზმის ტრადიციების მიმდევრები არიან, რომლებიც მე-18 საუკუნეში ევროპულ „გრანდ ტურში“ მიემგზავრებოდნენ, მაგრამ ისინი გაცილებით ფართო მასშტაბის მოგზაურები იყვნენ როგორც რაოდენობით, ისე მოგზაურობის სივრცის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „მემკვიდრეობა“ ბუნდოვნადაა განმარტებული, მან ტურიზმის მნიშვნელოვან სახეობას – მემკვიდრეობის ტურიზმს მისცა დასაბამი, რომელიც თანდათან გაფართოვდა ტურისტების ადგილის, წარსულისა და ბუნებისადმი ცნობისმოყვარეობის გამო. მემკვიდრეობა, ფართო გაგებით, მოიცავს როგორც ბუნებრივ, ისე ანთროპოგენურ რესურსებს, რომლებიც დაცვას საჭიროებენ. ზოგიერთი რესურსი იმდენად უნიკალური, შთამბეჭდავი ან საქვეყნოდ ცნობილია, რომ ის მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტს წარმოადგენს და მისი დაკარგვა მთელ კაცობრიობას შეეხება. ამიტომ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (United Nations

Educational, Scientific and Cultural Organization - UNESCO) მათი უმეტესობა, განსაკუთრებული დაცვის მოტივით, მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილებად გამოაცხადა.

თუმცა, იმ დროს, როდესაც ამგვარ გამოცხადებას ნამდვილად მოსდევს მართვის პასუხისმგებლობა, კონსერვაციის რეალურად განხორციელების შესაძლებლობის უკმარისობა ნიშნავს, რომ ზოგიერთი ძეგლი ცუდადაა დაცული. ბევრი ტურისტი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკის, ნაკლებად არის დაინტერესებული ქვეყნის წარსულით, მათ თანამედროვე კულტურა, სპორტი, მოდა და გართობა უფრო აინტერესებთ. აქ იკვეთება მედიის გავლენა. ქვეყნის ეროვნულ ტურისტულ ორგანიზაციას რეკლამირებისა და ხელშეწყობისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი თანხები ჰქონდეს, მაგრამ ამან მსოფლიო აუდიტორიაზე ნაკლები გავლენა იქონიოს, ვიდრე საყოველთაობამ და ფილმებსა და ტელესერიალებში ნანახით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა.

ეროვნული დონის ტურისტული რესურსები ცალკეული ქვეყნების დონეზე ტურიზმის განვითარება მოიცავს ან შესაფერისი რაიონების მოძიებას, ან უკვე არსებულ რაიონებში გადატვირთულობის ან გადაჭარბებული სარგებლობით გამოწვეული პრობლემების შემსუბუქებას. ამ შემთხვევაში საჭიროა ტურისტული რესურსების კლასიფიკაციისა და მათი პოტენციალის შეფასების ზუსტი მეთოდების გამოყენება. ტურისტული რესურსების კლასიფიკაცია ტურისტული ატრაქციები ატრაქციები ტურიზმის არსს წარმოადგენენ. ისინი იზიდავენ ვიზიტორებს, დასაბამს აძლევენ ექსკურსიებს და თავის საკუთარ ინდუსტრიას ქმნიან. ყველაზე მარტივი მიდგომით რაიონში ატრაქციების გამოსავლენად უნდა შემუშავდეს ატრაქციების ნუსხა, განისაზღვროს რაოდენობა, მოხდეს მათი რანჟირება და შედეგების რუკაზე დატანა.

სვარბრუკმა (Swarbrooke, 1995) ატრაქციები ოთხ ძირითად კატეგორიად დააჯგუფა:

- ✓ ბუნებრივი – მოიცავენ სანაპიროებს, მღვიმეებს, მომხიბლავ ადგილებს და ველურ ბუნებას;
- ✓ ადამიანის შექმნილი, ოღონდ არა ტურისტების მისაზიდად – ისტორიული სახლები, ციხე- სიმაგრეები და ტაძრები;
- ✓ ადამიანის შექმნილი სპეციალურად ტურისტების მისაზიდად – მუზეუმები, ხელოვნების გალერეები, საგამოფენო ცენტრები, სამორინეები და

დასვენების დღეების ატრაქციების (თემატური პარკები და აკვაპარკები) სულ უფრო მზარდი რაოდენობა;

- ✓ სპეციალური ღონისძიებები – „ღონისძიება-ატრაქციები“ ტურისტული ადგილის ატრაქციებისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი პერიოდულად და ზოგიერთ საქართველოდან ამ ნუსხაში შესულია ქალაქი–მუზეუმი მცხეთა, ზემო სვანეთის სოფელი ჩაჟაში, ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი.

ახალგაზრდა ტურისტს უფრო მიიზიდავს თემატური პარკები, სადაც ხაზგასმულია ამაღელვებელი გასეირნებები და გართობა, ვიდრე მემკვიდრეობის ატრაქცია, როგორიცაა „მემამულის ძველებური სახლი ან ციხე-სიმაგრე“, მუზეუმი ან ტაძარი. საქმიან ტურისტებს ასევე განსხვავებული მოთხოვნები ექნებათ. ისინი მიისწრაფიან ძირითადი კომერციული ცენტრებისაკენ, რომლებიც ადვილად მისადგომია და კონფერენციებისა და გამოფენების მოსაწყობად საჭირო შესაძლებლობებს სთავაზობენ ისევე, როგორც დამატებით ატრაქციებსა და მომსახურებებს. ზოგიერთ ატრაქციას მეტი „მიზიდულობის ძალა“ აქვს, აქედან გამომდინარე, ქვეყნების უმეტესობაში შესაძლებელია ატრაქციების იერარქიის დადგენა. პირამიდის წვერზე ის ატრაქციებია, რომლებიც საერთაშორისო კალიბრის „აუცილებლად მოსანახულებელი“ ატრაქციებია; ისინი რაოდენობრივად შეზღუდულია და ტურისტებს მთელი მსოფლიოდან იზიდავენ. შემდეგ დონეზე ის ატრაქციებია, რომლებიც უნდა ინახოს ექსკურსიის ფარლებში, რომელიც ფოკუსირებულია ერთ ან ორ ძირითად ობიექტზე. პირამიდის საფუძველს კი შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მრავალი ატრაქცია ქმნის, რომლებიც ამჟამად ვიზიტორებს უშუალოდ რეგიონიდან იზიდავენ. ტურისტული ატრაქციები და ტურისტული რესურსების ბაზა, მთლიანობაში, გამოყენების მზარდ საშიშროებას განიცდის და ვიზიტორების ეფექტურ მენეჯმენტს საჭიროებს. ამის მიღწევა შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ატრაქციები განიხილება ტურისტული რესურსების განუყოფელ ნაწილად და არა იზოლირებულად. ტურიზმის რესურსული ბაზის უფრო ფართო მიმოხილვა ტურისტული რესურსების ერთობლიობა სუფთა ჰაერზე ჩასატარებელ რეკრეაციულ საქმიანობათა ასეულობით სახეობის განხორციელების საშუალებას იძლევა – თოკზე დაშვებით (abseiling) დაწყებული და ზორბით 2 (zorbing) დამთავრებული. ამ საქმიანობათა ნაწილი, კერძოდ, თხილამურებით სრიალი, გოლფი და იახტინგი მოითხოვს სპეციალურ საშუალებებს ზორბის დროს ორ

დიდ ერთმანეთში ჩამჯდარ სფეროში თავსდება ადამიანი, რომლის ხელ-ფეხი და წელი მაგრდება სფეროს შიდა კედელზე. შემდეგ ხდება სფეროს მთიდან დაგორება, იგი დიდი სიჩქარით მიჰქრის და ხტუნავს ფერდობის კოლბოხებსა და უსწორმასწორობებზე. ისევე, როგორც აღჭურვილობასა და უნარებს იმ დროს, როდესაც სხვებს, მაგალითად, კანოეთი ცურვა, საერთოდ არ სჭირდებათ არანაირი მომზადება. სპორტისა და გარე რეკრეაციულ საქმიანობათა ყველა სახეობა გარკვეული ტიპის ფიზიკურ რესურსებს ემყარება, ეს შესაძლოა იყოს ბუნებრივი, ადამიანის მიერ შექმნილი ან მათი კომბინაცია. ტურიზმის „ხელოვნების, კულტურისა და გართობის“ სექტორი უპირატესად დესტინაციის ჰუმანურ რესურსებს ეფუძნება.

აღნიშვნის ღირსია, რომ რესურსის მისადგომობა მხოლოდ მანძილს, მგზავრობის დროსა და ტრანსპორტის ფასს არ გულისხმობს, არამედ ისეთი ბარიერების დაძლევასაც, როგორიცაა, მაგალითად, უუნარობა. ტურიზმის მთელ რესურსულ ბაზაზე ზრუნვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა კლაუსონის (Clawson and Knetsch, 1966) მიერ შემოთავაზებული ვარიანტი, რომლის მიხედვით, რესურსი, კურორტების ინტენსიური განვითარებით დაწყებული და ველური ბუნების ათვისებით დამთავრებული, უწყვეტ რიგს წარმოქმნის, აერთიანებს როგორც რესურსების, ისე მომხმარებლის მახასიათებლებს. კლაუსონი სამ საბაზისო კატეგორიას გამოყოფს:

- მომხმარებელზე ორიენტურებული რაიონები განვითარების მაღალი ინტენსივობით მოსახლეობის ცენტრების სიახლოვეს;
- რესურსებზე დაფუძნებული რაიონები, სადაც რესურსის ტიპი განსაზღვრავს რაიონის გამოყენებას;
- გარდამავალი კატეგორია, სადაც განმსაზღვრელი ფაქტორი არის მისადგომობა.

რესურსების კლასიფიკაციის მეორე გზაა: 1. აღდგენადი – ისინი შეიძლება აღვადგინოთ, მაგალითად, თემატური პარკები; 2. არააღდგენადი – მათი აღდგენა შეუძლებელია, მაგალითად, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები.

ტურისტული რესურსების შეფასება ტურიზმის სხვადასხვა ფორმების რესურსებით უზრუნველყოფის შესაბამისობის გაზომვა ტურისტული რესურსების შეფასებას წარმოადგენს. მთავარი საკითხია სხვადასხვა მომხმარებელთა განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება. მაგალითად, პონით გასეირნებას ესაჭიროება გზებზე გავლის უფლება, ბილიკები ან მხედრებისთვის განკუთვნილი გზები, და კიდევ – მიმზიდველი პეიზაჟები. ამ განსხვავებულ მოთხოვნათა კომბინირება არის რესურსების

შეფასების სისტემის მიზანი, რაც ხშირად მატრიცების ცხრილად ფორმდება ან მონაცემთა ბარათებზე თავსდება, ყოველი მათგანი გარკვეულ ადგილს ასახავს. მათი კომბინირება ასევე შესაძლებელია ე.წ. რეკრეაციის შესაძლებლობათა დიაპაზონით.

ადგილობრივი დონის ტურისტული რესურსები

ადგილობრივი დონის ტურისტული რესურსები ტურისტული რესურსის განვითარებისთვის ვინმემ ან რომელიმე ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს. განვითარების ეს აგენტები შეიძლება კერძო ან სახელმწიფო სექტორის (ცენტრალური მთავრობა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია, რომელიც მისი სახელით მოქმედებს და ადგილობრივი ადმინისტრაცია) წარმომადგენლები იყვნენ. სახელმწიფო სექტორი ტურიზმის განვითარებაში არა მარტო ადგილობრივ დონეზეა ჩაბმული, არამედ ყოველ დონეზე, საერთაშორისოს ჩათვლით. განვითარებადი ქვეყნები პროექტებისთვის დახმარებას ღებულობენ ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით, როგორიცაა, მაგალითად, მსოფლიო ბანკი ან გაეროს განვითარების პროგრამა. ბევრი მთავრობა აქტიურად ახდენს ტურისტული პროექტების წახალისებას თავის ქვეყანაში ხელსაყრელი პირობებით ფინანსების გაცემით და დეველოპერებისთვის გადასახადებზე შეღავათებით. საერთოდ ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე მთავრობა ჩართულია ტურიზმის განვითარების დაგეგმვასა და კოორდინირებაში. ადგილობრივ დონეზე კი სახელმწიფო სექტორის როლი, ჩვეულებრივ, საწყისი ინფრასტრუქტურის შეთავაზებით შემოიფარგლება. ეს გულისხმობს ყოველგვარ განვითარებას მიწის ზედაპირზე და მის ქვეშ (როგორიცაა გზები, პარკინგის ადგილები, რკინიგზის ხაზები, პორტები და აეროპორტები), ასევე კომუნალური საწარმოებით უზრუნველყოფას. წყლით ადეკვატურად მომარაგების მნიშვნელობა ხაზგასასმელია და იქ, სადაც ძირითადი მომსახურებები ფეხს ვერ უბამს სასტუმროების მოზღვავებულ მშენებლობას, დესტინაციას ცუდი იმიჯი შეექმნება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან მიმართებით. სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელია კრიმინალისა და ტერორიზმის კუთხით შესაბამისი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ტურისტებზე განხორციელებულმა ერთეულმა შემთხვევამაც კი შესაძლოა ტურისტების გენერატორ ქვეყნებში მედიის საშუალებით ფართო გამოხმაურება ჰპოვოს. ვინაიდან ტურისტული პროექტები ძვირადღირებულია, კერძო სექტორის დეველოპერები, ჩვეულებრივ, ავითარებენ სუპერსტრუქტურას. ის მოიცავს განთავსების სექტორს, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები სასტუმროები, გართობის, სპორტისა და შოფინგის საშუალებები, რესტორნები და მგზავრთა

სატრანსპორტო ტერმინალებია. პასუხისმგებლობის ეს ნაწილი, ბუნებრივია, ასახავს ორი სექტორის მოტივებს: კერძო სექტორი მოგებისა და ინვესტიციის რენტაბელობის მოლოდინშია, სახელმწიფო სექტორი კი ცდილობს საბაზისო მომსახურებით უზრუნველყოს ტურიზმის განვითარება. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მოხალისეთა სექტორი, რომელიც არაკომერციული ორგანიზაციებისგან შედგება, განვითარების პროცესში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ვინაიდან მათი ძირითადი ინტერესი გარემოს დაცვაა, ისინი, განვითარების ხელშეწყობაზე მეტად, მსხვილმასშტაბიან ტურისტულ პროექტებს ეწინააღმდეგებიან. ცნობილი ბრიტანული მაგალითია „The National Trust", თუმცა ის მსგავსი კომპანიებისგან იმით განსხვავდება, რომ ძირითადი მიწათმფლობელია. ადგილობრივ დონეზე ყველაზე მნიშვნელოვანია მისადგომობა და ის შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს ტურისტული პროექტის წარმატებაში. ისეთი დესტინაციური რაიონების კურორტები, როგორიც ხმელთაშუაზღვისპირეთია, თავის პოპულარობას უპირატესადპირდაპირი ფრენებით ტურისტების გენერატორ ძირითად რაიონებთან დაკავშირებული აეროპორტების სიახლოვეს განლაგებას უნდა უმადლოდნენ.

თუმცა მისადგომობა ფარდობითი ცნებაა და მას განსაზღვრავს როგორც ფასი, ისე მანძილი. ექსკლუზიური „მაღალხარისხოვანი" კურორტები ხშირად ძირითადი ტურისტული მარშრუტებისგან შორსაა განთავსებული. ადგილობრივ დონეზე ტურისტული რესურსების ათვისების სხვა წამახალისებელი ფაქტორებია მიწის არსებობა, შესაფერისი ფიზიკური ადგილის ატრიბუტები (ნიადაგი, ტოპოგრაფია) და ტურიზმისათვის ხელსაყრელი გარემოს დაგეგმვა ზონირების გათვალისწინებით. ჩვეულებრივ, განუვითარებელ, მანამდე აუთვისებელ ადგილებს ირჩევენ, მაგრამ ქალაქის შიდა რაიონებში სულ უფრო იზრდება ისეთი ტურისტული პროექტების რაოდენობა, რომლებიც ხშირად იყენებენ წყლისპირა ადგილს, რომელიც ადრე ნავსადგომებით ან მრეწველობის მიერ იყო დაკავებული. ასეთი ადგილები (სამრეწველო განაშენიანების მიტოვებული ობიექტებით), ჩვეულებრივ, მშენებლობის დაწყებამდე ძვირადღირებულ დამუშავებას მოითხოვენ. დაბოლოს, ტურიზმის განვითარება ადგილობრივი საზოგადოების თანხმობით უნდა განხორციელდეს.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში (და ზოგიერთ განვითარებულშიც) მთავრობის დემოკრატიული სტრუქტურები სუსტია და მიწის მფლობელობაც კი შესაძლოა განხილვის თემა გახდეს. ადგილობრივ ხელისუფლებას შეიძლება აკლდეს გამოცდილება ან ფინანსები რეგიონის გარედან ბიზნესის ქმედებათა მოსათოკად,

ისეთების, როგორიცაა მულტინაციონალური კომპანიები, რომლებმაც შეიძლება ადგილზე უარყოფითი სოციალური და ეკოლოგიური გავლენა იქონიონ.

კურორტები და ტურისტული ცენტრები ადგილობრივ დონეზე ტურისტული რესურსების ათვისება განსხვავებულ კვალს ტოვებს ლანდშაფტზე. ეს ნათლად ჩანს განვითარებული ქვეყნების კურორტებზე, რომლებმაც ტურისტების მოთხოვნილებების საპასუხოდ განიცადეს ევოლუცია. ისინი დაგეგმარებით და საქალაქო ლანდშაფტით სხვა საქალაქო და სასოფლო დასახლებებისგან განსხვავდებიან. აშშ-ში, მაგალითად, ტერმინი კურორტი, ჩვეულებრივ, სასტუმროს ან დასასვენებელ კომპლექსს ნიშნავს. მხოლოდ დასავლეთ ევროპაში 400-ზე მეტი კურორტის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი: სპა, ზამთრის სპორტის კურორტებისა და კულტურული/ისტორიული ცენტრების ჩათვლით სხვადასხვა ზომის სანაპირო კურორტებთან ერთად, რომელთა კლიენტურის დიაპაზონი პოპულარულიდან ექსკლუზიურამდე იცვლება. ისტორიული ქალაქები, ჩვეულებრივ, მრავალფუნქციურია და ტურიზმი იქ დაგვიანებით განვითარდა. ასეთი ადგილები ტურისტულ ცენტრებს წარმოადგენენ. ნამდვილ კურორტებზე ტურიზმი არსებობის წყაროა, თუმცა მოგვიანებით, როდესაც კურორტი სიმწიფეს მიაღწევს, სხვა ფუნქციების დამატებაა შესაძლებელი. სპა ქალაქები და დასასვენებელი კურორტები, მუშათა დასახლებების საპირისპიროდ, ხშირად არქიტექტურის ეკლექტური სტილით ხასიათდებიან. ტურისტებზე ორიენტირებული მიწებისა და შენობების კონცენტრაცია ვიზიტორების მიზიდვის ძირითადი არეალის ახლოს ხდება.

ტურიზმთან დაკავშირებული ფუნქციების მქონე ასეთ რაიონებს რეკრეაციულ ბიზნეს-რაიონებს უწოდებენ (recreational business district – RBD), რომელიც განსხვავებულია ძირითადი ოფისების და შოფინგ რაიონებისაგან, რომლებსაც დიდ ქალაქებში ცენტრალურ ბიზნეს-რაიონს უწოდებენ (central business district – CBD). RBD ვითარდება ორი ფაქტორის გავლენით – კურორტზე ძირითადი მისასვლელი გზა და ძირითადი ტურისტული თავისებურება. მაგალითად, ზღვისპირა კურორტების RBD ხშირად სანაპიროს პარალელურად, პრომენადის გადაღმა ვითარდება და ძირითად სასტუმროებსა და მაღაზიებს მოიცავს. ამას გარდა, ტურისტული ფუნქციების ინტენსივობა და მიწის ფასი RBD-ის გარშემო ზონებში მცირდება.

ისტორიული ცენტრების შემთხვევაში RBD, ჩვეულებრივ, ქალაქის ძველ ცენტრს წარმოადგენს, რაც ევროპული მაგალითების უმეტესობაში ციხე-სიმაგრეს, უნივერსიტეტს ან ტაძარს ემთხვევა. სწორედ აქ არის კონცენტრირებული ბუნებისდამცველთა მცდელობები და ინტერპრეტაციის უნარი და იყენებენ რა

კოსტუმირებულ გიდებს ან ისტორიული მოვლენების დადგმას, ახდენენ ტურისტებისთვის „მემკვიდრეობის გამოცდილების“ გაზიარებას.

როგორც ეშვორტი და ტანბრიჯი (Ashworth, Tunbridge, 1990) აღნიშნავენ, “ატრაქცია შეიძლება საშუალო დონის იყოს, მაგრამ ცოტა ტურისტია მზად იმისათვის, რომ დაიძინოს, იკვებოს და იმოგზაუროს საშუალო პირობებში“. დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით დედაქალაქებში (მაგალითად, ლონდონში), ისტორიული/კულტურული რაიონი პოლიცენტრულია. ტურისტული საშუალებები უფრო ფართოდაა გაბნეული რამდენიმე რაიონს შორის, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ტურისტებს ემსახურებიან (მაგალითად, სოჰო, კოვენტ გარდენი) მაშინ, როდესაც საქმიან ადამიანს იზიდავს CBD თავისი ფინანსური და კომერციული მომსახურებების სიმრავლით (ამ შემთხვევაში – ლონდონის სითი).19 რესურსების ათვისება, დროთა განმავლობაში, ტურიზმით დაინტერესებული გეოგრაფებისთვის მნიშვნელოვანი განსჯის საგანია.

ბატლერმა (Butler, 1980) წამოაყენა ტურისტული რაიონის სასიცოცხლო ციკლის ცნება, სადაც კურორტები ევოლუციას განიცდიან აღმოჩენიდან განვითარების გავლით საბოლოო დაქვეითებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ სასიცოცხლო ციკლის ვერსიას უარყოფითი მხარეები აქვს (რთულია მისი ამოქმედება), ამ მიდგომის ძირითადი სარგებელი კურორტებზე ზრუნვის გზაა – მათი განვითარების განმარტებითი ჩარჩო და კურორტის ბაზრის ევოლუცია. ყოველივე ამის შემდეგ, ტურისტის ტიპი, ვინც ნახავს დანერგვას, სრულიად განსხვავებული იქნება იმ ვიზიტისგან, რომელიც განხორციელდება კონსოლიდაციის ან დაქვეითების სტადიაზე.

ტურისტული რაიონისსასიცოცხლო ციკლი ასე გამოიყურება: შესწავლა – სათავგადასავლო ტურისტების უმნიშვნელო რაოდენობა, ძირითადი ატრაქცია არის სუფთა გარემო ან კულტურული თავისებურებები; ჩართულობა – ადგილობრივი ინიციატივები უზრუნველყოფენ განთავსების საშუალებებს და გარკვეულ რეკლამას. ამას მოსდევს ვიზიტორების მეტი რაოდენობა, ტურისტული სეზონისა და სახელმწიფო სექტორის ჩართვა; განვითარება – ტურისტების დიდი რაოდენობა; კონტროლი ლოკალურიდან ეროვნულ ან სახელმწიფო კომპანიებისკენ გადადის. დესტინაცია გარეგნულად იცვლება. შესაძლოა დაიწყოს გადაჭარბებული გამოყენება; კონსოლიდაცია – ამ ეტაპზე დესტინაცია ტურისტული ინდუსტრიის სრულყოფილი ნაწილი ხდება.

ტურისტული რესურსების ათვისებას გარკვეული ფაქტორები უწყობენ ხელს და ეს ხსნის, თუ რატომ არიან ისინი არათანაბრად განაწილებული მსოფლიოში.

განვითარებული ტურიზმის რესურსები კულტურული ფასეულობებია, რომლებსაც

საზოგადოება ეკონომიკურ ღირებულებად თვლის. მათით, ჩვეულებრივ, სხვა მომხმარებლებიც სარგებლობენ და ამიტომ მყიფე და არამყარია. რადგან ტურიზმის ნეგატიური ზემოქმედება ცნობილია, ტურისტული რესურსების დაგეგმვა სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა. დაგეგმვის მიზანია ტურიზმის ფასის მინიმიზება და რესურსული ბაზის უვნებლობის შენარჩუნება. მსოფლიო მასშტაბით როგორც ფიზიკური, ისე კულტურული ელემენტები წარმოადგენენ ტურისტული განვითარების ხელშემწყობ საკვანძო ფაქტორებს. ტურისტული განვითარებისთვის მსოფლიო ფიზიკური ელემენტების სიმრავლიდან ყველაზე პოპულარული ლოკაციებია სანაპიროები, მთები და შიდა წყლები. ეროვნულ დონეზე სავალდებულოა ტურისტული ატრაქციების კლასიფიკაცია, რომელიც მთელ ტურისტულ რესურსულ ბაზას მოიცავს. ტურისტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რესურსული ბაზის პოტენციალის შეფასებები იძლევიან რეკრეაციისა და ტურიზმის ახალი რაიონების გამოვლენის საშუალებას. შემდგომ ეს შეფასებები შეიძლება გამოდგეს ადგილობრივ დონეზე, სადაც კურორტის განვითარებას განსხვავებული მორფოლოგია აქვს და მომსახურებათა ფუნქციების ნაზავს წარმოადგენს. ასევე შესაძლებელია კურორტის განვითარების ციკლის დადგენა.

თემა IV. ტურიზმის ისტორია

ტურიზმი, როგორც ფენომენი ცნობილი იყო უძველესი დროიდან. ისტორიული წყაროები ცხადჰყოფენ, რომ რომის იმპერიის აყვავების ხანაში, ზაფხულის თვეებში, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადიოდნენ დასვენების ადგილებზე, რომლებიც ძირიტადად ზღვის სანაპიროზე იყო განლაგებული. რომაელები რომლებიც მოგზაურობდნენ მონასტერებისა და ტაძრების მოსანახულებლად, მკურნალობდნენ თერმული წყლებით. გარდა ამისა, მოსახლეობა სხვადასხვა პროვინციებიდან იკრიბებოდნენ სპორტულ შეჯიბრებებზე.

რომის იმპერიის დაცემისა და ბარბაროსთა დაპყრობითი ომების შედეგად, მოგზაურობა დროებით შეწყდა და ის აღსდგა მხოლოდ შუა საუკუნეებში, ქრისტიანობის გავრცელების დროს. რაც შესაძლებელია განვიხილოთ რელიგიურ ტურიზმად: წმინდა ადგილების მონახულება.

გაჩნდა პირველი „გზათმკვლევი XIV საუკუნის მოგზაურისთვის“, რომელიც დეტალურ ინფორმაციას იძლეოდა იმ რაიონების შესახებ, რომლებიც დასვენების ადგილამდე უნდა გადაეკვეთა მოგზაურს.

ჯვაროსნულმა ომებმა ბიძგი მისცეს მოგზაურობის ახალ ტალღას, რამეთუ ის ასევე ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებასაც.

მოგზაურობამ როგორც სიამოვნების, ასევე განათლების მიღების მიზნით მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია აღორძინების ეპოქაში. დიდმა საზღვაო მოგზაურობამ XIV-XVსს., ახალი ჰორიზონტები მოხაზა - ამერიკის აღმოჩენა, აფრიკისა და აზიის მიწების ათვისება, ზრდიდა ახალი მიწებისა და ქვეყნების მიმართ ინტერესს.

ამ პერიოდში ჩნდება არაერთი მოგზაურის ჩანაწერი საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც ქრონოლოგიურად XVI-XVIIIსს. მოიცავს.

XVI-XIX სს. პერიოდში ფორმირებას იწყებს თანამედროვე ტურიზმის საფუძვლები. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება „დიდი ტურის“ ცნება („დიდი ტურნე’), რომელიც მოგვიანებით „ტურიზმად“ იწოდა. ამ ეპოქაშივე იწყება დასვენების ადგილების შექმნა, რომელთა ერთმა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია, სხვებმა კი დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა.

XVII ს. ვაჟები ცნობილი ინგლისური ოჯახებიდან, ცოდნის გაღრმავებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების მიზნით მიემგზავრებოდნენ კონტინენტზე. ასეთი მოგზაურობა მალე ნორმად იქცა და ის გრძელდებოდა ერთიდან სამ წლამდე, იმ

ეპოქის ტრანსპორტის სანდოობისა და გადაადგილების დროის გათვალისწინებით. ამან წარმოშვა „დიდი ტური“ ან მოგზაურობა ევროპაში (პარიზი, ფლორენცია, ვენეცია და ა.შ).

ამ მოგზაურობის შედეგად XVII-XVIII საუკუნეებში გაჩნდა მრავალი წიგნი, რომლებშიც მოცემული იყო რეკომენდაციები მოგზაურობის სესახებ, რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ ცალკეული ქვეყნების მონახულებით. ამ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული შესწავლა იძლევა რეკომენდაციებს ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია, გერმანია, აგრეთვე ინფორმაციას გადაადგილების, განთავსებისა და ა.შ. შესახებ.

XVI მიწურულს, გაჩნდა ინტერესი თერმული წყლების მიმართ, რომელთა სამკურნალო ეფექტი უძველესი დროიდან იყო ცნობილი. XIX იწყება მინერალური და თერმული წყლების კურორტების განვითარების ბუმი.

XVIII საუკუნიდან თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ: ზღვაზე ბანაობამ. საუკუნეში აქტიურ პროპაგანდას უწევენ ზღვაში ბანაობის სარგებლიანობას, რაც ააქტივიზირებდა მოგზაურობის ახალ ფორმას. ზღვაზე ბანაობის მოდა შენარჩუნდა დიდი ხნის მანძილზე. ის რაც დაიწყო თერმულ და მინერალურ წყლებზე, ზუსტად იგივე განმეორდა საზღვაო კურორტებზე. ავადმყოფებთან ერთად დასასვენებლად მიემგზავრებოდნენ ჯანმრთელი ადამიანებიც გართობისათვის.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა XIX საუკუნის პირველ ნახევრში ტურიზმის განვითარებაში ახალი სიახლეები შეინიშნება. დიდი სამრეწველო რევოლუციის სედეგად მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა, საზოგადოების საშუალო ფენის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. რომელიც ახალ ჩვევებითა და მოთხოვნებით იწყებდა ცხოვრებას. კერძოდ, დასვენების სფეროში. გარდა ამისა, ახალი ძრავის გამოგონების შედეგად შეიცვალა გადაადგილების საშუალებაც. გაჩნდა გემები და სარკინიგზო ტრანსპორტი. რამაც გაზარდა მოგზაურთა რიცხვი.

სარკინიგზო ხაზი მანამდე არსებულ ტრანსპორტთან შედარებით დიდ უპირატესობას იძლეოდა სიჩქარისა და კომფორტის თვალსაზრისით. ის კომპანიები რომლებიც რკინიგზებს აშენებდნენ ძირითადად კერძო საკუტრებებში იყო.

ტურიზმი იმთავითვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული რკინიგზასთან. პირველი მოგზაურობა რკინიგზით ორგანიზებული იყო ლონდონიდან თომას კუკის მიერ. რომელიც სამართლიანად ითვლება სამოგზაურო სააგენტოების შექმნის პიონერად.

მეორეს მხრივ, სარკინიგზო კომპანიები ხელს უწყობდნენ საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას სარკინიგზო სადგურების ირგვლივ. ორგანიზებას უწევდნენ სპეციალურ ხაზებს მშენებლობებს საკურორტო ზონებში.

გემთმშენებლობის განვითარების წყალობით, გაიზარდა მოძრაობა ევროპიდან ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთშიც კი. განვითარება ჰპოვეს ბრიტანულმა გემთმშენებელმა კომპანიებმა. რომლებიც რეგულარულ რეისებს ასრულებდნენ მსოფლიოს ძირითად ნავსადგურებში. 1869 წელს სუეცის არხის გახსნამ, მნიშვნელოვნად შეამცირა მანძილი შორეულ აღმოსავლეთამდე.

XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო დიდი ემიგრაცია ევროპიდან ამერიკაში, რომელიც პრიმიტიულ პირობებში ხორციელდებოდა. მას მალე დაუპირისპირდა დახვეწილი სამგზავრო მარშრუტები, რომელიც საზოგადოების მაღალი ფენებისთვის იყო განკუთვნილი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტურისტული ტენდენციები ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი უპირატესობას ანიჭებდა პლაჟებსა და ბალნეოლოგიურ კურორტებზე მუდმივ სტუმრობას, მეორე ნაწილი კი გართობასა და მოგზაურობას.

ტურისტთა მიერ უპირატესობათა მინიჭება და მოტივაცია ამ ეპოქაში შემდეგნაირი იყო:

1. პლაჟები როგორც ევროპის ცივ ჩრდილოეთში. ასევე მეტნაკლებად ცხელ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე.
2. ცენტრალურ-ევროპული ბალნეოლოგიური კურორტები (გერმანული, ფრანგული და ა.შ).
3. კაზინოები ევროპის სამხრეთში (სან-სებასტიანი, მონტე-კარლო და ა.შ).
4. კონტაქტი ბუნებასთან, სპორტის ზამთრის სახეობები. განსაკუთრებით შვეიცარიისა და იტალიის ალპური ზონები.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდი მიჩნეულია ტურისტული „ბუმის“ ხანად. ამ პერიოდში ტურისტულმა გადაადგილებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო. კერძო (ლოკალური) ფენომენისგან ტურიზმი მსოფლიო მნიშვნელობის ტერმინად იქცა. განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისთვის, როგორებიცაა ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იტალია რომლებმაც მნიშვნელოვანი მოგება მიიღეს ამ სფეროებიდან.

დასავლეთ ნახევარსფეროში ტურიზმის ევოლუციაში შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენები:

ა) ამერიკის შეერთებული შტატები. პირველი ეროვნული პარკების შექმნა (1872წ. იელოუსტონის პარკი). ტურისტული ცენტრები ატლანტიკის სანაპიროზე ფლორიდის ჩათვლით (1824წ. ატლანტიკ სითი).

ბ) არგენტინა, ჩილე, ურუგუაი. XIX საუკუნის შუა ხანებიდან საზღვაო კურორტების მშენებლობა.

ტურისტული „ბუმის“ ფენომენი XX საუკუნში იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. როდესაც ჩნდება ყველა პირობა მასობრივი ტურიზმის განვითარებისთვის. იმ დროს უპირატესობა ენიჭებოდა ელიტურ ტურიზმს, რომლებიც ძირითადად ევროპის ჩრდილოეთი სანაპიროების, ბალნეოლოგიური კურორტების მონახულებასა და საზღვაო კრუიზებს გულისხმობდა. შესაძლებელია ტურიზმის განვითარებაში შემდეგი პერიოდების გამოყოფა.

1. XX საუკუნის დასაწყისიდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე (1900-1918წწ.)

ა) ტრანსპორტის ევოლუცია.

ავტომობილისა და ავტობუსის როგორც კოლექტიური სატრანსპორტო საშუალების გამოგონება თარირდება 1914-1921წწ. როდესაც დაიწყო მისი სერიული გამოსვება.

ბ) ტურისტული ნაკადები.

ევროპაში ტურისტული „ბუმია“ სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩართული. ნაკადები მიმართული იყო ძირითადად შვეიცარიის, საფრანგეთის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის ცნობილ კურორტებზე.

2. ომებს შორის პერიოდი (1918-1939წწ)

ამ პერიოდში იწყება ძირითადი ცვლილებები ტურიზმის განვითარებაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების 1929 წ. ეკონომიკურ კრიზისსა და ევროპულ დეპრესიასთანაა დაკავშირებული. ეს კრიზისი განმეორდა 1938 წელს მეორე მსოფლიო ომის წინ.

ეს პერიოდი ხასითდება ტურიზმის განვითარების შენელებული ტემპებით. მიმდინარეობს ექსპერიმენტები ტრანსპორტის სფეროში. ძირითადად ავიაციაში. ინგლისელებმა დაიწყეს ექსკურსიების ცატარება ავტობუსებით, ომის რაიონებში. მოგვიანებით ესპანეთის ლაჟვარდოვან სანაპიროებზე. 1935 წელს ექსკურსიებმა მიაღწიეს ჩრდილოეთი აფრიკის მიწებამდეც.

მნიშვნელოვანი ამ პერიოდში გახდა სამოქალაქო ავიაციის გამოგონება.

ამ პერიოდში კვლავ უპირატესობას ინარჩუნებს ელიტური ტურიზმი, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ ევროპის ჩრდილოეთ და ზოგიერთ სამხრეთ სანაპიროებს. აქტუალური იყო სათხილამურო სპორტი ალპებში.

შვეიცარია ინარჩუნებდა ძირითადი ტურისტული ქვეყნის სტატუსს. მასთან ერთად საფრანგეთი, ბელგია და იტალიაც ღებულობდნენ ტურისტების მნიშვნელოვან ნაკადებს. ამ პერიოდში იტალიასა და გერმანიაში, ისე როგორც ავსტრიასა და საფრანგეთში განვითარებას იწყებს სოციალური ტურიზმი.

3. მეორე მსოფლიო ომი (1939-1945წწ).

ამ ექვსი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ეკონომიკური კრიზისი, რამაც ტურიზმის განვიტარება საბოლოოდ შეაჩერა. აღდგენითი პროცესები ომის შემდგომ მიმდინარეობდა 5 წლის მანძილზე და მხოლოდ 1950 წლიდან დაიწყო ტურიზმის ახალი აღმასვლა. რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაში „ოქროს ეპოქად“ ცაიწერა.

გაეროს მეშვეობით მშვიდობის დამყარებამ და ახალი საერთაშორისო წესრიგის შექმნამ ახალი შესაძლებლობები გაუჩინა ტურიზმის სფეროს. 1945 წლიდან მოყოლებული შეიქმნა არაერთი საერთაშორისო და კერძო ორგანიზაცია რომლებიც ტურიზმის განვითარებით იყვნენ დაკავებულნი.

4. ტურისტული ბუმის პერიოდი (1945-1973წწ)

აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელია ტურიზმის მეტნაკლები ექსპანსია. რომელიც რაღაც ეტაპზე შენელდა 1967-1968 წწ. არაბეთ-ისრაელის ომის გამო. ამ პერიოდში ტურიზმის მახასიათებელი ნიშნებია:

ა) მასობრივი ტურიზმის განვითარების ფაქტორებია:

- პოლიტიკური ფაქტორები. ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი, რეგიონალური ომების (კორეა, ვიეტნამი და ა.შ) გამოკლებით. რამაც ტურიზმის განვითარების საშუალება მისცა პოლიტიკურად სტაბილურ ზონებს - ხმელთაშუაზღვისპირეთს, ცენტრალურ ევროპას, აშშ და ა.შ.
- ეკონომიკური ფაქტორები. 50-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიული განვითარების წყალობით მაღლდება მასების მსიყდველობითი უნარი. იზრდება საშუალო კლასი.
- კულტურულ-საგანმანათლებლო ფაქტორები. განათლებისა და კულტურის გავრცელება ზრდის სხვა ხალხის ცივილიზაციის შენეცნების ინტერესს.
- სოციოლოგიური და შრომითი ფაქტორები. ქალაქისა და ინდუსტრიალური მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. დაძაბულ ცხოვრებასთან დაკავშირებული

პრობლემები. სტრესები, დაავადებები და ა.შ. გარემოს შეცვლის, დასვენების სურვილს აღძრავს. ანაზღაურებადი შვებულებები ყოველწლიური დასვენებების საშუალებას აჩენს.

- ტექნიკური ფაქტორები. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის სფეროში მიღწევები. საშუალებას იძლევა დედამიწის ნებისმიერ რეგიონში იმოგზაურო სწრაფად და კომფორტულად, ამასთან მისაღებ ფასებში.
- ფსიქოლოგიურ-კომერციული ფაქტორები. ინფორმაციის გაფართოვებამ და მარკეტინგის ტექნიკამ მოსახლეობას საშუალება მისცა გასცნობოდნენ ტურიზმის ყველა ასპექტს.

ბ) ტრანსპორტის სისტემის ევოლუცია.

ამ პერიოდში ფართოდ ვითარდება კომერციული ავიაცია. ის განიცდის ტექნიკურ პროგრესს. ჩნდება რეაქტიული სამოქალაქო თვითმფრინავები. გამოცდილია ღამის ფრენები. გაიზართა მგზავრების გადაყვანის რიცხვი.

გ) მსოფლიო ტურისტული ნაკადების ევოლუცია.

აღნიშნულ პერიოდში ტურისტული ნაკადები და შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდება.

დ) ტურიზმის აქტიური განვითარება.

ეს არის მასობრივი ტურიზმის განვითარების პერიოდი, რომელიც სააგენტოებისა და ტურისტული ბიუროების მიერ ორგანიზებული ეკონომიკური მოგზაურობის სრულ მომსახურებას ეფუძნება. ამასთან გამოიყენებოდა სატრანსპორტო-ჩარტერული რეისების, ავტობუსებისა და კრუიზების სხვადასხვა სახეები.

ტურისტების გამგზავრებელ ძირითად ქვეყნებად მიჩნეულია გფრ, ბენილუქსის ქვეყნები, აშშ და სკანდინავიის ქვეყნები. ტურისტების მიმღებ ქვეყნებად კი აღიარებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები. კერძოდ, ესპანეთი და იტალია.

ე) ასოციაციების განათლება და განათლება ტურიზმის სფეროში.

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ტურისტული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო. როგორც საზოგადო ისე კერძო. რომელთა მიზანს წარმოადგენდა განვითარება და კოოპერირება ტურიზმის სფეროში. სადაც შეიძლება გამოიყოს:

- ეკონომიკური: ევროპის საერთო ბაზარი (1958). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს აერთიანებდა.

- სატრანსპორტო: სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ასოციაცია (1944). საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (1945). საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაცია (1959).
- ტურისტული სააგენტოები: ტურისტული სააგენტოების მსოფლიო ფედერაცია (1966). სასტუმროების საერთაშორისო ასოციაცია (1946).
- ტურისტული ექსპერტები: ტურიზმის სფეროში სამეცნიერო ექსპერტების ასოციაცია.

5. მსოფლიო ტურიზმის თანამედროვე პერიოდი (1973 წლიდან)

ინფლაციურმა ტენდენციებმა 70-იანი წწ, რომელიც განპირობებული იყო არაბეთ-ისრაელის ომით, აგრეთვე OPEC წევრი ქვეყნების მიერ ფასების მატებით ნავთობზე, გამოიწვია ფასების ზრდა ტურისტულ მომსახურებაზე და, ძირითადად ტრანსპორტზე. ამის კვალდაკვალ შეინიშნებოდა ტურიზმის შესუსტება მსოფლიო დონეზე, რომელიც 1978 წლამდე გაგრძელდა. ბოლო პერიოდში მომხდარი არაერთი პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრები ასევე დიდ გავლენას ახდენენ ამ სფეროს განვითარებაზე.

უკანასკნელ პერიოდში ტურიზმის მახასიათებელი ფაქტორებია:

ა) ტრანსპორტის ევოლუცია.

ამ პერიოდში კომერციული ავიაცია ასრულებს როგორც რეგულარულ, ასევე ჩარტერულ რეისებს. შეიქმნა თანამედროვე თვითმფრინავების უახლესი სახეები. ევროპაში მიმდინარეობს საავიაციო ტრანსპორტის ლიბერალიზაციის პროცესი. ისევე როგორც აშშ-ში გაჩნდა კერძო კომპანიები, რომლებიც კონკურენციას უწევენ სახელმწიფო კომპანიებს, ახალი მისაღები ტარიფების შემუშავებით.

ბ) ტურიზმის ინდუსტრიაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

ინფორმაციების გავრცელება-განვითარებამ უკანასკნელ პერიოდში შესაძლებელი გახადა ტურისტულ საწარმოებში სასტუმროების, ტრანსპორტისა და რესტორნების მობილური ჩართვა.

გ) საერთაშორისო კოოპერირების პოლიტიკა: მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შექმნა.

საერთაშორისო ტურისტული კოოპერაცია აღნიშნულ პერიოდში ეფუძნება არამხოლოდ ორმხრივ, არამედ სახელმწიფოთშორის შეთანხმებებს. 1974 წელს შეიქმნა საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია.

დ) ბაზარზე გამმგზავრებელი და მიმღები ქვეყნყნების ტენდენციები.

თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება საზაფხულო დასვენების ტენდენციები, როგორც მშრომელებში ისე მოსწავლეებში. ამასთან იზრდება ახალ წელზე, შობასა და კვირის ბოლოს დასვენების მსურველთა რიცხვი.

ხმელთაშუაზღვისპირეთი ინარჩუნებს პირველ ადგილს ტურისტულ სამყაროში, ქმნიან რა კონკურენციას ამ ზონის ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, არაბული და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები ევროპულ ქვეყნებთან. ყალიბდება და ვითარდება ახალი ტურისტული ზონები. ისეთები როგორიცაა კარიბის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის კუნძულები. ბოლო პერიოდში კი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონი.

ე) მართვის კონცენტრაცია.

ამ პერიოდში იქმნება მულტიეროვნული საწარმოები ტურიზმის სექტორში. განსაკუთრებით სასტუმროს მეურნეობაში. იზრდება ტურისტული სააგენტოების რიცხვი. აგრეთვე საერთაშორისო საბანკო ორგანიზაციების მიერ იზრდება ტურიზმის ფინანსირების პროცესი.

თემა V. ტურიზმის სახეების კლასიფიკაცია

ტურიზმი - მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებული სპეციალიზირებულად ორგანიზებული მარშრუტები, რომელიც საკუთარი ხარჯებით ხორციელდება (ან გამამგზავრებელი ორგანიზაციის მიერ), რა თქმა უნდა ის არ გულისხმობს პროფესიული ან სხვა ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ გადაადგილებას.

ტურისტი - ტურის, ტურისტული პროდუქტის ან ტურისტული მომსახურების მომხმარებელი - მხარის, დასახლებული პუნქტის ან ქვეყნის დროებითი სტუმარი, მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, ენისა და რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, რომელიც დანიშნულების ადგილზე ჩერდება არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს 6 თვისა. მოგზაური სხვადასხვა მიზნებით.

ექსკურსანტი - მხარის, დასახლებული პუნქტის ან ქვეყნის დროებითი (ერთდღიანი) სტუმარი, მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, ენისა და რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, რომელიც დანიშნულების ადგილზე ჩერდება არაუმერეს 24 საათისა.

კლასიფიკაცია ტურიზმში აღნიშნავს ცალკეულ ფორმათა თუ სახეთა გამოვლინებას თავის ძირითად მახასიათებელთან - კრიტერიუმთან დამოკიდებულებით.

ისევე როგორც სხვა ნებისმიერი, ტურიზმის სახეების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს დეტალურად შევისწავლოთ ტურიზმის განვითარება, მისი სახეცვლილებები და ძირითადი ტენდენციები.

ტურიზმი - რთული და მრავალმხრივი ცნებაა. ძალიან რთულია წმინდად გამოვყოთ მისი ფორმები და სახეები, ამიტომ არ არსებობს მსოფლიოში ერთიანი კლასიფიკაცია. ხოლო მათში რომელიც არსებობს ხშირია აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა საერთო საკითხებში ისინი თანხმდებიან.

ტურიზმის კლასიფიკაცია შესაძლებებლია სხვადასხვა კრიტერიუმებით:

- გამგზავრების მიზნების მიხედვით

ამ კრიტერიუმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ სწორედ გამგზავრების მიზანი ახდენს გავლენას ტურის ფორმირებასა და ტურისტულ მომსახურებაზე. მოგზაურობისას ტურისტს შეუძლია მიზნად დაისახოს რამოდენიმე მიზანი, მაგრამ მხოლოდ ერთი იქნება მათში დომინირებული.

მიზნების მიხედვით გამოჰყოფენ ტურიზმის შემდეგ სახეებს:

შემეცნებითი და კულტურულ-გასართობი.

გულისხმობს ადამიანთა გამგზავრებას ბუნების, ისტორიულ-კულტურული ღირშესანიშნაობების, მუზეუმების, თეატრების, საზოგადოებრივი წყობის, ტრადიციების გაცნობას. შემეცნებითი მიზნები შესაძლებელია ემთხვეოდეს დასვენების მიზნებს;

გასართობი ტურები.

ეს ტურები საკმაოდ პოპულარული და მრავალფეროვანია. მათი ხანგრძლივობა არც ისე დიდია (2-4 დღე). ევროპაში საკმაოდ გავრცელებულია საშობაო ტურები. ასეთი ტურების პროგრამები ძირითადად გულისხმობს გართობებს (სადღესასწაულო ღონისძიებებზე დასწრება, რესტორნები, კონცერტები და ა.შ).

საქმიანი

ტურისზმის ამ სახეობის საფუძველს სამსახურეობრივი ან პროფესიული ამოცანების შესრულება წარმოადგენს. საქმიანი გამგზავრება ტურისტული გაცვლის მნიშვნელოვან შემადგენელად განიხილება. საქმიანი ვიზიტები, მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რადგან ის არ არის დაკავშირებული სეზონურ ფაქტორებთან. პირიქით, მხურვალე ტურისტულ სეზონებში მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. საქმიან ტურიზმს განეკუთვნება დელეგაციებისა და ცალკეული პირების გამგზავრება მოლაპარაკებებზე, თათბირებზე, დღესასწაულებზე და ა.შ. ტურისტების რიცხვს არ განეკუთვნებიან საელჩოებისა და საკონსულოების, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ.

საქმიანი ტურიზმის სახეებია საქმიანი გამგზავრებები საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. თავისი შინაარსით ისინი შემეცნებით ტურიზმს განეკუთვნებიან.

ეთნიკური

აღნიშნული ტურიზმის მიზანია - ნათესავების, დაბადების ადგილის ან მშობლების სახლის მონახულება. ტურიზმის ეს სახე მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის რომელთა მოსახლეობის ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ - პოლონეთი, უნგრეთი, იუგოსლავია.

სპეციალისტების ბოლო პერიოდში, აქტიურად საუბრობენ მთელი რიგი ცვლილებების შესახებ ტურიზმის ამ სფეროში. რამდენიმე წლის წინ გამგზავრების ძირიტადი მიზანი იყო ნათესავების ან დაბადების ადგილის მონახულება. წლებთან ერთად პირდაპირ ნათესავებს ცვლიან შთამომავლობები, ამიტომ ნათესაური კავშირებიც წყდება. ამიტომ გამგზავრების მიზანს, უკვე, წინაპართა სახლის მონახულება წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება ცვლის ამ ტურისტების მოთხოვნის ხასიათს.

კერძოდ, იზრდება მოთხოვნა სასტუმროებზე. იცვლება ჩასვლის პროგრამის მოთხოვნებიც.

რელიგიური

დღეისთვის რელიგიური ტურიზმი საკმაო პოპულარობით სარგებლობს. ის ტურიზმის ერთ-ერთ ძველ სახეობას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ადამიანთა გადაადგილებას ძირითადად წმინდა ადგილებში ეკლესია მონასტრების მოსანახულებლად ან ცოდვების გამოსასყიდად. მომლოცველობა, როგორც ტურიზმი არსებობს შიდა (კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში) და საერთაშორისო. რელიგიური ტურიზმის გავლენა მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონსა და რაიონზე საკმაოდ მაღალია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მომლოცველები ადგილზე ტოვებენ გზისთვის აღებული ფინანსების ძირითად ნაწილს. გარდა ამისა მომლოცველობა დამატებით შემოსავალს უცენს მკვიდრ მოსახლეობასაც. რელიგიური ტურიზმის ცენტრებია: მექა, მედინა, იერუსალიმი, ვატიკანი და ა.შ.

სპორტული

სპორტული ტურიზმი იყოფა ორ სახეობად: აქტიური - ადგილზე გამგზავრება უშუალოდ სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით და პასიური - როდესაც გამგზავრება გულისხმობს სპორტულ ღონისძიებებზე მხოლოდ მაყურებლის სახით დასწრებას.

რეკრეაციული

რეკრეაციული ტურიზმი, ან საშვებულებო - გულისხმობს ადამიანტა გადაადგილებას დასვენების მიზნით. ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენისთვის. ზოგიერთი ქვეყნებისთვის ტურიზმის ეს სახეობა წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ და მასიურ სახეობას. უცხოელი ტურისტების გამგზავრება ესპანეთში, თურქეთში, იტალიაში, საფრანგეთში სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

საექსკურსიო ტურიზმი

ტურიზმის ეს სახეობა გულისხმობს მოგზაურობას კულტურულ-შემეცნებითი დატვირთვით. მას ადამიანის ინტელექტისა და მსოფლმხედველობის გაფართოვება უდევს საფუძვლად. საექსკურსიო, ისევე როგორც რეკრეაციული ტურიზმისათვის დამახასიათებელია გამგზავრების როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური ფორმა.

სასწავლო

სასწავლო ტურიზმი გულისხმობს გამგზავრებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცოდნის სეძენის ან მისი გარრმავების მიზნით.

ეგზოტიკური

ეგზოტიკური ტურიზმი დაკავშირებულია ადამიანის სურვილტან ნახოს, სეიმეცნოს და იგრძნოს რაღაც არაჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებისათვის არადამახასიათებელი. ეს სეიძლება იყოს კლიმატური პირობები, ფლორა და ფაუნა, სხვადასხვა ხალხის სამზარეულო, არქიტექტურა, ეროვნული ადატები და ა.შ.

სატავგადასავლო ტურიზმი

დასვენების თავისებური ფორმაა და უზრუნველყოფს ტურისტის არა მარტო ჩაყვანას მათთვის საინტერესო მხარეში, არამედ მათ ჩართვას საქმიანობის უჩვეულო სახეობებში (დათვებზე ნადირობა ☺ „მეკობრეთა განძის პოვნაში მონაწილეობა კარიბის ზღვაზე“ ☺)

სათავგადასავლო ტურიზმი იყოფა რამდენიმე სახეობად:

1) ლშქრობითი ექსპედიციები;
2) საფარი-ტურები (ნადირობა, თევზაობა, პეპლების დაჭერა და ა.შ ☺)
3) საზღვაო მოგზაურობები (იახტინგი)

ტურიზმის აღნიშნული სახეობები საკმაოდ ძვირადღირებულია, ამიტომ შესაძლებელია ისინი ელიტარული დასვენების თანრიგს განვაკუთვნოთ.

შოპ-ტური

გამგზავრება საზღვარგარეთ საქონლის სეძენის მიზნით.

- გადაადგილების საშუალების მიხედვით

ეს შესაძლებელია იყოს ფეხითმოსიარულეთა ტურიზმი, ველოტურიზმი, ცხენით მოგზაურობა, ალპინიზმი, მოტოტურიზმი.

- სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება

ტურიზმი გულისხმობს ადამიანტა გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. მოგზაურობა ტრანსპორტის სტანდარტული სახეებით: საჰაერო ტრანსპორტი - საავიაციო ტურიზმი - გაცილებით პერსპექტიულია, რადგან უზრუნველყოფს დროის ეკონომიას. წყლის ტრანსპორტი (სამგზავრო ხაზები და პარომები, კრუიზები). სახმელეთო ტრანსპორტი.

- გამგზავრების დროის მიხედვით
- სეზონურობის მიხედვით

გულისხმობს აქტიურ ტურისტულ სეზონს, სეზონებს შორის პერიოდს, და არასეზონს.

დარაიონების თავისებურებები და პრინციპები საერთაშორისო ტურიზმში

ტერიტორიის ტურისტული დარაიონება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ყველა ქვეყნისთვის, რამეთუ ის შესაძლებელს ხდის ბუნებაზე მინიმალური ზემოქმედებით, აგრეთვე განსაზღვრული ტერიტორიების გამოყენებით ადამიანთა კომფორტულ დასვენებას. ტურისტული დარაიონების მეცნიერული პრინციპების შემუშავება და მათი შემდგომი განვითარება ახალი რეკრეაციული რესურსების გამოვლინების საშუალებას იძლევა.

ტურისტული დარაიონება - რთული ამოცანაა. სადაც შესაძლებელია ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გამოყოფა:

1. განიხილება მსოფლიოს ტერიტორიები, ანუ არსებიტად სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული მხარეები.
2. დარაიონებამ უნდა მოიცვას ისეთი ადგილები, სადაც ტურიზმი საერთოდ არ არსებობს ან საკმაოდ სუსტადაა განვიტარებული. თუმცა არსებობს გარკვეული წინაპირობები.

საერთაშორისო ტურიზმში რაიონწარმომქმნელ ფაქტორთა რიცხვს განეკუთვნება:

1) ტურიზმის თვალსაზრისით გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ძირითადი თავისებურებანი (მიმღებ რეგიონებში ტურისტულ ბაზრებთან დამოკიდებულება, დამოკიდებულება პოლიტიკურად არასტაბილური რაიონების „სამყაროს ცხელი წერტილების“ მიმართ. ურთიერთობები განსაზღვრულ ქვეყნებთან, აგრეთვე იმ ქვეყნებთან სადაც ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კომუნიკაციები გადის);
2) ბუნება. კლიმატური პირობების კომფორტულობის ხარისხი, რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება და სიმდიდრე, მათი გამოყენების შესაძლებლობები მოხერხებულობა;
3) ტერიტორიებზე ჭარბი ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობების არსებობა, მათი ტურიზმის ძირითად ზონებსა და ცენტრებთან მჭიდრო დამოკიდებულება;
4) ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობების მიმზიდველობის ხარისხი, უპირატესად ტურისტებისა და პერსპექტიული კლიენტურისთვის;
5) არსებული კომუნიკაციების პოზიციიდან რაიონის ხელმისაწვდომობის ხარისხი;
6) აღნიშნულ ტერიტორიაზე გაჩერებისა და უკან დაბრუნებისთვის აუცილებელი დანახარჯების ხარისხი;
7) ტურისტების მიერ მოგზაურობისთვის ფინანსური სახსრების ხარჯვის ხარისხი;

8) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი (ტერიტორიაზე განთავსების ობიექტების არსებობა, ტრანსპორტი, კავშირგამბულობა, კვების ობიექტები და ა.შ);
9) ტურისტების მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია და სერვისის ხარისხი;
10) ტერიტორიის მოცულობა ტურისტის მისღებად;
11) სტაბილური შიდაპოლიტიკური სიტუაცია;
12) კრიმინოგენური თვალსაზრისით უსაფრთხოების ხარისხი;
13) ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხოების ხარისხი;
14) საერთოეკონომიკური განვითარების ხარისხი. შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა;
15) ტერიტორია, მისი ადგილი ტურისტულ ბაზარზე; ტურისტული ნაკადების მოცულობა;
16) რეგიონში შემსვლელი საზღვარგარეთული ტურისტული კლიენტურის სტრუქტურა;
17) მოცემულ რეგიონში ტურიზმის ძირითადი თავისებურებანი (სეზონურობის რიტმები, ხანგრძლივობა, ტურიზმის უპირატესი სახეობები);
18) ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივ ტურისტულ ორგანოებთან;
19) ტურიზმის ეკონომიკური როლი მოცემული რეგიონისთვის (ბიუჯეტის შევსება ტურიზმის სფეროდან, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯი, ტურიზმის ადგილი ეკონომიკის სხვა და სხვა დარგებს შორის, ტურიზმის საერთო ეკონომიკური ეფექტი);
20) რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

ყველა ამ ფაქტორთა მნიშვნელობა ტურისტული რეგიონების ფორმირებაში ბუებრივია, რომ სხვადასხვაგვარია. მათი ზემოქმედება ვლინდება სხვადასხვა კომბინაციებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ტურისტული დარეგიონება ეფუძნება სისტემურ-სტრუქტურულ მიდგომას - ყველაზე დიდ ტერიტორიულ ერთეულად მიჩნეულია რეგიონი. ანუ განვითარების შემდეგი გეოგრაფიული ზონები: დასავლეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა, ლათინური ამერიკა, სამხრეთ-დასავლეთი აზია (მახლობელი აღმოსავლეთი), სამხრეთი აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი. ტურისტული დარეგიონების შემდეგი ერთეულია ქვეყანა. ყველა ქვეყნის განხილვა ცალკე აუცილებელია, რამეთუ ის გულისხმობს საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელოვან პრინციპებს. გარდა ამისა, სრული სტატისტიკური გაანგარიშება საერთაშორისო ტურიზმში ქვეყნების მიხედვით ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე ასევე ქვეყნების მიხედვით განიხილება. ასეთ პირობებში ქვეყანა

საერთაშორისო ტურიზმის დარეგიონებაში ითვლება მნიშვნელოვან ტაქსონომეტრულ ერთეულად.

ძალიან ხშირად ტურისტული თვალსაზრისით განვითარებულ და რეკრეაციული რესურსებით მდიდარ ქვეყნებში გამოჰყოფენ ტურისტულ ზონებს. აღნიშნული ტერმინი გამოიყენაბა იმ რეგიონებისთვის, სადაც კარგად არის განვიტარებული ტურიზმი, ანუ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტების ყურადღების ქვეშ ექცევა.

ფართოდ გავრცელებული ტერმინი „ტურისტული ცენტრი“ დღეს გულისხმობს განსაზღვრულ გეოგრაფიულ პუნქტებს (ქალაქები, კურორტები), რომლებიც უბრალოდ პოპულარულია ტურისტებს შორის, არამედ მაღალგანვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურაც გააჩნიათ.

ნაწილი II - რაიონები

თემა VI. ტურიზმი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

ტურისტული ინდუსტრიის განვიტარებით აღმოსავლეთ ევროპა, აქ არსებული რეკრეაციული და შემეცნებითი რესურსების მიუხედავად, ჩამორჩება დასავლეთევროპულ რეგიონს. რაც რიგი ფაქტორებით აიხსნება:

1) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ტურისტული ინდუსტრიის ორიენტაციის ცვლის პროცესი, გეგმიური მეურნეობიდან საბაზროზე ნელი ტემპებით ხორციელდება;

2) ტურისტული ინფრასტრუქტურა, აგრეთვე სერვისის ხარისხი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა მაჩვენებლებით ძირითადად არ შეესაბამება თანამედროვე საერთასორისო მოთხოვნებსა სტანდარტებს;

3) დასავლეთ ევროპის ბაზარზე ტურისტული პროდუქტის სუსტად რეკლამირება (ან თითქმის არარსებობა);

4) მოსახლეობის ძირითად მასებში შედარებით დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა, რაც ამცირებს ამ ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების შემოსვლას;

5) აღმოსავლეთ ევროპიდან ტურისტული ნაკადების მიღებაზე ერთმანეთში კონკურენციას ეწევიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საბერძნეთი, თურქეთი, კიპრი, მალტა, ეგვიპტე, ესპანეთი და ა.შ.;

6) აღმოსავლეთ ევროპის ნეგატიური იმიჯი იუგოსლავიის ქვეყნებში კონფლიტის გამო.

ბულგარეთი

ბულგარეთის ბუნება საკმაოდ მრავალფეროვანია, ის ცნობილია: უსაზღვრო პლაჟებით შავი ზღვის სანაპიროებზე, მწვანე მთებით, ნაყოფიერი მიწებით, ძველი ქალაქებითა და მონასტრებით, სამკურნალო მინერალური წყაროებით. ქვეყანაში მრავლადაა ხეხილის ბაღები, ვენახები, ღრმა ყურეები და მთიანი ხეობები, ტყიანი ქედები. კლიმატი აქ არც ისე მშრალია, როგორც საბერძნეთსა და თურქეთში. ტურისტებს ამ ქვეყანაში იზიდავს მრავალი სიძველეები, სხვადასხვა ფესტივალები, აგრეთვე ცნობილი კურორტები შავი ზღვის სანაპიროზე.

გეოგრაფია, ქვეყნის ტერიტორია და ლანდშაფტი

ბულგარეთი განლაგებულია ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის ტერიტორია შეადგენს 110,9 ათას

კვ/კმ. ესაზღვრება რუმინეთი, იუგოსლავია, მაკედონია, საბერძნეთი და თურქეთი. აღმოსავლეთის 384კმ-ზე. მას ეკვრის შავი ზღვა. ბულგარეთის რელიეფი საკმაოდ მრავალფეროვანია. მთიანი რაიონების პარალელურად, რომელიც ქვეყნის საერთო ტერიტორიის 26,2% შეადგენს, არსებობს ვაკე-დაბლობებიც, რომელიც ქვეყნის მესმედს მოიცავს.

სტარო-პლანინას (ბალკანეთის) მთებს საკმაოდ ფართო დატვირთვა გააჩნიათ, ისინი ჩრდილოეთ ბულგარეთს ცენტრისაგან გამოჰყოფენ. მთებისგან ჩრდილოეთით განლაგებულია დუნაის მთიანი ზოლი.

ქვეყნის უკიდურესი სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი დაფარულია რილა-პოდობსკის მთიანი მასივით. მუსალას პიკი (2925მ) რილას მთებში - ყველაზე მაღალი მთაა ალპებსა და კავკასიის ქედებს შორის, ხოლო ბულგარეთის სამხრეთით (პირინის მთებში) განლაგებულია ვიხრენის მაღლობები (2915 მ). რილას მთები დაფარულია ყინულით ქვიანი მაღლობებით, ტყის საფარით და ყინულოვანი ტბებით, რომლებიც მრავალი ტურისტისთვის ერთ-ერთ მიმზიდველ წერტილს წარმოადგენს. რილა-როდოპსკისა და სტაროპლანინას მასივებს შორის განლაგებულია ბულგარეთის შუამთიანეთი, აგრეთვე ზედა ფრაკიის დაბლობი (მდ. მარიცას აუზში), რომელიც შავი ზღვისგან თუნჯინის დაბალმთიანი მასივებითაა გამოყოფილია.

კლიმატი

ბულგარეთია ამინდი ზომიერად კონტინენტალურია. დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან (ფინეთის გამოკლებით) ბულგარეთში ტემპერატურის საშუალო წლიური ამპლიტუდა ყველაზე მაღალია.

შავი ზღვის გავლენით შემოდგომა და ზამთარი სანაპიროზე გაცილებით თბილია, ვიდრე ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე, გაზაფხული და ზაფხულის პირველი ნახევარი შედარებით ცივია. ბულგარეთში საშუალო ტემპერატურა ყველაზე ცივით თვიდან (იანვარი) მოყოლებული - 1, +1C, ხოლო ყველაზე თბილი (ივლისი) +23, +25C. გაზაფხული ხანგრძლივი და ცხელია. არაყინვიანი პერიოდი გრძელდება საშუალოდ 7 თვეს: აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. ზამტარი ზომიერად ცივია.

ბულგარეთში საშუალოდ მოდის 670 მმ ნალექი. გაზაფხულზე ნალექი წვიმის სახით ხშირად სეტყვით, ხოლო ზამთრის ნალექი თოვლის სახით მოდის. თოვლიანი დღეების რიცხვი საშუალოდ 25-30 დღეს შეადგენს.

ტბები და მდინარეები

ბულგარეთის მდინარეები შავი და ეგეოსის ზღვის აუზს მიეკუთვნება. შავი ზღვის აუზის წყლებში შედის მოსაზღვრე მდინარე დუნაი - ბულგარეთის ერთადერთი გემთმავალი მდინარე. მდინარეთა დიდი ნაწილისგან რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან, მნიშვნელოვანია მდ. გოლიამა-კამჩია (244კმ). დუნაის შემდეგ ყველაზე უხვწყლიანი მდინარე არის მარიცა.

ტბები ბულგარეთში ცოტაა და მოცულობით ისინი მცირე ზომისანი არიან. ყინულოვანი წარმოშობის ტბები ძირითადად მიმოფანტულნი არიან რილა-პლანინაში. ხოლო დიდი ტბები დუნაისა და შავი ზღვის სანაპიროებთან. ზოგიერთი მათგანი დაბალოტებულია.

მინერალური წყაროები ბულგარეთში მრავლადაა, განსაკუთრებით ბალკანეთის დაბლობებში, როდოპასა და შუა-მთაში. მათ ირგვლივ გაჩნდა კურორტები.

მოსახლეობა, დემოგრაფია, დედაქალაქი და მსხვილი ქალაქები

ბულგარეთის მოსახლეობა 8.77 მლნ. ადამიანია. აბსოლიტურ უმრავლესობას ბულგარელები შეადგენენ, აქ ცხოვრობენ თურქები, ციგნები, სომხები, რუსები, ბერძნები.

ბულგარეთის დედაქალაქია სოფია. მოსახლეობა 1.1 მლნ. ადამიანს შეადგენს. სხვა დიდი ქალაქებია პლოვდივი, ვარნა, ბურგასი, რუსო, სტარო-ზაროდა, პლევენი.

პოლიტიკური წყობა

ქვეყნის 1991წ. კონსტიტუციის მიხედვით ბულგარეთი - საპარლამენტო რესპუბლიკაა. ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი სახალხო კრება. აღმასრულებელ ხელისუფლებას კი მინისტრთა საბჭო წარმოადგენს.

ბულგარეთში მოქმედებს დაახლოებით 80 პოლიტიკური პარტია და მოძრაობა.

ქვეყნის ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია თემი. რომლებიც თავის მხრივ გაერთიანებულნი არიან 8 ოლქში.

რელიგია

მოსახლეობის 85% მართლმადიდებელია, 13% - მუსლიმი, ძირითადად სუნიტური არსის.

ენა

ოფიციალური ენა - ბულგარული. ტურიზმის აუცილებლობისთვის ძირიტადი წარწერები დასახლებულ პუნქტებში, კურორტებში, ავტოსადგურებსა და აეროპორტებში

მოცემულია ლათინური შრიფტით. ქვეყანაში გამოიყენება რუსული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები.

ტრანსპორტი

ტრანსპორტის ძირითადი სახეობაა საავტომობილო და სარკინოგზო რომელთა გადაზიდვებზე შესაბამისად მოდის 70 და 17%. ფაქტობრივად ყველა დასახლებულ პუნქტებს გააჩნიათ საავტობუსო კავშირები. ბულგარეთს გააჩნია განვითარებული ფლოტი. შავი ზღვის სანაპიროზე მნიშვნელოვანი ნავსადგურებია ვარნა და ბურგასი. აგრეთვე ნავსადგურები დუნაიზე და რუსეზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჰაერო ტრანსპორტი. ქვეყანაში არის 81 საერთაშორისო და 8 შიდა ავიახაზი.

ვალუტა

ბულგარეთის ფულის ერთეულია - ლევი. 1აშშ $ =234 ლევს. 1 ლევი კი 100 სტოტინკს. ბულგარული ლევი იცვლება ყველა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე. მომსახურება ბულგარეთში (სასტუმროები, რესტორნები და ა.ს) შესაძლებელია გადახდილ იქნას საკრედიტო ბარათებითაც.

ტურისტული ფორმალობები და საბაჟო შეზღუდვები

ქვეყნის საბაჟო რეჟიმი საკმაოდ ლიბერალურია. იქ ყოფნისთვის ყველა აუცილებელი შეიტანება და გაიტანება ქვეყნიდან უფასოდ. დეკლარირდება მხოლო ძვირფასეულობები. იკრძალება ნარკოტიკების, იარაღის და ა.შ შეტანა.

ყველა შემსვლელს გადაეცემა სტატისტიკური ბარათი. რომელიც ტურისტს პასპორტთან ერთად უნდა ჰქონდეს, ხოლო სასტუმროს, საერთო საცხოვრებლის, კემპინგის თუ ტურისტული სააგენტოს თანამშრომელი აღნიშნავს მასზე რამდენი დღე გაჩერდა ის მათთან. ქვეყნის დატოვების შემდეგ ხელისუფლება ამოწმებს სტატისტიკურ ბარათს. ბარათის დაკარგვისთვის გადაიხდება ჯარიმა 20$ ოდენობით.

ტურიზმი

1989 წლამდე ბულგარეთის ეკონომიკა საერთასორისო ტურიზმის არც ისე დიდ, მაგრამ მნიშვნელოვან სექტორს ფლობდა. დასავლეთის ქვეყნებიდან მიღებული სტუმრების რიცხვი 9-12% შეადგენდა. რაც უცხოური ვალუტის სემოდინებას უწყობდა ხელს. ძირითადად ბულგარეთის ტურიზმის ინდუსტრია ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე (პოლონეთი, რუმინეთი, დსთ ქვეყნები). 1992 წელს ეს ბაზარი მნიშვნელოვნად შევიწროვდა, რაც პირველყოვლისა ეკონომიკური არასტაბილურობით და ტურიზმის სფეროში სუბსიდიების შემცირებით იყო გამოწვეული. თანამედროვე ეტაპზე სიტუაცია ნაწილობრივ ნორმალიზებულია.

ბულგარეთი არც ისე დიდი ქვეყანაა, მაგრამ საკმაოდ მდიდარი ბუნებით. თბილი, სუფთა და მშვიდი ზღვა, მთები, მინერალური და სამკურნალო წყლები, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლები, კოლორიტული ფოლკლორი - იზიდავს უამრავ ტურისტს ამ ქვეყანაში. ხოლო სასტუმროები, რესტორნები და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა სრულყოფილი დასვენების საშუალებას იძლევა.

სოფია - დედაქალაქის ადგილმდებარეობამ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრში ის მნისვნელოვან სატრანსპორტო კვანძად აქცია.

სოფია - ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ცხოვრების ცენტრია. გარდა ამისა, ქალაქი აქტიური კულტურული ცხოვრებითაც ცხოვრობს: აქ არის საკმაოდ დიდი რაოდენობით ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურის სხვა ღირშესანიშნაობები, ათობით თეატრი, მუზეუმები, გალერეა. სოფია ერთ-ერთი ყველაზე მწვანე ქალაქია ევროპაში. ის მშვენიერია არა მხოლოდ პარკებითა და სკვერებით, ტურისტებს აქ ხიბლავს მწვანე ფონი - ვიტოშას მთა (სიმაღლე ზღვის დონიდან 2290მ), რომლის ძირშიც გაფენილია სოფიის ულამაზესი კვარტალები. ქალაქის ღირშესანიშნაობებიდან შესაძლებელია გამოვყოთ:

- ბოიანის ეკლესია
- უცხოური ხელოვნების გალერეა ევროპული ფერწერის კოლექციებით, აგრეთვე აფრიკული, იაპონური და ინდური ხელოვნების ნიმუშებით;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ბულგარეთის ფლორისა და ფაუნის ყველა შესაძლო ნიმუში;
- ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი ანტიკური სტატუის კოლექციებით.

სოფიასთან ერთად, მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს ბულგარეთის სხვა ქალაქებიც.

პლოვდივი - სიდიდით მეორე ქალაქი ბულგარეთში, მას ათასწლოვანი ისტოია გააჩნია, მისი დამაარსებელი იყო ფილიპე მაკედონელი. ამ ეპოქის ძეგლებს განეკუთვნება მარმარილოს რომაული თეატრი 3 ათას კაცზე და სტადიონი. ქალაქი განლაგებულია 6 გორაკსა და ვრცელ თრაკიის დაბლობზე. ძველმა ქალაქმა შეინარჩუნა ბულგარეთის აღორძინების პერიოდის უმშვენიერესი არქიტექტურული ანსამბლის იერსახე. ქალაქი ცნობილია ყოველწლიური გაზაფხულისა და შემოდგომის ბაზრობებით.

ველიკო-ტირნოვო - შუა საუკუნეებში მეორე ბულგარული სამეფოს დედაქალაქი. განლაგებულია ერთად რამოდენიმე გორაკზე - იანტრის გრაგნილი მდინარის სანაპიროზე. ქალაქის საინტერესო ტავისებურებაა ამფიტეატრებად განლაგებული

სახლები მდინარის ორივე სანაპიროებზე. ისტორიული ბორცვია - ცარევენი. სადაც განლაგებულია მეფისა და საპატრიარქოს სასახლეები. სხვა ათეულობით ეკლესიის ნანგრევები განთავსებულია მეზობელ ტრაპეზიცას ბორცვზე.

მელნიკი - ყველაზე პატარა ქალაქია ბულგარეთში (დაახლოებით 600 მცხოვრები) რომელიც პირინის მთების ძირში, უზარმაზარი ქვიშის პირამიდებშია ჩაფლული.

ტურისტების უმრავლესობა ბულგარეთს სტუმრობს შავი ზღვის კურორტების გამო.

ორ უმსხვილეს კურორტულ ქალაქს - ვარნასა და ბურგას, სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ჩრდილოეთი და სამხრეთი ტურისტული ზონების დედაქალაქები. საკურორტო კომპლექსები აქ, სრულად პასუხობენ ტურიზმის დარგის ყველა სტანდარტს. ბულგარეთის კურორტები დაშორებულნი არიან ქალაქებისგან და ისინი მათ საზღვრებს გარეთ, თუმცა ტურისტული ობიექტებისგან არც ისე შორს არიან განლაგებულნი.

არანაკლებ საინტერესოა ძველი თევზრეწვის ქალაქები - ნესებირი, სოზოპოლი და ბალჩიკი.

ტურისტებს იზიდავ ასობით მინერალური წყარო, რომელიც მიმოფანტულია ბულგარეთის ტერიტორიაზე. ბულგარეთის მინერალური წყლები, მსუბუქად მინერალიზირებულია, და მნიშვნელოვანი სამკურნალო ეფექტით გამოირცევიან. მათი ტემპერატურა ვარირებს +10დან 102Cმდე (ყველაზე ცხელი წყაროა „საპაროვა-ბანი“). წყლის ქიმიური შემადგენლობა გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. „ნარეჩენსკი-ბანი“ რადიოაქტივობის მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოში ამ ტიპის წყლების ცნობილ ათეულშიც კი შედის. ბოლო წლებში შავი ზღვის სანაპიროებზე ძველი ბალნეოლოგიური კურორტების პარალელურად მუშავდება და იქმნება ახალი. ყველა ეს კურორტი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და კვალიფიციური მედპერსონალით.

დაახლობეთ ორი მესამედი ბულგარეთში მთიან მასივებს შეადგენს. ბუნებრივია არსებითია მათი სხვადასხვაობა - კლდოვანი მასივები პირინიის და რილის ტებით დაწყებული მსუბუქი როდოპის მთებით დასრულებული. ბულგარეთის მთების უპირატესობა მათი პირველსახეობრივი ბუნებაა. ტყეებში მრავლადა გარეული ცხოველები, მდინარეებში თევზი. ძალიან ბევრი მცენარეს სახეობა, რომლებიც გადაშენდა ევროპაში აქ შენარჩუნებულია. ოთხ ყველაზე ლამაზ მთიან მასივში - როდოპი, რილა, პირინი, ვიტოშა - განთავსებულია თანამედროვე სამთო კურორტები.

ყველა დიდი სამთო კურორტი ბულგარეთში „პამპოროვო“ რომელიც როდოპოს მთების ცენტრშია განლაგებული ერთნაირად მიმზიდველია ზაფხულისა და ზამთრის სეზონებზე.

დიდი ყურადრებას იქცევს ბულგარეთში მონასტრები. რომლებშიც დღემდე გრძელდება რელიგიური ცხოვრება. ყველაზე დიდ და ლამაზ მონასტერად მიჩნეულია რილის მონასტერი, რომელიც იგივე სახელწოდების მთებშია აშენებული, სოფიიდან სამხრეთით 123კმ.

ბულგარეთმა სახელი გაითქვა როგორც ბიზნესშეხვედრებისა და საკონგრესო ტურიზმის ქვეყანამ. აქ ტარდება საერთაშორისო კონგრესები, სიმპოზიუმები, თათბირები და შეხვედრები. ბოლო წლებში ბულგარეთში ტარდებოდა ისეთი ფორუმები, როგორებიცაა მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა. იუნესკოს 23 გენერალური კონფერენცია და ა.შ.

ქვეყანა ყველაზე მეტად მიმზიდველია გერმანელი, ინგლისელი და შვედი ტურისტებისთვის.

თემა VII. უნგრეთი

უნიგრეთი ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უნიკალურ ადგილმდებარეობას იკავებს. ყოველწლიურად ქვეყანას მილიონობით ტურისტი სტუმრობს. მათ ამ ქვეყანაში იზიდავს, სტუმართმასპინძლობა, ეროვნული კოლორიტი, კულტურისა და წეს-ჩვეულებების მრავალფეროვნება, მრავალრიცხოვანი ძეგლები და ღირშესანიშნაობები.

გეოგრაფია, ტერიტორია და ქვეყნის ლანდშაფტი

უნგრეთი განლაგებულია ცენტრალურ ევროპაში, კარპატების აუზში. ქვეყნის საერთო ფართობი 93 030 კვ. კმ შეადგენს. ქვეყნის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მაქსიმალური დაცილება 268 კილომეტრს, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით კი 526 კმ. შეადგენს. უნგრეთი ესაზღვრება ავსტრიას, სლოვაკეთს, უკრაინას, რუმინეთს, (ყოფილ) იუგოსლავიას, ხორვატიასა და სლოვენიას.

დუნაი უნგრეთის ტერიტორიას 2 ნაწილად ჰყოფს. აღმოსავლეთით მას აკრავს ალფელდის დაბლობი, ხოლო დასავლეთით დუნანტულის ქედები. მდინარე ტისა კვეთს დუნაისშორის ბარის ნაწილს. ტისასა და დუნაის შორის ტერიტორია წარმოადგენს დაბლობს. დუნაის მიღმა მხარეში მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში ყველაზე თბილი მდინარე - ბალატონი (598 კვ.კმ)

მთიანი ნაწილი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ქვეყანას დიაგონალურად კვეთავს. დუნაის დასავლეთით განლაგებულია იმიერდუნაის საშუალო მთები: ქესთხეის მთები, ბაკონი, ვერტეში, გერეჩე, პილიში, ვიშეგრადის მთები. დუნაის აღმოსავლეთით - ჩრდილოეთის საშუალო მთები: ბერჟენი, ჩერხატი, მატრა, ბიუკი და ზემპლენის მთები.

ქვეყნის ყველაზე მაღალი წერტილია ქექეში (1015მ), იქ აღიმართება მატრის მთებში. უნგრეთის 2/3 განლაგებულია ზღვის დონიდან 200მ-ზე. ტყეებს აბსოლიტურად მოკლებული უნგრეთის სტეპები უკრაინის სტეპების გაგრძელებაა.

კლიმატი

საშუალო ტემპერატურა იანვარში -2დან -4C მდეა. ხოლო საშუალო ტემპერატურა ქვეყანაში ივლისის თვეში +20 +23 გრადუსამდე თბება. მზის გამოსხივება საკმაოდ მნიშვნელოვანია და ის წელიწადში 1900-2000 საათამდე აღწევს.

ატმოსფერული ნალექის საშუალოწლიური მოცულობა ალფელდის ცენტრალურ ზონაში 480-800 მმ. აღწევს. ნალექის მაქსიმუმი ივნისის, აგრეთვე ოქტომბერ-ნოემბრის თვეებზე მოდის.

ატმოსფერული წნევა საშუალოდუნაის დაბლობზე არც ისე მაღალია. ქარი უნგრეთში არაერთსახაა. ღრუბლიანობა ქვეყანაში მაღალია ზამთრის პერიოდში.

ტბები და მდინარეები

უნგრეთის მთელი ჰიდროგრაფიული ქსელი, დუნაის სისტემას განეკუთვნება, რომელიც ქვეყანას შუანა ნაწილში სერავს, ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ჰიდროგრაფიული ქსელის მთავარი მახასიათებლებია:

1. მდინარეებს შორის დიდი მანძილი;
2. მდინარეების ბარებისებრი ბუნება;
3. წყალგამტარობისა და სიღრმის არაერთგვაროვნება;
4. ყინულოვანი საფარის არამუდმივობა და ხანგრძლივობა;

დუნაის სიგრძე უნგრეთში დაახლოებით 400 კმ. აღწევს. (სლოვაკეთთან სასაზღვრო ზონის - 150კმ. ჩათვლით). დუნაის უპირატესი სიგანე 500-800 მეტრს შეადგენს. სიღრმე საშუალოდ 4-10 მეტრს. კალაპოტი მოქნილი რომელიც ქვედა ტანზე ათასგზისაა დატოტილი, მრავალი შენაკადით. დუნაი განსაკუტრებით წყალჭარბია გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში. ის გამოიყენება გემთსვლისთვის არხის საგანგებოდ დამუშავების შემდეგ. უნგრეთის დანარჩენი აღმოსავლეთი ნაწილი განლაგებულია დუნაის ძირითადი შენაკადის, მდინარე ტისას სანაპიროზე.

მოსახლეობა, დემოგრაფია, დედაქალაქი, მსხვილი ქალაქები

უნგრეთის მოსახლეობა შეადგენს 14,32 მლნ. ადამიანს. აბსოლიტური უმრავლესობა ქვეყანაში უნგრელია. აქ ცხოვრობენ აგრეთვე რუმინელები, სერბები, ხორვატები, გერმანელები და სლოვაკები. საშუალოდ კვ. კმ-ზე ქვეყანაში 110 ადამიანი მოდის.

უნგრეთის დედაქალაქია ბუდაპეშტი. ტერიტორია 525 კვ.კმ მოიცავს, სადაც დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მსხვილი ქალაქებია - დებრეცენი, მიშ-კოლცი, სეგედი, პეჩი, დიერი.

პოლიტიკური წყობა

ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებაა - უნგრეთის რესპუბლიკა. უნგრეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა - ერთპალატიანი სახელმწიფო სათათბირო. რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა.

უნგრეთში დარეგისტრირებულია დაახლოებით 50 პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია. აქედან 6 პარლამენტის სუბიექტია.

რელიგია

რელიგიურ საკითხში, ქვეყნის 70% - კათოლიკეა, 20% - კალვინელი, 5% - ლუთერანი.

ენა

სახელმწიფო ენაა - უნგრული. გამოიყენება აგრეთვე გერმანული, ინგლისური და რუსული ენები.

ტრანსპორტი

რესპუბლიკა საკმაოდ კარგადაა უზრუნველყოფილი სარკინოგზო, მდინარის, სატრასო სა საჰაერო გზებით. უნგრეთზე გადის აგრეთვე მნიშვნელოვანი ტრანსევროპული სარკინოგზო მაგისტრალი, რომელიც დასვლეთ ევროპას ბალკანეთის ნახევარკუნძულთან აკავშირებს. ვაკედაბლობიანი განლაგება ხელს უწყობს სატრასო გზების განვითარებას. სამდინარეო გზები დუნაისა და ტისაზე ხელს უწყობს შიდა ხაზების, აგრეთვე საგარეოეკონომიკური კავშირების განვითარებას. ბუდაპეშტი, რომელიც ევროპის ცენტრშია, საერთაშორისო მნიშვნელობის მსხვილი აეროპორტია.

სარკინოგზო გზები ბუდაპეშტს აკავშირებს კონტინენტის 15 დედაქალაქთან, აქ რეგულარულად მოძრაობს 48 საერთაშორისო მატარებელი.

ვალანბუსები, რომლებიც უნგრეთის საერთაშორისო საავტობუსო ტრანსპორტის მნიშვნელოვანი შემადგენელია რეისებს ასრულებს ევროპის შემდეგ ქვეყნებში. დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, ხორვატია, პოლონეთი, გერმანია, იტალია, რუმინეთი, ესპანეთი, შვეიცარია, შვედეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა.

ვოლანბუსებით შესაძლებელია მოხვდეთ ნებისმიერ მსხვილ ქალაქში, ხოლო გადაჯდომებით უნგრეთის ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში.

ვენასა და ბუდაპეშტს შორის ბრატისლავაში გაჩერებით დუნაიზე ყოველდღიურად კურსირებს გემი წყალქვეშა ფრთებზე.

წყალქვეშა ფრთიანი გემებით ტურისტებს შეუძლიათ მოხვდნენ არა მხოლოდ საღვრებს გარეთ არამედ გავიდნენ ესკურსიაზე დუნაის სანაპიროზე, იხილონ ვიშეგრად და ესტერგომი.

ბუდაპეშტში მოქმედებს ორასი საავტობუსო, 15 სატროლეიბუსო და 33 ტრამვაის მარშუტი. ისინი ჩვეულებრივ მუშაობენ დილის 4:30 დან საღამოს 23 საატამდე.

ბუდაპესტში მოქმედებს მეტროპოლიტენის 3 ხაზი. მათი კვეტის წერტილია ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ვალუტა

უნგრეტის ოფიციალური საგადასახადო საშუალება - ფორინტი.

1აშშ დოლარი = 156 ფორინტს; 1 ფორინტი = 100 ფილლერს.

უნგრეთში საკმაოდ გავრცელებულია საგზაო ქვითარი და საკრედიტო ბარათები. კერძოდ: ამერიკან ექსპრესი, დაინერ სქლაბი, ბანკამერი ქარდი, ვიზა, ევროქარდი, მასტერქარდი, კარტბლანში და ა.შ.

ტურისტული ფორმალობები და საბაჟო შეზღუდვები

უნგრეთის რესპუბლიკაში შესვლისათვის მოქალაქეთა უმრავლესობისათვის საკმარისია მხოლოდ საზღვარგარეთის პასპორტი, საფრანგეთისა და გერმანიის მოქალაქეთათვის საერთო სამოქალაქო პასპორტი. უნგრეტში ტურიზმის მიზნით ევროპული ქვეყნებიდან ვიზა სჭირდებათ ალბანეთის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეებს. არა ევროპული ქვეყნებიდან - არგენტინის, აშშ, კიპრის, ჩილეს, კოსტარიკის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ეკვადორის, ისრაელის, კანადის,კორეის რესპუბლიკის, კუბის, მალაიზიის, მალტის, ნიკარაგუის, სეიშელის კუნძულების მოქალაქეებს - ვიზა არ სჭირდებათ.

აკრძალულია ნარკოტიკების, იარაღის, პორნოგრაფიის შეტანა ქვეყანაში.

ტურიზმი

ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, თუ მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის, წყალობით უნგრეთი ტურიზმისათვის ერთობ საინტერესო ქვეყანაა. ყოველწლიურად ქვეყანას სტუმრობს 40 მილიონამდე სტუმარი სხვადასხვა კონტინენტიდან. მათ ქვეყანაში იზიდავს კულტურის, ჩვეულებების, ცხოვრების სტილის მრავალფეროვნება. მრავალრიცხოვანი ძეგლები და ღირსშესანისნაობები. საქონლის ფართო ასორტიმენტი და ზომიერი ფასები მატზე, ტრადიციული უნგრული სტუმართმასპინძლობა.

ევროპის ცენტრში გამოცოცხლებული ბუდაპეშტის ცხოვრებიდან ტურისტებს შეუძლიათ არმოჩნდნენ ალფერდის რომანტიულ სიჩუმესა და მის ცნობილ სტეპებში. არქიტექტურისა და ისტორიის ძეგლები სტუმრებს ელიან ზახონიდან(ქვეყნის აღმოსავლეთით) სენტ-გოთხარდამდე(დასავლეთის საზღვარი). ის რომ, უნგრეთი(პანონია) ერთ დროს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინცია იყო ამაზე ჰორზიუმის ნანგრევები და ბუდაპესტის მახლობლად აკვინკუმისა და სეკეშფეხერვარის კედლები მეტყველებს. განძის მაძიებლები ტისის სანაპიროებზე დღემდე ეძებენ ჰუნების ლეგენდარული ბელადის ატილას საფლავს, რომელიც აქ ხალხტა დიდი გადასახლების

დროს იმყოფებოდა. მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებზე მეტყველებს ბევრი შუასაუკუნებრივი ციხესიმაგრე, მათ შორის ნადვაჟონი, აგრეთვე ულამაზესი არქიტექტორული ქმნილებები, ისეტები როგორიცაა როკოკოს სტილში ნაგები ფერტოდე.

ყველა რეგიონი უცხოელი სტუმარისატვის საოცრებების მატარებელია. შესაძლებელია ნახო ის რაც მხოლოდ კონკრეტული ქალაქისათვის, დასახლების ან მხარისათვისაა დამახასიათებელი. ეს ეხება ქალაქ სეკეშფეხერვარს, რომელიც აშენებულია ძველი რომაული დასახლება ალბა რეგიას ადგილას. აგრეთვე ქალაქები ვიშეგრადი - უნგრეთის მეფეების საზაფხულო რეზიდენციები და ქვეყნის კათოლიკური ეკლესიის ცენტრი ესტერგორმი. არც ისე ცოტა დრო სჭირდებათ სტუმრებს რომ გაეცნონ „დუნაის მარგალიტს“ - ბუდაპეშტს, რომელიც მსხვილი ტურისტული ცენტრია. უნგრეთის დედაქალაქი მდიდარია არქიტექტორული ძეგლებით. მათ შორისაა წმინდა სამება, მატიაშის მონასტერი, რიბატსკის ბასტიონი, სამეფო სასახლე, სადაც დღეს რამოდენიმე მუზეუმია განთავსებული, მათ შორის ეროვნული გალერეა.

ქვეყანაში ფუნქციონირებს 170 სამხატვრო, ისტორიული, ეთნოგრაფიული მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები და გალერეები. ტურისტებს იზიდავს მსოფლიო მნიშვნელობის ოპერისა და ბალეტის, ოპერეტის თეატრები, რომელიც განლაგებულია ქვეყნის ცენტრში ბუდასა და პეშტის შორის, კუნძულ მარგიტზე, რომელიც ცნობილია სამკურნალო თერმული წყლებით. სანაპიროზე გასეირნებისას, ჰოლლერტის მთიდან შესაძლებელია დანახოთ ქალაქის უმშვენიერესი პანორამა. საერთაშორისო კლასის რამოდენიმე სასტუმრო. პეშტის სანაპიროზე არაერთი ელეგანტური მაღაზიები, რესტორნები, კაფეები და ა.შ.

უნგრეთის უკეთ გაცნობაში მნიშვნელოვნად გვეხმარება ქვეყნის კლიმატი.

უნგრეთი ცნობილია თავისი სამკურნალო წყლებითაც, რომელთა რაოდენობა ქვეყნის ტერიტორიაზე 500 აღწევს. საკმაოდ ცნობილია ხევიზის ტბა, თბლი წყალი, რომელიც დაახლოებით 1000 მეტრის სიღრმიდან ამოდის. რომელმაც დააბალოტა ტბის ფსკერი და წარმოშვა მსხვილი ფენა, რაც ზრდის წყლის სამკურნალო ტვისებას. ხევიზის წყლები რეკომენდებულია საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების დაავადებათა მკურნალობისტვის. უნგრეთში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამკურნალო წყალია ბა-ლატონფიურედე, რომელიც გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, ხოლო დიულას წყლები კი რევმატულ დაავადებებს მკურნალობს. ცნობილი წყლის სამკურნალო დაწესებულებებია ბუდაპეშტში, ხაიდუსო-ბოსლოში, ხარკანიში და ა.შ.

უნგრელები ყოველთვის ცნობილი იყვნენ როგორც კარგი მხედრები, საცხენო სპორტი ქვეყანაში პოპულარულია დღემდე: ყოველწლიურად რესპუბლიკაში ხორტობადიდან ბუღაცა და ნადვაჯონამდე არაერთი საცხენო თამაშები იმართება. ათასობით თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მოყვარულები ყოველწლიურად ჩადიან უნგრეთში, რათა მონაწილეობა მიიღონ მრავალრიცხოვან ფესტივალებში, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია „ბუდაპეშტის გაზაფხული“ და ზაფხულის თეატრალური ფესტივალი. აგრეთვე ბეთხოვენის მუსიკის კონცერტი მარტონ-ვაშარის პარკში.

თემა VIII. პოლონეთი

პოლონეთი - ტურიზმისათვის იდეალური ქვეყანაა. იშვიათადაა შესაძლებელი ევროპაში ნახო პეიზაჟების მსგავსი სახესხვაობა: აქ არის ბალტიის ზღვის ოქროს სანაპიროებიც, და მაზურის უდიდესი ტბები, ტათრის მთების მწვერვალები, და ბესკიდების ველური მთიანი ზოლი.

გეოგრაფია, ფართობი, ქვეყნის ლანდშაფტი

პოლონეთი - ცენტრალური ევროპის სახელმწიფოა. ის ესაზღვრება რუსეთს, ლიტვას, ბელორუსიას, უკრაინას, სლოვაკეთს, ჩეხეთს, გერმანიას; ჩრდილოეთით მას რეცხავს ბალტიის ზღვა. სახმელეთო საზღვრების სიგრძეა 3110 კმ. საზღვაო კი 497. ქვეყნის ტერიტორია მოიცავს 312 680 კვ. კმ.

პოლონეთის რელიეფში სჭარბობს დაბლობები და და მცირე შემაღლებები. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 169მ. აღწევს. პოლონეთის უმაღლესი წერტილი მდებარეობს უკიდურეს სამხრეთში მაღალ ტათრებში (მთა რისი 2499მ); ხოლო ყველაზე დაბალი წერტილი ქვეყანაში, არის ჟულავი (ვილსის დელტაში), რომელიც ზღვის დონიდან 1.8 მ. ქვევით არის განლაგებული.

სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სუდეტის მხარეს ქვეყანას აკრავს ელენია გურისა და სამხრეთით კარპატების მთიანი ზოლი. აქედან იწყება პოლონეთის უმსხვილესი მდინარეები - ვისლა და ოდრი. ტათრების ზემო, კარპატების ქედებს მიღმა სლოვაკეთია. ხოლო საკუთრივ კარპატების ქვემო წელზე კი ტათრანის ეროვნული პარკი, ცნობილი კურორტი ზაკოპანიე და რისის მთა. ტათრების ჩრდილოეთით, დასავლეთ კარპატებში აზიდულია ბესკიდების მთები. აღმოსავლეთ კარპატებში კი ბეშჩადების მთიანი ზოლი, რომელიც უკრაინამდე გაჰყვება ქვეყანას.

ჩრდილოეთ ნაწილში მრავალი ტყეებისა და მომხიბლველი ბუნებების გარდა ჭარბადაა გამყინვარების ეპოქის ტბები, რომელთა რაოდენობით პოლონეთი მხოლოდ ფინეთს თუ ჩამოუვარდება. ხოლო ბალტიის სანაპიროზე კი ტურისტებს იზიდავს გრძელი და ДЮНАМИ დაფარული პლაჟები.

კლიმატი

კლიმატი პოლონეთში ზომიერად კონტინენტალურია, დასავლეთ ევროპის მსუბუქი, საზღვაო ჰავა აქ გარდამავალი ამინდებს ქმნის ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტალურ კლიმატთან. კლიმატის კონტინენტალურობა მატულობს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ივლისში საშუალო ტემპერატურა

დაახლოებით 19 C აღწევს. თუმცა არის სიცხეც 30 C-მდე. ყველაზე ცივი თვეებია იანვარი და თებერვალი. საშუალო ტემპერატურა იანვარში -5C-ია.

ნალექის გადანაწილებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სიმაღლე. ყველა მეტი ნალექი მოდის მთებში (კარპატები და სუდეტები): 800-1000 მმ წელიწადში. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი ნალექების რაოდენობა მერყეობს 450-დან 700 მმ-მდე წელიწადში.

ტბები და მდინარეები

პოლონეთს გააჩნია ჭარბი და საკმაოდ განვთარებული მდინარეების ქსელი, რომლებიც თითქმის სრულად ბალტიის ზღვის აუზს განეკუთვნებიან. მნიშვნელოვანი მდინარეებია: ვისლა ძირითადი შენაკადებით - დუნაეცი, ვისლოკა, სანი, ვეპში, დასავლეთ ბუგი (მარჯვენა) და ნიდა, პილიცა, ბზურა, ბრდ'ა, ვდა (მარცხენა). აგრეთვე ოდრა მარცხენა შენაკადებით: ნისა-კლოდზკა, ბუბრი, ნისა-ლუჟიცკა და მარჯვენა - ოლზა, მალაპანევი, ვიდავა, ბარიჩი, ვარტა. ამ მდინარეთა აუზი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 90% შეადგენს. ხოლო პოლონეთის 9,35% მცირე მდინარეებზე მოდის (პარსენტა, ლინა, სლუპია, პასლენკა და ა.შ).

დაბლობებში მდინარის წყალგამყოფები არც ისე მაღალია. მდინრეებისთვის მახასიათებელია უმნიშვნელო ვარდნა, ნელი დინება. საპირისპირო ხასიათი გააჩნიათ მთის მდინარეებს სადაც ვარდნა მაღალია და შესაბამისად დინებაც ჩქარი.

პოლონეთში მდინარეებისთვის მახასიათებელია საგაწაფხულო წყალკვება რომელსაც ძირიტადად დნობა იწვევს. მთის მდინარეებისთვის, განსაკუთრებიტ კარპატებში, საგაზაფხულო წყალკვების პარალელურად მდინარეების დონე იმატებს კოკისპირელი წვიმების შედეგად. ასეთ დროს განსაკუთრებით სწრაფად იზრდება წყლის დონე ვისლასა და ოდრში. ვისლაში და მის კარპატების მხარის შენაკადებში ხშირია წყალდიდობებიც. ოდრის წყლის დონე რეგულირდება შენაკადებზე აშენებული წყალსაცავებით.

რეგულარული გემთსვლა შენარჩუნებულია ოდრზე, ვისლაზე, ვარტესა და ნოტეცეზე. ნაწილობრივ გემთსვლისთვის გამოიყენება ნარევი, სანი, პილიცა.

პოლონეთში მოითვლიან 9,5 ათას ტბას, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის 1% შეადგენს. ტბები არც ისე დიდი ზომისაა. მათ შორის მეტნაკლებად მსხვილია: სნიარდვი (106 კვ/კმ) და მამრი (104 კვ/კმ) მაზურის ტბისპირეთში. მედვე (36,6 კვ/კმ) პამორის ტბისპირეთში. ყველაზე ღრმა ტბაა - ხანგა (108,5 მ)

მოსახლეობა, დემოგრაფია, დედაქალაქი და მსხვილი ქალაქები

პოლონეთის მოსახლეობა დაახლოებით 39 მილიონ ადამიანს შეადგენს. საშუალო სიმრავლე მოსახლეობისა 1 კვ/კმ-ზე 123 ადამიანს შეადგენს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში 67 წელია, ქალებში კი 76.

ეთნიკური თვალსაზრისით მოსახლეობა თითქმის ერთგვაროვანია - პოლონელები (ბელორუსები დაახლოებით 300 ათასი, უკრაინელები - 150 ათასი. ლიტველები 30 ათასი).

პოლონელების 70% ქალაქებში ცხოვრობენ. გაცილებით მჭიდროდ არის დასახლებულია ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი - ლოძი და კატოვიცე. ყველაზე ნაკლები მცხოვრები გვხვდება ჩრდილო-დასავლეთში. ქვეყნის დედაქალაქია ვარშავა (1,6 მლნ. ადამიანი). მსხვილი ქალაქებია ლოდზი (839 ათასი), კრაკოვი (750 ათასი), ვროცლავი (640 ათასი), პოზნანი (578 ათასი), გდანსკი (468 ათასი).

პოლიტიკური წყობა

პოლონეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. ქვეყანაში მოქმედებს 1952 წელს სეიმის მიერ მიღებული კონსტიტუცია. 1989 წელს მასში შეტანილი იქნა რიგი ცვლილებები: განისაზღვრა სახელმწიფოს ახალი სახელწოდება - პოლონეთის რესპუბლიკა. ქვეყანაში მოიშალა არსებული სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა. ქვეყნის მეთაურად 5 წლის ვადით საერთო, ფარული კენჭისყრით აირჩეოდა პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი (ეროვნული კრება), რომელიც შედგება სეიმისა და სენატისაგან. დეპუტატები აირჩევიან 4 წლის ვადით.

ქვეყანაში დღეისთვის მოქმედებს 100 პოლიტიკური პარტია და გაერთიანება.

რელიგია მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კათოლიკური აღმსარებლობისანი არიან.

სახელმწიფო ენა პოლონურია. აგრეთვე გამოიყენება რუსული და ინგლისური.

ტრანსპორტი

პოლონეთს კარგად განვითარებული სატრანსპორტო ქსელი გააჩნია. ქვეყანაში შესაძლებელია მოვხვდეთ თვითმფრინავით, მატარებლით, ავტობუსით, ავტომობილით, გემითა და ბორანით.

ავიაციით პოლონეთი უკავშირდება მსოფლიოს 34 ქვეყანას. ვარშავის საერთაშორისო აეროპორტით „ოკენცე“ სარგებლობს 25 საერთაშორისო ავიაკომპანია.

პოლონეთის საერთაშორისო აერიპორტებია: ვარშავა, გდანსკი, კატოვიცე, კრაკოვი, პოზნანი, ვროცლავი.

საერთაშორისო რკინიგზებს ჩქაროსნული მატარებლები, ექსპრესები და ევროსიტი მოჰყვება. სარკინიგზო კავშირებით პოლონეთს უკავშირდება: ახენი, ბერლინი, ბრიუსელი, ბრესტი, ბუდაპეშტი, ბუხარესტი, დნეპროპეტროვსკი, დრეზდენი, ფრანკფურტ-ნა-მაინე, გროდნო, ლიევი, კიოლნი, ლაიფციგი, ლვოვი, მინსკი, მოსკოვი, ოდესა, პრაღა, რიგა, პეტერბურგი, ტალინი, ვენა, ვილნიუსი. ბერლინში და ბერლინიდან მოძრაობს ევროსიტის მატარებლები - „ბეროლინა“ და „ვარსოვია“. თითქმის ყველა მატარებელი შედის ვარშავის ცენტრში, ცენტრალურ სადგურში.

ბევრი ქალაქი პოლონეთში ევრო ის ქალაქებთან დაკავშირებულნი არიან რეგულარული საერთაშორისო საავტობუსო მარშუტებით.

პოლონეთში შედიან ზღვითაც. ქვეყნის მნიშვნელოვანი ნავსადგურებია: გდანსკი, გდინია, შჩეცინი და სვინოუისცე. ბორანით შესაძლებელია მოხვდეთ შვედეთსა და დანიაში. ქვეყანას გააჩნია საოკეანო ხაზებიც.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) ქვეყანაში მუშაობს 5:30-დან 23:00 მდე. ბილეთების შეძენა აუცილებელია გამგზავრებამდე გაზეთების ან თამბაქოს შესაძენ ჯიხურებში. ექსპრეს-ავტობუსები ორჯერ, ხოლო მგზავრობა ღამის ავტობუსით (23:00 შემდეგ) სამჯერ უფრო ძვირია, ტვირთზე გადაიხდება დამატებით. ტაქსებში მოქმედებს ასევე ორი ტარიფი დღის (6.00-22.00) და ღამის (22.00-6.00). ვარშავაში მოქმედებს მეტროპოლიტენიც.

ვალუტა

საგადასახადო ერთეულად პოლონეთში გამოიყენება პოლონური ზლოტი. 1ზლოტი = 100 გროშს. მიმოქცევაშია ფულის ერთეულები შემდეგი ნომინალებით: 10, 20, 50, 100 და 200 ზლოტი.

თანხა თუკი ის აღემატება 10 ათას დოლარს ქვეყანაში შესვლისას დეკლარირება სჭირდება. ფულის გადაცვლის პუბქტები ქვეყნის. ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლადაა. მათ შორის, აეროპორტებში, სადგურებში, სასტუმროებში და ა.შ.

ტურისტული ფორმალობები და საბაჟო შეზღუდვები

რიგი ქვეყნების მოქალაქეთათვის ვიზა საჭირო არ არის. თუმცა აუცილებელია ტურვაუჩერი ან დამოწმებული მოწვევა, აგრეთვე მოწმობა მგზავრობის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ (ქვეყანაში ყოფნის ყველა დღეზე აუცილებელია გქონდეთ 40 დოლარი).

პოლონეთის საბაჟო კანონი არ ბეგრავს პირად ნივთებს და საჩუქრებს, აგრეთვე, ნატურალურ კოფეს 200გრ. ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებს 0.5, ღვინოს 2 პივას 2, ლიტრის ოდენობით და სიგარეტებს. აგრეთვე სუვენირებს რომელთა ფასი არ აღემატება 100 დოლარს.

აკრძალულია ფეთქებადი და რადიოაქტიური ნივთირებების, აგრეთვე ნარკოტიკების შეტანა.

ტურიზმი

ისტორიულად, დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციასთან დაკავშირებული პოლონეთი საკმაოდ თავისებური და ეგზოტიკური ქვეყანაა. მსხვილი ქალაქები გამეზობლებულნი არიან განცალკევებულ შთამბეჭდავ კუთხეებთან. აქ არის ქვიშის სანაპიროები და ტყის ტბები, მაღალმთიანი ტურბაზები და კომფორტული კურორტები. პოლონეთი ამაყია საკუთარი მდიდარი და მრავალფეროვანი ღირშესანიშნაობებითა და ისტორიული ძეგლებით. არანაკლებად იზიდავს ტურსტებს ქვეყანაში კულტურული ღონისძიებები. კერძოდ ყოველწლიურად ვარშავაში გამართული პიანისტთა კონკურსი რომელიც შოპენის სახელს ატარებს, ან თანამედროვე მუსიკის ფესტივალი „ვარშავის შემოდგომა“.

ვარშავა პოლონეთის დედაქალაქი, მისი ისტორიული და კულტურული ცენტრია. სასახლის მოედანზე აღმართულია სიგიზმუნდის კოლონა რომელიც მიჩნეულია პირველ საერო ქანდაკებად ქვეყანაში და რომელიც 1644 ვლადისლავ IV-მ მამას, სიზიგმუნდ III ვაზას დაუდგა. მოედნის აღმოსავლეთი ნაწილი სამეფო სასახლეს უჭირავს სადაც ხელოვნების არაერთი ნიმუშია თავმოყრილი.

სვენტონის ქუჩას ძველი ქალაქის სიღრმეებში შევყავართ. მის მარჯვნივ ვარშავის ძველი ეკლესია - წმინდა იანის ტაძარი დგას, რომელიც XIII-XIV საუკუნით თარიღდება. იქვე არის სიზიგმუნდ III მიერ აგებული რენესანსის ეპოქის კიდევ ერთი ეკლესია იეზუიტთა ორდენისთვის.

ბაზარი - ძველი ქალაქის ცენტრს წარმოადგენს. ძველ მოედანზე მხატვრები საკუთარ ნახატებს ჰყიდიან. აქვე შეხვდებით ცნობილ პოლონურ დროჟკებს მხედრების მოლოდინში. ტურისტები ჩადიან ამ ქვეყანაში რათა დატკბენ გოთიკური ეკლესიების მშვენებით, ძველი სახლების ფასადებით. მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულია ვარშავის ისტორიული მუზეუმი. ხოლო აღმოსავლეთ მხრიდან სახლებში მიცკევიჩის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი. აქედან ვისლასკენ მიდის ვარშავის ვიწრო ქუჩა კამენნი სხოდკი (ქვის საპეხურები). თუკი ჩრდილოეთით გავყვებით ქუჩას ქშივე კოლო

(მრუდე ბორბალი) ასევე მრგვალ ტაძართან მივალთ, რომელიც საინტერესო არქეტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს.

პოლონეთის ქალაქები - ეს ტრაგიკული ისტორიის სერიაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტორუნი, გდანსკი, პოზნანი, გნეზნო, კრაკოვი, ზაკოპანიე. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისებური და განუმეორებელი ღირშესანისნაობები.

ვარშავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორას კილომეტრში არის ტორუნი. აქ 1473 წელს დაიბადა ნ. კოპერნიკი. ქალაქის ძველი ნაწილის იერსახე თითქმის უცვლელადაა შენარჩუნებული. წმინდა იანის ეკლესიაში დაცულია ცნობილი ზარი (უფლის საყვირი), რომელიც 1500 წელს იქნა ჩამოსხმული და სიდიდით სიზიგმუნდის სემდეგ მეორე ადგილზე დგას.

შესაძლებელია თვალი შევავლოთ აქაურთა „პიზის“ კოშკსაც - კშივა ვეჟა (მრუდე კოშკი) ის XIII საუკუნეშია ნაგები და დღემდე ვერტიკალს ნახევარი მეტროთ გადასცდა.

ბალტიის ზღვის სანაპიროზე, ქვეყნის ჩრდილოეთით, ტრისტებს იზიდავს ქალაქი გდანსკი. ქალაქის სახელთანაა დაკავშირებული არაეთი ცნობილი გვარი და მოვლენა. XVII საუკუნეში აქ ცხოვრობდა ასტრონომი იან გეველი, გდანსკისკიდან იყო ფარენგეიტი და შოპენჰაუერი.

ტურისტებს შორის პოპულარულია - სამეფო გზა, რომელიც მოიცავს დლუგისა და დლუგა ტარგის ქუჩებს. ხოლო სადაც ერთმანეთს ერწყმიან აღმართულია მთავარი რატუშა, ერთ-ერთი ღირებული არქიტექტურული ნიმუში, გოთიკური კოშკით (81 მეტრი). ისტორიული მუზეუმიდან, რომელიც რატუშაშია განთავსებული შესაძლებელია ქალაქის პანორამით ტკბობა. სხვა ღირშესანიშნაობად შესაძლებელია ჩავთვალოთ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ და ლამაზ ეკლესიადაა მიჩნეული.

ტურისტების მნიშვნელოვანი ნაწილი პოლონეთში მიემგზავრება სოპოტში. გდანსკთან და გდინესთან შედარებიტ სასტუმროები ამ ქალაქში გაცილებით იაფია. ხოლო საკურორტო ატმოსფერო იზიდავს იმათ რომელთაც ურჩევნიათ დაისვენონ ბალტიის ზღვის ქვიშის სანაპიროებზე.

ვარშავისგან დასავლეთით სამას კილომეტრში განლაგებულია ქალაქი პოზნანი. მიუხედავად იმისა, რომ ის ქვეყნის ერთერთი ყველაზე მსხვილი სამრეწველო ქალაქია, მრავლადაა ღირშესანიშნაობებიც. დასავლეთი პოლონეთი ან ველოკოპოლშა, პოლონელი ერის სამშობლო იყო. მდინარე ვარტის გაყოლებით ცხოვრობდნენ პოლონელები, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალ სახელმწიფოს. სტუმართა ყურადღებას იქცევს ძველი

ბაზარი, ის 2 ჰა არის გაფენილი და მხოლოდ კრაკოვისა და ვროცლავის ბაზრებს ჩამორჩება. ქვის უძველესი შენობა XVI საუკუნეში არკადი ლოჯის მიერაა ნაგები. რენესანსის ფორმებმა ის აღორძინების ეპოქის ევროპულ ძეგლებთან ერთ რიგში დააყენა. მისი სიმაღლე 61მ აღწევს. ამ შენობაში განთავსებულია ქალაქის მუზეუმი. რატუსასტან არის ძველი პროზერპინის შადრევანი.

მსოფლიო მნიშვნელობისაა პოზნანის საერთაშორისო ბაზრობა. ომის შემდგომ პერიოდში მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს ასამდე სახელმწიფო.

პოზნანისაგან 54 კილომეტრის დაშორებით განლაგებულია ქალაქი გნეზნო, რომელიც პოლონელი ერის სამშობლოდ ითვლება. აქ იყო სათავადო რეზიდენცია, ხოლო მოგვიანებით ის გადაიქცა შუასაუკუნეობრივი ქალაქის, პოსტოვსკის დედაქალაქად. ქალაქის მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობა არის ძველი კათოლიკური ეკლესია სადაც დასვენებულია წმინდა ვოიცეხის ნაწილები. ეკლესიაში განთავსებულია აგრეთვე იბლიოთეკა სადაც დაცულია ძველი ფოლიანტები.

ვარშავის სამხრეთით სამას კილომეტრში განთავსებულია ქალაქი კრაკოვი, რომელიც ქვეყნის კულტურულ და ტურისტულ ცენტრადაა აღიარებული. კრაკოვში შესაძლებელია მოინახულოთ პიასტოლების, იაგენლონებისა და ვაზების სამეფო გვარების რეზიდენციები. აქვე შესაძლებელია ვნახოთ დრაკონის გამოქვაბული ვაველის მთის ძირში.

ქალაქის ღირშესანიშნაობებში შედის ვაგენლონის უნივერსიტიც.

ზაკოპანიე - ვარშავის სამხრეთით, ოთხას კილომეტრში ტათრის ძირას განლაგებული ქალაქია. ყოველწლიურად მას სტუმრობს დაახლოებით 2 მილიონი ტურისტი. ის ზამთრის სპორტის ერთერთი უძველესი ცენტრია. აქ არაერთგზის ჩატარებულა მსოფლიო ჩემპიონატები. ხოლო 1956 წლიდან მოყოლებული, ყოველ მეორე წელს ტარდება ზამთრის უნივესიადები. პოპულარულია კასპროვოს უმაღლეს წერტილზე ექსკურსია.

ქვეყნის სამხრეთით, დასავლეთ კარპატებში მდებარეობს პატარა საკურორტო ქალაქი კრინიცა გურსკა, ორასი წლის წინ აქ აღმოაჩინეს მინერალური წყლები სამკურნალო თვისებებით. ქალაქმა გარდა რეკრეაციული მიმართულებისა სახელი გაითქვა ბიზნეს-ტურიზმით.

სასტუმროები პოლონეთში კლასიფიცირდება ვარსკვლავების სისტემით. ფასები დამოკიდებულია სეზონურობაზე. საშუალო დონის სასტუმროებში ერთი დღე-ღამის

ღირებულება 30-50 დოლარამდე მერყეობს, ხოლო მაღალი კლასის სასტუმროებში ფასი 170-330 დოლარს აღწევს.

მთლიანობაში პოლონეთს გააჩნია საკმაოდ მდიდარი რეკრეაციული და კულტურული რესურსი, რაც მიმზიდველს ხდის მას ტურიზმის ინდუსტრიისთვის. თუმცა ხშირ შემთხვევაში ტურისტული ინფრასტრუქტურის თანამდროვე, დასავლური სტანდარტების არარსებობა აფერხებს ამ უკანასკნელის განვითარებას.

თემა IX. ჩეხეთი

ჩეხეთის რესპუბლიკა მდებარეობს ევროპის ცენტრში, კლდოვანი სუდეტებისა და ბოჰემის მთების ბორცვებს შორის, გერმანული და სლავური სამყაროს გზაგასაყარზე. ამ ქვეყანაში მრავლადაა ზღაპრული ციხეები, სასახლეები, მამულები და მუზეუმები. შუასაუკუნეების სული აქ ბევრ ლამაზ ქალაქშია შენარჩუნებული. იმდენად ბევრი ღირშესანისნაობებია ქვეყანაში, რომ აუცილებელია მისი მრავალგზის სტუმრობა, რათა საშუალება მოგეცეს ყველაფრის მონახულება.

გეოგრაფია, ტერიტორია და ქვეყნის ლანდშაფტი

ჩეხეთი ესაზღვრება გერმანიას, სლოვაკეთს, ავსტრიასა და პოლონეთს. ქვეყნის ტერიტორია (78 864 კვ/კმ) შედგება სამი რეგიონისგან: ბოჰემია (დასავლეთით), მორავია (აღმოსავლეთით) და სილეზია (ჩრდილო-დასავლეთით).

ჩეხეთი - ძირითადად განფენილია საშუალო შემაღლების მთებზე. მისი დასავლეთი ნაწილი უკავია ჩეხეთის მასივს, აღმოსავლეთი მორავია-სილეზიის ბესკიდებს, სამხრეთ აღმოსავლეთი - მცირე კარპატებს. ჩეხეთის მასივები და კარპატები მდინარე მორავის გაყოლებაზე დაბლობებს ჰყოფს მდინარე ოდრის მაღლობებისგან. ამ მდინარეთა აუზი გაყოფილია საშუალო სიმაღლის ზღვარგამყოფით - მორავიის ჭიშკრებით. ჩეხეთის მასივებს სამი მხრიდან შემოსაზღვრავს საშუალო სიმაღლის მნიშვნელოვნად ჩამოშლილი მთები. კრკონოშე სუდეტბისა და ჩეხური მასივის უმაღლესი მწვერვალია (1605 მ).

კლიმატი

ჩეხეთი განლაგებულია საშუალო განედში, კლიმატი აქ ფორმირდება ატლანტიკიდან მონაბერი ჰაერის მასებით და ხასიათდება ოთხივე სეზონის ციკლური ცვლებისთვის დამახასიათებელი მსუბუქი, ზომიერი კონტინენტალური თვისებებით.

ქვეყნის ძირიტად ტერიტორიაზე იანვარში საშუალო ტემპერატურა -5C-ია. ივლისში კი +20 C. წლის განმავლობაში ნალექების რაოდენობა 600-800მმ. აღწევს.

ძირითადი მიწათმოქმედი რაიონებისთვის დამახასიათებელია ხელსაყრელი თანაფარდობა თბილ ტემპერატურასა და ნალექიანობას შორის. არის მსუბუქი მცირე თოვლიანი ზამთარი. ზაფხული ქვეყნის ძირითად ტერიტორიაზე არის ცხელი, ნალექების მცირე რაოდენობით, აქ ხშირია გვალვა.

მთიანი ზოლისთვის დამახასიათებელია ცივი თოვლიანი ზამთარი და ასევე ცივი ზაფხული.

ტბები და მდინარეები

ჰიდროგრაფიულად ჩეხეთი განლაგებულია ევროპის მთავარ წყალგამყოფზე, სადაც სათავეს იღებს მდინარეები რომლებიც ჩაედინებიან როგორც ბალტიის, ისე შავ ზღვებში. ყველაზე მსხვილი მდინარეებია ელბა (357 კმ.) თავისი შენაკადებით - დასავლეთით ვლტავო და აღმოსავლეთით მორავა.

ტბების რაოდენობა ჩეხეთში მცირეა, და მოცულობითაც პატარა ზომის არიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვა ხელოვნურ ტბებს, რომელთა უმრავლესობა გამოიყენება არა მარტო ელექტრო ენერგიის წარმოებისთვის, არამედ მასობრივი დასვენებებისთვის. მაგალითად, ლიპნო (4870 ჰა) ორლიკი და ნოვე მლინი (1558 ჰა).

მნიშვნელოვან ტერიტორიებს მოიცავენ აუზები (52 ჰა) რომლებიც გამოიყნება თევზრეწვისთვის. რომელთაგან მოცულობით ყველაზე დიდი როჟმბერგის აუზია (489 ჰა).

მოსახლეობა, დემოგრაფია, დედაქალაქი და მსხვილი ქალაქები

მოსახლეობა ჩეხეთის რესპუბლიკაში 10,5 მლნ. ადამიანს შეადგენს. რომლებიც ძირითადად მცირე ქალაქებსა და დასახლებებში ცხოვრობენ. ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქია, დედაქალაქი პრაღა, სადაც დაახლოებით 1,2 მლნ. ადამიანი ცხოვრობს. სხვა დიდი ქალაქებია: ბრნო, ოსტ-რავა, პლზენი, ოლომოუცი, უსტი-ნად-ლაბემ, გრადეც-კრალოვე.

ეროვნული შემადგენლობით ჩეხები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 94,4%, სლოვაკები 3,8%, პოლონელები 0,7%, გერმანელები 0,5%. სხვა ეროვნებები 0,6%.

პოლიტიკური წყობა

ჩეხეთი - საპარლამენტო რესპუბლიკაა. ქვეყანაში მოქმედებს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული 1992 წლის კონსტიტუცია. ქვეყნის მეთაურია - პრეზიდენტი, რომელიც პარლამენტის მიერ აირჩევა 5 წლის ვადით. საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს ორპალატიანი პარლამენტი - დეპუტატების პალატა და სენატი.

ჩეხეთის რესპუბლიკაში დარეგისტრირებულია დაახლოებით 80 პოლიტიკური პარტია და მოძრაობები.

რელიგია

ჩეხებისთვის დამახასიათებელი რელიგიური სიჭრელე. აქ აქტიურად მოღვაწეობენ რომის კათოლიკური, გუსისტური, ევანგელისტური, მართლმადიდებლური, ბერძნულ-კათოლიკური და ა.შ ეკლესიები.

ენა - ოფიციალური ენაა ჩეხური

ტრანსპორტი

ჩეხეთი დაფარულია საავტომობილო და სარკინიგზო გზების ქსელით. რამოდენიმე სპეციალიზირებული ფირმა უზრუნველყოფს ქალაქებს შორის კავშირს.

განვითარებულია საჰაერო ტრანსპორტი. პარაღის აეროპორტი „რუზინე“ განთავსებულია ქვეყნის დედაქალაქიდან 20 კმ. მოშორებით. გარდა ამისა ეროპორტები არის ოსტრავეში, ბრნოში, კარლოვი ვარახში. თითქმის ყველა მსხვილ ავიაკომპანიებს გააჩნიათ საკუთარი წარმომადგენლობები ქვეყანაში.

ვალუტა

ჩეხეთის ფულის ერთეულია - ჩეხური კრონი

1 აშშ დოლარი = 33 კრონს

1 კრონი = 100 გელლერს.

არსებობს შემდეგი ბანკნოტები: 5000; 2000; 500; 200; 100; 50; 20 კრონი. მონეტები: 50; 20; 10; 5; 2; 1 კრონი, აგრეთვე 50; 20 და 10 გელერი.

უცხოელ მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ შეიტანონ და გაიტანონ ქვეყნიდან ჩეხური და უცხოური ვალუტა. იმ შემთხვევაში თუკი თანხა აღემატება 200 ათას კრონს, აუცილებელია მისი დეკლარირება. ქვეყნიდან გასვლისას შესაძლებელია გაუხარჯავი ჩეხური კრონის რეკონვერტირებაც.

საბაჟო შეზღუდვები და ფორმალობები

უცხოელი მოქალაქეები ჩეხეთში შედიან თავიანთ ქვეყანაში მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტით. ევროპის ბევრი ქვეყნის მოქალაქეებს არ მოეთხოვებათ ვიზები. ამ უკანასკნელის არსებობა აუცილებელია: ალბანეთისთვის, თურქეთისთვის, რუსეთის ფედერაციისთვის, სამხრეთ სლავების რესპუბლიკებისთვის, ბოსნიასა და ჰერცოგოვინისთვის.

სხვა კონტინენტის ქვეყნებიდან ვიზა ასევე არ მოეთხოვებათ აშშ-ს, ისრაელის, კანადის, კორეის რესპუბლიკის, მალაიზიის მოქალაქეებს. სხვა დანარჩენებისთვის აუცილებელი ფორმალობაა. ტურისტული ვიზის რირებულება შეადგენს 23$. ხოლო სამიანი კი 84 $.

ტურიზმი

უცხოელი ტურისტები დიდ ყურადღებას იჩენენ პრაღის მიმართ. ის მსოფლიოში მეექვსე ქალაქია ლონდონის, პარიზის, რომის, მადრიდის და ბერლინის შემდეგ, რომელსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ ტურისტები. იგი მდებარეობს ცენტრალურ

ბოჰემიაში, მდინარე ვლტავაზე. 1100 წელზე მეტია რაც პრაღა წარმოადგენს ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს. 1992 წლიდან პრაღის ცენტრი შესულია იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში. გამოირჩევა თანამედროვე დასავლური სტილით ბაროკოს და არტ ნიუს, გითიკის, კუბიზმისა და მოდერნისტული არქიტექტურით, შუა საუკუნოვანი სასახლეებით. ეს არის ქვეყანა ტურისტებისათვის, ვინც უპირატესობას ანიჭებს კულტურას, სტილს და ფუფუნებას.

ქალაქის ერთ ერთი მთავარი ღირშესანიშნაობაა პრაღის გრადა - ყველაზე დიდ ციხესიმაგრათა, მონასტერთა და ეკლესიათა კომპლექსი მსოფლიოში - დღეისათვის ის ჩეხეთის პრეზიდენტების რეზიდენციას წარმოადგენს. აგრეთვე მავზოლეუმი, ლორეტანული ეკლესია, სტრაგოვის მონასტერი სადაც 130 ათასი ტომი უნიკალური წიგნთა საცავია.

წმინდა ვიტის კათედრალურიდა წმინდა გიორგის ეკლესიები, ჩეხ მეფეთა სასახლე, ოქროს ქუჩა ხიბლავს სტუმართ სტილის მრავალფეროვნებით. აქედან იშლება ქალაქის ცნობილ არქიტექტურული ძეგლთა და მცირე გრადის ძველი მოედნის პანორამა. აგრეთვე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვევს კარლოსის ხიდი, ქალაქის კოშკის საათი და ვაცლავის მოედანი.

პოპულარულია დედაქალაქის მუზეუმები: ჩეხური ლიტერატურის, სამხედრო-ისტორიული, ეროვნული, მოცარტის, ევროპის, ლორეტანული მონასტერის მუზეუმები, ეროვნული გალერეა და ა.შ.

დიდ ყურადღებას იქცევს კუნტა გორა - იუნესკოს ძეგლი - შუასაუკუნეების ვერცხლის მოსაპოვებელი ცენტრი, წმინდა ბარბარეს გოთიკური კათედრალური ეკლესია, იტალიური ეზო (ყოფილი ფულის სამეფო ეზო), და XV საუკუნის უნიკალური ქვის ფანტანი. აგრეთვე სელდეცი - უნიკალური ადგილი მსოფლიოში - ძვლებისა და თავისქალების საცავი.

უნდა აღინიშნოს ჩეხი ხალხის საუკუნოვანი ტრადიციების არსებობა ლიტერატურაში, ფერწერაში, თეატრსა და მუსიკაში. ჩეხერუ მუსიკა, კომპოზიტორები და სემსრულებელნი ცნობილნი არიან მთელს მსოფლიოში. იზრდება კლასიკური მუსიკის ფესტივალების პოპულარობა. ყველაზე ცნობილი მათ შორის არია „პრაღის გაზაფხული“, რომელიც ყოველწლიურად მაისის თვეში ტარდება ქვეყანაში.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში თეტრს. მსხვილი თეატრების კვალდაკვალ, რომელიც ჟანრობრივი ხასიატს ატარებენ, მაყურებელს შეუძლია აირჩიოს ანსამბლი, რომელიც სეზონურად მართავს დადგმებს.

ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მუზეუმები და სურათის გალერეები.

ჩეხეთი ისტორიული ქალაქების ქვეყანაა. ამ თვალსაზრისით თვალწარმტაცია ჩესკე-ბუდეიოვიცე, ჩესკი-კრუმლოვი, კუნტა-გორა, ოლომოუცი, კრო-მერჟიკი, სლავონიცე, ტაბორი, ტელჩი. თითოეული ამათთაგანი განუმეორებელ უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს. ტურისტებს აქ იზიდავს, მრავალრიცხოვანი, ისტორიული, არქიტექტურულიძეგლები. რომანტიული ქუჩები, შუასაუკუნეების მონასტრები, სასახლეები, ციხეები, კოლორიტი.

ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კონოპიშტეს სასახლე - XIV საუკუნის ფრანც ფერდინანდის ყოფილი სასახლე, სადაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიული იარაღის, სანადირო ნადავლის, სურათებისა და ქანდაკებების კოლექციაა დაცული.

ჩეხეთის ტურიზმის ტრადიციული სფერო - მინერალური წყლებია. ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში ცნობილი იყო ქვეყნის არაერთი სამკურნალო და თერმული წყლები. ჩეხეთისა და მორავიის კურორტები ევროპის ყველა კუთხიდა გამოჩენილი ადამიანების ვიზიტის წერტილს წარმოადგენდა. აქ ხშირად ისვენებდნენ გოეთე, შილერი, შოპენი, მიცკევიჩი და მრავალი სხვა. საუკუნობრივ ტრადიციებს ემატებოდა ბალნეოლოგიისა და ბალნეოთერაპიის ახალი მეთოდები. ყველაზე მსხვილი კურორტები განთავსებულია დასავლეთ ჩეხურ სამკუთხედში: „კარლოვი ვარი“, „მარიანსკე-ლაზნე“ და „ფრანტიშკოვი-ლაზნე“. სულ ჩეხეთის რესპუბლიკაში 40 კურორტია.

ჩეხეთი ეს არის თვალწარმტაცი ბუნების ქვეყანა. აქ მრავლადაა ნაკრზალები, მაგალიტად წინარეისტორიული ტყე ბოუბინეში. პალავის შემაღლება მორავიაში, ლაბის ქვიშები. სამხრეთ ჩეხეთის მშვიდი და მრავალფეროვანი ბუნებიდან მარტივად არის შესაძლებელი გადავინაცვლოთ ბესკიდების მკაცრ ან ესენიის მთებში (მორავიაში).

ზამთრის სპორტის მოყვარულთ შეუძლიათ დაისვეონ უკვე ტრადიციულ ცენტრებში (კრონოშე, შუმავა, ბესკიდები, ესენიკი, იერისა და ორლიცის მთები).

დასვენებისთვის მიმზიდველია აუზები, მდინარეები, წყალსაცავები, რომლებიც კარგ შესაძლებლობას აძლევს წყლის სპორტის მოყვარულთ დასვენებისთვის. ჩეხეთი საინტერესოა ნადირობის მოყვარულთათვისაც.

- ესტონეთი დამოუკიდებლად სამუშაოდ

ტურიზმი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

თემა X. ავსტრია

ავსტრია - მცირე სახელმწიფოა ევროპაში, სადაც არსებობს ყველა პირობა იმისთვის, რომ ტურისტმა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნა: აგრეთვე აქ არის ყველაფერი სრულყოფილი დასვენებისთვის: მთის ჰაერი, ლანდშაფტისა და არქიტექტურის სილამაზე, უმაღლესი სერვისი სასტუმროებსა და რესტორნებში.

ქვეყნის გეოგრაფია, ტერიტორია და ლანდშაფტი

ავსტრია განლაგებულია ცენტრალურ ევროპაში. სამხრეთით ქვეყანას ესაზღვრება იტალია (საზღვრის სიგრძე 430 კმ) და სლოვენია (262კმ), სამხრეთ დასავლეთით - შვეიცარია (164 კმ), დასავლეთით გერმანია (784 კმ) და ლიხტენშტეინი (37კმ), ჩრდილოეთით ჩეხეთი (362 კმ), აღმოსავლეთით უნგრეთი (366 კმ), ჩრდილო აღმოსავლეთით სლოვაკეთი (91კმ). ქვეყნის საზღვრების საერთო მოცულობა 2496 კმ-ია. ტერიტორია 849 კვ/კმ. ავსტრია უპირატესად მთიანი ქვეყანაა მისი 70% აღმოსავლეთ ალპებს შეადგენენ. რომლებიც გაცილებიდ დაბალია შვეიცარიულ აპლებთან შედარებით რის გამოც უფრო ხელმისაწვდომია. ქვეყანაში მრავლადაა ალპების ტყეები. ყველაზე მაღალი წერტილი არის ორთავა მთა გლოსგლოკნერია (3797 მ). ავსტრიის ალპების ერთ-ერთი თავისებურებაა მისი ღრმა და ფართო უდაბნოებად დანაწევრებულობა, რის გამოც სიღრმეები გაცილებით მარტივად მისღწევი ხდება. ტურიზმისათვის საინტერესოა მთათაშორისი, განსაკუთრებით კლაგენფურტისა და გრაცკის ვარდნილები. დანარჩენი ლანდშაფტი შედგება ბორცვებისა და ვაკე ადგილებისგან.

ავსტრიის დუნაისპირა ზოლში და მასთან მიმდებარე დასავლეთ ფერდობებზე კლიმატი თბილი და ზიმიერად ნალექიანია (700-900 მმ ნალექი წელიწადში). გაზაფხული საკმაოდ თბილი და ხანგრძლივია. საშუალო ტემპერატურა ივლისის თვეში 20 C შეადგენს. თოვლის ზოლი ძირითადად გადის მაღლობებზე 2500-2800 მ. ზაფხული მაღალ მთებში ცივი, ქარიანი, ხშირია ზღვის თოვლიც. ზამთრობით გაცილებით მეტი ნალექია ვიდრე ზაფხულობით.

ტბები და მდინარეები

ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მიედინება მდინარე დუნაი. ის ერის ერთადერთი გემთმავალი მდინარე ავსტრიაში. სხვა მსხვილი მდინარეებია: მური, დრავა, ზალშჩახი და ინი.

ყვეყანაში საკმაოდ ბევრი ტბებია. დასავლეთით ავსტრიას განეკუთვნება ბოდენის ღრმა და დიდი ტბის ნაწილი, ხოლო აღმოსავლეათით ნეიზიდლერ-ზეს მცირეწყლიანი ტბის ნაწილი.

მოსახლეობა, დემოგრაფია, დედაქალაქი და დიდი ქალაქები

ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 8 მილიონს შეადგენს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე კვ/კმ-ზე 95 კაცს შეადგენს. აქედან ავსტრიელები 94,4%, ქვეყანაში ასევე ცხოვრობენ ხორვატები (0,3%). მოსახლეობის ვნელოვან ნაწილს შეადგენენ უცხოელები რომლებიც ქვეყანაში სამუშაოდ არიან ჩასულები (ძირითადად ვენაში).

შობადობა 1000 კაცზე 11 შეადგენს, სიკვდილიანობა 10 – 1000-ზე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცბში 72 წელია, ქალებში - 80წელი.

ავსტრიის დედაქალაქია - ვენა. დიდი ქალაქებია გრაცი, ლინცი და ზალცბურგი.

პოლიტიკური წყობა

ქვეყნის სრული სახელწოდებაა - ავსტრიის რესპუბლიკა. სახელმწოფო მოწყობის ფორმაა - ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც 10 ფედერაციულ მიწად არის დაყოფილი: ბერგენლანდი, კარინტია, ვენა, ზედა ავსტრია, ქვედა ავსტრია, ზალცბურგი, შტირია, ტიროლი, აღმოსავლეთ ტიროლი, ფორარლბერგი.

ქვეყნის მეთაურად ითვლება პრეზიდენტი, თუმცა რეალური აღმასრულებელი ხელისუფლება ქვეყანაში კანცლერის ხელშია, რომელიც მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობს. ორპალატიანი პარლამენტი (ფედერალური კრება) შედგება ზედა, ანუ ფედერალური საბჭოსგან (ბუნდესრატი), და ქვედა, ანუ ეროვნული კრებისგან.

ავსტრიაში მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემაა.

რელიგია

კათოლიკურ მწრამს ქვეყანაში აღიარებს მოსახლეობის 85%. პროტესტანტები შეადგენენ 6%. სხვა რელიგიების წარმომადგენლები 9%.

ენა

ავსტრიის სახელმწიფო ენაა - გერმანული მრავალი დიალექტებით. აგრეთვე გავრცელებულია ხორვატიული და სლოვენური ენები.

ტრანსპორტი

ავსტრიაში მოხვედრა შესაძლებელია თითქმის ყველა სატრანსპორტო საშულებით. საერთაშორისო რეისები სრულდება ვენიდან, გრაციდან, ინსბრუკიდან, კლაგენფურტიდან, ლინციდან და ზალცბურგიდან.

საავტობუსო მომსახურება (ავტობუსები და ავტომობილები) სრულდება ქვეყნების, რეგიონალური კომპანიების, აგრეთვე კერძო კომპანიების მიერ. სულ მოითვლიან 200 მარშრუტს, რომელთა მოზრაობა ხდება განრიგის მიხედვით. რეისები სრულდება ყველა მიმართულებით და ყველა საავტობუსო სატრანსპორტო საშუალებებით „ევროპაბუსის“ ჩათვლით.

ავსტრიის სარკინოგზო ხაზები შეადგენენ დაახლოებით 5800 კილომეტრს და დაკავშირებულნი არიან საერთოევროპულ სარკინიგზო ქსელთან. არსებობს საშეღავათო ტარიფები, რომელიც გამოიყენება ავსტრიის სარკინოგზო ქსელების აბონენტთათვის. ან ყველა იმათთათვის ვინც აქტიურად გამოიყენებს ქვეყნის სარკინიგზო ქსელს. ბავშვები 6 წლამდე მოგზაურობენ უფასოდ. ხოლო 6-15 წლისა გადაიხდიან გადასახადის ნახევარს.

ვენასა და ბადენს შორის კურსირებს ჩქაროსნული ტრამვაი.

გემთსვლა დუნაიზე ხორციელდება აპრილის შუახანებიდან ოქტომბრის ბოლომდე, ხოლო ტბებზე კი მაისიდან სექტემბრის ჩათვლით. დუნაიზე ხორცილედება მოგზაურობა არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ავსტრიის მიმდებარე ქვეყნებშიც. ჯგუფებისთვის არსებობს სპეციალური მომსახურებაც.

სამოქალაქო ტრანსპორტი წარმოდგენილია ავტობუსების, ტრამვაია, მეტროს და ჩქაროსნული სარკინიგზო ქსელის სახით.

ვალუტა

ეროვნულ ვალუტას განეკუთვნება შილინგი, რომელიც 100 გროშისგან შედგება.

100 ავსტრიული შილინგი = 7.5 აშშ დოლარს.

რა თქმა უნდა, სასტუმროებში, რესტორნებში, და მაღაზიებში შესაძლებელია გადახდა საკრედიტო ბარათების მეშვეობით.

საბაჟო შეზღუდვები და ტურისტული ფორმალობები

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან მოქალაქეებს ავსტრიაში შეუძლიათ შესვლა ვიზის გარეშე. მათთვის აუცილებელია მხოლოთ საზღვარგარეთის პასპორტი.

სლოვენიის, ხორვატიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთისა და უნგრეთის მოქალაქეები უვიზო მიმოსვლის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქვეყანაში შედიან უვიზოდ. დსთ (ყოფილი) ქვეყნებისთვის აუცილებელია ვიზა.

იმათთვის ვისაც ქვეყანაში ძაღლის ან კატის შეყვანა სურს მან დამატებით პროცედურები უნდა გაიაროს. კერძოდ ცოფის საწინააღმდეგო აცრე გერმანულ ენაზე დამოწმებული.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1995 წელს ავსტრია მიუერთდა ევროპის კავშირს, მასზე ვრცელდება ეკ ყველა რეგლამენტაცია.

ქვეყნებისთვის რომლებიც არ არიან ევროპის კავშირის წევრები უფლება აქვთ ქვეყანაში შეიტანონ მოგზაურობისთვის აუცილებელი პირადი მოხმარების ნივთები.

არაკომერციული დანიშნულების ნივთები შეიძლება ქვეყანაში ადამიანმა შეიტანოს იმ შემთხვევაში თუ მას შეუსრულდა 17 წელი. აგრეთვე ნივთები თუ მათი ღირებულება არ აღემატება 2500 ავსტრიულ შილინგს. უცხოური ვალუტა ქვეყანაში შეიტანება და გაიტანება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

ტურიზმი

ავსტრია იდეალური ქვეყანაა მთაში მოგზაურობის მოყვარულთათვის. ბრწყინვალედ განვითარებული რეკრეაციული ინფრასტრუქტურა (გზები, ამწეები, ფუნიკულიორები, ოტელები, რესტორნები) მსურველებს თითქმის ყველა წერტილში მოხვედრის საშუალებას აძლევს. ტურიზმისა და სპორტისთვის მეტნაკლებად პოპულარული ობიექტები (მაგალითად, მთა გროსგლოკნერი) უზრუნველყოფილია ავტოსტრადებით.

ავსტრიას სამთო სათხილამურო სპორტისა და დასვენების აკვანსაც ეძახიან. მიჩნეულია, რომ სწორედ აქ წინა საუკუნის დასაწყისში გაჩნდა სამთო თხილამურების პროტოტიპი.

ტურისტებს ავსტრიაში იზიდავს არამხოლოდ დასვენება მთებში, არამედ ბუნებისა და ქვეყნის ისტორიულ-ღირშესანიშნაობების გაცნობა, რომლებიც უხვადაა ყველა მიწაში.

ფორალბერგის ფედერალური მიწა განლაგებულია ავსტრიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, და მას მრავალფეროვანი ლანდშაფტი გააჩნია: სილ-ვრეტტის საყინულეებით დაწყებული რეინის უდაბნოთი დამტავრებული. ფორალბერგი იყოფს გერმანიასთან და სვეიცარიასთან ბოდენის ტბას.

ფორალბერგის მიწის დედაქალაქია - ბრეგენცი. აქ ტურისტების ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილები:

ცისტერცინების ბერთა ორდენის სააბატო, რომელიც 1097 წელს დაარსდა როგორც ბენედიქტეს მონასტერი. ეკლესია რესტავრირებული იქნა 1964წ. სააბატოში შესაძლებელი ვნახოთ რომანული პერიოდის მიწისქვეშა ნაწილი.

პფანდერის მთა (1064 მ, სადაც საბაგირო გზით მოვხვდებით). აქედან შესაძლებელია ვნახოთ ველური ცხოველების პარკი „საფარი“.

ფელდკირხში შესაძლებელია ვნახოთ ფორალ-ბერგ - შატტენბურგის ყველაზე ცნობილი ციხე-სიმაგრე. ციხის ზოგიერთი შენობა თარიღდება 1200 წლით.

ქალაქ ხოენემსი ცნობილია რენესანსის ეპოქის სასახლით, რომელიც XVI საუკუნით თარიღდება.

ფორალბერგის აღმოსავლეთით განლაგებულია ტიროლის ფედერალური მიწები. რომლის უმშვენიერეს ლანდშაფტს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მრავალი ტბა, მათ შორის ყველაზე დიდია ახენზეეს ტბა რომელიც მოქცეულია კარ-ვენდელისა და როფანის მთებში. სხვა ცურვისთვის გამოსაყენებელი ტბებია პილლერზეე და შვარცზეე, რომლებიც კიტცბიუელის გვერდითაა განლაგებული. ხოლო გერმანიის საზღვარზე აქტიური დასვენებისთვის გამოიყენება ტბა ვალხზეე. აქვეა აღმოსავლეთ ტიროლში ყველაზე დიდი ტბა ტრისტახერ ზეე.

ტიროლის დედაქალაქია - ინსბრუკი და ის მდინარე ინნის გაყოლებაზეა. ქალაქი მოქცეულია აღმოსავლეთ ალპებში, კარვენდელის უღელტეხილის ძირას. ქალაქში მრავლადაა შენობები ტავისებური არქიტექტურით რომელიც მხოლოდ ტიროლის კოლორიტისთვისაა დამახასიათებელი.

ინსბრუკის განსაკუთრებულობას წარმოადგენს გოთიკური ტაძრების სიახლოვე ძველი ქალაქის ბაროკოსა და როკოკოს სტილში ნაგებ ეკლესიებთან.

ქალაქს საუკეთესო რეკლამა გაუკეთეს მის შემოგარენში არსებულმა სამთო სათხილამურო ექვსმა რაიონმა (იგლე, აკზამერ-ლიცუმი, ტულფეს მუტტერსი, შტუბაი, ხუნგერბურგი) სადაც ორი ზამთრის ოლიმპიადა გაიმართა 1964 და 1976 წწ.

ინსბრუკის სტუმართა ყურადღებას იქცევს სემდეგი ღირშესანიშნაობები:

ხოფკირხე - ფრანცისკანელების მონასტერი (1533წ), ეკლესია (1563წ), რომელიც აშენდა მაქსიმილიან I საპატივსაცემოდ;

ვილტენის სააბატო (1138 წ), ეკლესია (1660 წ), ბაროკოს სტილის ინტერიერით;

ამბრასის სასახლე, რომელიც ფერდინანდ II რეზიდენციად ისე იქნა აგებული. სასახლეში განთავსებულია ჰაბსბურგების გალერეა, კუნსტკამერა, იარაღის ოტახი;

ხოფბურგი - მიწების ყოფილ მმართველთა რეზიდენცია (XVIII ს);

ალპების ზოოპარკი, სადაც წარმოდგენილია ალპების ცხოველტა თითქმის ყველა სახეობა;

ავსტრიის ერთერთი ყველაზე მსხვილი და ცნობილი კურორტი აკიტცბიუელი, რომელიც ტრიპოლის აღმოსავლეთ ნაწილში, ინსბურკიდან 90, ხოლო ზალცბურგიდან 100 კილომეტრშია განლაგებული.

კიტცბიუელში, ისევე როგორც ბევრ კურორტზე, მრავლადაა კლუბები, კაზინოები, სპორტული ცენტრები და აუზები.

ინსბურკიდან ოდნავ აღმოსავლეთით არის ქალაქი ვატტენსი. ტურისტებს აქ იზიდავს მუზეუმი, რომელიც 1995 წელს დაარსებულ იქნა სვაროვსკის კომპანიის მიერ. აქ წარმოდგენილია კრისტალებისა და მინერალების უცნობი საყარო.

ინსბურკიდან ნახევარი საათის სავალშია ზეეფელდი. ის ქვეყნის ერთ-ერთ იაფ კურორტადაა მიჩნეული. ზეეფელდი პოპულარურია დამწყებ მოთხილამურეებში, რადგან ტრასების უმეტესობა აქ მცირე სირთულისაა.

იტალიის საზღვართან ახლოს, ინსბურკიდან 40 კილომეტრ სავალში არის კურორტი ოტცტალი. ის აერთიანებს ოთხ სამთო კურორტს: ზელდენს, ხოხზელდენს, ვენტს, ცვიზელშტაინს.

აღმოსავლთ ტიროლში არის ქალაქი ლიენცი. ის იზიდავს ტურისტებს ბრუკის ციხესიმაგრით, რომელიც XIII საუკუნეშია ნაგები. ლიენცის დასავლეთით არის ქალაქი ხაინფელსი. აქ საინტერესოა ძველი ქალაქის ნანგრევები.

აქტიური დასვენების მოყვარულებს იზიდავს ცილლერტალის უდაბნო. აქ არსებული საკურორტო ქალაქებით მაიერხოფენი, ცელ-ამ-ცილერი, ფინკელბერგი და ხინტერტუკსი.

ყველაზე პოპულარული სამთო კურორტი - სან-ანტონია. სწორედ აქ ჩამოდიან დასასვენებლად კორონირებული პერსონები. აქ ფერდობებზე თამაშდება მსოფლიო თასი სათხილამურო სპორტში. კურორტების ლეხის, ციურის, და სან-კრისტოფი სან ანტონს გააჩნია საბაგირო ერთიანი სისტემები, რაც ზრდის მთიდან დაშვების ინტენსივობას.

ზალცბურგის მიწები ასევე მიმზიდველია ტურისტებისთვის. მიწის დედაქალაქია იგივე სახელწოდების ქალაქი. ზალცბურგიდან შესაძლებელია მივიდეთ ფლახგაუს და ობერტრუმერ ზეეს, მატტზეეს და ვალერზეეს ტბის რაიონებში. ცელლერის ტბის სანაპიროებიდან იხსნება აპების მთების ყინულით დაფარული მწვერვალები.

ზალცბურგი განლაგებულია ზალცეხის მდინარის უდაბნოებში. რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ის წარმოიშვა ჩვ. წ-აღ. VIII საუკუნეში. ასწლეულების მანძილზე ზალცბურგი კათოლიციზმის საყრდენს წარმოადგენდა, და დღეს აქ არქიეპისკოპოსის რეზიდენციას წარმოადგენდა. ზალცბურგის ქუჩები მორთულია მრავალი სკულპტურებით, ბარელიეფებით შენობებზე, ფანტანებით. ქალაქის ძველი ნაწილი ზალცახის სანაპიროებზეა გაშენებული. აქ აღმართულია ხოეენვალც-ბურგის საარქიეპისკოპოსო სასახლეების უზარმაზარი შენობები.

ბაროკოს მირაბელის სასახლე (XVIII ს) და წმინდა სამების ეკლესია. ზალცბურგი მოცარტის სამშობლოა. გეტრეიდგასსეს ქუჩაზე შენარჩუნებულია სახლი. სადაც დაიბადა კომპოზიტორი. და სახლი მარკტპლატშის მოედანზე სადაც მოგვიანებით ცხოვრობდა მისი ოჯახი. ყოველწლიურად ზალცბურგში ტარდება მუსიკალური და თეატრალური ფესტივალი, სხვადასხვა გამოფენები.

ავსტრიის მნიშვნელოვანი და პოპულარული კურორტია ცელ-ამ-ზეე, რომელიც ალპების ჩრდილოეთ იგივე სახელწოდების ტბაზეა განთავსებული.

ბადგასტაინი - ერთდროულად სამთო და ბალნეოლოგიური კურორტია ავსტრიაში, რომელიც მაღალი ტაუერნის მთებშია განლაგებული დაახლოებიტ 1000 მ სიმაღლეზე გასტაინერ-ახეს მდინარის მიდამოებში, აქ თერმული წყლების 18 სახეობაა დაფიქსირებული. კურორტი ბაგდასტაინი არსებობს XIV საუკუნიდან. საერთო აღიარება კი მან მოიპოვა XIX საუკუნეში.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ზემო ავსტრიის ფედერალური მიწა. მისი დედაქალაქია ლინცი. სადაც ყურადღებას იქცევს შემდეგი ღირშესანიშნაობები: ხაუტპლატცის მოედანზე ქალაქის რატუშა და სამების კოლონა; ფრაინბერგის მთები (336 მ) და პესტლინბერგი (537 მ); ბოტანიკური ბაღი; ქალაქის სასახლე (XV ს.).

პირნ-აიზერვურცენის რაიონში განლაგებულია კალ-კალპენის ეროვნული პარკი, აქ მომნახველებს შეუძლიათ ნახონ მარალები, კოსული და სერნი, აგრეთვე ცხოველთა ისეთი იშვიათი ჯიშები როგორებიცაა ალპური სალამანდრი და შავი გლუხარი.

ქალაქ ველსში სტუმრების ინტერესს იწვევს მინორიტების ტაძარი (XIII ს.), ფრინველთა ნაკრძალი „შმიდინგი“, თოჯინების მუზეუმი, აგრეთვე ლანდფიურსტის რეზიდენცია, სადაც გარდაიცვალა იმპერატორი მაქსიმილიან I.

ქვედა ავსტრია განლაგებულია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ეს ნაწილი გამოირჩევა მეღვინეობით. რის გამოც ამ მხარეს ღვინო ვაინფირტელის საპატივცემულოდ იგივე სახელს ეძახიან.

ქვედა ავსტრიის დედაქალაქია - სანკტ-პელტენი. ღირშესანიშნაობებს შორის აღსანისნავია ფორალპენდლანდის მთა, საიდანაც იხსნება ნუსდორფის ხედი, ქალაქის რატუშა.

შლოსხოფის მხარეში შესაძლებელია პრინც ევგენი სავოიელის საზაფხულო რეზიდენციის (XIII ს.) ნახვა.

ბადენი - კლიმატური კურორტია. აქ ისვენებდნენ და იჯანსაღებდნენ სხეულს არისტოკრატები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ოტელების, სანატორიუმების და განვითარებული ინფრასტრუქტურის კვალდაკვალ ქალაქში ტურისტებს იზიდავს არქიტექტურა, სადაც გვხვდება სხვადასხვა სტილი - მოდერნი, არტ-დეკორი, ბიდერმაიდერი და ა.შ.

ავსტრიაში ყველაზე მცირე ფედერალური მიწაა ვენა. მის ტერიტორიაზეა ქვეყნის დედაქალაქიც. რომელიც არის ტრადიციებით მდიდარი იმპერატორთა რეზიდენცია. ვენაში ერთმანეთს ერწყმის წარსულის არქიტექტურული ძეგლები და თანამედროვე ულტრათანამედროვე შენობები. ქალაქი გარშემორტყმულია ვენის ტყით, შესაბამისად დასვენების ეგოდენ დიდი ზონით შეუძლებელია დაიკვეხნოს რომელიმე სხვა ქვეყანამ. ქალაქის ისტორიული ცენტრი განთავსებულია რინგის ქუჩის ფარგლებში. ამ უკანასკნელზე, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩად ითვლება გამოდის ხორფურგის სასახლის ანსამბლი, რომლის შენობა სენდებოდა XIII-XX საუკუნეების განმავლობაში. ხორფურგი 1918 წლამდე იმპერატორების რეზიდენციასაც წარმოადგენდა.

რინგის ქუჩაზევე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით განლაგებულია ავსტრიის პარლამენტის, ქალაქის რატუშის, უნივერსიტეტის შენობები. აღმოსავლეთით მიმართულებით კი ვენის ოპერის ცნობილი შენობა და კარლსკირხის ეკლესია.

ვენის სიმბოლო და მთავარი არქიტექტურული კომპლექსი ძველი ქალაქის ტერიტორიაზეა მოთავსებული. ეს არის XII—XVსს წმინდა სტეფანეს ეკლესია.

ავსტრიის უკიდურესი აღმოსავლეთი მიწაა ბურგელანდი. განსაკუტრებული მიმზიდველობით სარგებლობს ტბა ნოიზიდლერ ზეე. ბურგენლანდი აწარმოებს ღვინოების საკმაოდ დიდ რაოდენობას. ავსტრიული ღვინოებით თითქმის მეოთხედი, განსაკუტრებით თეტრი, ნოიზიდლერ ზეეს რაიონში იწარმოება. ხოლო ბრწყინვალე წითელი ღვინოებით იწონებენ თავს ბურგენლანდის ცენტრალური და სამხრეთი რაიონები.

ბურგენლანდის დედაქალაქია აიზენშტადტი. სტუმრებს აქ შეუძლიათ ნახონ ესტერხაზის სასახლე, რომლის ოთხი ფლიგელი ბაროკოს სტილშია შესრულებული (XVII ს.), აგრეთვე კომპოზიტორ ფრანც ლისტის სახლმუზეუმი.

რაც შეეხება შტირიის ფედერალურ მიწას ის ცნობილია თავისი უკიდეგანო ტყეებით, რომლის წყალობიტაც მან „ავსტრიის მწვანე გულის“ სახელიც კი მიიღო. აქ დასვენებისთვის საინტერესო ადგილია გრუნდლზეეს ტბის რაიონი.

ტურიზმს ავსტრიაში გააჩნია ორი ცხელი სეზონი. გაზაფხულობით როდესაც მისი „პიკი“ აგვისტოს თვეზე მოდის, ხოლო ზამთრობით თებერვალზე.

თემა XI. ესპანეთი

კორიდა და სერენადები, დიდებული ეკლესიები რომლებიც ინკვიზიციის ეპოქის ისტორიას ინახავენ, თანამედროვე არქიტექტურა, უძველესი კულტურა და ქცევის ბუნებრივი სილაღე, ველასკესისა და კოლუმბის, გოიასა და დალის, პიკასოსა და ლორკას, გაუდისა და ელ გრეკოს ქვეყანა - ყველა ეს ერთად ესპანეთია. მრავალი რევოლუციის მიუხედავად, ის დღემდე მონარქიად რჩება, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს ტრადიციებსა და თანამედროვეობას. ესპანეთი მრავალი ადამიანის ყურადღებას იქცევს რის გამოც ყოველწლიურად მას მილიონობით ტურისტი სტუმრობს.

ქვეყნის გეოგრაფია, ტერიტორია და ლანდშაფტი

ესპანეთი სამხრეთ-ევროპული სახელმწიფოა. ის პირინეის ნახავარკუნძულის 5/6 იჭერს. ქვეყნის ტერიტორია 504,8 ათას კვ/კმ შეადგენს. ევროპის კონტინენტზე ამ მაჩვენებლებით რუსეთისა და საფრანგეთის შემდეგ ის მესამე ადგილზე დგას. ესპანეთის ძირითადი ნაწილი (493 484 კვ/კმ) პირინეის ნახევარკუნძულზე დგას, დანაჩენი კი მისგან სამხრეთით ხმელთაშუა ზღვაში ბალეარისა და პიტიუზის, აგრეთვე ატლანტიკის ოკეანეში კანარის კუნძულებია. ესპანეთს ეკუთვნის ჩრდილოეთ აფრიკის ორი ქალაქი სეუტა და მელილია.

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვითპირინეის ნახევარკუნძული აფრიკის კონტინენტთან ყველაზე ახლოს დგას (14 კმ. სიშორეზე) და ატლანტიკის ოკეანით ირეცხება, საიდანაც ხორციელდება მარშრუტი ამერიკის მიმართულებით, ეს კი ნახევარკუნძულს სტრატეგიულ მნიშვნელობას ძენს. ამით აიხსნება ის ფაქტიც რომ ნახევარკუნძული ისტორიის მანძილზე ცივილიზაციატა კვეთის წერტილს წარმოადგენდა. პირინეის მთები რთულად დასალაშქრია და ისინი გამოჰყოფენ ესპანეთს ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებისგან, პორტუგალიის გარდა, რომელიც ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილს მოიცავს.

ესპანეთს ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა და ატლანტიკის ოკეანე. მისი საზღვრების სიგრძე 3144 კმ. შეადგენს. ხმელეთით ის ესაზღვრება პორტუგალიას, საფრანგეთს ჯუჯა სახელმწიფო ანდირას, გიბრალტარს.

შვეიცარიის შემდეგ, ესპანეთი ყველაზე მარალმთიანი სახელმწიფოა ევროპაში. მთები და ბრთყელი მთიანი ზოლი ქვეყნის ტერიტორიის 90% შეადგენს. მესეტას ბრტყელიმთიანი ზოლი ქვეყნის თითქმის ½ მოიცავს. მესეტის დასავლეთ ნაწილში მრავლადაა ტექტონიკური ხრამები და მდინარისპირა უდაბნოები. ცენტრალური კორდელიერები მესეტას ჰყოფს ორ - ჩრდილოეთ, ძველი კასტილიის და სამხრეთ, ახალი

კასტილიის ბრტყელმთებად. მესეტას ჩრდილოეთით, ბისკაის ყურის სანაპიროზე, გადაჭიმულია კანტაბრიის მთები, რომელიც აგრძელებს პირინეის მთების სისტემას. პირინეის საშუალო სიმაღლე 2500 მ. აღემატება. უმაღლესი წერტილი ანეტოს პიკია (3404მ).

მესეტას ჩრდილო-აღმოსავლეთით იბერიის მთებია, რომელთა განი 250 კმ-ს, ხოლო სიმაღლე 2313მ შეადგენს (პიკი მონკაიაო). სწორედ იბერიის მთებში იღებს სათავეს ესპანეთის მსხვილი მდინარეები. აღმოსავლეთ პირინეისა და იბერიის მთებს შორის გაწოლილია კატალონიის არც ისე მაღალი მთები.

ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია მასივებისა და ბორცვების სისტემა კორდილ-ერა-ბეტიკა და სერრა-ნევადას მთებით. მულასენის მთა ყველაზე მაღალი წერტილია ესპანეთში (3478 მ).

დარჩენილ 10%-ს სერრა-მორენოსა და კორდილიერო-ბეტიკას შორის შეფენილი ანდალუზიისა და არაგონის დაბლობები იჭერს.

ესპანეთის სანაპიროები მრავალფეროვნებით გამოირჩევა; აქ ხშირია წყალმცენარეები, კლდეები, გაყოლებული ქვისის და კენჭოვანი სანაპიროები. გალისიის სანაპიროები ხშირად ნორვეგიის ფორდებსაც კი მოგაგონებთ, ხოლო ატლანტიკის სანაპიროებზე ხშირია კონცხები, ჯუჯა გამოქვაბულებით. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე ასევე ხშირად გვხვდებ ლაგუნები და ჭაობები.

კლიმატი

ესპანეთისთვის დამახასიათებელია სუბტროპიკული ჰავა ცხელი, მწველი ზაფხულითა და რბილი, წვიმიანი ზამთრით. ესპანეთის მრავალფეროვანი და კონტრასტული ჰავა აიხსნება რელიეფის სირთულით, ატლანტის ოკეანისა და აფრიკის კონტინენტის კლიმატის ზემოქმედებით. ყველაზე მეტი ნალექი მოდის ჩრდილოეთში და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (წლიური ნალექის რაოდენობა აქ 1000 მმ-ზე მეტია, მთიან რაიონებში კი — 1500-2000 მმ), ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთი რაიონები უფრო მშრალია (წლიური ნალექიანობა 500მმ-ზე ნაკლებია). გამოიყოფა მაღალმთიანი რაიონები ცივი ზამთრით, უხვი თოვლიანობითა და გრილი ზაფხულით, რომელიც მშრალია სამხრეთში, ნესტიანი და წვიმიანი — ჩრდილოეთ ესპანეთი. პირინეებში თოვლის ხაზი 2800 მეტრზეა.

ესპანეთში, საბერძნეთისა და იტალიის მსგავსად, ევროპაში ყველაზე ბევრი მზიანი დღეა.

ტბები და მდინარეები

ესპანეთში საკმაოდ ბევრი, მაგრამ მცირეწყლოვანი მდინარეთა სისტემაა, რომლებიც როგორც ატლანტის ოკეანის, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზსაც მიეკუთვნებიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვან მდინარეთა სისტემებს წარმოადგენს ატლანტის ოკეანის აუზში შემავალი მდინარე¬ები დუერო (780კმ), ტეჟო (1010კმ), გვადიანა (820კმ), გვადალკვივირი (680კმ) და ასევე ებრო(928კმ), რომელიც ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება. ესპანეთის სხვა მსხვილი მდინარეებიდან გამოიყოფა მინო (340კმ), ატლანტიკისაუტი, ხუკარი (498კმ) და სეგურა (341კმ).

პოლიტიკური წყობა

ესპანეთი საპარლამენტო მონარქიაა. კონსტიტუცია ქვეყანაში მიღებული იქნა 1978 წელს. სახელმწიფოს მეთაურია - მეფე. მისი უფლებამოსილება მკაცრად რეგლამენტირდება კონსტიტუციით. საკანონმდებლო საქმიანობას ახორციელებენ კორტესები (პარლამენტი), რომელიც ორი პალატისაგან შედგება სენატი (208 წევრი) და დეპუტატთა კონგრესი (350 წევრი), რომელთა შემადგენლობა აირჩევა საერთო არჩევნების გზით 4 წლის ვადიტ. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა, თავმჯდომარის ხელმძღვანელობიტ.

ესპანეთში ოფიციალურად დარეგისტრირებულია დაახლოებით 500 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

რელიგია

თითქმის მთელი მოსახლეობა ესპანეთში კათოლიკური აღმსარებლობისანი არიან.

ენა

ოფიციალური სახელმწიფო ენა, რომელზედაც ყველა ესპანელი საუბრობს ესპანურია (კასტილიური ვარიანტი). პროვინციებში გავრცელებულია გალისიური (პორტუგალიურთან მონათესავე), კატალონიური (ფრანგულთან მონათესავე) და ბასკური (არცერთი ევროპული ენის მსგავსი) დიალექტები.

ტრანსპორტი

ესპანეთში ფართოდაა გავრცელებული საავტომობილო მაგისტრალების ქსელი, რომელიცდაახლოებით 340 ათასი კმ–ს შეადგენს, ამასთან, 7 ათასი კმ დიდი გამტარობის მქონე მაგისტრალებია. მაღალსიჩქარიანი გზების მეშვეობით უპრობლემოდ შეგიძლიათ გადაადგილდეთ პირინეის მთებიდან ანდალუზიამდე როგორც ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ, ასევე მადრიდის გავლით, რომელიც ყველა სატრანსპორტო არტერიის მთავარ კვანძს წარმოადგენს. საერთაშორისო საავტობუსო მარშუტები მოსახერხებელი და ეფექტურია. არსებობს ავტობუსის მომსახურება, როგორც შორეულ ისე ახლო

მარშუტებზე. ესპანეთის სარკინიგზო ხაზი გადაჭიმულია დაახლოებით 15 ათას კმ-ზე, რომლიდანაც 471კმ შეადგენს სწრაფმავალ გზას მადრიდი–სევილია (მოძრაობის სიჩქარე 250კმ/სთ), ასევე სწრაფი მატარებელი ტალგო(200 კმ/სთ) დადის მარშუტებზე მადრიდი-მალაგა და მადრიდი-კადისი. როგორც საავტომობილო, სარკინიგზო ქსელი რადიალურად იტოტება გადის მადრიდიდან ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. მგზავრების გადაყვანა საზღვაო გზებით თანდათან მნიშვნელოვან მაჩვენებელს აღწევს ისეთ პორტებში, როგორიცაა ალხესირას პორტი (3,8 მილიონი ადამიანი), სეუტა (2,2 მილიონი) სანტა კრუს დე ტენერიფე (2,6 მილიონი). ხმელთაშუაზღვის კომპანია „ტრანსმედიტერია“ რეგულარულად ასრულებს მარშრუტებს პირინეის ნახევარკუნძულისა და აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილს შორის. საზღვაო ტრანსპორტში ჩართულია დაახლოებით 430 გემი. უცხოელი ტურისტების თითქმის მესამედი ესპანეთში სამოგზაუროდ ირჩევს საჰაერო ტრანსპორტს. ესპანეთის აეროპორტებში ყოველწლიურად დაახლოებით 50 მილიონი მგზავრი მოძრაობს (გადის). 42 აეროპორტიდან 34 ასრულებს რეგულარულ გადაზიდვებს ყველაზე მსხვილია მადრიდის აეროპორტი.

ვალუტა

ესპანეთის ფულის ერთეულია პესეტა.

1 პესეტა = 100 სენტიმოს.

1 აშშ $ = 150 პესეტას.

ტურისტული ფორმალობები და საბაჟო შეზღუდვები

ქვეყანაში სესვლისთვის ტურისტმა უნდა წარადგინოს თავისი პასპორტი ან პიროვნების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. პიროვნების დამადასტურებელი ნაციონალური დოკუმენტი საკმარისია ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების, აგრეთვე შვედეთის, ანდორის, მონაკოსა და ლიხტენშტეინის მოქალაქეთათვის.

სხვა ქვეყნის მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ვიზა შესვლისთვის რომლისთვისაც უნდა მიმართონ ესპანეთის საელჩოს ან საკონსულოებს თავიანთ ქვეყნებში.

ავტომობილისტებს არა ევროკავშირის ქვეყნებიდან ან არა შვედეთიდან ტან უნდა ჰქონდეთ მწვანე ბარათი - სადაზღვევი პოლისი უბედურების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების გაწევისათვის.

ქვეყანაში შესვლისას უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ თან იქონიონ რიგი ნივთები: პორტატული კომპიუტერი, ერთი ვიდეოკამერა და ორი ფოტოაპარატი.

აგრეთვე პორტატული მაგნიტოფონი. ზუსტად ასევეა სესაძლებელი პირადი მოხმარების სპორტული ინვენტარის, ძვირფასეულობის და ა.შ. შეტანაც.

დეკლარირების გარეშე შესაძლებელია ქვეყანაში სეიტანოტ 1 000 000 პესეტა. ნებისმიერი ტანხა რომელიც ამ ციფრს აღემატება უნდა დადეკლარირდეს.

აკრძალულია ნარკოტიკების, იარარის, ფეთქებადი ნივთიერებების სეტანა. შინაური ცხოველების სეყვანისას აუცილებელია სპეციალური ცნობის წარდგენა, რომლითაც დასტურდება ცხოველის ცოფის საწინააღმდეგო აცრა.

ტურიზმი

ყოველწლიურად დაახლოებით 40 მილიონი ტურისტი სტუმრობს ესპანეთს, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ხშირად მონახულებად ქვეყნების სამეულში შედის. ესპანეთში გამგზავრება ნისნავს, სეხვედრას მზესთან, საუკეთესო სამზარეულოსთან, სტუმართმასპინძლობასთან. გარდა ამისა ესაა უმდიდრესი ღირშესანისნაობებისა და ძეგლების, ცალკეული ცივილიზაციების აღმოჩენების ქვეყანა უნიკალური პეიზაჟებითა და ბუნებით. ესპანეთში საშუალება ეძლევა ტურისტს ადგილობრივი მოსახლეობის ადათისა და წეს-ჩვეულების გაცნობის, აგრეთვე ტრადიციულ, სახალხო ზეიმებში მონაწილეობის შანსი.

ესპანეთის ბუნების მრავალფეროვნება, მისი გეოგრაფიული, კლიმატური და პეიზაჟის კონტრასტები მკაფიოდ აირეკლება ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონზე, რომელთა დაყოფა ტურიზმის თვალსაზრისით შესაძლებელია ჯგუფებად. ასე, მაგალითად, შესაძლებელია გამოვყოთ მწვანე ესპანეთი, სადაც სედის გალისიის, ასტურიის, კამტაბრიის და ბასკების ქვეყნის ტერიტორიები. ტურიზმისათვის მნიშვნელოვნად განვითარებული რეგიონებია ვალენსია, ანდალუზია და კატალონია, რომელთაც ტურიზმის ინდუსტრიისთვის აუცილებელი საკმაოდ მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა გააჩნიათ.

შიდა ესპანეთის ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა არაგონი, ბასტილია, ლეონი, კასტილია, ლა-მანჩა და ესტრემადურა ტურისტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ისტორიულ ქალაქებს. აქ მრავლადაა მხატვრული და არქიტექტურული ძეგლები, მდიდარი გასტრონომია. ავტონომიური რეგიონები, როგორებიცაა, ლა რიოხა, მადრიდი, მურსია და ნავარა საშუალებს აძლევს სტუმარს დატკბეს აქაური ბუნების სილამაზით, გამორჩეული არქიტექტურული სტილითა და გასტრონომიით. კუნძულოვანი ესპანეთი კი ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილია დასვენებისთვის. ბალერის კუნძულები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს, იქ ჩამსვლელებს თავისი

სანაპიროებით ხიბლავს, სადაც ზღვაზე დასვენების პარალელურად სტუმარს შეუძლია წყლის სპორტის სახეობებითაც გაერთოს. კანარის კუნძულები - ატლანტიკის ოკეანის აფრიკულ სანაპიროებთან ახლოს არის განლაგებული. პლაჟების წყალობია და ბუნებრივი ვულკანური პარკების თუ განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ასევე მიმზიდველია უცხოელთათვის.

ქალაქები მელილია და სეუტა საინტერესოა თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობებით, რადგან ისინი საკმაოდ ახლოს არიან პირინეის ნახევარკუნძულთან, რაც საშუალებას აძლევს ტურისტებს ასევე წარმატებიტ დაისვენონ ზღვაზე. მადრიდი ესპანეთის დედაქალაქი უმსხვილესი ქალაქი და მსოფლიო მნისვნელობის კულტურული ცენტრია. ყველაზე უნიკალური ღირშესანისნაობე, არქიტექტურული თვალსაზრისით სენარჩუნებილია ქალაქის მოედანზე, პლაზა მეიჯორზე, რომელიც დაკეტილია ავტომობილებისთვის, და მხოლოდ ფეხით მოსიარულე ტურისტებისთვისაა განკუთვნილი. მოედნის ირგვლივ თავმოყრილია ძირითადი ქრისტიანული ეკლესიები - მტავარი საკათედრო ტაძარი, სან-ფრანცისკოს ბაზილიკა, ობისპოს გოთიკური სამლოცველო. ორიენტეს სამეფო სასახლის გვერდით დგას ენკარ-ნასონის უძველესი და ფრანცისკანელების მონასტრები. სამეფო სასახლის ბაღები გახსნილია ყველა ტურისტისთვის, ხოლო საკუთრივ სასახლე კი ესპანეთის ღირშესანიშნაობად მიიჩნევა. ქალაქის ცენტრში განლაგებულია პუერტა დელ სოლის (მზის ჭიშკრები) ოვალური მოედანი. სადაც არაერთი ისტორიული მოვლენა - აჯანყება, ბრძოლა, გაფიცვა, მიტინგები მომხდარა. მოედნიდან იწყება ქალაქის თითქმის ყველა მსხვილი ქუჩა და მაგისტრალები. აქვეა მეტროს ცენტრალური უჯრედი. მის აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება მადრიდის უმსხვილესი პარკი. პარკის ახლოს კორიდის მოედანია.

ქალაქის ისტორიულ ცენტრში თავმოყრილია მეფეებისა და არისტოკრატების სასახლეები, რომლებიც დღეს ხელოვნების შედევრების საცავებს წარმოადგენენ. ესპანეთშია ფერწერის ერთ-ერთი საუკეთესო გალერეა ევროპაში - პრადო. აქ დაცული ნახეტების კოლექცია ინახავს ისეთი მხატვრების ნამუშევრებს როგორებიცაა ელ გრეკო, გოია, ველასკესი, რაფაელი, რუბენსი და სხვა მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრები. ტურისტებს იზიდავს სხვა მუზეუმების კოლექციები - დედოფალ სოფიას ვალიაერმოსის სასახლეში ხელოვნების ცენტრი. მუზეუმის ახლოს გაშენებულია ბოტანიკური ბაღი. სტუმრებში პოპულარობით სარგებლობს ლათინოამერიკული კულტურის მადრიდის

ცენტრი სადაც ამერიკის კონტინენტის ყოფისა და კულტურის არაერთი ნიმუშია წარმოდგენილი.

დიდ ყურადღებას ითმობს იუნესკოს მიერ კაცობრიობის მონაპოვრად აღიარებული ქალაქები. მათ რიცხვს განეკუთვნება: სანტიაგო დე კომპოსტელა (გალისიის ცენტრი), სადაც სიდიდის მიხედვით იერუსალიმისა და რომის შემდეგ მესამე ქრისტიანული სიწმინდე, წმინდა იაკობის სამარხია განთავსებული. აგრეთვე გრანადის ძველი და შთამბეჭდავი რაიონი - ალბაისინი; შუასაუკუნეების საუნივერსიტეტო ცენტრი სალამანკა ძველ კასტილიაში.

მადრიდი ესპანეთის დედაქალაქია და აგრეთვე, იმავე სახელის მქონე ავტონომიური ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი. მადრიდი ქვეყნის უმსხვილესი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცენტრია. ქალაქის მოსახლეობა 3,248 000 მლნ მცხოვრებს შეადგენს. ქალაქი პირენეის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. ქალაქი 1,2 ათას ჰექტარზე გადაჭიმულ აგლომერაციას წარმოადგენს. მისი ფართობი კი 607 კვადრატული მეტრია, რომელიც 21 ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს. ქალაქი მსხილი სატრანსპორტო კვანძია, როგორც სარკინიგზო, ისე ჩქაროსნული გზატკეცილების თვალსაზრისით.

დედაქალაქი ესპანეთში მოსახლეობით პირველ ადგილზე დგას და იმიგრანტების ხარჯზე დღითი-დღე იზრდება. სახელმწიფო ენა ესპანურია, ამას გარდა, ქალაქის მოსახლეობა კატალონიურს, ბასკურსა და გალიციურსაც იყენებს. მადრიდის ქუჩებში ასევე შესაძლებელია არაბული, თურქული და სხვა აზიური ენების მოსმენა. მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკეა.

ძველი თქმულებით, ქალაქი (მდინარე ტიბრის ღმერთის) ტიბერინის ვაჟმა, ანტიკურმა გმირმა ოკნიმ დააარსა. მდინარე მანსანარესის სანაპიროზე თავდაპირველად მანტუის ციხესიმაგრე აშენდა. არის ვერსია, რომლის მიხედვითაც მადრიდის სახელწოდება კელტური მაგერითიდან მოდის - დიდი ხიდი (არაბული დაპყრობის შემდეგ დამახინჯებული ფორმა მაჯირითი). ქალაქი იმავე სახელწოდების სიმაგრის ირგვლივ გაშენდა, რომელიც პირველად 932 წელს იხსენიება. 1083 წლისთვის მადრიდი მეფე ალფონს IV-მ დაიპრყრო. ქალაქის განვითარება 1561 წლამდე, ანუ სანამ მეფე ფილიპე II სამეფოს დედაქალაქად გადააქცევდა, ძირითადად, არაბებისა და ესპანელების ურთიერთობაზე იყო დამოკიდებული, რომლებიც ხან ერთმანეთს ებრძოდნენ, ხან კი მშვიდონიანად თანაცხოვრობდნენ. ქალაქის განვითარების ინტენსიურ პერიოდად 1570-1670 წლები სახელდება. XVI საუკუნის ბოლოს ქალაქში 50 ათასი ადამიანი ცხოვრობდა,

როცა რომ, კარლ V ჰაბსბურგის დროს ორჯერ მეტი. ფილიპე IV-ის მეფობისას ქალაქის რიგით მეოთხე კედელი აშენდა. მეთვრამეტე საუკუნეშე ესპანეთის გვირგვინი ბურბონებისხელში გადავიდა. ფილიპე V-ის დროს 1734 წელს გადამწვარი ალკასარის სასახლის ადგილას დაიწყო ახალი სამეფო სასახლის Palacio Real-ს მშენებლობა. მეფე კარლ III შემდეგ მადრიდი ნამდვილი ევროპული დედაქალაქია. მეფის ბრძანებით მოწვეულ იქნენ ისეთი არქიტექტორები, როგორებიცაა საბატინი, მარკე, ვენტურა როდრიგესი, ხუან დე ვილიანუზვა და სხვები. ჩატარდა კეთილმოწყობის სამუშაოები, განათდა და ვიტრაჟებით გამდიდრდა ქალაქის ქუჩები. მადრიდმა ნეოკლასიკური იერი მიიღო. ამის მიუხედავად, ქალაქის მოსახლეობის ზრდა შემცირდა. 1808 წელს ქალაქს ფრანგები დაეპატრონნენ (ნაპოლენის შეჭრა). ამავე წლის მაისში ფრანგების წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო, რაც ოკუპანტებმა უხეშად ჩაახშვეს. ეს ეპიზოდი, კერძოდ, აჯანყებულთა დახვრეტა,გოიას ერთ-ერთი ტილოზეა ასახული. დედოფალ იზაბელას დროს ქალაქი დიდი სისწრაფით გაიზარდა, შედეგად, ქალაქის თითქმის ყველა კარიბჭის ჩამოხსნა გახდა აუცილებელი. ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ ტოლედოსი და ალკალას კარიბჭეებმა. ქალაქის სერიოზული გარდაქმნა მე-20 - 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მოხდა. ძველის ადგილას, ახალი, ფართო ქუჩები და ბულვარები გაიყვანეს, აშენდა მოდერნის სტილის ბევრი შენობა.

1975 წელს, ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, ქვეყანაში ბურბონების მესამე რესტავრაცია მოხდა და ტახტზე ავიდა ამჟამინდელი მმართველი ხუან კარლოს I. 90-იან წლებში ქალაქში ხელოვნების ორი მუზეუმი გაიხსნა - დედოფალ სოფიასი და ტისენ ბორნემსისა. 2004 წელს მადრიდში ერთდროულად რამდენიმე აფეთქება მოხდა ვაგზლებზე, რომელშიც ალ-ქაიდას ადანაშაულებენ. 11 მარტის მოვლენები ნიუ-იორკის 11 სექტემბრის ტერაქტის ანალოგად სახელდება. დაღუპულთა პატივსაყოფად ქალაქში აღიმართა მემორიალი "გარდაცვლილთა ტყე".

სევილია ქალაქი სამხრეთ ესპანეთში. ანდალუსიის ავტონომიური რეგიონისა და სევილიის პროვინციის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე გვადალკვივირზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროდან 87 კილომეტრის დაშორებით. ანდალუსიის დაბლობის ცენტრში. ქალაქის მოსახლეობა 2006 წლის აღწერით შეადგენდა 704.414 ადამიანს. აგლომერაციის მოსახლეობა 2000 წლის მონაცემებით იყო 1.043.000, და ამგვარად ესპანეთის სიდიდით მეოთხე ქალაქია. სამხრეთ ესპანეთის ხელოვნების, კულტურისა და საფინანსო დედაქალაქია.

სევილია (ძველად ჰისპალისი) იბერიული ტომების ტურდეტანების ცენტრი იყო. ძვ. წ. III საუკუნეში დაიპყრეს რომაელებმა. 712-1248წლებში, არაბთა ბატონობის პერიოდში, სევილიაში დიდ აღმავლობას მიაღწია ხელოსნობამ. 1026 წლიდან სევილიის საამიროს ცენტრი ხდება. არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ კასტილიისა და ლეონის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ტოლედო მდებარეობს, კასტილია-ლა მანჩას ავტონომიურ რეგიონში, მდინარე ტახოს მარჯვენა ნაპირზე. ტოლედოს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრში. ეს ქალაქი ცნობილია ელ გრეკოს სახლ-მუზეუმით.

ქალაქში შემონახულია რომაული ცირკი, შუა საუკუნეების სიმაგრე ალკასარი, გამაგრებული ხიდები - სან-მარტინი (XIII საუკუნე), ალკანტარა (XIII საუკუნე) და ეკლესიები სანტო-კრისტო დე ლა ლუსი(ყოფ. ბაბ მარდუმის მეჩეთი, 960 წელი) და სანტა-მარია ლა ბლანკა (XII-XIII საუკუნე). ტოლედო ეროვნული ნაკრძალია. შენარჩუნებული აქვს ძველი სახე.

ბარსელონა კატალონიის დედაქალაქი და მეორე უდიდესი ქალაქი ესპანეთში, მადრიდის შემდეგ. მის ადმინისტრაციულ საზღვრებში 1 621 537 ადამიანი ცხოვრობს, ფართობი კი 101,4 კმ²-ია. ბარსელონის ურბანული არეალი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებს სცდება და 803 კმ² ფართობზე ვრცელდება, სადაც მოსახლეობა 4 200 000 - 4 500 000 ადამიანს აღწევს, რის შედეგადაც იგი მეექვსე ყველაზე ხალხმრავალი ურბანული არეალია ევროკავშირში, პარიზის, ლონდონის, რურის რეგიონის, მადრიდისა და მილანის შემდეგ. ბარსელონის მეტროპოლიურ არეალში დაახლოებით 5 მლნ ადამიანი ცხოვრობს. ამავე დროს, ის ევროპის უდიდესი მეტროპოლისია ხმელთაშუა ზღვაზე. იგი მთავარი კომპონენტია დიდი ბარსელონის ადმინისტრაციულ არეალში, რომლის მოსახლეობაც 636 კმ²-ზე 3 218 071 ადამიანს შეადგენს. ქალაქი გაშენებული ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მდინარეების — ლობრეგატისა და ბესოსის შესართავებს შორის, დასავლეთით შემოსაზღვრულია სერა-დე-კოლსეროლის ქედით (512 მ).

ბარსელონა რომაელებმა დააარსეს, მაგრამ შემდეგში ბარსელონის საგრაფოს დედაქალაქი გახდა. არაგონის სამეფოსთან შერწყმის შემდეგ, ბარსელონა არაგონების სამეფო ტახტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის მანძილზე მრავალჯერ ყოფილა მტრის ალყის მოწმე თავის გარშემო, ბარსელონას მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია და დღეისათვის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი და ტურისტული დანიშნულების ადგილია. განსაკუთრებით სახელგანთქმულია ანტონიო გაუდისა და ლუის დომენიკი მონტანერის

არქიტექტურული ნამუშევრები, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული. ბარსელონაში მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის კავშირის შტაბ-ბინა. ქალაქმა უმასპინძლა 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, ისევე როგორც მსოფლიო კლასის კონფერენციებსა და გამოფენებს, მათ შორის, 1888 წლის ბარსელონის მსოფლიო გამოფენას (Exposición Universal de Barcelona), 1929 წლის ბარსელონის საერთაშორისო გამოფენას (Expo 1929), 2004 წლის კულტურების საყოველთაო ფორუმს და 2004 წლის მსოფლიოს ურბანულ ფორუმს.

დღეისათვის, ბარსელონა მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ტურისტული, ეკონომიკური, საგამოფენო და კულტურულ-სპორტული ცენტრია. მისი გავლენა ეკონომიკაში, განათლებაში, გართობაში, მედიაში, მოდაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში მას მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გლობალური ქალაქის სტატუსს ანიჭებს. მართლაც, იგი სამხრეთ-დასავლეთ ევროპის (იბერიის ნახევარკუნძული) მთავარი კულტურული და ეკონომიკური ცენტრი, 26-ე მსოფლიოში (მოსკოვისშემდეგ და დუბაის წინ) და მზარდი ფინანსური ცენტრია. 2009 წელს, ის ევროპაში მეოთხე საუკეთესო ქალაქად დასახელდა ბიზნესისთვის. ბარსელონაში მდებარეობს ევროპის მთავარი ნავსადგური ხმელთაშუა ზღვაზე, ისევე როგორც ბარსელონის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც წელიწადში 34 მლნ ადამიანს იღებს. ქალაქი ასევე ფლობს ფართო ავტოსტრადების ქსელს და წარმოადგენს ჩქაროსნული რკინიგზის კვანძს, რომელიც ესპანეთსსაფრანგეთთან და დანარჩენ ევროპასთან აკავშირებს.

ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი სტუმრით, ბარსელონა მე-16 ყველაზე მონახულებადი ქალაქია მსოფლიოში და მეოთხე ევროპაში,პარიზის, ლონდონისა და რომის შემდეგ. ჟურნალ „მონოკლის“ თანახმად, იგი მსოფლიოში მე-14 ყველაზე საუკეთესო საცხოვრებლად ვარგისი ქალაქია. €177 მილიარდის ღირებულების პროდუქციის წარმობით, ბარსელონა მეოთხე უმდიდრესი ქალაქია ევროპაში მშპ-ის მიხედვით და 35-ე მსოფლიოში. [12] შედეგად, ევროსტატის თანახმად, მისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე €39 859-ს შეადგენს, რაც 44%-ით მაღალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე, შემოსავალი ერთ სულზე კი €80 894. მსგავსი მონაცემებია სხვა სტატისტიკაშიც — ბარსელონა 29-ე ადგილზეა პერსონალური შემოსავლების მქონე ქალაქთა სიაში, რომელსაც ციურიხიპირველობს. 2009 წელსვე, ბარსელონა დაასახელეს ევროპის მესამე ყველაზე წარმატებულ ქალაქ-ბრენდად. რას შეეხება მოდას, ბარსელონა მოდის მეშვიდე ყველაზე მნიშვნელოვანი დედაქალაქია მსოფლიოში. ამავე დროს, მას მიენიჭა ევროპის მეოთხე საუკეთესო ბიზნეს-ქალაქისა და ყველაზე სწრაფად

გაუმჯობესებადი ევროპული ქალაქის სტატუსი წლიური 17%-იანი ზრდით. მსოფლიო კომერციულ ცენტრებს შორის, ბარსელონა მეორე ადგილს იკავებს ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით.

ბარსელონის დაარსება ორ განსხვავებულ ლეგენდას უკავშირდება. პირველი მათგანი ქალაქის დაარსებას მითიურ ჰერაკლესმიაწერს, ჯერ კიდევ რომის აშენებამდე 400 წლით ადრე. მეორე ლეგენდის თანახმად კი ბარსელონა ძვ. წ. III საუკუნეშიუშუალოდ ისტორიულმა პირმა, ჰანიბალის მამამ — კართაგენელმა ჰამილკარ ბარკამ დააარსა, რომელმაც ქალაქს თავისი გვარის მიხედვით ბარსინო უწოდა.

დაახლოებით ძვ. წ. 15 წელს, რომაელებმა ქალაქი კასტრუმად (რომალეთა სამხედრო ბანაკი) გადააკეთეს, რომლის ცენტრშიც პატარა ბორცვი — „მონას-ტაბერი“ მდებარეობდა, თანამედროვე ქალაქის ჰოლის (წმინდა იაკობის მოედანი) სიახლოვეს. რომაელების მმართველობისას, იგი კოლონიას წარმოადგენდა და ზედმეტსახელად ფავენიტას, უფრო სრულად კოლონია-ფავენიტა-ჟულია-აუგუსტა-პია-ბარსინოს (Colonia Faventia Julia Augusta Pia Barcino) ან კოლონია-ფავენიტა-ჟულია-აუგუსტა-პატერნა-ბარსინოს (Colonia Julia Augusta Faventia Paterna Barcino) უწოდებდნენ. მას რაიონის პატარა ქალაქად მოიხსენიებენ, რომელიც მეზობელ ტარაკოს (თანამედროვე ტარაგონა) გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ შემდგომი აღმწერლებისგან ირკვევა, რომ ქალაქი თანდათან გაიზარდა, აყვავდა, უპირველესად ულამაზესი მდებარეობისა და ბრწყინვალე ნავსადგურის წყალობით. იმპერიული მძიმე გადასახადებისგან იგი თავისუფალი იყო. ქალაქი საკუთარ მონეტებს ჭრიდა, რომელთაგან შემორჩენილია ზოგიერთი მათაგნი, იმპერატორ გალბას დროინდელი.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი რომაული ნანგრევი პლასა-დელ-რეის ქვეშაა მოქცეული, მისი შესასვლელი ქალაქის მუზეუმის სიახლოვეს მდებარეობს (Museu d'Història de la Ciutat). რამდენიმე რომაული გისოსებიანი გეგმარებების ნახვა დღესაცაა შესაძლებელი ისტორიული ცენტრის — Barri Gòtic-ის (გოთური კვარტალი) გეგმარებაში. რომაული კედლების ნაშთების ზოგიერთი ფრაგმენტი კათედრალშია გაერთიანებული. როგორც ამბობენ, კათედრალი, რომელსაც ბასილიკა-ლა-სეუ (Basilica La Seu) ეწოდება, თავდაპირველად 343 წელს აშენდა. ადრეულ V საუკუნეში, ქალაქი ვესტგუთებმა დაიპყრეს და რამდენიმე წლით ის ჰისპანიის დედაქალაქი გახდა. ამის შემდეგ, VIII საუკუნის დასაწყისში, ქალაქს არაბები იპყრობენ, მაგრამ 801წელს, არაბებს იგი კარლოს დიდის ვაჟმა, ლუიმ გამოჰგლიჯა, რომელმაც ბარსელონა ბუფერული ზონის —

ბარსელონის საგრაფოს მმართველის მიერ მართული კაროლინგური „ესპანური მარკის“ ცენტრად აქცია.

ბარსელონის გრაფები თანდათან დამოუკიდებლები გახდნენ და ტერიტორია იმდენად გააფართოვეს, რომ მთელ კატალონიას მოიცავდა. 1137 წელს, რამონ ბერენგერ IV-ისა და პეტრონილია არაგონელის ქორწინების შედეგად, არაგონი და ბარსელონის საგრაფო დინასტიური უნიით გაერთიანდნენ. მათი ტიტულები საბოლოოდ ერთ პერსონაში გაერთიანდნენ, როდესაც 1162 წელს ტახტზე მათი ვაჟი — ალფონსო IIავიდა. მისი ტერიტორიები მოგვიანებით არაგონის გვირგვინის სახელწოდებით გახდა ცნობილი, რომელმაც მრავალი ზღვისგადაღმა სამფლობელო დაიპყრო და მბრძანებლობდა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე, XIII საუკუნეში ასევე ფლობდა დაშორებულ ტერიტორიებს ნეაპოლში, სიცილიასა და ათენშიც კი. არაგონის გვირგვინსა და კასტილიას შორის დინასტიური კავშირის წარმოქმნამ ბარსელონის დაკნინების დასაწყისი განაპირობა. 1401 წელს, ქალაქის მაგისტრატმა დააარსა ბარსელონის ბანკი, სავარაუდოდ უძველესი სახალხო ბანკი ევროპაში. მისი შექმნა განაპირობა სახელმწიფო საჭიროებამ, ისევე როგორც ეს მოხდა შემდეგში ვენეციისა (1402) და გენუის ბანკების (1407) შემთხვევაში.

1469 წელს, ფერდინანდ II არაგონელისა და ისაბელ I კასტილიელის ქორწინების შედეგად, ორი სამეფო ხაზი ერთმანეთს დაუკავშირდა. პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრი მადრიდი გახდა მანამ, სანამ ამერიკის კოლონიზაციამხმელთაშუაზღვიური ვაჭრობის ფინანსური მნიშვნელობა შეამცირა. ბარსელონა ყოველთვის კატალონიური სეპარატიზმის საყრდენი რჩებოდა და სწორედ იგი იყო კატალონიური აჯანყების (1640–52) ცენტრი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ის წინააღმდეგ. 1650–1654 წლებში მძვინვარე შავმა ჭირმა ქალაქის მოსახლეობა გაანახევრა. შემდეგში, პროვინცია გაანადგურა ნაპოლეონის ომებმა, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში ინდუსტრიალიზაციაც დაიწყო.

XVIII საუკუნეში, მონჟუიკთან, რომელიც ნავსადგურს გადაჰყურებს, ციხესიმაგრე აშენდა. 1794 წელს, ამ ციხესიმაგრიდან დაკვირვებებს აწარმოებდა ფრანგიასტრონომი პიერ მეშენი, რაც ზომის ერთეულ მეტრის ოფიციალური ბაზისი გახდა. საბოლოო მეტრის ძე¬ლა¬კი პლატინისგან დამზადდა და 1799 წლის 22 ივლისს წარედგინა საფრანგეთის საკანონმდებლო ასამბლეას.

ბარსელონის წინააღმდეგობამ ფრანკოს სახელმწიფო გადატრიალებისადმი (coup d'état), რესპუბლიკური მთავრობის დამხობის შემდეგ, მძიმე შედეგები მოიტანა. გაუქმდა კატალონიის ავტონომიური ინსტიტუტები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აიკრძალა

კატალანური ენის გამოყენება. მიუხედავად გამანადგურებელი სამოქალაქო ომისა, ბარსელონა ქვეყნის მეორე უმსხვილეს ქალაქად დარჩა, იმ რეგიონის შუაგულში, რომელიც შედარებით ინდუსტრიალიზებული და აყვავებული იყო. ამ ყველაფერმა შედეგად ის მოიტანა, რომ დაიწყო მსხვილმასშტაბიანი იმიგრაცია ესპანეთის ღარიბი რეგიონებიდან (განსაკუთრებით ანდალუსიიდან, მურსიიდან და გალისიიდან), რაც სწრაფ ურბანიზაციაში გადაიზარდა. 1975წელს დიქტატორი ფრანკო გარდაიცვალა და ესპანეთში დემოკრატიზაციის პერიოდი დაიწყო. ცვლილებებისადმი მოთხოვნა ბარსელონაში განსაკუთრებით ძლიერი იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ ფრანკოს ორმოცწლიანი მმართველობისას ის რესპუბლიკური მთავრობისადმი მხარდაჭერისთვის იყო დასჯილი. 1977 წლის 11 სექტემბერს, ბარსელონის ქუჩებში კატალონიის ავტონომიის აღდგენის მოთხოვნით მილიონზე მეტმა ადამიანმა მშვიდობიანი დემონსტრაცია გამართა. მოთხოვნა ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდში დაკმაყოფილდა.

1992 წელს ბარსელონამ ზაფხულის ოლიმპიური თამაშებს უმასპინძლა, რაც ქალაქს გამოცოცხლებაში დაეხმარა.

ბარსელონა იბერიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, ხმელთაშუა ზღვაზე, დაახლოებით 5 კმ სიგანის ვაკეზე, რომელიც შემოსაზღვრულია სერა-დე-კოლსეროლის ქედით, სამხრეთ-დასავლეთიდან მდინარე ლობრეგატით და ჩრდილოეთიდან მდინარე ბესოსით. ვაკის ფართობი 170 კმ²-ია, საიდანაც ბარსელონას 101 კმ² უჭირავს. ქალაქიპირენეის მთებიდან, კატალონია-საფრანგეთის საზღვრიდან 120 კმ-ით სამხრეთით მდებარეობს.

ბარსელონას გადმოჰყურებს 512 მ სიმაღლის ტიბიდაბოს მთა, საიდანაც ქალაქის გასაოცარი ხედი იშლება. მთაზე აღმართულია 288,4 მ სიმაღლის სატელეკომუნიკაციო ანძა, რომელიც ქალაქის თითქმის ყველა კუთხიდან ჩანს. ბარსელონას სერავენ პატარა ბორცვები, რომელთა უმრავლესობაც ურბანიზებულია. ამ ბორცვების სახელები ჰქვიათ მათზე გაშენებულ დასახლებებს, მაგალითად ელ-კარმელი (267 მ), პუტშეტი (181 მ) და როვირა (261 მ). სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მონჟუიკის ფერდობი ნავსადგურს გადაჰყურებს. ეს ციხესიმაგრე XVII-XVIII საუკუნეში აღმართეს ქალაქის კონტროლის მიზნით. დღეისათვის, ციხესიმაგრე მუზეუმს წარმოადგენს, მონჟუიკი კი რამდენიმე სპორტულ და კულტურულ ღონისძიებას მასპინძლობს, ასევე განთავსებულია ბარსელონის უდიდესი პარკი და ბაღები.

ქალაქს ჩრდილოეთით ესაზღვრება სანტა-კოლომა-დე-გრამენტისა და სანტა-ადრია-დე-ბესოსის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით — ხმელთაშუა ზღვა,

სამხრეთით — ელ-პრატ-დე-ლობერგატისა და ლ'ოსპიტალეტ-დე-ლობერგატის მუნიცი-პალიტეტები, სამხრეთით — სან-ფელიუ-დე-ლობერგატის, სან-ჟუტ-დესვერნის, ესპლუგეს-დე-ლობერგატის, სან-კუგატ-დელ-ვალესის, დასავლეთით კი მონტაკადა-ი-რეშაკის მუნიციპალიტეტები.

ბარსელონის ძველი ქალაქის ცენტრია ბარი-გოტიკი (კატალ. Barri Gòtic - გოთური კვარტალი). მრავალი შენობა შუა საუკუნეებით თარიღდება, ზოგიერთი კი ქალაქის რომაულ დასახლებამდელ პერიოდს მიეკუთვნება. 1885-1950 წლებში განვითარებულმა კატალონიური მოდერნიზმის არქიტექტურამ (დაკავშირებულია დანარჩენ ევროპაში არტ-ნუვოს სახელით ცნობილ მოძრაობასთან) ბარსელონას მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა შესძინა. რამდენიმე მათგანი შესულია იუნესკოსმსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია არქიტექტორ ანტონიო გაუდის ქმნილებები, რომელთა ნახვაც მთელს ქალაქშია შესაძლებელი. მისი საქვეყნოდ განთქმული ნამუშევარია უზარმაზარი, მაგრამ ბოლომდე დაუმთავრებელი ეკლესია — საგრადა ფამილია, რომელიც 1882წლიდან მშენებარე მდგომარეობაში იმყოფება და დღემდე ფინანსდება კერძო დონორების მიერ. 2007 წლის გათვლებით, მშენებლობა 2026 წელს უნდა დასრულდეს.

ბარსელონაში მდებარეობდა ლუდვიგ მის ვან დერ როეს ბარსელონის პავილიონი. იგი 1929 წლის საერთაშორისო გამოფენისთვის გერმანიის სახელით დაპროექტდა. ის განთქმული შენობაა, რომელიც თანამედროვე არქიტექტურას განასახიერებს როგორც ვან დერ როეს აფორიზმების ხორცშესხმას — „ნაკლები უფრო მეტია“ და „ღმერთი დეტალებშია“. ბარსელონის პავილიონი დროებით სტრუქტურას წარმოადგენდა და აგებიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში, 1930წელს დაშალეს. დღეს ბარსელონაში იგი კვლავაც დგას, ოღონდ 1986 წელს ესპანელი არქიტექტორების მიერ შექმნილი.

1999 წელს, ბარსელონამ თავისი არქიტექტურისთვის ბრიტანეთის არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტის (RIBA) სამეფო ოქროს მედალი მიიღო. ეს ერთადერთი შემთხვევაა (2012 წლისთვის), როდესაც გამარჯვებული ქალაქია და არა კონკრეტული არქიტექტორი.

ბარსელონა მუზეუმების განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოირჩევა, რომლებიც სხვადასხვა ადგილებშია განლაგებული და სხვადასხვა პერიოდებს მიეკუთვნება.კატალონიის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი საქვეყნოდაა ცნობილი თავისი რომანული ხელოვნების ნიმუშებით,ბარსელონის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი კი ფოკუსირდება 1945 წლის შემდგომ კატალონიურ და ესპანურ ხელოვნებაზე.

მსოფლიო მასშტაბით ცნობილ ხელოვანთა კოლექციებს ფლობენ ჟოანა მიროს ფონდი, პიკასოს მუზეუმი დაანტონიო ტაპიესის ფონდი.

რამდენიმე მუზეუმი მოიცავს ისტორიისა და არქეოლოგიის ნიმუშებს, მაგალითად ქალაქის ისტორიის მუზეუმი, კატალონიის ისტორიის მუზეუმი, კატალონიის არქეოლოგიის მუზეუმი, ბარსელონის საზღვაო მუზეუმი და კერძო მფლობელობაში მყოფი ეგვიპტური მუზეუმი. განსაკუთრებით თავისებურია ბარსელონის ეროტიკული მუზეუმი, სამეცნიერო კოსმოკაიშის მუზეუმმა კი 2006 წელს ევროპის წლის მუზეუმის ჯილდო მიიღო.

ბარსელონას 68 მუნიციპალური პარკი გააჩნია, რომელთაგან 12 ისტორიული პარკია, 5 თემატური, 45 ურბანული და 6 ტყის პარკი. ისინი რანჟირდება დაწყებული მიკრო ზომიდან, დამთავრებული ფართო რეკრეაციულ არეალებამდე. ურბანული პარკები ქალაქის 10%-ს მოიცავენ (549,7 ჰა). პარკების საერთო ფართობი ყოველწლიურად 10 ჰექტრით იზრდება, პროპორციით პარკის 18.1 m^2 ერთ მოსახლეზე.

ბარსელონის პარკებს შორის, უდიდესია 203 ჰა ფართობის მონჟუიკი, რომელიც ამავე სახელწოდების მთაზე მდებარეობს. მას მოსდევს პარკ-დე-სიუტადელა(რომელსაც ძველი სამხედრო ციტადელის ტერიტორია უჭირავს და სადაც განთავსებულია კატალონიის პარლამენტის შენობა, ბარსელონის ზოოპარკი და რამდენიმე მუზეუმი), გინარდოს პარკი (19 ჰა), გაუდის დაპროექტებული გუელის პარკი (17.2 ჰა), ორენეტის ციხესიმაგრის პარკი (17.2 ჰა), დიაგონალ-მარის პარკი (13.3 ჰა), ნოუ-ბარისის ცენტრალური პარკი (13.2 ჰა), კან-დრაგოს სპორტული პარკი და პობლენოუს პარკი (ორივე ერთად 11.9 ჰა), ასევე ლაბირინთის პარკი (9.10 ჰა), რომელსაც სახელი მის შემადგენლობაში მყოფი ლაბირინთისგან ეწოდა. გარდა ამისა, ქალაქში ასევე არსებობს რამდენიმე უფრო მცირე პარკი, მაგალითად პარკ-დე-ლეს-აიგუესი (2 ჰა). ქალაქის საზღვრებში ასევე ექცევა კოლსეროლის პარკი. ბარსელონიდან 1 სთ სამანქანო გზის მანძილზე მდებარეობს ევროპის უდიდესი გასართობი პარკი პორტ-ავენტურა, რომელსაც ყოველწლიურად 3 000 000 მნახველი ჰყავს.

ბარსელონის პლაჟი პირველ ადგილზეა მსოფლიოს ქალაქების პლაჟების ათეულში, რომელიც National Geographic-მა და Discovery Channel-მა შეადგინეს. ბარსელონა შვიდ პლაჟს მოიცავს, რომელთა საერთო სიგრძეც 4,5 კმ-ია. ყველაზე დიდი, ძველი და ხალხმრავალია სანტა-სებასტიისა და ბარსელონეტის პლაჟები, რომელთა სიგრძე 1 100 მეტრია. პორტ-ოლიმპიკი მათ სხვა პლაჟებისგან გამოყოფს, ისეთებისგან, როგორებიცაა ნოვა-იკარია, ბოგატელი, მარ-ბელია, ნოვა-მარ-ბელია და ლევანტი. ეს

პლაჟები, ქალაქის რესტრუქტურიზაციის შედეგად გაიხსნა, 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სამზადისისას, რა დროსაც დანგრეულ იქნა სამრეწველო საწარმოთა დიდი რიცხვი. დღეისათვის, პლაჟის ქვიშა ხელოვნურად იყრება, რადგან შტორმები რეგულარულად რეცხავს დიდი რაოდენობით მასალას. 2004 წლის კულტურის საყოველთაო ფორუმის წყალობით, ქალაქს სანაპირო ზოლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში დარჩა ბეტონიანი საბანაო ზონა.

თემა XII. საფრანგეთი

საფრანგეთი არის განვითარებული ქვეყანა და მეხუთე ადგილზეა მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში. იგი ყველაზე მეტად მონახულებული ქვეყანა, რომელიც ყოველწლიურად 82 მილიონ ტურისტს იღებს. იგი არის ასევე გაეროს ერთ-ერთი დამმარსებელი და წევრი შემდეგი ორგანიზაციებისა: ფრანკოფონია, დიდი რვიანი, ევროკავშირი, დიდი ოცეული, ნატო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ლათინური გაერთიანება. იგი არის გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან ერთ-ერთი.საფრანგეთი, მოიცავს ევროპის ნაწილის, რამდენიმე კუნძულისა და ზღვისიქითა ტერიტორიების ნაწილს.

მას ესაზღვრება ბელგია, ლუქსემბურგი, გერმანია, შვეიცარია, იტალია, მონაკო, ესპანეთი და ანდორა. ზღვის გადაღმა ტერიტორიებს ესაზღვრება ბრაზილია და სურინამი (საფრანგეთის გვიანას), ნიდერლანდის ანტილები (სენ-მარტენს). საფრანეგთი დაკავშირებულია გაერთიანებული სამეფოსევროგვირაბით, რომელიც გადის ლა-მანშის სრუტეს ქვეშ.

საფრანგეთი, რომლის ტერიტორიასაც ექვსკუთხედის მსგავსი კონფიგურაცია აქვს, ფართობით ევროკავშირის უდიდესი ქვეყანაა. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში მდებარეობს. მოსაზღვრე ქვეყნებია: ბელგია, ლუქსემბურგი, გერმანია, შვეიცარია, იტალია, მონაკო,ანდორა და ესპანეთი, რომელთაგანაც 3 ევროკავშირის წევრი არ არის. მის შემადგენლობაშია კუნძული კორსიკა ხმელთაშუა ზღვაში. საფრანგეთი შედგება 26 რეგიონისგან. მათ შორის 22 თავად საფრანგეთის ტერიტორიაზე, ასევე 4 ზღვის გადაღმა დეპარტამენტები: გვადელუპა, მარტინიკა, გვიანა და რეიუნიონი. ზღვის გადაღმა ტერიტორიები - ახალი კალედონია, საფრანგეთის პოლინეზია, საფრანგეთის ანტარქტიკული ტერიტორია და ორი ტერიტორიული ერთეული განსაკუთრებული სტატუსის - მაიოტა, სენპერი და მიკელონი.

ქვეყნის რელიეფში ჭარბობს ვაკეები და დაბლობები, უმაღლესი მწვერვალია მონბლანი, რომელიც მთელ დასავლეთ ევროპაში უმაღლესია. იგი იტალიასთან სასაზღვრო რაიონში მდებარეობს. საფრანგეთი ენერგეტიკული რესურსებით მდიდადი არ არის (თუ არ ჩავთვლით ევროპული მასშტაბების ურანის მადანს). მოიპოვებენბოქსიტებს, რკინის მადანს, მარილებს, საშენ მასალას. ქვეყანა მდიდარია მდინარეებით, მაგრამ ღარიბია ტბებით. დიდი ყურადღება ექცევა ბუნების დაცვას.

საფრანგეთში წარმოდგენილია ლანდშაფტების მდიდარი ნაირსახეობა. ატლანტის ოკეანის კლდოვანი სანაპირო, მდინარეათა ფართო ველები, მაღალი დათოვლილი მთები,

ხმელთაშუაზღვისპირა ქვიშიანი სანაპიროები. ჩრდილოეთ საფრანგეთის დიდი ნაწილი უჭირავს ისეთი ფართო მდინარეების დაბლობებს, როგორიცაა სენა და მარნა, ამ მოსავლიან მიწებს დასავლეთით ესაზღვრება ნორმანდიული კლდნოვანი მთები, აღმოსავლეთით კი, ბელგიის საზღვარზე იჭიმება ტყეები, რომლები სამხრეთით ქვეყნის შვეიცარიასთან საზღვარზე გადადის მთის მასივში.

სამხრეთ საფრანგეთის ნაწილი უჭირავს საფრანგეთის ცენტრალურ მასივს, ეს სარის ჩამქრალი ვულკანების მხარე. ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, საფრანგეთის ცენტრალური მასივის მიდამოებში, სევენის მთებში სათავეს იღებს ქვეყნის უგრძესი მდინარე ლუარა. სამხრეთ – დასავლეთ რაიონი, მდინარე გარონისაუზი, ესაა წიწვოვანი ტყის მხარე. ცნობილია როგორც ლანდა. პირინეის მთებისწარმოადგენს საზღვარს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. საფრანგეთის ცენტრალური მასივის აღმოსავლეთით გაშლილია მდინარეების სონასა და რონასუხვმოსავლიანი დაბლობები. საფრანგეთისა და იტალიის საზღვართან იჭიმებაალპები, ევროპის ყველაზე მაღალი მთათა სისტემა.

კლიმატი და ჰიდროგრაფიული ქსელი

სევენის მთები საფრანგეთს ყოფს ორ კლიმატურ რაიონად: ხმელთაშუაზღვური და ატლანტის, ასევე ოთხ კლიმატურ ზონად: ოკეანური, მშრალი კონტინენტური, ხმელთაშუაზღვური და მთის. საფრანგეთის ჩრდილოეთი რაიონების კლიმატირბილი და ნესტიანია. გაზაფხულზე ამინდი ცვალებადია, სითბო და მზე იცვლება წვიმებითა და ქარებით. ზაფხული შედარებით თბილია, შემოდგომაზე დილას და საღამოობით გრილა, არ იცის მკაცრი ზამთარი. საშუალო ტემპერატურა მერყეობს იანვარში 0 გრადუსსა და აგვისტოში +25 გრადუსს შორის, პარიზის საშუალო ტემპერაურა მერყეობს ზამთარში 0 (+10) გრადუსებს შორის, ხოლო ზაფხულში +20 (+30) გრადუსებს შორის. ქვეყნის სამხრეთით კლიმატი რბილი და თბილია, ზამთრობით მთებში ხშირად არის დიდთოვლობა, ტემპერატურის მერყეობა ზამთარსა და ზაფხულში უმნიშვნელოა. ალპები სამხრეთ –აღმოსავლეთით ხელს უშლის ხმელთაშუაზღვური კლიმატის გავრცელებას ქვეყნის სიღრმეებში, ასე რომ აღნიშნული კლიმტი ვრცელდება რონისა და ლიონის დაბლობებში მდინარეები და ტბები.

რბილი და ნესტიანი კლიმატი საფრანგეთში ხელ უწყობს ხშირი სამდინარო ქსელის განვითარებას, წყალუხვობასა და გაუყინვადობას. წყლის სიუხვის რეჟიმისა და დინების ხასიათის მიხედვით საფრანგეთში გამოიყოფა მდინარეთა ოთხი ტიპი:

- პრეატლანტური ტიპი: მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტს. ახასიათებს მდინარის კვება წვიმის წყლით და მდინარის დონის მცირე ცვალებადობა. მდინარეები სავსეა წლის ნებისსმიერ დროს. ამ სახეობის მდინარეებს მიეკუთვნება სენა მარნის შენაკადებით, მარჯვენა შენაკადი უაზა, მარცხენა შენაკადი იონა, ქვედა ლუარა, შარანტა, სონა.
- ერცოგული ტიპი: აერთიანებს მდინარეებს, რომლებიც მოედინებიან მაღალი მთებიდან. ზემო ლუარა მარჯვენა შენაკადებით: ალე, შერი, ენდრი, ვენა, გარონა მარჯვენა შენაკადებით: ტარნი, ლო, დორდონი. რონა მარჯვენა შენაკადებით: დუ, არდეში. მდინარეთა კვება დაომოკიდებულია წვიმებსა და თოვლზე.
- ალპების ტიპი: ამ ტიპს მიეკუთვნება ალპებისა და პირინეის მდინარეები: რონა თავისი მარცხენა შენაკადებით: (იზერი, დურანსი,) ზემო გარონა ასევე თავისი შენაკადებით. მდინარეები იკვებებიან თოვლითა და გაყინული წყლებიით, ამაზეა დამოკიდებული ზამთარ - ზაფხულობით მდინარეთა წყალუხვობა.
- ხმელთაშუაზღვური ტიპი: დამახასიათებელია ქვეყნის სამხრეთში მდებარე მდინარეებისათვის. (ოდი, ორბი, ერო), მდინარეები იკვებებიან წვიმის წყლით. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კოკისპირულმა წვიმებმა შეიძლება გამოიწვიოს წყალდიდობები.

საფრანგეათის დიდი მდინარეებია: ლუარა – 1010კმ, რონა – 522კმ, სენა – 780კმ, გარონა – 650კმ. ევროპის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი საწყლოსნო არტერიაა მდინარე რაინი, რომელიც 190 კოლომეტრის სიგრძეზე მიუყვება საფრანგეთ –გერმანიის საზღვარს. ქვეყნის უმსხვილესი მდინარეები გამოიყენება სანაოსნოდ, ლუარასა და გარონას აქვს შემოვლითი არხები. საფრანგეთი ღარიბია ტბებით, ალპებში საფრანგეთს ეკუთვნის ჟენევის ტბის სამხრეთი სანაპირო. სავის ალპები მოიცავს საკმაოდ დიდ ყინულოვან ტბებს: ანესი და ბურჟე. საფრანგეთის ცენტრალურ მასივში ვხვდებით ვულკაური წარმოშობის ტბებს, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა და ბისკაის ყურეში მნიშვნელოვნად გავრცელებულია ლაგუნისებურიტბები.

პოლიტიკური წყობა

საფრანგეთი რესპუბლიკური მმართველობის ქვეყანაა. მოქმედებს მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია 1958 წლიდან. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი, ორ პალატიანია. ეროვნულ კრებას 5 წლით, ხოლო სენატს 6 წლით ირჩევენ. სახელმწიფოს მეთაურს 5 წლით ირჩევენ (ერთი და იმავე პიროვნების არჩევა შესაძლებელია მხოლოდ 2 ჯერ).

- პოლიტიკური სისტემა - რესპუბლიკა. საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში, რომელმაც დაამხო მონარქიული მმართველობა და გამოაცხადა რესპუბლიკა.

რელიგია და ენა

საფრანგეთში ეთნიკურ და რასულ ჯგუფებზე ინფორმაციის შეგროვება უკანონოა. ეს კანონი მიღებული იქნა 1790 წლის რევოლუციისას, ხოლო ხელახლა დადასტურდა 1958 წლის კონსტიტუციაში. საფრანგეთი არის ეთნიკურად განსხავებული ერი დაახლოებით ექვსი მილიონი ჩრდილოეთ აფრიკელითა და სავარაუდოდ 2.5 მილიონი შავკანიანით. ამჟამად შეფასებულია, რომ საფრანგეთის მოსახლეობის 40% წარმოშობილია სხვადასხვა მიგრაციის ტალღებისაგან.სტატისტიკისა და ეკონომიკის სწავლების საფრანგეთის ეროვნული ინსტიტუტზე დაყრდნობით, საფრანგეთში 4.9 მილიონი საზღვარგარეთ დაბადებული იმიგრანტია, საიდანაც 2 მილიონს აქვს საფრანგეთის მოქალაქეობა.

- მოსახლეობა - 65,073 მლნ (2009), მათ შორის 90,4% ფრანგები, 2,5% ელზასელები, 2,0% იტალიელები, 1,9%ბრეტონელები.

- ენები - ფრანგული (ოფიციალური ენა), პროვანსული, ბრეტონული, ელზასური, კორსიკული, კატალანური, ბასკური,ფლამანდული.

- რელიგია - კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი (1 მლნ), ისლამი (4 მლნ).

ტრანსპორტი

საფრანგეთი ფლობს ევროპის უდიდეს სარკინიგზო ქსელს, რომელიც გადაჭიმულია 40,000 კილომეტრზე, 50 ქალაქზე მეტი ერთმანეთთან დაკავშირებულია მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო მაგისტრალებით. გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს 1,3 მლნ. კილომეტერს, მათ შორის ავტოსტრადა – 7ათ. კილომეტრი. ტვირთმზიდი საზღვაო პორტების 90%-ზე მეტი მოდის მარსელზე,გავრზე, დიუნკერკზე, ნანტზე, ბორდოსა და რუანზე. ფრანგული ავიაკომპანიების საჰაერო გზის სიგრძე 630 ათ.კმ. საავიაციო გადზიდვები ხორციელდება სამი უმსხვილესი ავიაკომპანიის მიერ: ეარფრანსი, იუტა, ეარინტერი. საქალაქო ტრანსპორტთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტრო. პარიზში სულ 366 მეტროსადგურია, აქედან 75 გადასასვლელი პუნქტი, ის მუშაობას იწყებს დილის ექვსის ნახევარზე და ასრულებს ორის ნახევარზე, პიკი საათების დროს მატარებლების გასვლებს შორის ინტერვალი წუთნახევარია, ჩვეულებრივ კი 5 - 7 წუთი. პარიზის შემოგარენი პარიზის ცენტრს უკავშირდება შიდა მატარებლებით. სამოქალაქო ტრანსპორტი ძალიან ძვირია, ამიტომ უმჯობესია 10 ბილეთის ერთდროულად ან

ტურისტული ბილეთის აღება ერთი დღით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ქალაქში მგზავრობა “Paris visite”. ტაქსებში გადახდა დამოკიდებულია გავლილ მანძილსა და დროზე

ტურისტული ფორმალობები და საბაჟო შეზღუდვები

საფრანგეთში გასამგზავრებლად და ვიზის ასაღებად სავალდებულო დოკუმენტაციაა: საზღვარგარეთის პასპორტი, ორი ფოტოსურათი, პირადობის ქსეროასლი, ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ქსეროასლები. ანკეტის შევსება და ასევე ბავშვის გამგზავრების შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მშობლების ნებართვა. ვიზა ფორმდება 20 დღის განმავლობაში.

ქვეყანაში აკრძალულია იარაღის, ნარკოტიკის, ფეთქებადი და აკრძალული ნივთების შეტანა. სასაზღვრო კონტროლს ექვემდებარება ანტიკვარიატი, იარაღი, ოქროსგარკვეული რაოდენობა. შესაძლებელია ფულისა და მასთან ერთად სამგზავრო ჩეკების გამოყენება. ქვეყნის ვალუტაა ევრო €

საფრანგეთის ტურისტული ინდუსტრია უმსხვილესია მსოფლიოში. უნიკალური ლანდშაფტი, უმდიდრესი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა, ხმელთაშუაზღვისპირეთი და ულტრათანამედროვე საკომუნიკაციო საშალებები საფრანგეთს ნამდვილ ტურისტულ სამოთხედ აქცევს. ყოველწლიურად აქ 70 მლნ-ზე მეტი ტურისტი ჩამოდის მსოფლიოს მრავალი კუთხიდან (უმეტესად ევროკავშირის ქვეყნებიდან). უმსხვილესი ტურისტული რეგიონებია პარიზი, მდ. ლუარის ხეობა, ლაჟვარდოვანი სანაპირო, ალპები და ა.შ

ტურიზმი

საფრანგეთი განვითარებული ტურისტული ინდუსტრიის ქვეყანაა, მას წელიწადში დაახლოებით 60 მლნ. ადამიანი სტუმრობს. ძვირადღირებული კურორტებიისა და სასტუმროების (კანი, ნიცა, სენ -ტროპე) გვერდით ვხვდებით შედარებით დაბალფასიან ტურისტულ ზონებს. გარდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონისა, ტურიზმი განვითარებულია ატლანტის ოკეანის და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე, პროვანსში. საფრანგეთის ალპები მთელი წლის განმავლობაში იღებს ტურისტებს. სასტუმროს სერვისები უმაღლეს დონეზეა და ქვეყნისათვის დიდი მოგება მოაქვს.

პარიზი არის საფრანგეთის ადმინისტრაციული, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. მიუხედავად ორი მსოფლიო ომისა, ქალაქის ცენტრი შესანიშნავი ბულვარებითა და ინფრასტრუქტურით ნაპოლეონის დროს მოგვაგონებს. ლუვრი, ვერსალი, ტრიუმფალური თაღი, ვანდომის მოედანი, ტუილრის ბაღი, ეიფელის კოშკი, დ’ორსეს

სადგური, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ეს ის ნაგებობებია, რომლებიც იზიდავს ათასობით ტურისტს. ისტორიული ადგილები, მდიდრული კაფეები და მეფეთა სასახლეები, არისტოკრატული რეზიდენციები და ულტრათანამედროვე მაღალსართულიანი სახლები აქ ერთადაა თავმოყრილი. პარიზი მსოფლიოს ერთ – ერთი სიცოცხლით სავსე ქალაქია. აქ მდებარეობს 2000–მდე მონუმენტი, 200 მუზეუმი, მთავარი ღირსშესანიშნაობები მდინარე სენის სანაპიროზე, ქალაქის ცენტრშია თავმოყრილი. "პარიზის გულიდან" ოდნავ მოშორებით, კუნძულ სიტეზე, განთავსებულია ლუვრი, მსოფლიოს ერთ – ერთი ღირსშესანიშნავი მუზეუმი. ლუვრიდან ელისეს მინდვრების მიმართულებით ტუილრის ბარში მდებარობს იმპრესიონისტებისა და ორანჟერის მუზეუმი. თანხმობის მოედნიდან, ელისეის მინდვრების მარცხნივ მდებარეობს ორი მსგავსი შენობა: გრან – პალე და პტი - პალე. პირველში იმართება სეზონური გამოფენები, მეორეში განთავსებულია ქალაქის მუზეუმი, სადაც ხელოვნების ნიმუშები ინახება. ლუვრიდან მარჯვნივ მდებარეობსპომპადუს ცენტრი, სადაც XXს. – ის ნახატები და სკულპტურები ინახება, მისგან ოდნავ მოშორებით მდებარეობს პარიზის ისტორიის მუზეუმი –კარნავალე. ყველაზე დიდი მუზეუმები მდებარეობს მდინარე სენას მარცხენა სანაპიროზე: იმპრესიონისტთა მუზეუმი, გარ დ'ორსე, შუასაუკუნეების ხელოვნების მუზეუმი, როდენის მუზეუმი. გარდა ამისა პარიზში თავმოყრილია დიდი რაოდენობის კოლექციები, საგამოფენო დარბაზები, ძალიან საინტერესო ექსპონატები. მთელი ქალაქი, მთელი თავისი უძვირფასესი სასახლეებით, უნიკალური არქიტექტურული ანსამბლებით და სკულპტურებით ტურისტების წინაშე იშლება, როგორც უძვირფასესი მუზეუმი. არქიტექტურულ - ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს შორის აუცილებლად გამოყოფენ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, რომელიც ადრინდელი გოთიკის ნაგებობაა (1163 - 1345), აღფრთოვანებას იწვევს ტაძრის სამი პორტალი: გალერეა ქიმებით, კოშკები, უნიკალური ვიტრაჟები. პარიზში იმართება უმაღლესი დონის სამოდელო ჩვენებები, აქ მაღალი მოდა უკავშირდება ისეთი მოდელიორებისა და დიზაინერების სახელებს, როგორიცაა ივ სენ ლორანი,კოკო შანელი, კრისტიან დიორი, პიერ კარდენი და სხვები. მათი ატელიეები დღეს მსოფლიო სამოდელო სახლებადაა ქცეული. პარფიუმერია, გალანტერეა და სხვადასხვა ხელოსნის საიუველირო ნაკეთობები სამოდელო სახლებთან ერთად შეადგენს დიდი "ლუქსის ინდუსტრიას". გაზაფხულსა და შემოდგომაზე ყოველდღიურად იმართება გამოფენები, რომლებიც სეზონებთანაა დაკავშირებული, გამოიფინება ასევე მზა ტანსაცმელი " პრეტ - ა - პორტეს ხაზები".

ლუვრი - საუკუნის დასაწყისში (1200 წ.) აიგო მეფე ფილიპე ავგუსტის მითითებით, როგორც ციხესიმაგრე. XIV საუკუნის ბოლოს რ. დეტამლევ გადააკეთა და აქედან მოყოლებული, ლუვრი მეფეთა რეზიდენციად იქცა. 1546 წელს იგი დაინგრა და მის ადგილას ფრანგმა არქიტექტორმა პიერ ლესკომ (1510-1574) ააგო სასახლე - აღორძინების ხანის შესანიშნავი ძეგლი. სკულპტურული დეკორი შეასრულა მოქანდაკე ჟან გუჟონმა. მომდევნო საუკუნეებში (1600 წლიდან 1868 წლამდე) დაემატა ცალკეული კორპუსები და ფასადები. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ლუვრი მეფეთა რეზიდენცია აღარაა. იგი ჯერ მხატვრული ტილოების საცავი იყო, ხოლო 1793 წლიდან კონვერტის დეკრეტით ეროვნულ სამხატვრო მუზეუმად იქცა.

ლუვრის მუზეუმი უდიდესი და ყველაზე განთქმულიმუზეუმია მსოფლიოში, რომელსაც 8.5 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავდა 2008წელს. მდებარეობს პარიზში, საფრანგეთი. შენობა, ყოფილი სამეფო სასახლე, პარიზის ცენტრში მდებარეობს, მდ. სენასა და რუ-დე-რივოლის შორის. მისი მთავარი მოედანი, რომელზეც ამჟამად ლუვრის პირამიდაა აღმართული, ერთ ხაზზეა შანზ-ელიზეს გასწვრივ და ამგვარად ქმნის ისტორიულ მონაკვეთს (Axe historique), რომელზეც პარიზის მრავალი ისტორიული მონუმენტია განლაგებული. ლუვრის სამეფო სასახლის ნაწილი საზოგადოებისთვის პირველად გაიხსნა 1793წლის 8 ნოემბერს, საფრანგეთის რევოლუციის დროს.

ვერსალის სასახლე ან უბრალოდ ვერსალი საფრანგეთის მეფეების სადღესასწაულო სასახლე ვერსალში, პარიზის გარეუბანი. სასახლის აგების პერიოდში ვერსალი სოფელი იყო, ამჟამად კიპარიზის გარეუბანია საკუთარი ქალაქის სტატუსით. 1682-1789 წლებში ვერსალის კარი საფრანგეთის ძველი რეჟიმის ძალაუფლების ცენტრი იყო. XVII საუკუნიდანევროპის მონარქებისა და დიდებულთა სასახლეებისთვის ნიმუში გახდა. 1979 წელს იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანა. ვერსალის სასახლის აგება ლუი XIV-მ დაიწყო.

ვარსკვლავის სატრიუმფო თაღი მონუმენტი პარიზში, შარლ დე გოლის მოედნის ცენტრში, ყოფილი ვარსკვლავის მოედანი, შანზ-ელიზეს გამზირის დასავლეთ ბოლოში. თაღის სიმაღლეა 49,51 მ, სიგანე 44,82 მ, სიმაღლე 29,19 მ. აიგო 1806-1836წლებში არქიტექტორი შალგრენის პროექტით. მორთულია ოთხი სკულპტურული ანსამბლით: ელისეს მინდვრების მხრიდან - "მარსელიეზა", გრან-არმის გამზირის მხრიდან - "წინააღმდეგობა" და "მშვიდობა". თაღის კედლებზე ამოტვიფრულია 128 ბრძოლის სახელი, რომელშიც რესპუბლიკურმა და იმპერიულმა არმიებმა გაიმარჯვეს, ასევე 558

ფრანგი მხედართმთავრის სახელი. უცნობი ჯარისკაცის საფლავზე წარწერაა: "აქ განისვენებს ფრანგი ჯარისკაცი, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს შესწირა, 1914-1919".

ვანდომის მოედანი ადრე „ლუი დიდის“ მოედანი ერთ-ერთი პარიზის ხუთ სამეფო მოედანთაგან. მდებარეობსპარიზის ოპერის თეატრის სიახლოვეს პირველ მუნიციპალურ ოლქში. მოედანი გაშენდა 1699 წელს არქიტექტორი ჟიულ არდუენ-მანსარის პროექტით ლუი XIV-ის პატივსაცემად. სახელი მოედანს სეზარ ვანდომის პატივსაცემად დაერქვა. მოედანს ამშვენებს კლასიციზმის სტილში ნაგები შენობები, რომლებიც 1720 წელს აიგო.

ვანდომის მოედნის ცენტრში აღმართულია 44-მეტრიანი ვანდომის სვეტი ნაპოლეონის ქანდაკებით, რომის ტრაიანეს სვეტის მსგავსად.

ვანდომის 15 ნომერში მდებარეობს 1898 წელს სეზარ რიცის მიერ გახსნილი ფუფუნებით განთქმული სასტუმრო რიცი. 1979 წლიდან რიცი ეგვიპტის მილიარდერ მოჰამედ ალ-ფაიედს ეკუთვნის, პრინცესა დაიანასთან გარდაცვლილი დოდი ალ-ფაიედის მამას. სწორედ ამ სასტუმროდან გავიდა ალ-ფაიედის მერსედესი იმ ღამეს, როცა დ’ალმას მოედნის ქვეშ ისინი ავტოავარიაში დაიღუპნენ.

ვანდომის 12 ნომერში 1849 წელს გარდაიცვალა შოპენი. ამავე შენობაში ნაპოლეონ III-მ მისი მომავალი მეუღლე ევგენია გაიცნო.

ვანდომის მოედანზე მდებარეობს მოდების სახლი შანელის შტაბ-ბინა.

ეიფელის კოშკი სტრუქტურა შენდებოდა 1887-1989 წლებში როგორც ექსპო-იუნივერსელის შესასვლელი (1889), მსოფლიო გამოფენა, რომელიცსაფრანგეთის რევოლუციის 100 წლისთავის აღსანიშნავად იგეგმებოდა. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია 48°51′29″N, 2°17′40″E. კოშკის ინაუგურაცია მოხდა 1889წლის 31 მარტს, ხოლო საზოგადოებისთვის კი ის 6 მაისს გაიხსნა. 300-მა მუშამ ააწყო 18.038 ლითონის (სუფთა სტრუქტურული ფოლადის ფორმა) ნახვრეტებიანი კონსოლი, გამოიყენეს რა 2.5 მილიონი ჭანჭიკი, მორის კოხლინის სტრუქტურის პროექტით.

შეცდომის რისკი ძალიან დიდი იყო, ვინაიდან თანამედროვე ცათამბჯენთაგან განსხვავებით კოშკს ღია ჩონჩხი აქვს შუალედური სართულების გარეშე, ორი პლატფორმის გარდა. თუმცა, ვინაიდან ეიფელმა წინასწარი ზომები მიიღო მუშათა უსაფრთხოებისთვის, მშენებლობის პერიოდში მხოლოდ ერთი მათგანი დაიღუპა, ოტისის ლიფტების დამონტაჟებისას.

თავდაპირველად საზოგადოების რეაქცია კოშკის მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო, ვინაიდან უმრავლესობას იგი თვალში ხინჯად ხვდებოდა. თუმცა ამჟამად ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმტაც სტრუქტურულ ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევა.

ჰოლივუდის ერთი ყველაზე დიდი კლიშეა - პარიზული ფანჯრიდან აუცილებლად უნდა სჩანდეს ეიფელის კოშკი. რეალურად, ზონური შეზღუდვების გამო პარიზში შენობათა სიმაღლეზე ზღვარი რამდენიმე სართულით შემოიფარგლება და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე შედარებით მაღალ შენობას აქვს კოშკზე წმინდა ხედი.

თავდაპირველად ეიფელს უფლება ჰქონდა აგებული კოშკი 20 წლით მდგარიყო, საკუთარი ხარჯების ამოსაღებად, თუმცა მოგვიანებით კოშკმა საკომუნიკაციო დანიშნულებაც მიიღო და ვადის გასვლის შემდეგაც გადაწყდა მისი დატოვება.

კოშკის სიმაღლე 300 მეტრია, რაც დაახლოებით 75 სართულს უდრის. მის თავზე 24 მეტრის სიმაღლის ანტენაა, რაც სტრუქტურის საერთო სიმაღლეს 324 მ ნიშნულზე სწევს. აშენების დროს, 1889 წელს, ეიფელის კოშკი ყველაზე მაღალი სტრუქტურა იყო მსოფლიოში, ტიტული, რომელიც მან 1930 წლამდე შეინარჩუნა, როცა ნიუ-იორკისკრაისლერ ბილდინგის (319 მ) მშენებლობა დასრულდა, თუმცა ეიფელი სიმაღლეში მას მაინც უსწრებდა თუ სიმაღლეში ამ სტრუქტურების ანძები ჩაითვლებოდა. ამჟამად ეიფელის კოშკი საფრანგეთში სიმაღლით მეორე სტრუქტურაა, 350 მ სიმაღლის ალუის გრძელი ტალღების გადამცემი ანძის (1939) აგების შემდეგ. შემდეგ მოდის ლა ტურ მონპარნასი, პარიზის მონპარნასის უბანში (209 მ).

კოშკის ლითონის სტრუქტურა 7.300 ტონას იწონის, მისი საერთო წონა კი 10.100 ტონაა. ზედა პლატფორმაზე ასასვლელი საფეხურების რაოდენობა იცვლებოდა კოშკის ისტორიის განმავლობაში, რამდენიმე რენოვაციის შედეგად: აშენების მომენტში 1889წელს 1710 საფეხური ადიოდა სამიტის პლატფორმაზე 300.65 მ ნიშნულზე; 1980 წლის რენოვაციის შემდეგ საფეხურების რაოდენობა 1920-მდე გაიზარდა; ამჟამად 1665 საფეხუია, თუმცა ზედა პლატფორმაზე საფეხურებით ასვლა შეუძლებელია და დამთვალიერებლებს მხოლოდ ლიფტების გამოყენება შეუძლიათ.

ჰაერის ტემპერატურის მიხედვით ეიფელის კოშკის თავი შეიძლება მზისგან გადახურების გამო 8 სმ-მდე გადაიწიოს, მზე მიფიცხებულ მხარეს ლითონის გაფართოებისგან.

კოშკის რემონტი მოიცავს ყოველ შვიდ წელიწადში 50 ტონა სამი ფენა საღებავის წასმას კონსტრუქციის ლითონის ზედაპირის ჟანგისგან დასაცავად. დროგამოშვებით საღებავის ფერი იცვლება—ამჟამად კოშკი მოყავისფროდაა შეღებილი. პირველ სართულზე ინტერაქტიული კონსოლებია დამონტაჟებული, რომელშიც მსურველებს შეუძლიათ კენჭი ჰყარონ კოშკის მომავალი შეფერილობის შესარჩევად.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ცნობილი როგორც ნოტრ-დამი — გოტიკური საკათედრო ტაძარია პარიზის ილ-დე-ლა-სიტეს აღმოსავლეთ ნაწილში, მთავარი შესასვლელით დასავლეთიდან. ის დღემდე მოქმედი რომაულ-კათოლიკური კათედრალია (პარიზის ეპარქიის). პარიზის ნოტრ-დამი ფრანგული გოტიკური არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ნიმუშად ითვლება.

პარიზის ნოტრ-დამი ერთ-ერთი პირველი გოტიკური ტაძარი იყო და შენდებოდა მთელი გოტიკური პერიოდის განმავლობაში. მისი სკულპტურები და მოჭიქული მინანატურალიზმის ძლიერ გავლენაზე მიუთითებს, აძლევა რა მათ უფრო სეკულარულ ხასიათს, რაც ადრეულ რომანულ ფორმებში ნაკლებად შეინიშნებოდა.

პარიზის ნოტრ-დამი ასევე ერთ-ერთი პირველი შენობა იყო მსოფლიოში, სადაც არკ-ბუტანტები, ე. წ. მფრინავი საყრდენები გამოიყენეს გუმბათების გასამაგრებლად. თავდაპირველ პროექტში ქორალთან და მთავარ გუმბათთან არკ-ბუტანტების აყვანა გათვალისწინებული არ იყო. თუმცა მშენებლობის დაწყების შემდეგ კედლები სიმაღლეში სულ უფრო ვიწროვდებოდა და თხელდებოდა და მათზე სიმძიმის ზეწოლის ნიშნები გაჩნდა. ამის გამო საყრდენების დამატება აუცილებელი შეიქმნა დამატებითი რღვევის თავიდან ასაცილებლად. მრავალი წლის განმავლობაში ამ საყრდენებს ხარაჩოებს ამსგავსებდნენ, თითქოს მათი დემონტაჟი მშენებლობის დასრულების შემდეგ დავიწყნოდათ, რაც კათედრალს დაუმთავრებელ იერს აძლევდა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი კათედრალური ეკლესიაა და აღმართულია კუნძულსიტეზე, რომელსაც პარიზის შუაგულში ქმნის მდინარე სენის ორი ტოტი. ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1163 წელს. მშენებლობა დაიწყო პატრონიკეთი, რომელიც დამთავრდა 1182 წელს, მთავარი კორპუსი კი - 1196 წელს. დასავლეთის პორტალებიანი ფასადი ძირითადად დამთავრდა 1208 წელს, ცალკეული ნაწილების მშენებლობა კი XIII საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა. ძეგლმა მრავალნაირი გადაკეთება განიცადა. განახლდა XIX საუკუნის შუა წლებშიც კი. ძირითადად იგი იგებოდა ლაონის კათედრალის (XII ს.) ნიმუშით, რომელსაც ადრეული გოტიკის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს არა აქვს მისი სიმსუბუქე და სინარნარე. ვერც შემდეგი დროის (XIII ს. შუა წლებში) არქიტექტურებმა შეძლეს დაეძლიათ მისი მასიური სიმძიმე, როდესაც მის წინახედს ამთავრებდნენ. როგორც იქნა,ჟან დე შელმა და პიერ დე მონტერიელმა შეძლეს XIII საუკუნის მეორე ნახევარში თავიანთი დროის შესაფერისად მიეღწიათ განივი ნავის ფასადის გოტიკური სიმსუბიქისათვის.

ელისეს მინდვრები ველი მოსვლისა, მობრძანებისა, ელიზიუმი (ლათ. Elysium), ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების რჩეულ გმირთა მარადიული სამყოფელი.

ჰომეროსის წარმოდგენით, ელისეს მინდვრები ლამაზი, ბედნიერი ადგილია დედამიწის უკიდურეს დასავლეთში, ოკეანის გაღმა. ცხონებულნი უზრუნველად და ნეტარებაში ატარებენ იქ დროს. მითი ელისეს მინდვრების შესახებ ფართოდ აისახალიტერატურაში, განსაკუთრებით ელევსინური და ორფიკული მისტერიების, პლატონისა და პითაგორელების გავლენით. წარმოდგენა ბედნიერ ქვეყანაზე რომაელებშიც გავრცელდა, მათ ნეტართა ეს ადგილი კანარის კუნძულებს ("ბედნიერი კუნძულები") დაუკავშირეს. შემდგომში ეს მითი ქრისტიანულმა რელიგიამ გამოიყენა და მას სამოთხე შეარქვა. ელისეს მინდვრები (შანზ-ელიზე) ჰქვია პარიზის ერთ-ერთ მთავარ გამზირს.

თემა XIII. იტალია

იტალიის რესპუბლიკა უნიტარული, საპარლამენტო რესპუბლიკასამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. ჩრდილოეთით, ალპების გასწვრივ ესაზღვრებასაფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია და სლოვენია. სამხრეთით ის მთლიანად მოიცავს აპენინის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის ორ უდიდეს კუნძულს — სიცილიასა და სარდინიას, ასევე სხვა მრავალ პატარა კუნძულს. იტალიის საზღვრებში მდებარეობს ორი ანკლავი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები სან-მარინო და ვატიკანი. ამავე დროს იტალია შვეიცარიის ტერიტორიაზე ფლობს ექსკლავ კამპიონე-დ'იტალიას. იტალიის ტერიტორია მოიცავს 301 338 კმ²-ს და ახასიათებს ზომიერი სარტყლის კლიმატით. 60,6 მლნ მცხოვრებით იტალიაევროპაში მე-5 სახელმწიფოა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ და მსოფლიოში 23-ე.

იტალიის დედაქალაქი რომი საუკუნთა განმავლობაში დასავლური ცივილიზაციის პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა, როგორცრომის იმპერიის დედაქალაქი და წმინდა ეპარქიის ადგილსამყოფელი. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ იტალიამ გაუძლო უცხოელ ხალხთა მრავალ ინვანსიას, ძირითადად ისეთი ხალხებისგან როგორებიც იყვნენ გერმანიკული ტომები — ლანგობარდები და ოსტგუთები, შემდეგ ბიზანტიელები, უფრო მოგვიანებით კი ნორმანები და ა. შ. საუკუნეების შემდეგ, იტალია საზღვაო რესპუბლიკებისა და რენესანსის სამშობლო გახდა.

პოსტ-რომის იმპერიული საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იტალია დაყოფილი იყო მრავალ სამეფოდ და ქალაქ-სახელმწიფოდ (მაგალითად, როგორებიც იყო სარდინიის სამეფო, ორი სიცილიის სამეფო, მილანის საგრაფო), მაგრამ 1861 წელს გაერთიანდა. გაერთიანების მღელვარე პერიოდი ისტორიაში ცნობილია როგორც "Il Risorgimento". გვიანდელ XIX საუკუნიდან და მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე იტალია ფლობდა კოლონიურ იმპერიას, რომელზეც მისი მმართველობა ვრცელდებოდა და ოგო მოიცავდალიბიას, ერიტრეას, სომალის, ეთიოპიას, ალბანეთს, დოდეკანესის კუნძულებსა და ტიანძინის კონსესიას ჩინეთში.

თანამედროვე იტალია დემოკრატიული რესპუბლიკაა. რანგირებულია როგორც მსოფლიოს 24-ე ყველაზე განვითარებული ქვეყანა და ცხოვრების ხარისხის ინდექსით შედის მსოფლიო ქვეყანათა ათეულში. იტალია გამოირჩევა ცხოვრების ძალიან მაღალი სტანდარტით და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი მაჩვენებლით. წარმოადგენს ევროკავშირისჩანასახის დამფუძნებელ წევრს და ევროზონის

ნაწილს. იტალია ასევე არისდიდი რვიანის, დიდი ოციანისა და ნატოს წევრი. გააჩნია მსოფლიოში მესამე უდიდესი ოქროს მარაგი, მშპ-ის მერვე უდიდესი მაჩვენებელი მსოფლიოში, მეათე უდიდესი მშპ, და მეექვსე უდიდესი სახელმწიფო ბიუჯეტი. ის ასევე არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის,მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, დასავლეთ ევროპის კავშირისა და გაეროს წევრი. იტალია ფლობს მსოფლიოში მეცხრე უდიდეს თავდაცვით ბიუჯეტს და მის ტერიტორიაზე განთავსებულია ნატოს ბირთვული იარაღი.

იტალია დიდ როლს თამაშობს გლობალურ სამხედრო, კულტურულ დადიპლომატიურ საქმიანობებში. ქვეყნის ევროპული პოლიტიკის, სოციალური და ეკონომიკური გავლენა მას მთავარ რეგიონულ ძალად აქცევს. იტალიას გააჩნია საზოგადოების განათლების მაღალი დონე და წარმოადგენს მაღალგლობალიზებულ ერს.

კლიმატი და ჰიდროგრაფია

ჰავა იტალიის დიდ ნაწილში სუბტროპიკულია, ხმელთაშუაზღვიური, პადანის ვაკეზე — სუბტროპიკულიდან ზომიერში გარდამავალი. ზაფხული ცხელი და მშრალია. მდინარეთა ქსელი ყველაზე ხშირია ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც გადის იტალიის უდიდესი მდინარე პო (სიგრძე 652 კმ.) პადანის ვაკეზე მიედინება მდინარეები: ადიჯე, ბრენტა, პიავე,ტალიამენტო, რენო და სხვ. აპენინის ნახევარკუნძულის უდიდესი მდინარეებია: არნო, და ტიბრი. დიდი ტბების უმეტესობა (გარდა, კომო, ლაგო-მაჯორე და სხვ.) ლომბარდიის ალპების მთისწინეთშია, აპენინის ნახევარკუნძულის უდიდესი უდიდესი ტბებია: ბოლსენა, ბრაჩანო და სხვ.

ალპებში 800 მეტრამდე სიმაღლეზე მთის ფართოფოთლოვანი ტყეა, 800-დან 1800 მ-მდე — წიფლნარი და წიწვნარია მთა-ტყის ყომრალ და ნეშომპალა ნიადაგებზე; მაღლა — ბუჩქნარი, სუბალპური და ალპური მდელოები მთა-მდელოს ნიადაგზე, თხემურ, ნაწილში გაშიშვლებული კლდეები და შვავებია. აპენინებში სიცილიასა და სარდინიაში 500-600 მ-მდე მარადმწვანე ქვამუხის, კორპის მუხის, მინიისა და ალეპოს ფიჭვის კორომები და ბუჩქნარია უმთავრესად ყავისფერ ნიადაგზე, მაღლა, 1000-1500 მ-მდე ჭარბობს მთის ფართოფოთლოვანი ტყეები ყავისფერ და მთის მურანიადაგებზე. ცხოველები შემორჩენილია მხოლოდ მთაში.

პოლიტიკური წყობა

- პოლიტიკური სისტემა — საპარლამენტო რესპუბლიკა.

- სახელმწიფოს მეთაური — პრეზიდენტი ჯორჯო ნაპოლიტანო (Giorgio Napolitano, 2006).
- მთავრობის მეთაური — პრემიერ-მინისტრი მარიო მონტი (იტალ. Mario Monti) (დ. 19 მაერტი 1943, ვარეზე, იტალია) — იტალიელი პოლიტიკოსი. იტალიის პრემიერ-მინისტრი 2011 წლის 16 ნოემბრიდან.
- საკანონმდებლო ორგანო — ორპალატიანი პარლამენტი, შედგება რესპუბლიკის სენატისა (315 წევრი) და დეპუტატთა პალატისაგან (630 წევრი).

იტალიის პირველი დონის ქვედანაყოფი რეგიონია. იტალიის შემადგენლობაში შედის 20 რეგიონი (Regione): აპულია, აბრუცი,ბაზილიკატა, ემილია-რომანია, ვენეტო, კალაბრია, კამპანია, ლაციო, ლიგურია, ლომბარდია, მარკე, მოლიზე, პიემონტი,ტოსკანა, უმბრია, ვალე-დ-აოსტა, სარდინია, სიცილია, ტრენტინო-ალტო-ადიჯე, ფრიული-ვენეცია-ჯულია. უკანასკნელ ხუთ რეგიონს ავტონომიური რეგიონის სტატუსი აქვს. რეგიონები თავის მხრივ პროვინციებად იყოფა. 2010 წლის მონაცემებით ქვეყანაში სულ 110 პროვინციაა. პროვინციებზე დაბალი დონის ქვედანაყოფია კომუნა, იგივე მუნიციპალიტეტი. იტალიაში 8 101 კომუნაა.

დემოგრაფია

იტალია ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 200 კაცს 1 კმ²-ზე. დაახლოებით 60 % ქალაქში ცხოვრობს, რომელთა შორისაც უდიდესებია რომი, მილანი, ნეაპოლი, ტურინი.

- მოსახლეობა — 60 231 214 (2009), მათ შორის 94,1% იტალიელები, 2,6% სარდინიელები, 1,2% ფრიულელები.
- ენები — იტალიური, გერმანული (ტრენტინო-ალტო-ადიჯეს რეგიონში), ფრანგული (ვალე დ-აოსტა), სლოვენური(ტრიესტე-გორიცია).
- რელიგია — კათოლიციზმი.
- ქალაქები (ათ.) — რომი (2 456, აგლომ. — 3 550), მილანი (1 180, აგლომ. — 4 047), ნეაპოლი (992, აგლომ. — 3 612),ტურინი (856, აგლომ. — 1.612), პალერმო (652, აგლომ. — 946), გენუა (602, აგლომ. - 675), ბოლონია (369, აგლომ. - 536),ფლორენცია (352, აგლომ. - 824).

ტურიზმი

1861 წელს თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე არსებული პატარა სამეფო-სამთავროები გაერთიანდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. სულ ბოლოს მათ შეუერთდა რომი, სადაც მანამდე პოლიტიკური ძალაუფლება ეკუთვნოდა პაპს. 1922

წელს ქვეყნის სათავეში მოვიდა ფაშისტური ხელისუფლება ბენიტო მუსოლინის მეთაურობით, რომელიც ჩათრეულ იქნა მეორე მსოფლიო ომში. 1947 წელს იტალია გახდა დემოკრატიული რესპუბლიკა.

რომი იტალიის უდიდესი ქალაქია და ამავე სახელწოდების "კომუნა"აგლომერაცია ერთ-ერთი უმსხვილესია ევროპაში 120 კმ² ფართობით (ადვილად დაიტევდა დანარჩენ ცხრა უმსხვილეს იტალიურ ქალაქს:მილანს, ნეაპოლს, ტურინს, პალერმოს, გენუას, ბოლონიას, ფლორენციის,ბარისა და კატალინას, და ასევე ოთხ უმსხვილეს ევროპულ ქალაქს, როგორიცაა პარიზი, ბერლინი, სტოკჰოლმი და ბრიუსელი). ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 2.546.807 (2004), აგლომერაციისა—დაახ. 4 მილიონი. რომის ახლანდელი მერია ჯოვანი ალემანო (2008).

რომის ეშპ შეადგენს 75 მილიარდ ევროს (ახალ ზელანდიაზე მეტი და იმდენივე რაც სინგაპურის - თუმცა სამივეს დაახლოებით თანაბარი მოსახლეობა ჰყავს). 2001 წელს რომის მუნიციპალიტეტმა გამოიმუშავა იტალიის მთლიანი ეშპ-ს 6.5%, რაც ყველაზე მაღალია იტალიის ქალაქთა შორის.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რომი ბენიტო მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის დამყარების მოწმე გახდა. 1922 წელს მუსოლინიმ ქალაქში მარშით გაიარა, სადაც ახალი იმპერიის დამყარებისა და ფაშისტურ გერმანიასთან გაერთიანების შესახებ გააკეთა განცხადება. ეს პერიოდი მოსახლეობის სწრაფი ზრდით გამოირჩეოდა, როდესაც 212 000-იანმა მოსახლეობამ 1 000 000-ს გადააჭარბა, თუმცა, მომდევნო ზრდას ხელი მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა დაბომბვებითა და ოკუპაციით. მუსოლინის დასჯისა და ომის დასრულების შემდეგ 1946 წლისრეფერენდუმით იტალიამ მონარქიულ წყობას რესპუბლიკური არჩია.

ომის დასრულების შემდეგ რომი ისევ აღორძინებას იწყებს, როგორც იტალიის ომისშემდგომი მოდერნიზაციისა და ეკონომიკური განვითარების ფლაგმანი.

1950-1960-იან წლებში რომი მოდური ქალაქი ხდება, ამ წლებს la dolce vita (ტკბილი ცხოვრება) ეწოდება. მოსახლეობის ზრდის ტენდენცია რომს 1980-იან წლებამდე მოჰყვა, როდესაც ქალაქში 2,800 000 ადამიანი ცხოვრობდა, შემდგომ მოსახლეობამ თანდათან მახლობელ დასახლებებში იწყო გადასვლა. 80-იან წლებში რომი მეტად "გადაჭედილი" ქალაქი იყო გართულებული მგზავრობითა და უსუფთაო ჰაერით, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

უკანასკნელ წლებში ქალაქის მოსახლეობა ისევ იზრდება, ოღონდ, ძირითადად, უცხო ქვეყნებიდან ჩასული ემიგრანტების ხარჯზე.

კოლოსეუმი ან კოლისეუმი, ფლავიუსების ამფითეატრი — გიგანტური ამფითეატრი, ძველი რომის არქიტექტურული ძეგლი (ახ. წ. 75 - 80), გეგმით ელიფსური შენობის (სიგრძე 190 მ, სიგანე 156 მ) შუაში მოთავსებული არენის ირგვლივ 4 იარუსად, საფეხურისებრ, განლაგებულია მაყურებელთა ადგილები (დაახლოებით 45-დან 50 ათასამდე). ძირითადად ეთმობოდა გლადიატორების ბრძოლის სანახაობებს. კოლოსეუმი მდებარეობდა რომაული ფორუმის მარჯვნივ და მისი მშენებლობა დაიწყო 70-სა - 72 წელს იმპერატორ ვესპასიანეს ზეობის დროს. კოლოსეუმის მშენებლობა დასრულდა იმპერატორი ტიტუსის დროს და შემდგომი ცვლილებები შეტანილი იქნა იმპერატორი დომიციანეს ზეობისას. კოლოსეუმი რამდენჯერმე დააზიანა მიწისძვრამ, თუმცა დღეს იგი რომის სიმბოლოს წარმოადგენს.

მილანი ჩრდილოეთ იტალიის მთავარი ქალაქია, მდებარეობს ლომბარდიის დაბლობზე და ქვეყნის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და განვითარებული რეგიონია. ქალაქის ფარგლებში 1 308 500 მცხოვრებია (2004), თუმცა მის აგლომერაციაში (La Grande Milano, დიდი მილანი) 4 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მილანის ე.წ. Città Regione (ქალაქი-რეგიონი) 9,4 მილიონზე მეტ მცხოვრებს ითვლის.

მილანის სახელი მრავალი საუკუნის განმავლობაში იწერებოდა როგორცმაილანდი, რომელიც ამჟამადაც ამ ქალაქის გერმანული სახელია. ეს სახელი მომდინარეობს კელტური Mid-lan-იდან (შუა გავაკებაზე) და რომაელთათვის ცნობილი იყო როგორც Mediolanum .

მილანის პროვინცია ლომბარდიის დასავლეთ ნაწილშია და ფარავს 1 981 კვ.კმ-ს საერთო მოსახლეობით 3 838 818 (2004); პროვინცია 188 კომუნისგან შედგება.

ქალაქი განთქმულია მოდის ფირმებითა და მაღაზიებით. აქვეა მსოფლიოში უძველესი სავაჭრო ცენტრი Galleria Vittorio Emanuele პიაცა დუომოზე (ტაძრის მოედანი). მილანი მსოფლიო მოდისა და დიზაინის ერთ-ერთ დედაქალაქთაგანია ნიუ-იორკის, პარიზის, ლონდონისა დატოკიოს გვერდიგვერდ. ქალაქი ასევე ევროპის ერთ-ერთ უმთავრეს საფინანსო და ბიზნეს ცენტრად ითვლება. მილანი ასევე ცნობილია აქ წარმოებული ავტომანქანებით ალფა-რომეო და აბრეშუმის ქსოვილით.

მილანი დააარსეს ინსუბრებმა ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში. ძვ. წ. 196 რომს დამორჩილდა (ლათ. სახელწოდება Mediolanum) და რომის იმპერიის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი გახდა. ლანგობარდების დროს იყო ერთ-ერთი ჰერცოგის რეზიდენცია, 801-იდან მილანის საგრაფოს დედაქალაქი, X საუკუნის დასასრულიდან — საარქიეპისკოპოსოს ცენტრი. XI-XII საუკუნეებში ხელოსნობისა

(იარაღის, აბრეშუმის, მაუდის და სხვა წარმოება) და ვაჭრობის ცენტრია. XI საუკუნის II ნახევრიდან მილანი პატარიის ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა, რის შედეგად 1097-1098 განმტკიცდა კომუნა (აღმოცენდა ჯერ კიდევ XI საუკუნის შუა წლებში).

ლა სკალა სიტყვასიტყვით "თეატრი კიბეზე" ააგეს ორ წელიწადში არქიტექტორ ჯუზეპე პიერმარინის მიერ, მარი-ტერეზა ავსტრიელისშეკვეთით მას შემდეგ, რაც ხანძრის გამო განადგურდა ძველი საჰერცოგო თეატრი. ლა სკალა გაიხსნა 1778 წლის 3 აგვისტოს ანტონიო სალიერისოპერით l'Europa riconosciuta.

ამ შენობაში იდგმებოდა დომენიკო ჩიმაროზას, ჯუზეპე ვერდის და სხვათა ოპერები. ეს ქორეოგრაფიული ხელოვნების მთავარი ადგილი იყო. ყოველ წელიწადს მასში უამრავი ბალეტი იდგმება კალასიკური ცეკვის უდიდესი ოსტატების მონაწილეობით. ამის გამო ლა სკალამ თითქმის მითოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა.

1943 წელს ლა სკალის შენობა დაიბომბა და მისი ხელახალი გახსნა 1946 წელს მოხერხდა.

ლა სკალის ყველაზე ცნობილი მთავარი დირიჟორი იყო არტურო ტოსკანინი. 1972წელს იგი შეცვალა კლაუდიო აბადომ, 1986 წელს კი - რიკარდო მუტიმ. 2002 წლის19 იანვარს შენობა დაიხურა განახლებისთვის საჭირო სამუშაოების გამო. განახლებას ხელმძღვანელობდა არქიტექტორი მარიო ბოტა. ხელახალ გახსნას ადგილი ჰქონდა 2004 წლის 7 დეკემბერს სალიერის იმავე ოპერით, რითაც თავდაპირველად გაიხსნა.

ლა სკალაში მუსიკალური სეზონი ტრადიციულად იხსნება 7 დეკემბერს, მილანისმფარველი წმინდა ამბროზის დღეს. ამავე შენობაში არის ლა სკალას მუზეუმი, სადაც ინახება სასცენო ნახატების, დეკორაციების, ქანდაკებების, კოსტიუმების უდიდესი კოლექცია.

სანტა-მარია-დელლა-გრაციე ეკლესია და დომინიკელთა ორდენის მონასტერი მილანში. მონასტრის სატრაპეზოს კედელი შეიცავს ლეონარდო და ვინჩის შედევრს — საიდუმლო სერობას. 1980 წლიდან ეკლესია შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.

დომინიკლეთა ორდენისთვის მონასტრისა და ეკლესიის აშენება მილანის ჰერცოგმა ფრანჩესკო I ფორცამ ბრძანა, იმ ადგილას, სადაც სანტა-მარია-დელლა-გრაციეს პატარა კაპელა მდებარეობდა.

მონასტრის მშენებლობა 1469 წელს დასრულდა, მაგრამ ეკლესიის მშენებლობას კიდევ დიდი დრო დასჭირდა. მილანის ახალმა ჰერცოგმა ლუდოვიკო სფორცამ გადაწყვიტა, რომ კომპლექსი სფორცების ოჯახის აკლდამად ექცია და 1490 წელს,

მშენებლობების დასრულების შიემდეგ, მისი გადაკეთება დაიწყო. 1497 წელს, ეკლესიაში მისი ცოლი ბეატრისი დაკრძალეს.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1943 წლის 15 აგვისტოს, ეკლესია და მონასტერი ბრიტანული და ამერიკული ავიაციის მიერ დაიბომბა. დაინგრა კომპლექსის უდიდესი ნაწილი, მაგრამ ზოგიერთ გადარჩენილ კედელს შორის ის კედელიც იყო, რომელზეც და ვინჩის საიდუმლო სერობაა გამოსახული. ფრესკის გადარჩენის მიზნით, კედელი დაბომბვამდე ქვიშის ტომარებით დაეფარათ.

ფლორენცია (იტალიურად: Firenze; ძველ იტალიურად: Fiorenza,ლათინურად: Florentia) - იტალიის რეგიონის ტოსკანის და ფლორენციის პროვინციის დედაქალაქი. ის არის ტოსკანის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქი 367,569 მცხოვრებით (1,500,000 შემოგარენის ჩათვლით).

ქალაქი მდებარეობს მდინარე არნოს გასწვრივ, მდიდარია თავისიისტორიით. უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო შუა საუკუნეებში და რენესანსის ეპოქაში, განსაკუთრებით მისი არქიტექტურით დახელოვნებით. შუა საუკუნეების ვაჭრობის და ფინანსური ცენტრი იყო. ფლორენცია ხშირად მოიაზრება იტალიური რენესანსის აკვნად. მას შუა საუკუნეების ათენსაც კი უწოდებდნენ. მედიჩების მმართველობის პერიოდში, ხანგრძლივად დე-ფაქტო დამოუკიდებლობაც ჰქონდა. 1865 დან1870 მდე კი იტალიის სამეფოს დედაქალაქსაც წარმოადგენდა.

ქალაქი მილიონობით ტურისტს იზიდავს და 1982 წელს გამოცხადდამსოფლის კულტურულ მემკვიდრეობად. ფლორენცია ცნობილია როგორც მსოფლიოს ერთ - ერთი ულამაზესი ქალაქი. მან გავლენა იქონია მსოფლიოზე კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით. ფლორენცია არის საუკეთესოდ შენახული რენესანსული ქალაქი მსოფლიოში და ბევრი მას იტალიის კულტურულ დედაქალაქად მიიჩნევს. ის ასევე მრავალი ისტორიული პიროვნების სამშობლოც იყო. მაგალითად: დანტე, ბოკაჩო,ბოტიჩელი, ნიკოლო მაკიაველი, მიქელანჯელო, დონატელო, გალილეო გალილეი, ეკატერინე მედიჩი, რობერტო კავალი და ასე შემდეგ.

ვენეცია მეტსახელად არხების ქალაქი — ქალაქი ჩრდილო აღმოსავლეთ იტალიაში, ერთმანეთისგან არხებით გამოყოფილ 118 პატარა კუნძულზე, რომლებიც ხიდებით არიან დაკავშირებული. მდებარეობს ჭაობიან ვენეციის ლაგუნაში, რომელიც გადაჭიმულია მდინარეების — პოსა და პიავეს შესართავებს შორის. ვენეცია ცნობილია თავისი სილამაზითა და გარემომცველი ბუნებით, არქიტექტურითა და ხელოვნებით. ვენეციის

ლაგუნასთან ერთად, ქალაქი შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ვენეცია ვენეტოს რეგიონის დედაქალაქია. 2009 წლის მონაცემებით, ვენეციის კომუნაში 270 098 ადამიანი ცხოვრობს.[2] პადუასა დატრევიზოსთან ერთად, ქალაქი მიეკუთვნება პადუა-ტრევიზო-ვენეციისაგლომერაციას, რომლის მოსახლეობაც 1 600 000 ადამიანს შეადგენს.

სახელი მომდინარებს აქ მაცხოვრებელი ანტიკური პერიოდის ხალხისგან, რომლებსაც ვენეტები ეწოდებოდათ და ქრისტეშობამდე დაახლოებით X საუკუნეში ცხოვრობდნენ. ქალაქი ისტორიულად ვენეციის რესპუბლიკის დედაქალაქი იყო. ხშირად ვენეციას სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებენ: „La Dominante“, „Serenissima“, „ადრიატიკის ზღვის დედოფალი“, „წყლის ქალაქი“, „ნიღბების ქალაქი“, „ხიდების ქალაქი“, „მცურავი ქალაქი“ და „არხების ქალაქი“. როგორც იტალიელმა ჟურნალისტმა ლუიჯი ბარცინიმ გაზეთ The New York Times-ს განუცხადა, „ეს ქალაქი უდავოდ ყველაზე მშვენიერია, რაც კი კაცის ხელს შეუქმნია“.

ვენეციის რესპუბლიკა შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხანაში ძლიერი საზღვაო სახელმწიფო იყო. მნიშვნელოვანი იყო მისი როლი ვაჭრობასა და ხელოვნებაში. სახელმწიფომ XIII საუკუნიდან XVII საუკუნის ბოლომდე იარსება. ამ ფაქტმა ვენეცია მდიდარ ქალაქად აქცია. ვენეცია ასევე ცნობილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მხატვრული მიმდინარეობით, განსაკუთრებით რენესანსის პერიოდში. ვენეციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სიმფონიური და საოპერო მუსიკის ისტორიაში, აქ დაიბადაანტონიო ვივალდი.

პიაცა-დეი-მირაკოლი საოცრებათა მოედანი — ვრცელი, კედლით შემოსაზღვრული ტერიტორია იტალიის ქალაქ პიზაში. მიჩნეულია შუა საუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრად. მოედანი ნაწილობრივ მოასფალტებულია, ნაწილობრივ კი მდელოებით დაფარული. არეალი მოიცავს ოთხ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ ნაგებობას:დუომოს კათედრალს, პიზის კოშკს, პიზის ბაპტისტერიას და კამპოსტანოს.

მოედანს სახელი შეარქვა იტალიელმა მწერალმა და პოეტმა გაბრიელე დ'ანუნციომ, რომელმაც ის 1910 წელს აღწერა თავის ნოველაში Forse che si forse che no სულ რაღაც ერთი წინადადებით: L’Ardea roteò nel cielo di Cristo, sul prato dei Miracoli, რაც ნიშნავს - „ყანჩა ფრინავდა ქრისტეს ცაზე, სასწაულების მდელოს თავზე“.

1987 წელს, მთლიანი მოედანი იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

პომპეი არის ქალაქი ძველ რომში. განადგურდა ქალაქჰერკულანუმთან ერთად 79 წლის 24 აგვისტოს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ. საუკუნეების მანძილზე ვულკანური ფერფლით იყო დაფარული. მდებარეობს იტალიაში თანამედროვე ნეაპოლთან ახლოს, ნეაპოლის ყურეში.

ქალაქი აღმოაჩინეს 1748 წელს. მას შემდეგ, როგორც ანტიკური ქალაქის ყველაზე უკეთ შენახული ნანგრევები, ანტიკური სამყაროს შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროს წარმოადგენს. ქალაქის სისტმატური შესწავლა მხოლოდ 1860 წლიდან დაიწყო იტალიელი ჯუზეპე ფიორელისხელმძღვანელობით და ეს კვლევა დღემდე გრძელდება. ფიორელიმ მთელი ტერიტორია კვადრატებად დაანაწილა (ამ მეთოდს დღესაც იყენებენ), თითოეული აღმოჩენილი სახლის კარი დანომრა, ხოლო ფერფლსა და ლავაში გაჩენილი სიცარიელე თხევადი თაბაშირით ამოავსო. ამით შესაძლებელი გახდა კატასტროფის შედეგად დაღუპული და გაქვავებული ადამიანებისა და ცხოველების ანაბეჭდების აღება.

1997 წელს, ქალაქის ნაშთები ჰერკულანუმთან და ტორე-ანუნციატასთანერთად, იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

ნეაპოლი ახალი ქალაქი, ისტორიული ქალაქი სამხრეთ იტალიაში, კამპანიის რეგიონისა და ნეაპოლის პროვინციის დედაქალაქი. ნეაპოლი ცნობილია მდიდარი ისტორიით, ხელოვნებითა და კულტურით. ქალაქი განლაგებულია ნეაპოლის ყურეში, ორ ვულკანურ ტერიტორიას შორის:ვეზუვის მთასა და ფელეგრინის ველებს შორის.

ნეაპოლი ძველმა ბერძნებმა დააარსეს და „ნეა პოლის“ (ახალი ქალაქი) უწოდეს. იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა, როგორც რომის იმპერიისცენტრალური პროვინცია. 1282-1816 წლებში ნეაპოლი ამავე სახელწოდების სამეფოს დედაქალაქი იყო, მოგვიანებით ის შედიოდასიცილიის შემადგენლობაში.

დღეს ნეაპოლი მესამე მჭიდროდ დასახლებული ადგილია იტალიაში,რომისა და მილანის შემდეგ, ხოლო მეთხუთმეტე ევროპაში. ნეაპოლის მოსახლეობა 3.8 მილიონს შეადგენს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დასახლებულია ესპანურ კვარტლებში. ცენტრალურ ნეაპოლში ცხოვრობს ერთი მილიონი ადგილობრივი მცხოვრები — ნეაპოლელები (Neapolitans). ადგილობრივი მოსახლეობა საუბრობს ნეაპოლურ ენაზე, რომლის რემდენიმე დეალექტზეც თითქმის მთელი სამხრეთ იტალიამეტყველებს.

ნეაპოლთანაა დაკავშირებული პიცის წარმოშობა. ცნობილია ამ ქალაქის კულტურა: ნეაპოლთან აკავშირებენ მადოლინის (მუსიკალური საკრავის) წარმოშობას. ცნობილია ნეაპოლიტანური ფოლკლორული მუსიკაც. არსებობს უამრავი პოპულარული

ფიგურა და ნიშანი, რომლებიც ცნობილია როგორც ნეაპოლის სიმბოლოები: მთავარი წმინდნის — Januarius-ის, Pulcinella-ს სიმბოლო და საყვირები.

კაზერტის სამეფო სასახლე ყოფილი სამეფო რეზიდენცია სამხრეთ იტალიის ქალაქ კაზერტაში, აშენებულია ნეაპოლისბურბონ მეფეთათვის. ის იყო უდიდესი სასახლე და ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა, რაც კი XVIII საუკუნის ევროპაში აშენებულა. 1997 წელს, სასახლეიუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

სასახლის მშენებლობა 1752 წელს, მეფე კარლ VII-მ დაიწყო. პროცესს სათავეში მისი არქიტექტორი ლუიჯი ვანვიტელი ჩაუდგა. როდესაც მეფემ ვანვიტელის მიერ გაკეთებული სასახლის გრანდიოზული მოდელი ნახა, გაოცებისა და სიხარულისგან ცრემლები ვერ შეიკავა. პროექტი საბოლოოდ მისმა უმცროსმა ვაჟმა და ტახტის მემკვიდრემ, ფერდინანდ IV-მ დაასრულა. სასახლე ვერსალისადა მადრიდის სამეფო სასახლის სტილშია ნაგები, სადაც მეფემ ბავშვობა გაატარა.

მეფის მთავარი ამოცანა იყო ჰქონოდა ახალი, დიდებული სამეფო სასახლე და სამეფოს ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც ამავე დროს დაცული იქნებოდა საზღვაო შემოტევებისგან.

1773 წელს, აქრიტექტორი ვანვიტელი გარდაიცვალა და მშენებლობა მისმა ვაჟმა კარლომ განაგრძო, რაც საბოლოოდ 1780 წელს დასრულდა.

სასახლეში სულ 1200 ოთახია, რომელთა შორისაცაა 12 სახელმწიფო აპარტამენტი, ბიბლიოთეკა და თეატრი, რომელიც ნეაპოლის ტეატრო-სან-კარლოს მსგავსია.

სასახლეს გარშემო იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე ფართო ბაღები აკრავს, რომლებიც მრავალი შადრევნითა და უზარმაზარი აკვედუკით გამოირჩევა.

თემა XIV. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა

ჩრდილოეთ ამერიკას უკავია დედამიწის ჩრდილო-დასავლეთ ნახევარსფეროები, რომელსაც პირობითად „ახალ მსოფლიოს“ უწოდებენ, ასევე მას უწოდებენ „ამერიკას“. ჩრდილოეთი ამერიკა მოიხსენიება როგორც ცალკეულ კონტინენტად, ასევე სამხრეთ ამერიკასთან ერთად ერთ მთლიან სუბკონტინენტად. ჩრდილოეთ ამერიკა სამხრეთ ამერიკასთან დაკავშირებულია პანამის ყელით. კონტინენტის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს პანამის ნაპრალი, რომელიც კოლუმბია-პანამის საზღვართანაა. პანამის ნაპრალის საშუალებით ლათინური ამერიკა და სამხრეთ ამერიკა გამოყოფილია ერთმანეთისგან. ასევე ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ ამერიკის გამყოფად მოიხსენიებენ პანამის არხს. ჩრდილოეთ ამერიკის შემადგენლობაშიაკარიბებიც (ვესტ-ინდოეთი).

ჩრდილოეთ ამერიკას გარს არტყამს დასავლეთით წყნარი ოკეანე, აღმოსავლეთით ატლანტის ოკეანე. მის შემადგენლობაშია, ასევე მრავალიკუნძული: გრენლანდია, კანადის არქტიკული არქიპელაგი, ალეუტის კუნძულები,ვანკუვერი, ალექსანდრას არქიპელაგი და სხვა. კონტინენტი გამოირჩევა მნიშვნელოვანი თავისებურებებით სხვა კონტინენტებთან შედარებით. მნიშვნელოვან თავისებურებებს შორისაა: დიდი ტბები, კანიონები, ტალახისვულკანები და გეიზერები.

ჩრდილოეთი ამერიკა უდიდესი ქვეყნებია:კანადა, აშშ და მექსიკა. კონტინენტის ფართობი კუნძულების გარეშე შეადგენს 20,36 მლნ კმ²-ს, კუნძულებთან ერთად კი 24,709 მლნ კმ²-ს. ჩრდილოეთ ამერიკას ეკუთვნის კუნძული გრენლანდია, კანადის არქტიკული არქიპელაგი, კარიბები,ალეუტის კუნძულები და სხვა.

2008 წლის მონაცემებით ჩრდილოეთ ამერიკის 23 სახელმწიფოში 529 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. კონტინენტებს შორის ფართობით იგი მესამეა, აზიისა დააფრიკის შემდეგ, ხოლო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეოთხე, აზიის,აფრიკისა და ევროპის შემდეგ.

კონტინენტის ძირითადი გეოლოგიური ბირთვი წარმოიშვა უძველეს კრატონ ლავრენტიაზე. მისი ისტორია დაახლოებით 1,5-1 მილიარდ წელს მოიცავს. მატერიკის ძირითად ნაწილს კანადის ფარი წარმოადგენს. ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორია ევროპის კონტინენტისგანაა გამოყოფილი. ეს ორი მატერიკი ერთმანეთთან სუპერკონტინენტ პანგეას დროს იყო შეერთებული, სხვა დანარჩენ კონტინენტებთან ერთად. კონტინენტზე არსებული ხელსაყრელი პირობების გამო, მის ტერიტორია

დინოზავრების გავრცელების მთავარ არეალს წარმოადგენდა. თუ, საიდან მოხვდნენ ადამიანები კონტინენტზე ამის შესახებ დანამდვილებითი ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა ყველაზე მყარი ჰიპოთეზის მიხედვით ადამიანები კონტინენტზე დიდი გამყინვარების დროს აზიიდან გადმოსახლდნენ.

კონტინენტის ჩრდილოეთი სანაპირო ძირითადად არქტიკულ სარტყელშია მოქცეული, დანარჩენი ნაწილი კი ზომიერ სარტყელშია. ასეთი ჰავის გამო კონტინენტზე ფართო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები მიმდინარეობს. კონტინენტზე მიედინება მსოფლიოში სიგრძით მესამე მდინარე —მისისიპი-მისურით.

კონტინენტი ძლიერი ეკონომიკური სისტემებით გამოირჩევა, აქ მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა — აშშ. ასევე ძლიერი ეკონომიკური სისტემები გააჩნიათ მექსიკასა დაკანადას. კონტინეტზე ძირითადად სამი მსხვილი ეკონომიკური გაერთიანება მოქმედებს: ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA), კარიბების კავშირი (CARICOM) და ცენტრალური ამერიკის საინტეგრაციო სისტემა (CACM).

ყველაზე გარცელებული სალაპარაკო ენებია: ინგლისური, ფრანგული და ესპანური. სამივე ენის გავრცელება კონტინენტზე ევროპული კოლონიზაციის დროს მოხდა. მოსახლეობა მრავალფეროვანია ეთნიკური და რასობრივი თვალსაზრისითაც, ძირითად რასობრივ ჯგუფებს ინდოევროპელები, მეტისები და ზანგები წარმოადგენენ.

კლიმატი

კონტინენტის ჩრდილოეთი სანაპირო და მიმდებარე კუნძულები არქტიკულ კლიმატურ სარტყელში მდებარეობენ. აქ მთელი წლის განმავლობაში არქტიკული ჰაერის მასებია გავრცელებული. ზამთრის ყველაზე დაბალი ტემპერატურები აღნიშნულიაგრენლანდიაში, სადაც ტემპერეტურა - 50°-მდე ეცემა. ხშირია ნისლი, ღრუბლიანობა, და თოვლიანი ქარბუქები. ზაფხულიხანმოკლე და ცივია. უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურაა 5°-ზე დაბალია.

კონტინენტის დიდი ნაწილი ზომიერ სარტყელშია, სადაც ცივი ზამთარი და შედარებით თბილი, უფრო მეტად კი გრილი ზაფხული იცის. ზომიერი სარტყლის ჩრდილო-აღმოსავლეთში კონტინენტური ჰავაა, სამხრეთში კი მუსონური. სანაპირო რაიონები უმეტესად ნისლიანია. სარტყლის ცენტრალურ რაიონებში კონტინენტური ჰავაა. ზამთარში ხშირია თოვლი დაქარბუქი. ზაფხული თბილია, იშვიათი, ხშირი წვიმებით. იცის გვალვა და ქრის მშრალი ქარი. ზომიერი სარტყლისდასავლეთით

ზღვიური ჰავაა. ზამთარის საშუალო ტემპერატურა 0°-ის ტოლია, ზაფხული კი (+14°-+16°).

სუბტროპიკული სარტყლის ჰავაც მრავალფეროვანია. ჰავის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ზომიერი და სუბტროპიკული ჰაერის მასების მონაცვლეობა, ასევე კონტინენტის რელიეფი.

აღმოსავლეთ პერიფერიაზე სუბტროპიკულ-მუსონური ჰავაა, კონტინენტურ ნაწილში - სუბტროპიკულ-კონტინენტური, ხოლო დასავლეთ პერიფერიაზე - ხმელთაშუა ზღვის ტიპის ჰავა.

ტროპიკული სარტყლის აღმოსავლეთ ოკეანურ ნაწილში მუსონურ-ტროპიკული ჰავაა, დასავლეთ ოკეანურ ნაწილში - სანაპირო უდაბნოს ჰავა, ხოლო შიდა ზეგნებზე - ტროპიკულ-კონტინენტური.

კონტინენტის უკიდურესი სამხრეთი სუბეკვატორულ სარტყელშია. აქ მთელი წლის განმავლობაში მაღალი ტემპერატურაა. ნალექიც საკმაოდ ბევრია წლის განმავლობაში, ზამთარში იცის მხოლოდ ხანმოკლე მშრალი პერიოდი.

კონტინენტის დიდ ნაწილზე კლიმატური პირობები ხელსაყრელია სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტური მოსაყვანად. ზომიერ სარტყელში მოჰყავთ ხორბალი და სიმინდი, სუბტროპიკულში - ციტრუსები, ბრინჯი და ბამბა, ტროპიკულში ყავა,შაქრის ლერწამი, ბანანი და სხვა.

ტბები და მდინარეები

ჰავა და რელიეფი კონტინენტის ძირითად ნაწილზე ხელსაყრელია მდინარეთა ქსელის განვითარებისთვის. მდინარეთა წლიური ჩამონადენით ჩრდილოეთ ამერიკა მესამე კონტინენტია აზიისა და სამხრეთ ამერიკის შემდეგ. ჩრდილოეთ ამერიკის მდინარეები წყნარ, ატლანტის და ყინულოვან ოკეანეთა აუზებს განეკუთვნება, ხოლო დიდი აუზი და მექსიკის ზეგნისჩრდილო ნაწილი გაუდინარია. მდინარეების უმრავლესობას ძლიერი წყლის ენერგია გააჩნია, რის გამოც ბევრ მდინარეზეჰიდროელექტროსადგურებია აგებული.

კონტინენტის ყველაზე დიდი და მსოფლიოში სიგრძით მესამე მდინარეა მისისიპი — მისურით, რომელიც წყალს იკრებსაპალაჩებისა და კლდოვანი მთებიდან, ცენტრალური და დიდი ვაკეებიდან.

ინდილიების ენაზე „მისისიპი“ ნიშნავს „დიდ მდინარეს“, „წყლების მამას“. იგი კვეთს მაღალ პლატოს, გამოდის ნაყოფიერ დაბლობზე და მექსიკის ყურეში ჩაედინება, სადაც წარმოქმნილი აქვს დელტა. მისისიპს უდიდესი სატრანსპორტო დანიშნულება

აქვს, ის ჩრდილოეთის შტატებს, თავისი სამრეწველო რაიონებით სამხრეთის რაიონებს უკავშირებს. მდინარის აუზი უმეტესად ზომიერ სარტყელშია და ძირითადად წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლით იკვებება. მდინარეზეწყალდიდობები გაზაფხულზე იწყება.

კონტინენტზე უდიდესი ჰიდროგრაფიული მნიშვნელობა აქვს დიდ ტბებს და ასევე მდ. წმინდა ლავრენტის, რომლითაც ტბები ატლანტის ოკეანეს უკავშირდება.

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს ისტორია 1776 წლიდან იწყება, როდესაც მიღებული იქნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 1787 წელს მიღებული იქნა მსოფლიოში პირველი კონსტიტუცია. პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი გახდა. მოიცავს ორმოცდაათ შტატსა და ერთ ფედერალურ ოლქს. ქვეყნის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მდებარეობს ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში, კონტინენტზე მდებარეობს ორმოცდაცხრა შტატი, შეერთებულ შტატებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კანადა, ხოლო სამხრეთიდან მექსიკა. ქვეყანა მოქცეულია ორ ოკეანეს შორის. შტატი ალასკა მდებარეობს კონტინენტის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, კანადის დასავლეთით და რუსეთის აღმოსავლეთით; რუსეთსა და აშშ-ს ბერინგის სრუტე აკავშირებს. შტატი ჰავაი არის არქიპელაგი წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. აშშ ასევე ფლობს ტერიტორიებს კარიბის ზღვასა და წყნარ ოკეანეში.

ქვეყნის ფართობი შეადგენს 9.83 მილიონ კვადრატულ კილომეტრს და ცხოვრობს 309 მილიონი ადამიანი. შეერთებული შტატები ფართობისა და მოსახლეობის სიდიდის მიხედვით მსოფლიოს პირველ ათ სახელმწიფოს შორის შედის. აშშ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეთნიკურად მრავალფეროვანი და მულტიკულტურული ქვეყანაა, სადაც მრავალი იმიგრანტი ცხოვრობს. ეკონომიკის მაჩვენებლებით აშშ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია.

ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა აზიური წარმოშობისაა, ისინი აქ მრავალი ათასი წინ დასახლდნენ. შეერთებული შტატები დააარსა ცამეტმა ბრიტანულმა კოლონიამ. 1776 წლის 4 ივლისს მათ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის ომი ბრიტანეთის იმპერიასთან, სადაც აშშ-მ გაიმარჯვა. 1787 წლის 17 სექტემბერს მიიღესამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია.

XIX საუკუნეში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიერთა ტერიტორიები:საფრანგეთისგან, ესპანეთისგან, გაერთიანებული სამეფოსგან, მექსიკისგან,რუსეთისგან; მოახდინა ტეხასის რესპუბლიკისა და ჰავაის ანექსია. 1861 წელს ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელშიც ერთმანეთს ჩრდილოეთისა და

სამხრეთის შტატები დაუპირისპირდნენ, საბოლოო გამარჯვება კი ჩრდილოეთს დარჩა. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით მონობა გაუქმდა, რის შემდეგაც შეერთებული შტატების ეკონომიკა სწრაფი ტემპებით განვითარდა. აშშ მონაწილეობდა როგორცპირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში. აშშ გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ბირთვული იარაღი შექმნა. ქვეყანა არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

იგი გადაჭიმულია ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე, მოიცავს ტერიტორიულად დაშორებულ ალასკისა და ჰავაის შტატებს. აშშ-ს ეკუთვნის აგრეთვე იგი კუნძულებისა წყნარ ოკეანეში (გუამი, პუერტო-რიკოდა სხვა).

- ფართობი: 9.629.091 კვ. კმ. აშშ სიდიდით მე-3 ქვეყანაა რუსეთისა და კანადის შემდეგ.
- საზღვრები: ჩრდილოეთით ესაზღვრება კანადა, სამხრეთით - მექსიკა. ალასკის მონაკვეთზე, ბერინგის სრუტეზე გადის მისი საზღვარი რუსეთთან. საზღვაო საზღვრების სიგრძე - ალასკისა და ჰავაის ჩათვლით 19,928 კმ; სახმელეთო - 9,656 კმ.
- მთიანი სისტემები: როკი-მაუნთინი, სიერა ნევადა, აპალაჩები; უმაღლესი მწვერვალი - მაკ-კინლი 6,194 მ;
- ჰიდროგრაფია: მთავარი მდინარეები - არკანზასი, კოლორადო, მისისიპი, მისური, რიო გრანდე; ტბები - ერი, ჰურონი,მიჩიგანი, ონტარიო, ზემო ტბა.

თავისუფლება მსოფლიოს განმანათლებელი უკეთ ცნობილი როგორც თავისუფლების ქანდაკება, 1885 წელს საფრანგეთის მიერ აშშ-სთვის ნაბოძები მონუმენტი, რომელიც ლიბერტი-აილენდზე (თავისუფლების კუნძული) მდებარეობს ნიუ-იორკის უბეში, მდინარე ჰუძონის შესართავთან, ამერიკაში ჩამოსულთათვის კეთილმოყვარეობის გამოხატვის ნიშნით. სპილენძისქანდაკება, რომელიც 1886 წლის 28 ოქტომბერს გაიხსნა აშშ-ის ასი წლისთავს მიეძღვნა და ამ ორ ერს შორის მეგობრობის გამოხატვის ჟესტი იყო.

ქანდაკების სკულპტორი იყო ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდი. ალექსანდრე გუსტავ ეიფელმა მონუმენტის შიგა სტრუქტურა დააპროექტა. იუჟინ-დე-დუკი იყო სპილენძის შერჩევისთვის პასუხიმგებელი. ამჟამად თავისუფლების ქანდაკება აშშ-ის ყველაზე ცნობილი სიმბოლოა და, უფრო ვრცელი მნიშვნელობით, ჩაგვრისგან განთავისუფლებას აღნიშნავს. მისი დადგმის დღიდან თვითმფრინავის ერამდე ეს იყო პირველი ნიშანი, რომელსაც აშშ-ში ჩამოსული მილიონობით ემიგრანტი ხედავდა

ევროპიდან ოკეანის გადმოჭრის შემდეგ. მოქანდაკეებმა თავისუფლების ქანდაკებისთვის შთაგონებად როდოსის კოლოსი გამოიყენეს.

1984 წლიდან ქანდაკება შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ლათინური ამერიკა

თავდაპირველად ტერმინი „ლათინური ამერიკა“ თავის თავში გულისხმობდა (დალინგვისტური და ნაწილობრივ ეთნიკური თვალსაზრისით დღესაც გულისხმობს)ამერიკის იმ ნაწილს სადაც სასაუბრო ენა იყო რომანული ენები ანუ ესპანური, პორტუგალიური და ფრანგული; მაგრამ დღეს რეგიონს ძირითადად კულტურული,პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამოარჩევენ და აშშ-სა და კანადის გარდა მთელ მატერიკზე ვრცელდება.

ძირითადი სალაპარაკო ენებია რომანული ენები, ძირითადად ესპანური დაპორტუგალიური, ასევე ზოგან ფრანგული. გადაჭიმულია აშშ-ის სამხრეთი საზღვრიდან ანტარქტიკამდე და მისი ფართობი დაახლოებით 21 069 500 კმ²-ია,დედამიწის მთლიანი ფართობის 3,9% და ხმელეთის ფართობის 14,1%. სამხრეთით ესაზღვრება სამხრეთის ოკეანე, აღმოსავლეთით ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთითაშშ, დასავლეთით წყნარი ოკეანე. 2010 წლის მონაცემებით, რეგიონის მოსახლეობა590 მილიონ ადამიანს შეადგენდა და მისი მთლიანი მშპ 5,16 ტრილიონი აშშ დოლარი იყო. 2011 წელს, ლათინური ამერიკის ეკონომიკურმა ზრდის მაჩვენებელმა 4% შეადგინა.

გეოგრაფიულად, პოლიტიკურად, დემოგრაფიულად და კულტურულად ლათინური ამერიკა რამდენიმე სუბრეგიონად შეიძლება დაიყოს. მისი გეოგრაფიული სუბრეგიონებია ჩრდილოეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა,კარიბები და სამხრეთ ამერიკა. ეს უკანასკნელი (სამხრეთ ამერიკა) პოლიტიკურ-გეოგრაფიულად შეიძლება დაიყოს ისეთ სუბრეგიონებად, როგორებიცაასამხრეთის კონუსი და ანდების სახელმწიფოები. ლინგვისტურ საფუძველზე კი რეგიონს ყოფენ ესპანურ და პორტუგალიურ ამერიკად.

ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დიდ სამეულზე ბრაზილია-მექსიკა-არგენტინაზე მოდის. ლათინურ ამერიკაში 34 სუვერენული სახელმწიფოა და 15 კოლონია, რომელთა ძირითადი ნაწილი პატარ-პატარა კუნძულებია და კარიბის ზღვისზონაში მდებარეობენ. კოლონიათა უდიდეს ნაწილს ამერიკის აღმოჩენის შემდეგ აქ ესპანეთი ფლობდა, რომელსაც კონკურენციას მხოლოდ პორტუგალია უწევდა, ხოლო მათთან შედარებით მცირე სამფლობელოები საფრანგეთს, გაერთიანებულ სამეფოს, ჰოლანდიას, შვედეთს და

დანიას ჰქონდათ. თანამედროვე პოლიტიკურ რუკაზე ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე მხოლოდ 4 კოლონიზატორი ქვეყნის ტერიტორიებია:საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ს დანიდერლანდის. ყველაზე მეტი კოლონია გაერთიანებულ სამეფოს აქვს, თუმცა ფართობის თვალსაზრისით საფრანგეთი პირველობს.

კლიმატი

ლათინური ამერიკა მდებარეობს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკულ, ტროპიკულ და სუბეკვატორულ სარტყლებში და ასევე სამხრეთ ნახევარსფეროს ეკვატორულ, სუბეკვატორულ, ტროპიკულ, სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რეგიონი ღებულობს მზის მნიშვნელოვან რადიაციას, ამიტომ მისი უდიდესი ნაწილისთვის დამახასიათებელია კლიმატის ცხელი ტიპი, სადაც საშუალო თვიური ტემპერატურა +20 °C-ზე მაღალია. სეზონური ცვლილებები მჟღავნდება არა ტემპერატურათა რყევებით, არამედ ნალექების რეჟიმის ცვალებადობითაც. ჰაერის ტემპერატურის მაქსიმული დაფიქსირებულია იანვარში 48,9 °C. ცხელი კლიმატის სიჭარბე კარგ პირობებს ქმნის მცენარეთა ვეგეტაციისათვის მთელი წლის მანძილზე.

ტემპერატურის რყევის სეზონურობა მკაფიოდ ჩანს ლათინური ამერიკის მხოლოდ უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში. ეს ტერიტორიები ვრცელდება სუტროპიკულ და ზომიერ განედებში (მაგალითად, სანტიაგოში ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა +20 °C, ყველაზე ცივის +8 °C. ცეცხლოვან მიწაზე შესაბამისად +11 და +2) და ასევე ტროპიკული სარტყლის მთიან რაიონებში. ყინვები ყოველწლიურად არის მექსიკის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ასევეპატაგონიაში, პამპას სამხრეთ-დასავლეთში, კორდილიერების მთისწინეთში, ასევე ცენტრალურ და სამხრეთ ანდებში. პატაგონიის სამხრეთ-დასავლეთში ყინვა ზაფხულობითაცაა მოსალოდნელი. ტემპარეტურის ასეთი, ხანმოკლე, მკვეთრი დაცემა შესამჩნევია როცა მაღალი განედებიდან შემოიჭრება ცივი ჰაერის მასები, რასაც ხელს უწყობს რელიეფის მერიდიანული მდებარეობა. მაგალითად, პამპეროს ცივ ქარებს შეუძლიათ ყინვების გამოწვევა სამხრეთ ამერიკაში სამხრეთ ტროპიკის საზღვარზეც კი.

ლათინური ამერიკის სხვადასხვა რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა ნალექების მოსვლის რაოდენობასა და მათ სეზონურ განაწილებაში, რაზეც გავლენას ახდენა ატმოსფეროს ცირკულაციის თავისებვურებანი, დინებები, რელიეფი და ა.შ. ნალექების უდიდესი რაოდენობით ხასიათდება ეკვატორული ანდების წყნაროკეანური

კალთები, ასევე ამ რაიონებთან ახლოს მდებარე რაიონები (დაახლოებით 10.000 მმ წელიწადში). მაგრამ ამ დროს, თითქმის უნალექოა უდაბნო ატაკამა. თუ ამაზონიაში წვიმიანი სეზონი გრძელდება მთელი წლის მანძილზე, ეს პერიოდი ბრაზილიის მთიანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში არ აღმატება 3-4 თვეს. საერთოდ, რეგიონის ტერიტორიის 20% არ იღებს ნალექებსი საკმარის რაოდენობას. მიწათმოქმედება აქ ხელოვნურ რწყვაზეა დამოკიდებული.

ტბები და მდინარეები

შიგა წყლები ლათინური ამერიკის უდიდესი სიმდიდრეა. აქაური მდინერეები ეკუთვნიან როგორც წყნარი, ისე ატლანტის ოკეანის აუზებს. რეგიონის უდიდესი მდინარეა ამაზონი, რომლის სიგრძე მდინარე უკაიალის სათავიდან 7.000 კმ-ია, აუზის ფართობი კი 7 მლნ კმ²-ია და რეგიონის შვიდ სახელმწიფოს მოიცავს. ამაზონის მნიშვნელოვანი შენაკადებია ჟურუა, მადეირა,ტაპაჟოსი, ისა, ჟაპურა, რიო-ნეგრო.

რეგიონის სიდიდით მეორე მდინარეა პარანა, მისი სიგრძე 4.380 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 2.663 კმ². მისი მნიშვნელოვანი შენაკადებია: პარაგვაი, სალადო, რიო-ბერმეხო და ა.შ. მნიშვნელოვან მდინარეებს განეკუთვნება ორინოკო (2.730 კმ), აუზის ფართობი 1 მლნ კმ². მის ერთ-ერთ შენაკადზე, მდინარე ჩურუნზე მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე მაღალი ჩანჩქერი ანხელი.

ლათინური ამერიკის ტბებს შორის ყველაზე დიდია მარაკაიბო, ხოლო ანდების მაღალმთიანეთში, პერუ-ბოლივიის საზღვარზე მდებარე ტიტიკაკას ტბა მსოფლიოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბაა.

ბრაზილია

მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში და უკავია ამ კონტინენტის ნახევარი ტერიტორია. ესაზღვრება კონტინენტის 12 სახელმწიფოდან 10-ს (ყველას, ეკვადორისა და ჩილეს გამოკლებით). ესენია: ურუგვაი, არგენტინა, პარაგვაი, ბოლივია, პერუ,კოლუმბია, ვენესუელა, გაიანა, სურინამი და საფრანგეთის გვიანა.მათგან ყველაზე გრძელი საზღვარი აქვს ბოლივიასთან 3400 კმ, ყველაზე პატარა კი სურინამთან - 597 კმ. საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან არ წარმოადგენს რთულ ბუნებრივ დაბრკოლებებს, რაც აადვილებს მის ეკონომიკურ კავშირებს კონტინენტის ქვეყნებთან. აღმოსავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრაზილიას ფართო გასასვლელი აქვს ატლანტის ოკეანეზე. სანაპირო ხაზის სიგრძეა 7491 კმ. ქვეყნის ტერიტორია აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაჭიმულია 4348 კმ-ზე, ჩრდილოეთიდან

სამხრეთისაკენ კი - 4320 კმ-ზე. ბრაზილია ფართობით ორჯერ ჭარბობს დასავლეთ ევროპას.

ბრაზილიის უზარმაზარ ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი მსხვილი ბუნებრივი ოლქი: ამაზონის დაბლობი, რომელიც ვრცელდება ქვეყნის ჩრდილოეთით და ბრაზილიის მთიანეთი, რომელიც იკავებს ქვეყნის ტერიტორიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებს. ბრაზილიის ტერიტორიაზე არ გვხვდება ის გრანდიოზული მთათა სისტემები, რომლებიც წარმოდგენილიაკონტინენტის დასავლეთ ნაწილში.

ბრაზილიის მთიანეთი მოიცავს მთელი ქვეყნის ტერიტორიის 2/3-ს. იგი აგებულია ძველი კრისტალური ქანებისაგან, სადაც ჭარბობს გრანიტი, გნეისი, კვარციტი. ეს ყველაფერი დაფარულია დანალექი ქანებით. ზოგ ადგილებში, კრისტალური ქანები გამოდიან ზედაპირზე. მთიანეთი ძირითადად ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი ზედაპირით, რომელიც მაღლდება ჩრდილოეთიდან სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

მთიანეთი დასავლეთით გადადის პანტანალის ვაკეში, ხოლო სამხრეთით - ლა-პლატის დაბლობში. ჩრდილო დასავლეთით იგი თანდათან იშლება და უერთდება ამაზონის დაბლობს, რომლის ფართობიც 1.6 მლნ კვ.კმ-ია. მსოფლიოში უდიდესი ეს ტროპიკული დაბლობი მდებარეობს ტექტონიკური ჩაღუნვის ოლქში, რომელიც ამოვსებულია ზღვიური და კონტინენტური დანალექი მასალით.

ბრაზილია მდიდარი ქვეყანაა სასარგებლო წიაღისეულით, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია გეოლოგიურიაგებულების თავისებურებით. ქვეყანა პირველ ადგილზეა ლათინურ ამერიკაში რკინის, მანგანუმის, ქრომიტების, ბარიტის,პირიტის, ნიობიის და გარსის მარაგით.

მეორეზეა ტიტანის, ვოლფრამის, კობალტის, კალის, აზბესტის და კალიუმის მარილების მარაგით. ამავე დროს, ქვეყანა ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვან სიმცირეს განიცდის.

მოსახლეობა

თანამედროვე ბრაზილიის ტერიტორია ძველად ინდიელებით იყო დასახლებული, რომლებიც ახლაც არიან შემორჩენილი ამაზონის ჯუნგლებში. XVI ს-ის დასაწყისში ბრაზილია დაიპყრეს პორტუგალიელმა კონკისტადორებმა, რომლებმაც პრაქტიკულად გაანადგურეს ადგილობრივი ინდიელები. პორტუგალიელებმა დააარსეს მსხვილი პლანტატორული მეურნეობები, რომლებიც აფრიკიდან შემოყვანილი მონების შრომას იყენებდნენ.

ბრაზილიელი ერი ჩამოყალიბდა სამი ძირითადი რასის - აქ ჩამოსული ევროპული მოსახლეობის (ძირითადადპორტუგალიელების და იტალიელების), ზანგების და ინდიელი აბორიგენების შერევით. ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა ერთფეროვანია, მთელი მოსახლეობის 97% ბრაზილიელია. მნიშვნელოვნად იზრდება ქვეყნის მოსახლეობა, ძირითადადბუნებრივი მატების ხარჯზე. მიგრაციის როლი უმნიშვნელოა.

საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 18 კაცს 1 კმ.კვ-ზე. მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე ძალიან არათანაბრად არის განლაგებული. მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის სანაპირო ზოლში,მთელი ტერიტორიის 1/10-ზე. ამაზონის ტროპიკული ტყეები,სავანები და მთიანეთის შიგა რაიონები მეჩხერად არის დასახლებული. ქვეყნის დასავლეთის და ჩრდილოეთის შვიდ შტატში (აკრი, ამაზონასი, პარა, მატუ-გროსუ, ამაპა, რორაიმა, რონდონია) რომლებიც ბრაზილიის ფართობის ნახევარზე მეტს მოიცავს,ცხოვრობს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5%.

ბრაზილია ურბანიზაციის მაღალი დონით და ამ პროცესის ინტენსიურობით ხასიათდება.

დიამანტინა ქალაქი ბრაზილიაში, მინას-ჟერაისისშტატში. მისი ფართობი შეადგენს 3. 870 კმ. კვ-ს, ხოლო მოსახლეობა 44. 746 ადამიანს (2006).

არიალ-დო-ტიხუკო, როგორც ქალაქს თავდაპირველად ეძახდნენ, აშენდა ჯერ კიდევ კოლონიურ ეპოქაში, მე-18 საუკუნის დასაწყისში. მე-18 მე-19 საუკუნეებში ქალაქი ალმასის მაღაროების ცენტრი იყო, სწორედ აქედან მომდინარეობს მისი დღევანდელი სახელი.

საკმაოდ კარგად შემონახული ბრაზილიური ბაროკოს სტილის არქიტექტურის გამო, 1999 წელს იუნესკომ ქალაქი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

იგუასუს ეროვნული პარკი ცნობილია იგუასუს ჩანჩქერითა და ველური ბუნებით (განსაკუთრებით ფრინველთა მრავალფეროვნებით), რომელიც მოიცავს უიშვიათეს და გადაშენების პირას მყოფ ფაუნის სახეობებს.

ეს ერთადერთი ადგილია დედამიწაზე, სადაც ტყისა და ბიოსისტემის ხუთივე სახეობა ერთადაა წარმოდგენილი. პარკი იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობისსიაში შეიტანა.

სერა-და-კაპივარა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. პარკის ტერიტორიაზე უამრავი პრეისტორიული ნახატია. პარკის შექმნის მიზანი სწორედ ამ ნახატების და სხვა

პრეისტორიული არტეფაქტების დაცვა იყო. იგი გადაჭიმულია 1291,4 კვადრატულ კილომეტრზე.

1991 წელს, იუნესკომ პარკი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

კარნავალი ბრაზილიაში

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზული საკარნავალო შოუ ბრაზილიაში იმართება. ქუჩის კარნავალების ტრადიცია ბრაზილიაში პორტუგალიის კუნძულებიდან გადმოსახლებულმა ემიგრანტებმა ჩამოიტანეს.„ენტრუდოს“ დღესასწაული მაშინ ცემა-ტყეპას წააგავდა, რომლის დროსაც იარაღად ლაყე კვერცხები, ფქვილით ან თაბაშირით გატენილი კვერცხის ნაჭუჭები გამოიყენებოდა, ამ ყველაფერთან ერთად იყო სახამებლის სატკაცუნებლები ან არომატიანი წყლით სავსე ცვილის ბურთულები. ფანჯრებიდან კი გამვლელებს თავზე სიმინდით და ლობიოთი სავსე მთელ კალათას აყრიდნენ. ბრაზილიელებმა მოგვიანებით, განათლებული ევროპისგან მასკარადის ელემენტები გადმოიღეს, ხმაურიან პროცესიებში მედოლეებიც ჩართეს, მაგრამ ადგილობრივ კარნავალებს ეროვნული კოლორიტი სამბას მოცეკვავეებმა შესძინეს. და აი, უკვე რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე, დღესასწაულის აპოთეოზს სამბას აღლუმი წარმოადგენს, სადაც ქვეყნის საუკეთესო მოცეკვავეთა ძალები მონაწილეობენ.

რიო-დე-ჟანეიროში, სპეციალურად ამ გამოსვლისთვის სამბადრომი ააშენეს, 700 მეტრი სიგრძის ალეა, რომელიც სახელოვანმა ბრაზილიელმა არქიტექტორმა, ოსკარ ნიმეირომ დააპროექტა. სამბადრომის ტრიბუნები 70 ათას ადამიანს იტევს, ამასთან 40 ათასი ადგილი უზრუნველყოფილია მაგიდებით და ბარებით. სტუმრებისთვის, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია მეცხრე სექტორი, სადაც ადგილები დანომრილია და წინასწარ იჯავშნება.

ორი ღამის განმავლობაში, „უმაღლესი ლიგის“ თოთხმეტი საცეკვაო სკოლა გამოდის. სკოლები ესაა კარნავალის „სახელოსნოები“, რომლებიც, მთელი წლის მანძილზე ამზადებენ ზღაპრულ სპექტაკლს, სცენარს წერენ, მუსიკას და სიმღერების ტექსტებს. ეს მართლაც არაჩვეულებრივი სანახაობა გამოდის. პროჟექტორების თვალისმომჭრელ სინათლეზე, დოლების ხმაურსა და ფოჩებიანი კამფეტების წვიმაში, „ფანტაზიის“ ტანსაცმელში გამოწყობილი, მრავალრიცხოვანი პროცესია მოძრაობს. ზოგიერთი საკარნავალო სამოსის წონა 10 კილოგრამს აჭარბებს. თუმცა ფერ-ხორციან ლამაზმანებს უფრო მჩატე, თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი სამოსი ურჩევნიათ. დასავლელი ტურისტები, მართლაც გაოგნებულნი არიან სირაქლემის ბუმბულში

გახვეული, ნახევრადშიშველი ლამაზმანებისა, რომლებიც რაღაც მრავალსაათიან ექსტაზურ ცეკვას ასრულებენ.

მოცეკვავეთა ჯგუფს აცოცხლებენ „მოსრიალე ტორტები“, ალეგორიული მარხილები, რომლებიც შოუს მონაწილეებს სხვადასხვა თემის გამოხატვაში ეხმარება, მუდმივი სიყვარულიდან ბრაზილიელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობამდე. მძიმედ მოძრავ მანქანებს მოაქვთ რკინის, ხის და პაპიე-მაშეს, ოთხ-ხუთსართულიანი, საოცარი კონსტრუქციები და რომლის ყველა სართულზე, ჭოკს ხელჩაკიდებულნი, მიხრა-მოხრით ცეკვავენ სამბას ოსტატები. დასარტყამი ინსტრუმენტები, გიტარა და კავაკინიო მუსიკალური თანმხლებისთვისაა განკუთვნილი.

ერთი ღამის განმავლობაში, რვა კოლონა ჩაივლის. თითოეულში ხუთიათასამდე მონაწილეა. ამ გაუთავებელი მხიარულების შემხედვარე, ძნელია დაიჯერო, რომ მრავალი თვის მანძილზე გადიოდნენ ყოველი ნაბიჯის რეპეტიციას.საკარნავალო მასებმა მარტო მაყურებლის გული არ უნდა დაიპყროს, ყოველ მოქმედებას მსაჯთა კოლეგია ადევნებს თვალყურს. ჟიური ყველაფერს ინიშნავს: მუსიკას და სიმღერის სიტყვებს, მოძრაობის სინქრონულობას, ტანსაცმლის მორგებას, მოქმედების სიუჟეტსა და ადგილს“. მსაჯები უმოწყალოდ აკლებენ ქულებს, დემონსტრანტების რიგებში აღმოჩენილი სიცარიელისთვის, მედროშე ქალისა და მისი „მესტრე-სალას“ ცეკვისას არასაკმარისი ექსპრესიისთვის და მაყურებლის სუსტი გამოძახილისთვის. უნდა ითქვას, რომბრაზილიის მცხოვრებლები თავიანთ სკოლებს ისე მხურვალედ ქომაგობენ, როგორც საყვარელ საფეხბურთო გუნდს.

მიუხედავად იმისა, რომ სააღლუმო „ფრთებში“ ნამდვილი პროფესიონალები მოდიან და შოუს ორგანიზაციაში მილიონობით დოლარია დახარჯული, ყოველ უცხო მსურველს შეუძლია შეუერთდეს კარნავალის რიგებს. დაახლოებით დილის ოთხ საათზე, მსვლელობას სამბას ბოლო სკოლა მოჰყვება. მაგრამ ეს საკარნავალო ვაქჰანალიის დასასრული კი არაა, არამედ არანაკლები მხიარულების პროლოგი, რომელიც ქალაქის ქუჩებს იპყრობს. ცეცხლოვანი, გაუთავებელი ცეკვა რიო-დე-ჟანეიროს სრულუფლებიანი მფლობელი ხდება.

ბრაზილიის კარნავალზე სამასი ათასზე მეტი ტურისტი ჩადის. ამ დღეებში რიო-დე-ჟანეიროს სასტუმროები გადატვირთულია. წელიწადის „მშვიდ დროსთან“ შედარებით, ფასები ორჯერ იზრდება. ამიტომ, ადგილების დაჯავშნა რამოდენიმე თვით ადრე ხდება. ბილეთებიც წინასწარ ტურფირმებში უნდა შეიძინოთ, რადგან ადგილობრივი გადამყიდველები დაუფარავად სპეკულირებენ.

კარნავალზე ტურისტი კარგად და მსუბუქად ჩაცმული უნდა მივიდეს,არავითარი სინთეტიკის შემცველი ტანისამოსი. ამ პერიოდში, ბრაზილიაში ღამითაც ცხელა და უჰაერობაა. კარგი იქნება თუ, თქვენს გარდერობში იქნება შესაკრავიანი ან ღილიანი ტანისამოსი. გახსოვდეთ, რომ ფართო ჯიბეები, ჩანთები და საფულეები, ადგილობრივი, ძალზე დახელოვნებული, ჯიბის ქურდების საყვარელი სამიზნეებია.

ყველაზე ინიციატივიან სტუმრებს, რომლებიც ისვენებენ ისე, რომ ტურფირმების სტანდარტულ შემოთავაზებას ყურადღებას არ აქცევენ,მსოფლიოს ნომერ პირველ კარნავალში მონაწილეობა არც ისე ძვირი დაუჯდებათ, დაახლოებით 150 დოლარი. ზუსტად ამდენს მოითხოვენ „ფანტაზიის“ კოსტუმის შესაკერად. თუმცა, ტანსაცმლის მოსარგებად ოთხჯერ მაინც მოუწევთ, ღარიბული უბნების-ფაველების-სტუმრობა, სადაც ფესტივალის მომსახურე მკერავები შრომობენ. სამაგიეროდ, როგორი სასიამოვნოა, საათზე მეტი ხნის მანძილზე, სამბის ცეცხლოვან რიტმში მოძრაობით მთავარი საკარნავალო ტრასის გავლა ბრჭყვიალა, გამაოგნებელ სამოსელში.

თემა XV. აზია წყნარი ოკეანის რეგიონი

აზიას გარს აკრავს ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანე, წყნარი ოკეანე და ინდოეთის ოკეანე თავისი გარე ზღვებით, აგრეთვე ატლანტის ოკეანის შიგა კონტინენტური ზღვები. აზიასა და ევროპას შორის საზღვრის ხაზის თაობაზე იხილეთ სტატია: ევროპა-აზიის საზღვარი. ჩრდილოეთ ამერიკისაგან გამოყოფილია ბერინგის სრუტით, ხოლო აფრიკისაგან - სუეცის ყელით. კუნძულების საერთო ფართობი 2 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს.

- რელიეფი. აზიის საშუალო სიმაღლეა - 950 მ. ძირითადი მთიანი სისტემებია:ჰიმალაი (უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა, 8848 მ), კავკასიონი, ჰინდუქუში,ყარაყორუმი, პამირი, ტიან-შანი, კუნ-ლუნი, ჩინეთ-ტიბეტის მთიანეთი, ალტაი,საიანები, ურალი, წინა აზიის მთიანეთი, ტიბეტის ზეგანი. აზიის ყველაზე მნიშვნელოვანი დაბლობებია: დასავლეთ ციმბირის, თურანის, ჯუნგარის, ჩინეთის დიდი, ინდო-განგის, მესოპოტამიის. აზიის ჩრდილოეთი და მთიანი რეგიონების რელიეფზე დიდი გავლენა მოახდინა უძველესმა გამყინვარებამ - დაახლოებით 11 მლნ კვ.კმ (ძირითადად ციმბირი) მრავალწლიან ყინულებს უკავია.
- გეოლოგიური სტრუქტურა. აზიის ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია უძველესი პლატფორმები: ციმბირის (ალდანის ფართან ერთად), ჩინეთ-კორეის, სამხრეთ ჩინეთის, ინდოეთის. ყველაზე მოძრავია ჰიმალაური და აღმოსავლეთ აზიური გეოსინკლინური სარტყელები. ნეოტექტონიკური მოძრაობებითაა მოცული აგრეთვე სხვადასხვა ასაკის სტრუქტურების ვრცელი ზოლი ჰისარ-ალაიდან ჩუკოტკის ნახევარკუნძულამდე. შუა, ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია, მალაის არქიპელაგი ხასიათდებიან ძლიერი სეისმურობით. კამჩატკაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრ კუნძულზე მოქმედი ვულკანებია.
- კლიმატი. კლიმატი იცვლება არქტიკულიდან ჩრდილოეთში, ეკვატორულით სამხრეთში. ევრაზიის პერიფერიებში კლიმატი ოკეანურია, სამხრეთში და აღმოსავლეთში - მუსონური, ხოლო შიგა რეგიონებში - კონტინენტური და მკაცრად კონტინენტური. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში, ვერხოიანსკისა და ოიმიაკონის რაიონებში, გადის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სიცივის ზოლი. დედამიწაზე ყველაზე მეტი ნალექი მოდის ინდოეთის ქალაქ ჩერაპუნჯში, დაახლ. 12 ათასი მმ წელიწადში.
- შიგა წყლები. აზიის უდიდესი მდინარეებია: იანძი, ობი, ენისეი, ლენა, ამური, ხუანხე, მეკონგი, ბრაჰმაპუტრა, განგი,ინდი, ტიგროსი, ევფრატი. ტბებიდან აღსანიშნავია: კასპიის ზღვა, არალის ზღვა, ბაიკალი (ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში).

- უდიდესი ქვეყნები. ფართობის მიხედვით აზიის უდიდესი ქვეყნებია: რუსეთი - 17,075 ათასი კვ.კმ (ნაწილობრივ ევროპაშია), ჩინეთი - 9,597, ინდოეთი - 3,287, ყაზახეთი - 2,717, საუდის არაბეთი - 1,960, ინდონეზია - 1,919, ირანი - 1,648,მონღოლეთი - 1,565.

ცენტრალური აზია — ბუნებრივი რეგიონი აზიაში, ტერმინზე ზუსტი შეთანხმება არ არსებობს. როგორც წესი, იგი მოიცავს მხარეებს:

- ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები: ყაზახეთი (მცირე ევროპული ნაწილის გამოკლებით), უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი. ეს უკანასკნელი ოთხი ქვეყანა შუა აზიის რეგიონად მოიხსენიებოდა.
- აზიის შიგამატერიკული რაიონები: ავღანეთი, დასავლეთი ჩინეთი დამონღოლეთი.

ფართობი დაახლოებით 6 მლნ კვ.კმ. ზეგნები და დაბლობები ქმნიან ორ ძირითად იარუსს, საშუალო სიმაღლე 500-1500 მ (გობი, ალაშანი, ორდოსი, ჯუნგარის და ტარიმის დაბლობები) და 4000-4500 მ (ტიბეტის ზეგანი), რომლებიც გაყოფილია და შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით — ტიან-შანი, კუნლუნი, ნანშანი, ყარაყორუმი და სხვა. კლიმატი მკვეთრად კონტინენტურია, ნალექები დაბლობში 50-200 მმ-ია, მთებში — 500-1000 მმ წლიურად. რეგიონში ჭარბობს უდაბნოები და ნახევარუდაბნოები, ტიბეტის ზეგანზე - ცივი უდაბნოები.

ინდოეთი

მრავალეროვნულ და მრავალრელიგიურ ინდოეთს გააჩნია მრავალი სოციალური, რელიგიური და ეროვნული პრობლემა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. თუმცა მან შეძლო შეენარჩუნებინა თვალსაჩინო ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოს სტატუსი მცირე პერიოდის (1975 -1977) გამოკლებით, როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა შეზღუდული სამოქალაქო უფლებებით.

ინდოეთის ნაციონალური უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ ძირითად საშიშროებას წარმოადგენს ტერორიზმი, განსაკუთრებით ჩრდილო აღმოსავლეთში ჯამუ და ქაშმირის რეგიონში, ხოლო XXIს.დასაწყისიდან ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა დელი დამუმბაი. ამის ნათელი მაგალითია ტერორისტული აქტი ნიუ დელში, რომელიც განხორციელდა 2001წ., ასევე ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქ მუმბაიში 2008წ. შემოდგომაზე განხორციელებული ტერორისტული აქტი, რომელსაც 100 000 კაცის სიცოცხლე შეეწირა.

XXს.-ის მეორე ნახევარში ინდოეთს ჰქონდა საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემები მეზობელ სახელმწიფოებთან. დავა ჩინეთთან ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული, რომელიც 1962წ. ჩინეთ-ინდოეთის ხანმოკლე სასაზღვრო ომში გადაიზარდა. ინდოეთმა პაკისტანთან გადაიხადა სამი ომი: 1947, 1965 და 1971 წლებში. უკანასკნელი კონფლიქტი ინდოეთსა და პაკისტანს შორის მიმდინარეობდა 1999წ. ქაშმირის შტატში.

1974 წელს ინდოეთმა ჩაატარა მიწისქვეშა ბირთვული იარაღის გამოცდა. ამგვარად, ის გახდა ბირთვული კლუბის ახალი წევრი. 1998 წ. ინდოეთმა გამოსცადა ხუთი ახალი მიწისქვეშა ბირთვული იარაღი. 1991 წ. ინდოეთში დაწყებულმა რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკური სისტემა გახადა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი. 1996 წ. ქვეყნის სათავეში მოვიდა რეფორმების გამგრძელებელი ატალა ბიჰარი ვაჯპაის ხელისუფლება. 2004 წ. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა პარტია ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა სონია განდის მეთაურობით. 2004 წელს 22 მაისს პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა მანმოჰან სინგჰმა. 2012წ. ივლისში ინდოეთში მოხდა ელექტროენერგიის მასობრივი გამორთვა, რომლის შედეგად უშუქოდ დარჩა 600 000 მილიონი ადამიანი.

დემოგრაფია

- მოსახლეობა: 1.049.700 ათასი (2003), მათ შორის 27,7% - ჰინდუსტანელები, 10,5% - ბიჰარელები, 9,1% - ბენგალები, 8,4% - ტელუგები, 7,6% - მარატჰები, 6,9% - ტამილები, 5,2% - გუჯარათელები.
- ენები: ჰინდი (მასზე ლაპარაკობს 40%), ბენგალური, ტელუგუ, მარათული, თამილური, ურდუ, გუჯარათული, მალაიალამი, კანადა, ორია, პენჯაბური, ასამური, კაშმირული, სინდური, სანსკრიტული. კონსტიტუციით ინგლისური გამოცხადებულია დროებით ოფიციალურ ენად (1%).
- რელიგია: ინდუიზმი 83%, ისლამი 11%, ქრისტიანობა 2,6%, სიქიზმი 1,9%,ბუდიზმი 0,7%.
- ქალაქები (ათ.) : დელი (დილლი, 10.204; აგლომ. 17.038), კალკუტა (კოლკატა, 4.760; აგლომ. 14.090), ბომბეი (მუმბაი, 12.383 |17.012 ათასი), მადრასი (ჩენაი, 4.382; აგლომ. 6.677 ათასი), ბენგალურუ (ბანგალურუ, 4.461; აგლომ. 5.910),აჰმადაბადი (3.654; აგლომ. 4.876), ჰაიდარაბადი (3.585; აგლომ. 5.751), პუნა (2.640; აგლომ. 3.903).

წითელი ფორტი დელის, მოგოლების დიადი ეპოქის დროინდელი, ისტორიული ციტადელი. მშენებლობა დაიწყო შაჰ ჯახანისმიერ 1639 წლის 16 აპრილს. რომელმაც

შაჰჯახანაბადში გადმოიტანა დედაქალაქი აგრიდან. მშენებლობა 1648 წელს დასრულდა, იმავე დრეს - 16 აპრილს

პერიმეტრი შემოსაზღვრულია წითელი კედლით, რამაც განაპირობა ფორტის დასახელება, რომლის სიგრძეც 2500 მეტრია. კედლის სიმაღლე მერყეობს 16 მეტრამდე მდინარე იამუნას მხრიდან, ქალაქის მხრიდან კი 33 მეტრამდე.

1783 ციხესიმაგრეს დაეუფლნენ სიქები, 1857 წელს კი — სიპაები. ინდოეთისდამოუკიდებლობის დღეს, ქვეყნის პრემიერ მინისტრი ციხესიმაგრის კედლებში კითხულობს მიმართვას ერისადმი.

თაჯ-მაჰალი „სასახლე-გვირგვინი“ მარმარილოს მავზოლეუმი ინდოეთის ქალაქ აგრაში. აგებული 1631-1653 წლებში დაახლოებით 20.000 მუშის მიერ. მოგოლთა იმპერატორი შაჰ-ჯაჰანის შეკვეთით, თაჯ-მაჰალი უნდა გამხდარიყო მისი საყვარელი მეუღლის, არჯუმან ბანო ბეგუმის (ცნობილი როგორც მუმთაზ მაჰალი), მავზოლეუმი.

თაჯ-მაჰალი მოგოლთა მმართველობის პერიოდის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება, ამ სტილში გაერთიანებულია ინდური, სპარსული დათურქული არქიტექტურის ელემენტები. მისი მთავარი არქიტექტორი იტალიიდან მოწვეული ჯერონიმო ვერონიო იყო.

თაჯ-მაჰალის ყველაზე ნაცნობი ელემენტია თეთრგუმბათიანი მარმარილოსმავზოლეუმი, თუმცა ეს ინტეგრირებულ სტრუქტურათა კომპლესის მხოლოდ ერთი ნაწილია.

აჯანტა — კლდეში გამოკვეთილი ბუდისტური მონასტერი მაჰარაშტრას შტატში,ინდოეთი. შედგება 29 ფრიალო კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულისაგან. ბუდისტი ბერების საცხოვრებელი იყოფა ორ ძირითად ტიპად: ჩაიტია(სამლოცველო დარბაზი) და ვიჰარა (კვადრატული დარბაზები, რომელშიც სამი მხრიდან შემოწყობილია ბუდას სხვადასხვა ზომის გამოსახულებები).

კონარაკეს მზის ტაძარი XIII საუკუნის ძეგლი ქალაქ კონარაკეში, ბენგალის ყურესთან ახლოსორისას შტატის ტერიტორიაზე.

ტაძარი აგებულია XIII საუკუნეში მეფე ნარასიმხ I-ს მმართველობის დროსბენგალის ყურის სანაპიროზე (7 საუკუნის განმავლობაში ზღვამ უკან დაიხია და ტაძარი აღმოჩნდა სანაპიროსგან 3 კილომეტრით დაშორებული). 1984 წელს კონარაკეს მზის ტაძარი შეტანილი იქნაიუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.

ავსტრალია

ადამიანის პირველი დასახლებები ავსტრალიის კონტინენტზე დაახლოებით 42,000-48,000 წლის წინ დაიწყო. სავარაუდოდ კონტინენტზე დასახლებული ადამიანები იყვნენ ავსტრალიის თანამედროვე აბორიგენების წინაპრები. პირველი Homo Sapiensავსტრალიაში სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან ჩამოვიდა. გადმოსულთა უმეტესობა მონადირეები და მიწათმოქმედები იყვნენ. ტორესის სრუტის კუნძულებზე მცხოვრებნი ძირითადად მებაღეობასა და მონადირეობა-მოსავლის აღებას ეწეოდნენ.

ავსტრალიის ტერიტორიის პირველი ევროპული დაზვერვა განახორციელა ჰოლანდიელმანავიგატორმა, უილემ ჯენსზუნიმ, რომელმაც 1606 წელს იორკის ნახევარკუნძულისსანაპირო აღმოაჩინა. XVII საუკუნის განმავლობაში ჰოლანდიელებმა მოიარეს ავსტრალიის დასავლეთის და ჩრდილოეთი საზღვაო საზღვრები და ამ ტერიტორიას უწოდეს ახალი ჰოლანდია, მაგრამ დასახლება არ უცდიათ. 1770 წელს ინგლისელმა ჯეიმს კუკმა გაცურა ავსტრალიის გასწვრივ და შეადგინა ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპიროს რუკა, რომელსაც ახალი სამხრეთი უელსი დაარქვა და დიდი ბრიტანეთის საკუთრებად გამოაცხადა. კუკის აღმოჩენის მეშვეობით ბრიტანეთის იმპერიამ დამსჯელი კოლონია დააარსა.1788 წლის 26 იანვარს კაპიტან არტურ ფილიპის ხელმძღვანელობით ახალი სამხრეთი უელსის ბრიტანეთის ზღვის გადაღმა კოლონიების მოსახლეობამ დასახლება პორტ-ჯექსონში დაიწყო. მომავალში ეს დღე გამოცხადდა ავსტრალიის ეროვნულ დღედ. ამჟამად ტასმანიის სახელით ცნობილი ვან-დიმენის მიწა დასახლდა 1803 წელს, ხოლო ცალკე კოლონია იგი 1825 წელს გახდა. 1829 წელს დიდმა ბრიტანეთმა ოფიციალურად მოითხოვა ავსტრალიის დასავლეთი ნაწილი.

ბრიტანეთის ადმინისტრაციამ სამხრეთი უელსი რამდენიმე კოლონიად დაყო — 1836 წელს შეიქმნა სამხრეთი ავსტრალია, 1851 წელს —ვიქტორია, ხოლო 1859 წელს — კუინზლენდი. ჩრდილოეთი ტერიტორიაგაჩნდა 1911 წელს სამხრეთი ავსტრალიისგან გამოყოფის შემდეგ. სამხრეთი ავსტრალია დააარსეს როგორც "თავისუფალი პროვინცია" — რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არასდროს იყო დამსჯელი კოლონია. ვიქტორია და დასავლეთი ავსტრალია ასევე დააარსეს "თავისუფლად", თუმცა შემდეგ მაინც მიიღეს გადმოყვანილი მსჯავრდადებულები[7]. მსჯავრდადებულების გადმოყვანა ახალი სამხრეთი უელსის კოლონიაში1848 წელს შეწყდა ახალმოსახლეების პროტესტის შემდეგ.

ავსტრალიის ფართობი 7.686.850 კვ.კმ-ია, საზღვაო საზღვარი — 34,218 კმ. მას გარს აკრავს ინდოეთისა და წყნარი ოკეანეები. აზიისგან გამოყოფილიაარაფურისა და ტიმორის ზღვებით. ავსტრალია მსოფლიოში ყველაზე პატარა კონტინენტია და

სიდიდით რიგით მეექვსე ქვეყანა. იგი ასევე ყველაზე დიდ კუნძულად არის მიჩნეული[3].

ავსტრალია სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს: მატერიკზე, კუნძულტასმანიასა და მრავალრიცხოვან პატარა კუნძულებზე. ავსტრალიის მფლობელობაშია რამდენიმე მცირე კუნძული, ე. წ. გარე ტერიტორიები, აგრეთვე სექტორი ანტარქიდაზე. იგი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მთელ კონტინენტს იკავებს. ფართობით ოდნავ ჩამორჩება აშშ-ს (ალასკას გარეშე) და დაახლოებით 32-ჯერ აღემატება მის ყოფილმეტროპოლიას — გაერთიანებულ სამეფოს. ქვეყანა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულია 3 680 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 2000 კმ-ზე. ავსტრალია, გეოლოგიური თვალსაზრისით, ხმელეთის ერთ-ერთი უძველესი მასივია, რომელიც ჩამოყალიბდა თითქმის 3 მლნ წლის წინ. რელიეფში ჭარბობს პლატოები, მთიან რაიონებს ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი უკავია. კონტინენტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ ვრცელდება სუბტროპიკული, ტროპიკული, სუბეკვატორული და ზომიერი კლიმატური სარტყლები. კონტინენტებს შორის იგი ყველაზე მშრალია.

ქვეყნის აღმოსავლეთით წყნაროკეანულ სანაპიროს გაუყვება დიდი წყალგამყოფი ქედი, რომლის სამხრეთში, ავსტრალიის ალპებში, მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი კოსციუშკო. დასავლეთი ნაწილი უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს უკავია. მათ შორის უდიდესია ვიქტორიის დიდი უდაბნო.

დიდი ბარიერული რიფი წარმოადგენს მარჯნის რიფებისა და კუნძულების უზარმაზარ ჯაჭვს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, ავსტრალიის კონტინენტის, იორკის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონის გაყოლებაზე. იგი გადაჭიმულია 2000 კმ-ზე და მნიშვნელოვნად აფერხებს ნაოსნობას ავსტრალიის ამ რეგიონში.

ტერიტორიის 40% ტროპიკებს წარმოადგენს, ერთი მესამედი უდაბნოა (დიდი ქვიშიანი უდაბნო, ვიქტორიის დიდი უდაბნო, გიბსონის ქვიანი უდაბნო). ავსტრალიის უდაბნოების ზონაშია აღმართული მსოფლიოს უდიდესი მონოლითი — წითელი მთა ულურუ. იგი დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლის ფერს.

უშუალო სახმელეთო მეზობელი არა ჰყავს, ზღვით კი ესაზღვრება:ინდონეზია, აღმოსავლეთი ტიმორი და პაპუა-ახალი გვინეა ჩრდილოეთით,სოლომონის კუნძულები,

ვანუატუ და ახალი კალედონია ჩრდილო-აღმოსავლეთით და ახალი ზელანდია სამხრეთ-აღმოსავლეთით.

40 000 წლის განმავლობაში, XVIII საუკუნის ბოლომდე, სანამ ევროპელებმა დაიწყეს კონტინენტის ათვისება, ავსტრალიასა და ტასმანიაზე საშუალოდ 250 სხვადასხვა ტომის ავსტრალიელი აბორიგენი სახლობდა. უშუალოდ ჩრდილოეთიდან წამოსული მეთევზეების არარეგულარული სტუმრობისა და1606 წელს ევროპული აღმოჩენის შემდეგ[1], ავსტრალიის აღმოსავლეთი ნაწილი 1770 წელს დიდმა ბრიტანეთმა მიისაკუთრა და საწყის ეტაპზე პატიმრებით დაასახლა ახალი სამხრეთი უელსის კოლონიები, 1788 წლის 26 იანვარს აღმოჩენიდან. მომდევნო წლებში მოსახლეობა ინტენსიურად იზრდებოდა. XIX საუკუნეში კიდევ ხუთი უფრო დიდი თვითმმართველურიბრიტანეთის ზღვის გადაღმა კოლონია დაარსდა.

1901 წლის 1 იანვარს, ექვსი კოლონია ფედერაციად გაერთიანდა და ავსტრალიის რესპუბლიკა შეიქმნა. ამჟამად ავსტრალიას სტაბილური ლიბერალური დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა აქვს. მისი მოსახლეობა 22 მილიონია, რომლის დაახლ. 60% ცხოვრობს შტატების დედაქალაქებში: სიდნეი, მელბურნი, ბრიზბენი, პერთი და ადელაიდა. ქვეყნის დედაქალაქიაკანბერა, რომელიც ფედერალურ ტერიტორიაზე მდებარეობს.

ავსტრალია განვითარებული ქვეყანაა, აყვავებული კოსმოპოლიტური საზოგადოებითა და გამორჩეულად მაღალი განვითარების იდექსით, ცხოვრების ხარისხით, სრულფასოვანი ჯანდაცვის სისტემით, ცხოვრების მაღალი ხანგრძლივობით, საყოველთაო საზოგადო განათლებით, ეკონომიკური და პოლიტიკური და სიტყვის თავისუფლებით[2].

ავსტრალიის ქალაქები მსოფლიოს უდიდესი ქალაქების რიგს მიეკუთვნება კულტურული მრავალფეროვნებითა და ცხოვრების ხარისხით. ქვეყანა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, დიდი ოცეული, ერთა თანამეგობრობა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ANZUS, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანება, წყნარის ოკეანის კუნძულების ფორუმიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

პოლიტიკური წყობა

პირველი ევროპელები, რომლებმაც ფეხი დაადგეს ავსტრალიის მიწაზე, იყვნენ ჰოლანდიელები. 1770 წლიდან დაიწყო ინგლისელთა განსაკუთრებული დაინტერესება კონტინენტის მიმართ. 1788 წელს მოხდა კოლონიების გაერთიანება ერთიან

სახელმწიფოდ - ავსტრალიის კავშირად. 1931 წელს, ვესტმისტერის სტატუსის საფუძველზე, ავსტრალიამ სრული დამოუკიდებლობა მიიღო, თუმცა კი შეინარჩუნა განსაკუთრებული ურთიერთობა ბრიტანეთის მონარქიასთან. მოქმედებს 1801 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც ავსტრალია კონსტიტუციური მონარქიაა.

ავსტრალიის სახელმწიფო მეთაური ბრიტანეთის მონარქია, რომელიც ქვეყანაში გენერალ-გუბერნატორის სახითაა წარმოდგენილი. 1999 წელს საყოველთაო რეფერენდუმის დროს ავსტრალიის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მხარი კვლავ მონარქიის ინსტიტუტის არსებობას დაუჭირა.

ავსტრალიის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან, წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. პირველში სამი წლის ვადით 150 დეპუტატს ირჩევენ, სწორედ ამ პალატაში უმრავლესობის მქონე ლიდერი ხდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელიც სათავეში უდგას ავსტრალიის მთავრობას. სენატში ყოველი შტატი 12 სენატორით არის წარმოდგენილი, ტერიტორიები კი - ორ-ორი წევრით. სენატორთა არჩევის ვადა ექვსი წელია.

- სახელმწიფო სისტემა: კონსტიტუციური მონარქია - ფედერალური საპარლამენტო სახელმწიფო.
- სახელმწიფოს მეთაური: დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II (1952 წლიდან), რომელსაც ქვეყანაში წარმოადგენს გენერალ-გუბერნატორი.
- მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი.

ტურიზმი

1788 წლიდან, ავსტრალიური კულტურის თავდაპირველი საფუძველი იყო ანგლო-კელტური დასავლეთის კულტურა. ავსტრალიის თავისებური კულტურული მახასიათებლები წარმოიშვა ქვეყნის ბუნებრივი გარემოსა და აბორიგენების კულტურისაგან. XX საუკუნის შუა წლებში, ავსტრალიის კულტურაზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ამერიკულმა პოპულარულმა კულტურამ, ძირითადად ტელევიზიამ და კინომ. სხვა კულტურული ზემოქმედება განიცადა მოსაზღვრე აზიური ქვეყნებისა და არაინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებიდან გადმოსახლებული ხალხის მიერ.

ავსტრალიური სახვითი ხელოვნება მიჩნეულია, რომ დაიწყო კლდისა და ხის ქერქზე მხატვრობასთან ერთად[43]. ევროპული დასახლებების დროიდან, ავსტრალიური მხატვრობის თემა იყო ავსტრალიური პეიზაჟი, მაგალითისთვის ალბერტ ნამატჟირას,

არტურ სტრიტონისა და სხვა ჰიდელბერგის სკოლის მიმდევრების ნამუშევრები. ქვეყნის პეიზაჟები იმეორებს შთაგონების წყაროს ავსტრალიური თანამედროვე მხატვრებისათვის; იგი იქნა დახატული სახელოვან ნამუშევრებში, რომელიც შეასრულეს ისეთმა არტისტებმა, როგორებიც არიან: სიდნეი ნოლანი, გრეის კოსინგტონ სმიტი, ფრედ უილიამსი, სიდნეი ლონგი დაკლიფტონ ფუგი. ავსტრალიელ არტისტებზე გავლენა მოახდინა თანამედროვე ამერიკულმა და ევროპულმა მხატვრობამ. მათ შორის ხელოვანებმა: კუბისტი გრეის კროული, სურეალისტი ჯეიმს გლისონი, აბსტრაქტული ექსპრესიონისტი ბრეტ ვიტელი და პოპ-არტისტი მარტინ შარპი.ავსტრალიის ეროვნული გალერეა და სხვა მთავარი გალერეები ინახავენ ავსტრალიურ და ზღვის გადაღმა კოლექციებს, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღევანდელ დღემდე.

ყოველი შტატის დედაქალაქში არის სიმფონიური ორკესტრი და ეროვნული ოპერია, ოპერა ავსტრალია, რომელიც გახდა გამოჩენილი ჯოან საზერლენდის მეშვეობით. ნელი მელბა იყო მისი ცნობილი წინამორბედი. ბალეტი და ცეკვა არის წარმოდგენილი ავსტრალიური ბალეტისა და სხვადასხვა შტატის მოცაკვეველების კომპანიების მიერ. თითოეულ შტატს აქვს საკუთარი საზოგადო თეატრის საფონდო კომპანიები.

ავსტრალიის კინოს ინდუსტრია დაიწყო 1906 წელს კელის ბანდის ისტორიის გამოცემით, რომელიც მიჩნეულია მსოფლიოს უპირველესი სრულმეტრაჟიან ფილმად. ავსტრალიის კინოს ახალმა ტალღამ 1970-იან წლებში მოიტანა გამომწვევი და წარმატებული ფილმები, ზოგიერთი მათგანი იკვლევდა ერის კოლონიურ წარსულს, როგორიცაა პიკნიკი ჰენგინგ-როკზედა ბრეიკერ მორანტი. შემდეგი ჰიტებია გიჟი მაქსი და გალიპოლი. შედარებით ახალი წარმატებული ფილმებია: კაშკაში, Rabbit-Proof Fence, და ბედნიერი ფეხები.

ავსტრალიის განსხვავებული პეიზაჟები და ადგილები გამოყენებულია ისეთ ფილმებში, როგორიცაა მატრიცა, პიტერ პენი, სუპერმენის დაბრუნება და ნემოს ძიებაში. უკანასკნელი ცნობილი ავსტრალიელები არიან: ჯუდით ანდერსონი, ეროლ ფლინი, ნიკოლ კიდმანი, ჰიუ ჯეკმენი, ჰით ლეჯერი, ჯეფრი რაში, ტონი კოლეტი, ნაომი უოტსი და ამჟამინდელი სიდნეის თეატრის კომპანიის რეჟისორი კეიტ ბლანშეტი

ავსტრალიის ლიტერატურა ასევე მოქცეულია პეიზაჟის გავლენის ქვეშ. ნამუშევრები, რომლებიც დაწერილია ისეთი მწერლებისაგან, როგორებიც არიან ბანჟო პატერსონი, ჰენრი ლოუსონი და დორეთი მაკელარი, აღწერენ და გადმოცემენ ავსტრალიურ ტყიან ადგილებს. კოლონიური ავსტრალიის პერსონაჟები, წარმოდგენილი

ადრეულ ლიტერატურაში, დღესაც პოპულარულია თანამედროვე ავსტრალიელებში. 1973 წელს, პატრიკ უაიტი დაჯილდოვებული იქნანობელის პრემიით ლიტერატურის დარგში. იგი ერთადერთია ავსტრალიელია, რომელმაც მიიღო ეს ჯილდო. ასევე ცნობილი ავსტრალიელი მწერლები არიან: კოლინ მაკალოუ, ტომას კინილი, დევიდ უილიამსონი და დევიდ მალუფი.

15 წელს გადაცილებული ავსტრალიელების დაახლ. 24% იღებს რეგულარულად მონაწილეობას სპორტულ მოღვაწეობაში. ავსტრალიას ჰყავს ძლიერი საერთაშორისო გუნდები კრიკეტში, ფეხბურთში, ბალახის ჰოკეიში, ნეტბლოსა და რაგბიში. ასევე წარმატებულად გამოდიან ცურვაში, ნიჩბოსნობასა და ველოსპორტში. ავსტრალიელი ყველაზე ცნობილი და წარმატებული სპორტსმენები არიან მოცურავეები დონ ფრეიზერი, მარეი როუზი და იან ტორპი, სპრინტერი ბეტი კუთბერტი, ტენისის მოთამაშე როდ ლაიბერი და მარგარეტ კორტი, კრიკეტის მოთამაშე დონალდ ბრადმენი. ავსტრალიაში ასევე გავრცელებულიაავსტრალიური ფეხბურთი, ცხენოსნობა, სერფინგი და საავტომობილირო რბოლები. ავსტრალიამ უმასპინძლა 1956 წლის ზაფხულის ოლიმპიადას მელბურნში, ხოლო 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადას სიდნეიში. ავსტრალიამ ასევე უმასპინძლა1938 წლის ბრიტანეთის იმპერიის თამაშებს, 1962 წლის ბრიტანეთის იმპერიის და თანამეგობრობის თამაშებს, 1982 და 2006 წლები თანამეგობრობის თამაშებს.

სიდნეი — ავსტრალიის ყველაზე დიდი ქალაქი. დაარსდა 1788 წელს და ატარებს ბრიტანეთის იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის,ლორდ სიდნეის სახელს. ქალაქი არის ახალი სამხრეთი უელსის შტატის დედაქალაქი. იგი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო, საფინანსო და ეკონომიკური ცენტრია. აქ განლაგებულია 90-ზე მეტი ბანკი და 400-ზე მეტი საერთაშორისო კომპანიის ადგილობრივი ფილიალი. 1938 წელს ქალაქი მასპინძლობდა ბრიტანეთის იმპერიის სპორტულ თამაშებს, 2002წელს — ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, ხოლო 2002 წელს —მსოფლიოს ჩემპიონატს რაგბიში.

მელბურნი სიდიდით მეორე ქალაქი ავსტრალიაში;ვიქტორიას შტატის დედაქალაქი. ქალაქი დაარსდა დუტიგალის დასახლების ადგილას მდინარე იარის შესართავთან 1835 წელს ჯონ ბეტმანის მიერ, რომელმაც ეს მიწა აბორიგენებისგან შეისყიდა. ქალაქის სტატუსი მიენიჭა 1847 წელს. 1901-1927 წლებში ავსტრალიის ფედერაციის დედაქალაქი იყო. მოსახლეობა2006 წელს შეადგენდა 3,7 მილიონს.

მელბურნი აღიარებულია ქვეყნის კულტურისა და სპორტის დედაქალაქად. 1956 წელს ქალაქი მასპინძლობდა ზაფხულის ოლიმპიადას.2006 წელს კი თანამეგობრობის

თამაშებს. აქ მდებარეობს სამხრეთ ნახევარსფეროს 251 მ. სიმაღლის უმაღლესი ცათამბჯენი თაუერი. ამავე დროს, მელბურნი მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქია.

კაკადუს ეროვნული პარკი მდებარეობს ალიგატორის მდინარეების რეგიონში, ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაში, დარვინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 171 კმ-ით დაშორებით.

კაკადუს ეროვნული პარკი მოიცავს 1 980 400 ჰექტარს. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 200 კმ-ია, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 100 კმ. პარკი არის შეტანილი მსოფლიოს მემკვდირეობის ძეგლების სიაში.

მაგალითები (ქეისები) ტურიზმის განვითარება და სივრცითი ცვლილებები

მაგალითი 1 ბრაიტონის, როგორც საზღვაო კურორტის, ადრეული განვითარება

ბრაიტონის განვითარება კარგად ასახავს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ხშირად განაპირობებდნენ ადრეული საკურორტო განვითარების პროცესს, კერძოდ: პატრონაჟი; ტრანსპორტის გავლენა მისადგომობაზე; ინვესტიციების მნიშვნელობა კურორტის ინგრასტრუქტურისთვის და განვითარებადი ტურისტული ინდუსტრიის ფორმირება; სოციალური მისაწვდომობის მზარდი გაფართოება. პატრონაჟი წარმოადგენდა ბრაიტონის, როგორც საზღვაო კურორტის, ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ადრეულ 1750-იან წლებში ექიმმა რიჩარდ რასელმა, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა ზოგიერთი დაავადებისთვის ზღვის წყლის სამკურნალო თვისებების აღმოჩენით, ბრაიტონში დაიწყო მუშაობა. რასელის რეპუტაცია ქალაქის შეძლებული მფარველების მცირე, მაგრამ მზარდ კლიენტურას იზიდავდა. თავდაპირველად ვიზიტორების უმეტესობა სამკურნალოდ ჩამოდიოდა, მაგრამ, როგორც ქვეყნის შიდა მინერალური წყაროების, ისე ამ შემთხვევაშიც, საზღვაო კურორტმა მოიპოვა მოდური დასასვენებელი ადგილის რეპუტაცია, რაც დროთა განმავლობაში, დომინანტურ ატრაქციად იქცა.

ბრაიტონის ყველაზე გავლენიანი მფარველი უელსის პრინცი (მოგვიანებით მეფე გეორგ IV) იყო, რომელმაც 1783წ პირველმა მოინახულა ქალაქი და 1827 წლამდე აგრძელებდა მის ყოველწლიურ და უფრო და უფრო გახანგრძლივებულ ვიზიტებს. პრინცისა და მისი გარემოცვის აქ ყოფნამ განაპირობა კურორტის, როგორც გამორჩეული და მოდური ადგილის დამკვიდრება, საითაც, დროთა განმავლობაში, ვიზიტორების სულ უფრო მზარდი ნაკადი მიისწრაფოდა. თუმცა ბრაიტონის პატარა და განსაკუთრებული ადგილიდან, რომელსაც მფარველობდა რეგენტების ელიტარული საზოგადოება, პოპულარულ კურორტად გარდაქმნა მოითხოვდა მისადგომობის გაუმჯობესებას, ახალ ინფრასტრუქტურას და კურორტის რეორგანიზაციას, რათა იგი ტურისტულ დესტინაციად გარდაქმნილიყო. თავდაპირველად ბრაიტონის მისადგომობა დამოკიდებული იყო ეტლებით მომსახურებაზე, რომელთა უმეტესობა ნელი და საკმაოდ შეზღუდული ტევადობის იყო. თუმცა 1841 წელს ლონდონიდან რკინიგზის გახსნამ გარდამქმნელი ეფექტი იქონია: მნიშვნელოვნად შემცირდა კურორტამდე მგზავრობის დრო და ღირებულება; საგრძნობლად გაიზარდა ერთი ჯერზე ჩაყვანილი ვიზიტორების რაოდენობა. შედეგად, 1850 წლისთვის ბრაიტონის ვიზიტორების რაოდენობამ წელიწადში 250 ათასს გადააჭარბა, რომელთა უმეტესობა მატარებლით ჩამოდიოდა.

ისინი ხშირად ახალი, იაფი ექსკურსიის ფარგლებში მოგზაურობდნენ. ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ ნათელი გახადა, რომ, მოთხოვნილებების შესაბამისად, აუცილებელი იყო დამსვენებლების ახალი ინფრასტრუქტურით სწრაფი უზრუნველყოფა.

ბრაიტონის განვითარების რეგენტობის ფაზამ ქალაქის ფიზიკური განვითარება გამოიწვია: აიგო სასტუმროები; განვითარდა ზღვის სანაპიროს გასწვრივ საზოგადოებრივი სივრცე; ახალ რაიონებში აშენდა ვიზიტორების განთავსებისთვის საჭირო ნაგებობები; სულ უფრო მზარდი ადგილობრივი მოსახლეობისთვის (1851 წელს მათმა რაოდენობამ 65 ათასს გადააჭარბა), ვისაც კურორტის განვითარებისთვის უნდა შეეწყოთ ხელი, აშენდა იაფი სახლები. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისთვის ბრაიტონში ვიზიტების საერთო დონემ, განსაკუთრებით კი საშუალო კლასის ტურისტების მოზღვავებამ, განაპირობა განვითარებისა და რეორგანიზაციის შეთანხმებული პროგრამების სტიმულირება. ამ პროცესში ცენტრალური აღმოჩნდა დიდი სასტუმროს აგების პროგრამა, რომელიც მოიცავდა ბრაიტონის ცნობილი Grand Hotel-ის (1864), ასევე დასავლეთ ნავმისადგომისა (1868) და ბრაიტონის აკვარიუმის (1871) მშენებლობას. ზღვის სანაპიროზე გართობის ახალი ტენდენციების გათვალისწინებით, ისეთმა საშუალებებმა, როგორიცაა ნავსადგომები, ასევე უფრო ადრე არსებულმა თეტრებმა, დაიწყეს მრავალი ატრაქციის შეთავაზება, რამაც იმ პერიოდში სიახლის ძირითადი ატრიბუტის როლი შეასრულა, ახლა კი ვიქტორიანულ ზღვისპირეთთან ასოცირდება. ამაში იგულისხმება სამხედრო ორკესტრის კონცერტები, მენესტრელების შავ-თეთრი შოუები, კლოუნადა და მოგვიანებით, ბაზრობების თანმხლები გართობანი და ინტერმედიები. ახალი ატრაქციების უმეტესობა ასახავდა მუშათა კლასის გემოვნებას, რომელმაც 1900-იანი წლებისთვის კურორტის ვიზიტორების მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა. კურორტის განვითარების ადრეული სტადიის მახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა მისი სოციალური მისაწვდომობის ისეთი გაფართოება, რასაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღოდა საკურორტო ტურიზმის დროითი და სივრცითი საკითხების დამუშავებაში. მეფე გეორგ IV-ის სიკვდილის შემდეგ, როგორც უილიამ IV, ისე, მოგვიანებით, დედოფალი ვოქტორია, დროებით აგრძელებენ ბრაიტონში ვიზიტების სამეფო ტრადიციას. მაგრამ როგორც კი რკინიგზის გახსნამ საშუალო და მუშათა კლასის წარმომადგენელ ტურისტებს კურორტზე ფართომასშტაბიანი ჩასვლის საშუალება მისცა, ელიტარულმა ჯგუფებმა თავიანთი მოდელის სწრაფი ადაპტირება მოახდინეს არასაზაფხულო სეზონზე და/ან ისეთი ადგილებისკენ (მაგალითად, მეზობლად მდებარე

ჰავი), რომლებიც ჯერ ისევ ინარჩუნებდნენ გამორჩეულობის ატმოსფეროს. სოციალური გადანაცვლების ეს პროცესი გადამწყვეტი აღმოჩნდა საკურორტო ტურიზმის უფრო ფართო გავრცელებისთვის და ის ხშირად მეორდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კურორტების განვითარების გეოგრაფიაში.

მაგალითი 2. ოკავანგოს დელტის (ბოტსვანა) ანკლავური განვითარება

ოკავანგოს დელტა (ბოტსვანას ჩრდილო-დასავლეთში) მოიცავს ჭარბტენიან ზონას, რომლის ფართობი 550 კვადრატულ მილს აღემატება და ცოცხალი ბუნების საერთაშორისო მნიშვნელობის ჰაბიტატს წარმოადგენს. აქ ასევე 120 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს,73 რომლებსაც აწუხებთ უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები, შეზღუდული საკვები რესურსები, მარცვლეულის პერიოდული ნაკლებობა და ავადობის მაღალი მაჩვენებელი, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სიღარიბის არსებულ დონეს. ამ მაჩვენებლით ბოტსვანა სუბსაჰარული აფრიკის ერთ-ერთი უღარიბესი სახელმწიფოა. როდესაც 1966 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მის ეკონომიკაში ტურიზმი თითქმის არ ფიგურირებდა, მაგრამ ის განვითარდა და დღეს მისი წილი ერთიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 5%-ის ფარგლებშია, რაც ალმასის მოპოვების შემდეგ მეორე უდიდესი სექტორია. ოკავანგოს დელტას ყოველწლიურად დაახლოებით 50 ათასი ტურისტი სტუმრობს, ძირითადად ველური ბუნებით ტკბობისათვის. აქედან თითქმის 90% უცხოელი ვიზიტორია (ძირითადად ევროპიდან, აშშ-დან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან და სამხრეთ აფრიკიდან). ვიზიტორები განთავსების სხვადასხვა საშუალებებში რჩებიან – მდიდრული ოთახებით დაწყებული და კარვებით დამთავრებული.

განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტენდენციისამებრ, ბოტსვანას მთავრობამ ტურიზმი ენთუზიაზმით მიიღო როგორც სექტორი, რომელიც შემოსავლებსა და ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს მოუტანდა მას. თუმცა ოკავანგოში განვითარების ანკლავურმა ბუნებამ რეალური წინსვლა რამდენიმე მიზეზის გამო შეაფერხა:

- ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებს შორის შეზღუდული ურთიერთობები. ტურისტების უმეტესობა თვითმფრინავით ჩადის მაუნის აეროპორტში, საიდანაც ისინი მსუბუქი საჰაერო ან საავტომობილო ტრანსპორტით გადაჰყავთ ოკავანგოს ძირითად განთავსების საშუალებებში. შედეგად, ტურისტები მცირე თანხას ხარჯავენ მაუნში ან ოკავანგოს სოფლებში და ისეთი სექტორი, როგორიცაა კულტურული ტურიზმი, სუსტადაა განვითარებული.

- ძლიერი დამოკიდებულება უცხოურ სერვისებზე და სუსტი კავშირები ბოტსვანას ეკონომიკის სხვა სექტორებთან. ტურისტული ინფრასტრუქტურის 80% სრულად ან ნაწილობრივ უცხოურ კომპანიებს ეკუთვნის, განთავსების საშუალებების საკვებით მომარაგება ძირითადად სამხრეთ აფრიკიდან ხდება.
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების შენარჩუნების სირთულე ბოტსვანას ფარგლებში. უცხოური მფლობელობის ასეთი მაღალი დონის პირობებში გარდაუვალია, რომ ტურიზმიდან შემოსავლის დიდი ნაწილი გადის ქვეყნიდან – იმპორტის გადასახადებისა და სერვისისთვის, უცხოელი თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები, დივიდენდები ზღვისგაღმელ ინვესტორებს. სამოგზაურო კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ბილეთების გაყიდვას და სხვა საორგანიზაციო საკითხებს, ასევე უცხოელები არიან. უცხოელებს ეკუთვნით ძირითადი ავიახაზებიც, რომლითაც ბოტსვანაში ჩამოჰყავთ და შემდეგ უკან აბრუნებენ ვიზიტორებს. შედეგად, ოკავანგოში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის 70%-ზე მეტი სხვაგან ნაწილდება.
- ადგილობრივი დასაქმების შეზღუდულობა. ტურიზმის განვითარებამ რეგიონში 1,6 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შექმნა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას უმეტესად ასაქმებენ დაბალი კვალიფიციკაციის დაბალანაზღაურებად თანამდებობებზე, მაგ., დამლაგებლები, სამზარეულოს თანამშრომლები, მძღოლები და შვეიცარები. ანკლავური განვითარებისთვის დამახასიათებელია, რომ მაღალი დონის, მენეჯერული პოსტები ძირითადად უცხოელებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც საქმის ცოდნის საჭირო დონითა და გამოცდილებით გამოირჩევიან.
- ადგილობრივი გადასახადების ადეკვატური მოსაკრებლის მიღების სირთულეები ბოტსვანას გარეთ დარეგისტრირებული კომპანიებიდან. ოკავანგოს დელტის რაიონში მოქმედი ტურისტული კომპანიების მხოლოდ 11% იხდის ადგილობრივ გადასახადებს. აღნიშნულის გამო, დადებითი შედეგები ძნელად შესამჩნევი აღმოჩნდა და ეს, შესაძლოა, არის ანკლავური განვითარების პირობებში მეტი შემოსავლის მიღების სირთულის მაჩვენებელი. კეთილი განზრახვის მიუხედავად, პრობლემა ვერც ბოტსვანას მთავრობის პოლიტიკამ გადაჭრა, რომელიც ცდილობდა განეხორციელებინა „ნაკლები რაოდენობა – ძვირადღირებული ტურიზმის“ პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა ოკავანგოს დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნებას. ამ პროგრამამ შეზღუდა ტურიზმის იმ იაფი ფორმების განვითარების შესაძლებლობები, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი საზოგადოების ინდუსტრიაში უფრო ფართო ინტეგრაციას.

მაგალითი 3. *თანამედროვე სანაპირო კურორტის განვითარება: პატაია, ტაილანდი*

1940-იან წლებში პატაია, რომელიც ბანგკოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 140 კმ-ზე მდებარეობს, წარმოადგენდა შედარებით ძნელად მისადგომ მეთევზეთა დასახლებას, სადაც მდიდარი ტაელების აგარაკების მცირე რაოდენობა იყო წარმოდგენილი. ამ აგარაკებმა შექმნა კურორტის განვითარების ბაზისი, რაც მკვლევარმა სმიტმა (Smith, 1991) ჩართო თანამედროვე სანაპირო კურორტის კვლევაში. 1960-იანი წლების დასაწყისში ბანგკოკის მისადგომი გზის გაუმჯობესება დაემთხვა რეგიონში აშშ სამხედრო ბაზების განვითარებას და წარმოქმნა ახალი მოთხოვნები, რომლებმაც 1964 წლიდან სანაპიროზე პირველი სასტუმროების მშენებლობა გამოიწვიეს. ამან კატალიზატორის როლი შეასრულა სასტუმროებზე დამყარებული ტურიზმის შემდგომ განვითარებაში, რომელიც კვებავდა როგორც ადგილობრივ ბაზარს, ისე, დროთა განმავლობაში, თანდათან უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო ბაზარს. სმიტის მოდელში ნავარაუდევია, რომ სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების განვითარებამ მოახდინა ზღვის სიახლოვეს განსხვავებული ზონის ფორმირება. ხოლო ტურიზმით წარმოქმნილმა მოთხოვნებმა გამოიწვია ბიზნესის ზრდის სტიმულირება და საცხოვრებელი რაიონების ახალმშენებლობები.

სმიტის (1991) მიერ პატაიას განხილვამ წარმოაჩინა კურორტი, რომელმაც, შესაძლოა, უკვე მიაღწია სანაპირო კურორტის ფორმირების მისეული მოდელის მე-6 სტადიას სანაპირო სასტუმროების, ტურიზმის ბიზნესის და უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ზღვას მოშორებული სასტუმროების ჩამოყალიბებული ზონებით. სმიტის ორიგინალური კვლევის ჩატარებიდან 2076 წელიწადში ტაილანდი მძლავრ საერთაშორისო დესტინაციად ჩამოყალიბდა. პატაიაში 1980 წელს 2 მლნ-მდე საერთაშორისო ტურისტული ისვენებდა, 2004-ში კი მათმა რაოდენობამ 11,6 მლნ-ს გადააჭარბა. პატაია, ფჰუკეტთან და კო სამუსთან ერთად, იქცა ტაილანდში ჩამოსული ვიზიტორების ძირითად დესტინაციად, რომელიც ტურისტებს იზიდავს როგორც კურორტის ზოგიერთ ნაწილში არსებული ეგზოტიკური და ძვირფასი განთავსების საშუალებებით, ისე სექსტურიზმისთვის განკუთვნილი ნაკლები რეპუტაციის მქონე დაწესებულებებით. შედეგად კურორტი ზომით სამჯერ და მეტად გაიზარდა და პროგრესი განიცადა სმიტის მოდელის ბოლო საფეხურისკენ. სურათზე 4.5 ნაჩვენებია რაიონის 2006 წლის მიწათსარგებლობის გენერალიზებული რუკა, რომელიც ემთხვევა სმიტის მიერ ქალაქი-კურორტისთვის დადგენილ რამდენიმე კრიტერიუმს. სატელიტური

გამოსახულებები გვიჩვენებენ მაღალურბანიზებულ გარემოს მრავალი ახალი საგზაო ქსელით და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით, მაშინ, როდესაც კურორტი გვიჩვენებს როგორც გაფართოებულ ექსპანსიას ვონგ ამატისა და ჯომტიენის მეზობელ სანაპირო რაიონებში, ასევე შიდატერიტორიული საცხოვრებელი შემოგარენის მნიშვნელოვნად გაზრდილ ზონას. რუკის ჩანართი ასახავს კურორტს 1991-ში და გვიჩვენებს (როგორც მოდელი გვთავაზობს), რომ მრავალი ფუნქცია, რომლითაც აღინიშნა კურორტის განვითარების ჩამოყალიბების ფაზები, გაიდევნა მაღალხარისხოვანი სასტუმროებისა და კონდომინიუმების, ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობების შემდგომი გაფართოების და ჩამოყალიბებულ კურორტთან ასოცირებული ფართო დიაპაზონის ატრაქციების ზონების ახალი მშენებლობებით.

მაგალითი 4. *ხაზოვანი ზონალური განვითარება: უელსის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო*

უელსის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ძირითადი ტურისტული ზონა დაახლოებით 45 კმ- ზეა გადაჭიმული – პოინტ ოვ ეარიდან აღმოსავლეთში გრეით ორმისა და კონვის ესტუარამდე დასავლეთში. მდ.კლუიდის ესტუარის გარშემო არსებული ფართო დაბლობის გარდა, განვითარება შეზღუდული იყო ვიწრო სანაპირო ზოლით, რომლის სიგანე ხშირ შემთხვევაში 1- 2 კმ შეადგენდა. ამ სანაპირო ზონის სამხრეთ კიდეები ძირითადად შემოსაზღვრულია ამაღლებებით, რომლებიც სწრაფად აღწევენ 200მ სიმაღლეს და მკვეთრად ეშვებიან ზღვისკენ, რაც ურბანული განვითარებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. ტურიზმის განვითარება ამ რაიონში მე-19 საუკუნის შუა წლებიდან იღებს სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ 1830-იან წლებში ორთქლმავლის მომსახურება ლივერპულიდან ხელს უწყობდა მოკრძალებული საექსკურსიო საქმის ჩამოყალიბებას ისეთ დესტინაციებთან, როგორიცაა, მაგალითად, პრესტატინი, გადამწყვეტი აღმოჩნდა 1848-ში ჩესტერისა და ჰოლიჰედის რკინიგზის განვითარება, რამაც შესაძლებელი გახადა ახალი ვიქტორიანული კურორტების ზოლის ჩამოყალიბება ლანდუდნოში, კოლვინის ყურესა და რილში. მათი, როგორც კურორტის, აღმოცენებამდე ყველა ეს ადგილი უმნიშვნელოდ იყო დასახლებული, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ ინგლისის ინდუსტრიული რეგიონის მხრიდან მზარდი მოთხოვნების ზეწოლით, მე-20 საუკუნის დასაწყისში თითოეული მათგანი მნიშვნელოვან სანაპირო კურორტად ჩამოყალიბდა, მუდმივი მოსახლეობით 9 ათასის ფარგლებში. ამ ძირითადი

კურორტების განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა უფრო მცირე ზომის საკურორტი adგილების მეორე ზოლის ჩამოყალიბება, მაგ., კიმნელ ბეი, ტივიმი, აბერგელი, როს-ონ-სიი და პენრინ ბეი, რომლებმაც ხელი შეუწყეს ურბანული სანაპირო ტურიზმის შედარებით უწყვეტი ზონის შექმნას ძირითადი სარკინიგზო ხაზის და მთავარი სანაპირო გზის (A55) გასწვრივ. განვითარების შედეგად გამოიკვეთა ამ ტურისტული ზონის ხაზოვანი სახე. 1945 წლის შემდეგ უფრო ადვილად განვითარებულმა სანაპირო რაიონებმა აბერგელსა და პრესტატინს შორის დაამტკიცეს თავიანთი მიმზიდველი მდებარეობა როგორც ხანგრძლივად მოგზაური ფურგონებისთვის, ისე უფრო ხანმოკლე დასასვენებელი ბანაკებისთვის. მაგალითად, ტივინი განვითარდა, როგორც კარავანინგის მნიშვნელოვანი ადგილი. თუმცა, როგორც 4.6 სურათზე ჩანს, კარავანინგი რეგიონში ყველგანაა განვითარებული. როდესაც ტურიზმის ამ სახეობის პარალელურად ვითარდება მისი სხვა ფორმებისთვის საჭირო კეთილმოწყობის ელემენტები (მაგალითად, როგორიცაა გოლფის კურსები) და როდესაც ხდება ტურიზმის ჩარჩოებში მათი კომბინირება რეგიონში არსებულ კულტურულ და კომერციულ ატრაქციებთან, ეს ძველი კურორტების ირგვლივ მნიშვნელოვანი შემავსებლის როლს ასრულებს. განვითარების სხვადასხვა ფაზების ერთობლივმა ეფექტმა წარმოქმნა ტურიზმის განსხვავებული ზონა, რომელიც დომინირებს დიდი ბრიტანეთის ამ სანაპირო რაიონის ლანდშაფტში.